

ქვეყნის
მშენებელი

მედიკოსი, მედიკოსი



მაქსიმ გორკის მრავალმხრივ შემოქმედებითს შემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ ლიტერატურულ პორტრეტებს.

სკიპდება ითქვას, რომ გორკიმ შექმნა ლიტერატურული პორტრეტის ახალი ტიპი, რომლის ნიმუშებია, უპირველესად, ლენინზე, ტოლსტოიზე, ჩეხოვზე, ესენინზე, კოროლენკოზე დაწერილი პორტრეტი-ნარკვევები.

გორკისეული პორტრეტები შექმნალია ორიგინალური ფორმით, იმ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, მწერალს რომ მიუღია გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრების დროს. ეს შთაბეჭდილებანი მაღალხატოვანი განზოგადების ხარისხს იძენენ გორკისათვის ჩვეული აღქმის ორიგინალურა მანერისა და ღრმა ფსიქოლოგიური წედომის შედეგად.

თარგმანი

ბიორბი მერაპვილაძისა

მ ე ო რ ე გ ა მ ო ც ე მ ა

© „ნაკადული“, თბილისი

70803—45

Г—78—88

М—603.(08)—88

3. 0. ლ ე ნ ი ნ ი

ვლადიმერ ლენინი გარდაიცვალა.

მისი მტრების ბანაკიდანაც კი ზოგიერთები გულახდილად აღიარებენ: ლენინის სახით მსოფლიომ დაკარგა ისეთი პიროვნება, „ვინც ყველა მის თანამედროვე დიდ ადამიანთა შორის გენიალობის მეტად თვალსაჩინო განსახიერება იყო“.

გერმანულმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა — «Prager Tagblatt» — მა წერილი უძღვნა ლენინს. ეს წერილი აღსავსეა პატივისცემითა და გაცემებით ლენინის კოლოსალური ფიგურისადმი და შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

„დიადი, მიუწვდომელი და თავზარდამცემი გვეჩვენება ლენინი სიკვდილშიც კი“

წერილის ტონი ცხადყოფს, რომ იგი გამოიწვია არა იმ ფიზიოლოგიურმა კმაყოფილებამ, რომელიც ცინიკურად არის გამოთქმული აფორიზმით, მტრის გვამს ყოველთვის სასიამოვნო სუნი ასდისო; არა იმ სიხარულმა, რასაც განიცდიდნენ ადამიანები, როდესაც დიდი, მოუსვენარი პიროვნება ტოვებს მათ. არა. აღნიშნულ წერილში ხმამაღლა გაისმის ადამიანით გამოწვეული სიამაყე ადამიანისა.

რუსული ემიგრაციის პრესას არ აღმოაჩნდა არც ძალა და არც ტაქტი, რათა ისეთი პატივისცემით მოჰკიდებოდა ლენინის გარდაცვალებას, როგორც ბურჟუაზიულმა გაზეთებმა გამოიჩინეს იმ პიროვნების შეფასებისას, ვინც სიცოცხლის სიყვარულისა და უშიშარი გონების ერთ-ერთი უდიდესი გამომხატველი იყო.

მისი პორტრეტის დახატვა ძნელია. გარეგნულად ლენინი წარმოუდგენელია უსიტყვოდ, როგორც თევზი უქერცლოდ.

იგი ისევე უბრალო და პირდაპირი იყო, როგორც ყველაფერი, რასაც ის ამბობდა.

მისი გმირობა თითქმის სავსებით მოკლებულია გარეგან ბრწყინვალეობას. მისი გმირობა — ეს იმ პატიოსანი რუსი რევოლუციონერი ინტელიგენტის სადა, ასკეტური გმირობაა, რომელსაც მტკიცედ სწამს ამ ქვეყანაზე სოციალური სამართლიანობის დამყარების შესაძლებლობა, ეს არის იმ ადამიანის გმირობა, ვინც უარი თქვა ამქვეყნიურ ყველა სიხარულზე და მძიმე შრომა აირჩია, რომ ადამიანისათვის ბედნიერება მოეტანა. რუსეთში ასეთი გმირობა იშვიათი როდია.

რასაც ლენინზე ვწერდი სულ მალე მისი გარდაცვალების შემდეგ, გულდამძიმებული, ნაუცხადევად და ცუდად არის დაწერილი. ზოგი რამის დაწერა არ შემეძლო, ვიმედოვნებ, ყველასათვის გასაგები „ტაქტის“ გამო. ეს ადამიანი გულთამხილველი და ბრძენი იყო, ხოლო „დიდ სიბრძნეს დიდი სევდაც თან ახლავს“.

ლენინი შორსმჭვრეტელი იყო. როდესაც იგი ფიქრობდა, ლაპარაკობდა ცხრამეტ-ოცდაერთიანი წლების ადამიანებზე, ხშირად შეუცდომლად გამოიცინობდა ხოლმე, როგორნი იქნებოდნენ ისინი რამდენიმე წლის შემდეგ. ზოგჯერ არც გასურდა მისი წინასწარმეტყველების დაჯერება, ხშირად იგი საწყენიც კი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტამ როდი გაამართლა მისი სკეპტიკური დახასიათება. ჩემი მოგონებანი მასზე, გარდა იმისა, რომ ცუდადაა დაწერილი, თანმიმდევრულიც ვერ არის და დასანან ხარვეზებსაც შეიცავს. აჯობებდა, ლონდონის ყრილობიდან, იმ დღეებიდან დამეწყო, როდესაც გლადიმერ ილიას ძის ფიგურა ჩემ წინაშე წარმოსდგა ერთთა ეტყევისა და უნდობლობის, ხოლო მეორეთა ცხადი მტრობისა და თვით სიძულვილის შექითაც კი ჩინებულად განათებული.

ახლაც ნათლად მიდგას თვალწინ ლონდონის განაპირა უბანში მდგარი უბადრუკი, სასაცილო, ხის ეკლესიის შიშველი კედლები და დარიბი სკოლის საკლასო ოთახის მსგავსი, პატარა, ვიწრო დარბაზის ისრული სარკმლები. ეს შენობა მხოლოდ გარედან მოგაგონებდათ ეკლესიას. შიგნით არც ერთი საკულტო საგაწი არ იყო. დაბალი საქადაგო კათედრაც

კი შესასვლელთან იდგა, ორ კარს შუა, და არა წინ, შუა დარბაზში.

ამ წლამდე ლენინს არ შეეხვედრივარ. მისი ნაწერებიც ბევრი არ წამეკითხა, მაგრამ იმის გავლენით, რის წაკითხვაც შევიძელ, და განსაკუთრებით კი იმ ამხანაგთა ალტაცებული ნაამბობის გავლენით, პირადად რომ იცნობდნენ მას, გულმა ძალუმად გაიწია ლენინისაკენ. როდესაც ჩვენ ერთმანეთს გაგვაცნეს, ლენინმა მაგრად მომიჭირა ხელი, გამჭრიახი თვალებით ამხედ-დამხედა და ძველი ნაცნობივით გამეხუმრა:

— კარგი ჰქენით, რომ ჩამოხვედით! თქვენ ხომ ჩხუბი გიყვართ? აქ დიდი ჩხუბი იქნება.

ლენინი სხვანაირი წარმომედგინა. ჩემს თვალში თითქოს რაღაც აკლდა მას. ცოტა დაღანით ლაპარაკობს, ხელები სადღაც იღლიისაკენ წაუღია, თავმომწონედ დგას. და, საერთოდ, როგორღაც მეტად უბრალოა, მასში „ბელადურს“ ვერაფერს ვგრძნობ. მე ლიტერატორი ვარ. პროფესია მავალდებულებს წვრილმანების დანახვას; ეს მოვალეობა ჩვევად — ხანდახან მოსაბეზრებელ ჩვევადაც — გადამექცა.

როდესაც გ. პლехანოვთან „წარმადგინეს“, იგი გულხელდაკრეფილი იდგა და მკაცრად, უხალისოდ მიცქეროდა. თავისი მოვალეობით მოქანცული მასწავლებელი უყურებს ამგვარად კიდევ ერთ ახალ მოწაფეს. მან მეტად ჩვეულებრივი ფრაზით მომმართა: „მე თქვენი ტალანტის თაყვანისმცემელი ვარ“. ამის გარდა, მისი ნათქვამიდან მეხსიერებაში არაფერი ჩამრჩენია. და მთელი ყრილობის მსვლელობაში არც მას, არც მე „გულღია“ საუბრის ნურვილი არ გაგვიჩენია.

ამ მელოტმა, დაღანით მოლაპარაკე ჩასკვნილმა, ძლიერმა კაცმა კი მაშინვე ჩემი წიგნის „დედას“ ნაკლზე ჩამომიგდო სიტყვა. იგი ერთი ხელით სოკრატისებურ შუბლს იწმენდდა, ხოლო მეორით ჩემს ხელს ანჯღრევდა. საოცრად ცოცხალი თვალები ალერსიანად უციმციმებდა. თურმე ი. პ. ლადიენიკოვისათვის გამოერთმია ჩემი ხელნაწერი და წაეკითხა. მე ვუთხარი, ვჩქარობდი ამ წიგნის დაწერას-მეთქი, მაგრამ იმის ახსნა ველარ მოვასწარი, რატომ ვჩქარობდი. ლენინმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და თვითონვე ახსნა ეს: ძალიან კარგია, რომ აჩქარებულხართ, ეს საჭირო წიგნია. ბევრი მუშა

სტიქიურად, შეუგნებლად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში და ახლა მეტად სასარგებლო იქნება მათთვის „დედას“ წაკითხვა.

„ძალიან დროული წიგნია“. ეს იყო ერთადერთი, მაგრამ ჩემთვის ფრიად ძვირფასი ქათინაური. შემდეგ საქმიანად მკითხა, ითარგმნება თუ არა „დედა“ უცხო ენებზე, რამდენად დაამახინჯა წიგნი რუსეთის და ამერიკის ცენზურამ. როცა ვუთხარი, სამართალში მაძლევენ-მეთქი, ჯერ შეიკმუხნა, შემდეგ თავი მაღლა ასწია, თვალები მოკუტა და რაღაც არაჩვეულებრივად გაიცინა. მისმა სიცილმა მუშების ყურადღება მიიპყრო; ჩვენ შემოგვიერთდნენ, ვგონებ, თომა ურალსკი და კიდევ სამი კაცი.

მეტად კარგ გუნებაზე ვიყავი: სამას რჩეულ პარტიელს შორის ვიმყოფებოდი; გავიგე, რომ ისინი ყრილობაზე გამოგზავნა ას ორმოცდაათი ათასმა შეკავშირებულმა მუშამ. აქ ვხედავდი პარტიის ყველა ლიდერს — ძველ რევოლუციონერებს: პლენხანოვს, აქსელროდს, დეიჩს. ჩემი ამგვარი განწყობილება სავსებით ბუნებრივი იყო და მკითხველისათვის გასაგები იქნება, თუ ვიტყვი, რომ სამშობლოს გარეთ გატარებული ორი წლის განმავლობაში ჩემი ჩვეულებრივი სულიერი განწყობილება ძლიერ დაეცა.

განწყობილების ეს დაცემა ბერლინში დამეწყო, სადაც ვნახე სოციალ-დემოკრატიის თითქმის ყველა ღიდი ბელადი; ავგუსტ ბებელთან სადილობის დროს ძლიერ მსუქანი ზინგერის გვერდით აღმოვჩნდი. სხვებიც საკმაოდ ჩასუქებულნი იყვნენ.

ფართო, მყუდრო ბინაში ვისადილეთ, სადაც იადონთა გალიებს კონტად ფარავდა მოქარგული პატარა ხელსახოცები. ასეთივე ხელსახოცები მიემაგრებინათ სავარძლების ზურგზე, რომ შიგ მსხდომთ თავით არ გაეჭუქყიანებინათ შალითა. ირგვლივ ყველაფერი მეტად სოლიდურად, მყარად გამოიყურებოდა. ყველანი კარგი განწყობილებით სადილობდნენ და მხიარულად მიმართავდნენ ერთმანეთს:

— მალკაიტ.

ეს სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ფრანგული „მალ“ რუსულად ცუდს ნიშნავს, ხოლო გერმანული „კაიტ“ — დროს; მაშასადამე, გამოდიოდა — ცუდი დრო.

ზინგერმა ორჯერ უწოდა კაუცკის „ჩემი რომანტიკოსი“. ბებელი, რომელსაც კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ცოტა არ იყოს, თვითკმაყოფილ კაცად მეჩვენა. სემდნენ რეინულ ღვინოსა და ლუდს; ღვინო მუავე და თბილი იყო, ლუდი — ჩინებული; რუსეთის რევოლუციასა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე უგუნებოდ და შეწყალებით ლაპარაკობდნენ, ხოლო თავიანთ, გერმანიის პარტიაზე ძალიან კარგი აზრისანი იყვნენ საერთოდ, ყველაფერს თვითკმაყოფილების იერი დაჰკრავდა, თითქოს სკამებიც კი კმაყოფილნი იყვნენ ბელადთა ესოდენ პატივცემული რბილი ადგილების შეხების გამო.

გერმანიის პარტიასთან მე „საჩოთირო“ საქმე მქონდა: მის გამოჩენილ წევრს, შემდგომში მეტად ცნობილ პარვეუსს, „ზნანიემ“ მიანდო იმ ჰონორარის აღება, რასაც თეატრები იძლეოდნენ პიესისათვის — „ფსკერზე“. პარვეუსმა მინდობილობა 902 წელს მიიღო სევასტოპოლში, სადგურზე, სადაც არალეგალურად ჩავიდა. მის მიერ შეგროვილი ფული ამგვარად უნდა განაწილებულიყო: მთელი თანხის 20 პროცენტს იღებდა თვითონ, დანარჩენიდან ერთი მეოთხედი მეძლეოდა მე, ხოლო სამი მეოთხედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალაროს უნდა გადასცემოდა. პარვეუსმა, რასაკვირველია, იცოდა ეს პირობები და ფრიად მოსწონდა კიდევ. ოთხი წლის მანძილზე პიესა გერმანიის ყველა თეატრმა დადგა. მარტო ბერლინში 500-ჯერ უჩვენეს. პარვეუსმა მიიღო, ვგონებ, 100 ათასი მარკა. მაგრამ ფულის ნაცვლად მან „ზნანიემ“ კ. პ. პიატნიცკის გამოუგზავნა წერილი, რომლითაც უდარდელად იტყობინებოდა, მთელი ეს თანხა იტალიაში ერთ ქალიშვილთან მოგზაურობის დროს დავხარჯეო. რადგანაც ეს, ალბათ, ძალიან სასიამოვნო მოგზაურობა, პირადად მე მხოლოდ ერთი მეოთხედით შემეხებოდა, ჩემს ვალად ჩავთვალე, გერმანიის პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის მიმეთითებინა დანარჩენი სამი მეოთხედის გამო. ეს ამბავი ცენტრალურ კომიტეტს ი. პ. ლადიჟნიკოვის მეშვეობით შევატყობინე. ცენტრალური კომიტეტი გულგრილად მოეკიდა პარვეუსის მოგზაურობას. როგორც უფრო გვიან შევიტყვე, პარვეუსს რაღაც პარტიული ჩინები ჩამოართვეს, — მართალი რომ გითხრათ, ვამჯობინებდი, მისთვის მაგრად აეწიათ ყური. კიდევ

უფრო გვიან პარიზში დამანახვეს ძალიან ლამაზი ქალიშვილი თუ მანდილოსანი და მითხრეს, პარკუსი მასთან ერთად მოგზაურობდაო.

— „ჩემო ძვირფასო, — გავიფიქრე მე, — ძვირად ღირებულა“.

ბერლინში ვნახე ლიტერატორები, მხატვრები, მეცენატები და სხვა ადამიანები. მათ ერთმანეთისაგან ის განასხვავებდა, თუ რამდენად თვითკმაყოფილნი და თავმომწონენი იყვნენ.

ამერიკაში ძალიან ხშირად მინახავს შორის ხილკვიტი, რომელსაც ნიუ-იორკის შერობა თუ გუბერნატორობა სურდა; მინახავს ციხიდან ახლად გამოსული მოხუცი დებსი, განმარტობით და მოქანცულად რომ უღრენდა ყველას და ყველაფერს; მრავალი ვინმე და მრავალი რამე მინახავს, მაგრამ არ შევხვედრივარ არც ერთ ისეთ ადამიანს, რომელსაც რუსეთის რევოლუციის მთელი სიღრმე გაეგებოდა. ყველგან ვგრძნობდი, რომ ამ რევოლუციას ისე ეკიდებოდა, როგორც „ევროპული ცხოვრების კერძო შემთხვევას“ და იმ ქვეყნის ჩვეულებრივ მოვლენას, სადაც „ყოველთვის არის ან ქოლერა, ან რევოლუცია“, როგორც ეს თქვა ერთმა „გენსომ ლედიმ“, სოციალიზმს რომ უთანაგრძნობდა.

„ბოლშევიკების“ სალაროსათვის ფულის შესაგროვებლად ამერიკაში წასვლის იდეა ლ. კრასინმა წამოაყენა. მდივნად და გამოსვლების ორგანიზატორად ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყო ვ. ვ. ვოროვისკი. მან კარგად იცოდა ინგლისური ენა. მაგრამ პარტიამ რაღაც სხვა დაგაღება მისცა და მე გამომყვა ცენტრალური კომიტეტის (ბ) საბრძოლო ჯგუფის წევრი ნ. ბურენინი. მან ინგლისური ენა არ იცოდა და მისი შესწავლა გზაში და ადგილზე მოუხდა. როცა ესერებმა ჩემი გამგზავრების მიზანი შეიტყვეს, ახალგაზრდული სიხალისით დაინტერესდნენ. ჯერ კიდევ ფინეთში მეწვივნენ ჩაიკოვსკი და ჟიტლოვსკი; მათ წინადადება მომცეს, შემეკრიბა ფული არა ბოლშევიკებისათვის, არამედ „საერთოდ, რევოლუციისათვის“. მე უარი განვაცხადე. „საერთოდ, რევოლუციაზე“. მაშინ მათ ამერიკაში გაგზავნეს „ბებია“. ამგვარად, ამერიკელებს გამოეცხადა ორი ადამიანი, რომლებმაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ისე რომ ერთმანეთს არ ხვდებოდნენ, იწყეს თან-

ხების შეგროვება, ალბათ, ორი სხვადასხვა რევოლუციისათვის. ამერიკელებს, ცხადია, არც დრო და არც სურვილი არა ჰქონდათ იმის გასარკვევად, თუ რომელი რევოლუცია სჯობს და უფრო სოლიდურია. „ბებიას“ ისინი, ვგონებ, წინათაც იცნობდნენ; ამერიკელმა მეგობრებმა მას კარგი რეკლამა შეუქმნეს, მე კი მეფის საელჩომ სკანდალი მომიწყო. ამერიკელი ამხანაგები ასევე „კერძო და უიღბლო საქმედ“ მიიჩნევდნენ რუსეთის რევოლუციას. ამიტომ რამდენადმე „ლიბერალურად“ ეკიდებოდნენ მიტინგებზე ჩემ მიერ ფულის შეგროვებას. ერთი სიტყვით, დოლარები ცოტა შევაგროვე — 10 ათასზე ნაკლები. გადავწყვიტე „ფულის შოვნა“ გაზეთების საშუალებით, მაგრამ ამერიკაშიც გამოჩნდა პარეუსი. საერთოდ, მოგზაურობა ხეირიანი ვერ გამოდგა. სამაგიეროდ, იქ დავეწერე „დედა“. ამით აიხსნება ამ წიგნის ზოგიერთი „მარცხი“ და ნაკლი.

შემდეგ იტალიაში, კაპრიზე გავემგზავრე. იქ ბევრი რუსული გაზეთი და წიგნი წავიკითხე — ამანაც ძალიან გამიფუჭა გუნება. ყბიდან ამოგდებულ კბილს თუ რამეს გრძნობა შეუძლია, ალბათ, ჩემსავით განმარტოებულად იგრძნობდა თავს. ძალზე მაოცებდა ზოგიერთი ნაცნობის ის ჯამბაზურა სისწრაფე და მოხერხებულობა, რითაც ისინი ერთი პლატფორმიდან მეორეზე ხტებოდნენ.

რუსეთიდან ჩამოდიოდნენ ხოლმე შემთხვევითი რევოლუციონერები, გულგატეხილნი, შეშინებულნი, თავის თავზე და იმ ადამიანებზე გაბოროტებულნი, ვინც ისინი „უიმედო საქმეში“ ჩააბა.

— ყველაფერი დაილუპა, — ამბობდნენ ისინი. — ყველაფერი დაიმსხვრა; ყველანი გაანადგურეს, გადაასახლეს, საპყრობილეებში ჩასხეს!

სასაცილო ბევრი რამ იყო, სამხიარულო კი არაფერი. რუსეთიდან ჩამოსული ერთი სტუმარი — ნიჭიერი ლიტერატორი — მიმტკიცებდა, თითქოს ჩემივე პიესის — „ფსკერზე“ — გმირის, ლუკას როლი შევასრულე: მოვედი, გამამხნევებელი სიტყვებით ავანთე ახალგაზრდობა; ახალგაზრდობამ დამიჭერა და ამის შედეგად კოპებიც დააჯდა შუბლზე, მე კი მოვუსვი. მერე იმას მიმტკიცებდა, რომ „ტენდენციამ“ გადამსანსლა,

რომ „წყალწაღებული კაცი“ ვარ და ბალეტის მნიშვნელობას მხოლოდ იმიტომ უარყვოფ, რომ იგი „საიმპერატოროა“. ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი რამ იყო სასაცილო და სულელურ; ხშირად მეგონა კიდევ, რომ რუსეთიდან რაღაც დამპალი მტვერი მოდიოდა.

და უეცრად, როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე მოვხვდი. რასაკვირველია, ეს ჩემთვის დღესასწაული იყო!

მაგრამ ჩემი დღესასწაული პირველ სხდომაზე „დღის წესრიგის“ საკითხზე გამართული დავით დამთავრდა. ამ დავის სისასტიკემ ერთბაშად გაანელა ჩემი აღტაცება. ეს კი მოხდა არა იმდენად იმის გამო, რომ დავინახე, როგორ მკვეთრად არის გაყოფილი პარტია რეფორმისტებად და რევოლუციონერებად, — ეს ისედაც ვიცოდი 903 წლიდან, — არამედ იმ მტრული დამოკიდებულების გამო, რასაც რეფორმისტები ვ. ი. ლენინისადმი იჩენდნენ. ეს მტრული განწყობილება ისე მოეონავდა და მოშხეფდა მათ სიტყვებში, როგორც მაღალი წნევის ქვეშ მოქცეული წყალი — ძველი სახანძრო შლანგიდან.

ყოველთვის როდი აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რას ამბობენ, მაგრამ ის კი ყოველთვის მნიშვნელოვანია — როგორ ამბობენ. პლენანოვს ყველა დიდი შეეკრა სერთუკზე. იგი პროტესტანტ პასტორს ჩამოჰგავდა და, ყრილობა რომ გახსნა, ისე ლაპარაკობდა, თითქოს საღვთო რჯულის მასწავლებელიაო: დარწმუნებული იყო, რომ მისი აზრები უდავოა, რომ მისი თითოეული სიტყვა ძვირფასია ისევე, როგორც პაუზა სიტყვათა შორის. იგი დიდი ოსტატობით ისროდა ჰაერში, ყრილობის დელეგატთა თავზე, კოხტა ფრაზებს, და თუ ამ დროს რომელიმე ბოლშევიკი რასმე წასჩურჩულებდა ამხანაგს, პატივცემული ორატორი შეყოვნდებოდა და ლურსმანივით ჩაარკობდა მას მზერას.

თავისი სერთუკის ერთი დიდი პლენანოვს სხვა დილებზე მეტად უყვარდა — ნაზად და განუწყვეტლივ ვალერსებოდა მას თითოთ, ხოლო პაუზის დროს აწვეებოდა, თითქოს ზარის დილაკი ყოფილიყო. იფიქრებდი, მისი სიტყვის სწორ მდინარებას სწორედ ეს დაწოლა წყვეტსო. ერთ-ერთ სხდომაზე

პლენანოვმა, ვილაცისთვის პასუხის გაცემას რომ აპირებდა, გულზე ხელეები დაიკრიფა და ხმამაღლა ზიზღით წარმოთქვა:
— ხე-ხე!

ამან სიცილი გამოიწვია მუშა-ბოლშევიკთა შორის. პლენანოვმა წარბები აზიდა. ლოყა გაუფითრდა; ლოყა-მეთქი, ვამბობ, რადგან კათედრის გვერდით ვიჯექი და პროფილში ვხედავდი ორატორთა სახეებს.

პირველ სხდომაზე გ. პლენანოვის გამოსვლის დროს ბოლშევიკთა შორის ყველაზე მეტად ლენინი შფოთავდა: ხან მოიკუნტებოდა, თითქოს შესცივდაო, ხანაც გასწორდებოდა, თითქოს დასცხაო; სადღაც ილღიებში იჩრიდა თითებს, ნიკაპს ისრესდა, აქნევდა პრიალა თავს და რაღაცას ეჩურჩულებოდა მ. ტომსკის. ხოლო როდესაც პლენანოვმა განაცხადა, „პარტიაში რევიზიონისტები არ არიანო“, ლენინი მოიხარა, მელოტი თავი გაუწითლდა და ჩუმი სიცილისაგან მხრები აუტოკდა. მის გვერდით და უკან მსხდომი მუშებიც იღიმებოდნენ, ხოლო დარბაზის ბოლოდან ვილაცამ პირქუშად და ხმამაღლა იკითხა:

— აბა, ვინ ზის იქითა მხარეს?

ტანდაბალი თევდორე დანი ისეთი ტონით ლაპარაკობდა, თითქოს ნამდვილი ჭეშმარიტება მისი პირმშო ქალიშვილია; მან შვა იგი, აღზარდა და ახლაც ზრდისო. თვითონ იგი — თევდორე დანი კი — კარლ მარქსის სრულყოფილი განსახიერებაა, ხოლო ბოლშევიკები — უსწავლელი და უწესო ბიჭები არიან; ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მათ დამოკიდებულებაში მენშევიკებისადმი, რომელთა შორისაც არის, როგორც მან თქვა, „მარქსიზმის ყველა გამოჩენილი თეორეტიკოსი“.

— თქვენ არა ხართ მარქსისტები, — ქედმაღლურად ამბობდა იგი, — არა, თქვენ მარქსისტები არა ხართ — და პაერში, მარჯვნივ, იქნევდა ყვითელ მუშტს. რომელიდაც მუშამ ჰკითხა:

— კიდევ როდის ეწვევით ლიბერალებს ჩაიზე?

არ მახსოვს, გამოვიდა თუ არა პირველ სხდომაზე მარტოვი. საერთოდ, ეს საოცრად სიმპათიური კაცი ახალგაზრდულ გზნებით ლაპარაკობდა და ეტყობოდა, განსაკუთრებით განიც-

დიდა განხეთქილების დრამას, წინააღმდეგობათა ტკივილებს.

იგი სულ ერთიანად ცახცახებდა, ქანაობდა, ნერვულად იხსნიდა გახამებული პერანგის საყელოს, ხელებს იქნევდა; ბიჯაკის სახელოდან გამოვარდნილი ყოშები ხელის მტევანს უფარავდა. თავის ადგილას რომ დაებრუნებინა ისინი, ხელს მალლა სწევდა და აქნევდა. ისე მეჩვენებოდა, თითქოს მარტო-ვი კი არ ამტკიცებს, არამედ იხვეწება, იმუღარება: განხეთქილება აუცილებლად უნდა დავძლიოთ, პარტია ისედაც ძლიერ სუსტია და რაღა იქნება, თუ იგი ორად გავყავით; მუშას პირველ ყოვლისა, „თავისუფლებანი“ ესაჭიროება, სათათბიროს მხარი უნდა დავუჭიროთო. მისი პირველი სიტყვა ხანდახან თითქმის ისტერიულად ჟღერდა, სიტყვების სიუხვე გაუგებარს ხდიდა აზრს, ხოლო თვითონ ორატორი მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა. გამოსვლის დასასრულს, თითქოს სიტყვასთან დაუკავშირებლად, მაინც „მებრძოლური“ ტონით ასევე მგზნებარედ გაილაშქრა საბრძოლო რაზმებისა და, საერთოდ, შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ მიმართული მუშაობის წინააღმდეგ. კარგად მახსოვს, როგორი გაცხებით წამოიძახა ვიღაცამ ბოლშევიკთა რიგებიდან:

— ერთი ამას დამიხედეთ!

ხოლო, ვგონებ, მ. პ. ტომსკიმ ჰკითხა:

— ხელებიც ხომ არ მოვიჭრათ ამხანაგ მარტოვის დასამშვიდებლად?

ვიმეორებ: დარწმუნებული არა ვარ, რომ მარტოვი პირველ სხდომაზე გამოვიდა სიტყვით. მე მხოლოდ იმიტომ მოვიგონე იგი, რომ შეამბნა, თუ როგორ ლაპარაკობდნენ.

მისი სიტყვის შემდეგ სხდომის დარბაზის წინ შეკრებილი მუშები პირქუშად ამბობდნენ:

— ესეც შენი მარტოვის „ისკრელი“ კი იყო!

— ფერს იცვლიან ამხანაგი ინტელიგენტები.

მშვენივრად, მგზნებარედ და მკვეთრად ლაპარაკობდა როზა ლუქსემბურგი, რომელიც ჩინებულად იშველიებდა ირონიას. მაგრამ აი, სწრაფად ავიდა ტრიბუნაზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, ღაღანით წარმოთქვა „ამხანაგებო“: ჯერ მომეჩვენა, რომ ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სხვებივით მეც „დამატყვევა“ მისმა სიტყვამ. პირველად

ვხედავდი, რომ პოლიტიკის ურთულეს საკითხებზე ასე უბრალოდ შეიძლებოდა ლაპარაკი. იგი არ ცდილობდა ლამაზი ფრაზების შეთხზვას. ყოველ სიტყვას საჩინოდ ამბობდა, საოცრად ნათლად, ზუსტად გამოთქვამდა აზრს. ძალიან ძნელია იმ უჩვეულო შთაბეჭდილების გადმოცემა, იგი რომ ახდენდა.

წინ გაშვერილი, ოდნავ ზევით აწეული ხელი; ხელისგული, რომელიც თითქოს წონისო ყოველ სიტყვას; მოწინააღმდეგეთა ფრაზების გაცხრილვა; მათი შეცვლა იმ მტკიცე დებულებებითა და საბუთებით, რომ მუშათა კლასს აწევს უფლება და აკისრია მოვალეობა, იაროს თავისი გზით და არა ლიბერალური ბურჟუაზიის უკან ან მის გვერდითაც კი, — ყოველივე ეს უჩვეულო რამ იყო და ლენინი წარმოთქვამდა თითქოს არა თავისი ნებით, არამედ მართლაც, ისტორიის კარნახით. მისი სიტყვის მთლიანობა, სისავსე, პირდაპირობა და ძალა, მთლიანად იგი, კათედრაზე მდგომი — ყოველივე ეს თითქოს კლასიკური ხელოვნების ნაწარმოები გახლდათ: ყველაფერი თავის ადგილას არის, ზედმეტი არაფერია; არავითარი მოკაზმულობა, ხოლო თუ იგი მაინც არის — ეს არა ჩანს, ისევე ბუნებრივი და აუცილებელია, როგორც ორი თვალი სახეზე და ხუთი თითი ხელზე.

დროის მიხედვით, იგი ლაპარაკობდა მანამდე გამოსულ ორატორებზე ნაკლებს, ხოლო შთაბეჭდილების მიხედვით — გაცილებით მეტს. მარტო მე არ ვგრძნობდი ამას. ჩემ უკან ალტაყებით ჩურჩულებდნენ:

— შინაარსიანად ლაპარაკობს...

ასეც იყო. ყოველი მისი მოსაზრება თავისთავად ხდებოდა დამაჯერებელი მასში მოქცეული ძალის მეოხებით.

შენშევიკები ამჟამად ამეღავენებდნენ, რომ მათთვის ლენინის სიტყვა არასასიამოვნოა, ხოლო თვითონ ლენინი — კიდევ უფრო არასასიამოვნო. რაც უფრო დამაჯერებლად ნათელყოფდა ლენინი პარტიისათვის რევოლუციური თეორიის სიმადლეზე ასვლის აუცილებლობას, რათა პრაქტიკა ყოველმხრივ შეამოწმოსო, მით უფრო გაბოროტებით აწყვეტინებდნენ სიტყვას.

— ყრილობაზე საჭირო არ არის ფილოსოფია!

— ნუ გვასწავლით, ჩვენ გიმნაზიელები არა ვართ!

განსაკუთრებით აქტიურობდა ვილაც მაღალი, წვერიანი, მედუქნისსახიანი კაცი. ხშირად წამოხტებოდა ხოლმე და ენის ბორძიკით ყვიროდა:

— შე-შეთქმუ-ულებო... შშეთქმულებას თამაშობთ! ბ-ბლან-კისტებო!

როცა ლუქსემბურგი თავს აქნევდა, ლენინს ეთანხმებოდა; მან ერთ-ერთ შემდგომ სხდომაზე ძალიან მოხდენილად უთხრა მენშევიკებს:

— თქვენ კი არ დგახართ მარქსიზმის თვალსაზრისზე, სხედხართ, ან უკეთ — წევხართ.

გალიზიანების, ირონიისა და სიძულვილის ბოროტი, მხუთრი ნიავი დაჰქროდა დარბაზში; ასობით თვალს სხვადასხვაგვარად ესახებოდა ვლადიმერ ილიას ძის ფიგურა. არ იგრძნობოდა, რომ მტრული გამოხდომები აღელვებენ მას; იგი ლაპარაკობდა მგზნებარედ, მაგრამ დამაჯერებლად და მშვიდად. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, თუ რად უღირდა მას ეს გარეგნული სიმშვიდე. ძალიან გასაოცარი და საწყენიც იყო ის ამბავი, რომ მისდამი მტრობას აღძრავდა ასეთი ბუნებრივი აზრი: მხოლოდ თეორიის სიმალლიდან შეუძლია პარტიას თავის რიგებში წამოჭრილი განხეთქილების მიზეზების ნათლად დანახვა. მე ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა: ყრილობის ყოველი დღე სულ ახალსა და ახალ ძალას, სიმხნევესა და რწმენას ჰმატებს ვლადიმერ ილიას ძეს; მისი სიტყვები ყოველდღე უფრო მტკიცედ გაისმის და ყრილობაზე დამსწრეთა მთელი ბოლშევიკური ნაწილიც სულ უფრო გაბედული და მკაცრი ხდება. ლენინის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა გარდა, თითქმის ასევე ამაღელვა როზა ლუქსემბურგის მიერ მენშევიკთა წინააღმდეგ წარმოთქმულმა ჩინებულმა, მკაცრმა სიტყვამ.

თავისუფალ დროს ვ. ი. ლენინი მუშებს შორის ატარებდა, მათგან გებულობდა ყოფა-ცხოვრების თვით უწვრილმანეს ფაქტებსაც კი.

— კი მაგრამ, რას შერებიან ქალები? მთლიანად საოჯახო საქმეებში არიან ჩაფლულნი და, მიუხედევად ამისა, მაინც სწავლობენ, კითხულობენ?

რამდენიმე მუშა, რომელთაც პირველად ნახეს ლენინი,

ჰაიდ-პარკში საუბრობდა იმაზე, თუ როგორ იქცეოდა იგი ყრილობის დროს. ერთმა მათგანმა მტკიცედ თქვა:

— არ ვიცი, აქ, ევროპაში, შესაძლოა, მუშებს ჰყავდეთ ასეთი ჰქვიანი მეორე აღამიანი — ვთქვათ, ბებელი ან კიდევ სხვა ვინმე. მაგრამ არა მჭერა მეორე ისეთი კაცის არსებობა, რომელიც ლენინივით უცბად შეგაყვარდეს!

მეორე მუშამ ღიმილით დაუმატა:

— ეგ ჩვენია!

შეეკამათნენ:

— პლენხანოვიც ჩვენია.

და მე გავიგონე მოსწრებული პასუხი:

— პლენხანოვი ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბატონია, ლენინი კი ჩვენი ბელადი და ამხანაგია.

რომელიდაც ახალგაზრდამ იუმორისტულად შენიშნა:

— პლენხანოვს სერთუკი უჭერს.

იყო ასეთი შემთხვევა: მენშევიკმა მუშამ შეაჩერა რესტორანში მიმავალი ვლადიმერ ილიას ძე და რაღაც ჰკითხა. ილიჩმა ნაბიჯი შეანელა და თავის კომპანიას ჩამორჩა. ხუთი წუთის შემდეგ მოვიდა რესტორანში და შუბლშეკმუხნილმა გვიამბო:

— საოცარია, რომ ასეთი გულუბრყვილო ყმაწვილი ყრილობაზე მოხვდა! შეკითხება: მაინც რა არის განხეთქილების ნამდვილი მიზეზიო. აი რა, — ვეუბნები, — თქვენს ამხანაგებს სურთ პარლამენტში ჯდომა, ჩვენ კი გვჭერა, რომ მუშათა კლასი ბრძოლისათვის უნდა ემზადებოდეს-მეთქი. მგონი, მივახვედრე...

ჩვენი მცირერიცხოვანი კომპანია მუდამ ერთსა და იმავე პატარა, იაფფასიან რესტორანში სადილობდა. შევამჩნიე, ვლადიმერ ილიას ძე ძალიან ცოტას ჰამდა: ორი-სამი კვერცხის ტაფამწვარს, შაშხის პატარა ნაჭერს და ერთ ჭიქა სქელ, შავ ლუდს სჭერდებოდა. ყველაფერზე ეტყობოდა, თავისი თავის დარდი არა ჰქონდა. ამავე დროს, მათეობდა ის გასაკვირველი ზრუნვა, რასაც მუშებისადმი იჩენდა. მუშების კვებას მ. ანდრეევა განაგებდა. ილიჩი ეკითხებოდა მას:

— როგორ ფიქრობთ: ხომ არ შიმშილობენ ამხანაგები? არა? ჰმ-ჰმ.. ხომ არ გავუდიდოთ ბუტერბროდები?

დავბრუნდი სასტუმროში, სადაც დაბინავებული ვიყავი

და რას ვხედავ: ლენინი მზრუნველობით სინჯავს საწოლს.

— რას აკეთებთ?

— ვამოწმებ, მშრალია თუ არა ზეწრები.

უცბად ვერ მივხვდი: რად ესაქიროება იმის გაგება, თუ როგორი ზეწრები აქვთ ლონდონში? გაკვირვება რომ შემამჩნინა, ამიხსნა:

— თვალყური უნდა ადევნოთ თქვენს ჯანმრთელობას.

918 წლის შემოდგომაზე სორმოველ მუშას დიმიტრი პავლოვს ვკითხე: შენი აზრით, რა არის ლენინის ყველაზე მკაფიო თვისება-მეთქი.

— სისადავე. სიმართლესავეით სადაა.

ეს ისე მითხრა, როგორც დიდი ხნის წინათ კარგად მოფიქრებული გადაწყვეტილი აზრი.

ცნობილია — ყველაზე მკაცრად ადამიანს მისი მოსამსახურენი განსჯიან ხოლმე. მაგრამ ლენინის მძლოლმა გილმა, ამ ბევრის მნახველმა კაცმა, თქვა:

— ლენინი განსაკუთრებული კაცია. ასეთს მეორეს ვერ იპოვი. ერთხელ მიასანიცკაიაზე მიმყავს. დიდი მოძრაობაა, ძლივს მივიკვლევთ გზას, მეშინია — მანქანა არ დამიმტვრიონ, საყვირს ვაძლევ, ძლიერ ვღელავ. ლენინმა გააღო მანქანის კარი, საფეხურს გამოჰყვა, მოვიდა ჩემთან, არ შეუშინდა, რომ შეიძლებოდა ძირს ჩამოეგდოთ, და მარწმუნებს: „ნუ ღელავთ, გილ, გეთაყვა. სხვასავეით იარეთ“. ძველი მძლოლი ვარ და ვიცი — ამგვარად არავინ მოიქცეოდა.

ძნელი გადმოსაცემი და დასახატავია ის ბუნებრიობა და მოქნილობა, რომლებიც ერთ კალაპორტში აქცევენდნენ მის ყველა შთაბეჭდილებას.

მისი აზრი, თითქოს კომპასის ისარიო, თავისი მახვილით ყოველთვის მიმართული იყო მშრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესებისაკენ. ერთ თავისუფალ საღამოს ლონდონში ჩვენი პატარა კომპანია მცირე დემოკრატიულ თეატრს — „მიუზიკ-პოლს“ — ეწვია. ვლადიმერ ილიას ძე ხალისიანად და გადამდებად იცინოდა ჯამბაზების, ექსცენტრიკოსების გამოსვლაზე, ყველაფერ დანარჩენს კი გულგრილად შესცქეროდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბრიტანეთის კოლუმბიის მუშების მიერ ტყის კაფვას. ეს პატარა სცენა წარმოადგენდა

ბანაკს ტყეში. მის წინ, მიწაზე, ორმა ახოვანმა ვაჟკაცმა ერთი წუთის განმავლობაში გადაჭრა დაახლოებით მეტრი სისქის ხე.

— ეს აშკარაა, მაცურებლის გულისთვისაა გაკეთებული, ნამდვილად კი მათ არ შეუძლიათ ასე სწრაფად მუშაობა, — თქვა ილიჩმა. — მაგრამ ცხადია, რომ ისინი იქაც ნაჯახებით მუშაობენ და უსარგებლო ნაფოტებად აქევენ უამრავ ხეტყეს. ესეც თქვენ — კულტურული ინგლისელები!

მან დაიწყო ლაპარაკი წარმოების ანარქიაზე კაპიტალისტურ წყობილებაში, ნედლეულის იმ უდიდეს პროცენტზე, უნაყოფოდ რომ იხარჯება. ბოლოს სინანული გამოთქვა, აქამდე არავის არ მოსვლია აზრად ამ თემაზე წიგნის დაწერაო. ჩემთვის იყო რაღაც გაურკვეველი ამ აზრში, მაგრამ ამის კითხვა ვეღარ მოვასწარი: ვლადიმერ ილიას ძე უკვე საინტერესოდ ლაპარაკობდა თეატრალური ხელოვნების განსაკუთრებულ ფორმაზე — „ექსცენტრიზმზე“:

— მისთვის დამახასიათებელია. რაღაც სატირული თუ სკეპტიკური დამოკიდებულება საერთოდ აღიარებულისადმი, იმის მისწრაფება, რომ უკუღმა გადმოაბრუნოს იგი, ცოტა დაამახინჯოს, აჩვენოს ჩვეულებრივის ალოგიზმი. იგი ძნელად მისახვედრია თითქოს, მაგრამ საინტერესო კია!

ორი წლის შემდეგ კაპრიზე, როცა ა. ა. ბოგდანოვ-მალინოვსკის უტოპიური რომანის თაობაზე ესაუბრებოდა, ილიჩმა უთხრა მას:

— მოდი, მუშებისათვის დაწერეთ რომანი იმ თემაზე, თუ როგორ გაძარცვეს დედამიწა კაპიტალისტმა მტაცებლებმა, როგორ გაანიავეს მთელი ნავთობი, რკინა, ხე-ტყე, ქვანახშირი. ეს იქნებოდა ფრიად სასარგებლო წიგნი, სინიორ მახისტო.

როცა ლენინს ლონდონში დავემშვიდობე, მითხრა, კაპრიზე აუცილებლად ჩამოვალო დასასვენებლად.

მაგრამ, სანამ კაპრიზე ჩამოვიდოდა, პარიზში ვნახე. აქ მას შევხვდი ოროთახიან სტუდენტურ ბინაში. ბინა სტუდენტური იყო ფართობით და არა სისუფთავითა და ჩინებული წესრიგით. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ჩაი გაგვიმზადა, თვი-

თონ კი სადღაც წავიდა და ჩვენ მარტონი დავრჩით. იმ დროს „ზნანიე“ იშლებოდა და ახალი გამომცემლობის შექმნის თაობაზე მოსალაპარაკებლად ჩვედი ვლადიმერ ილიას ძესთან. ამ გამომცემლობას შეძლებისდაგვარად უნდა გაეერთიანებინა ყველა ჩვენი ლიტერატორი. გამოცემათა რედაქტურას უცხოეთში ვთავაზობდი ვლადიმერ ილიას ძეს, ვ. ვ. ვოროვისკისა და კიდევ სხვას, ხოლო რუსეთში მათი წარმომადგენელი ვ. ა. დესნიცკი-სტროევი იქნებოდა.

ვფიქრობდი, საჭირო იყო მთელი რიგი წიგნების დაწერა დასავლეთისა და რუსეთის ლიტერატურების ისტორიაზე, კულტურის ისტორიაზე. ეს წიგნები მუშებს მდიდარ ფაქტიურ მასალას მისცემდა თვითგანვითარებისა და პროპაგანდისტების.

მაგრამ ვლადიმერ ილიას ძემ უარყო ეს გეგმა; მიუთითა ცენზურაზე, ჩვენი ადამიანების ორგანიზების სიძნელეებზე — ამხანაგთა უმრავლესობა პრაქტიკულ პარტიულ მუშაობას ეწევა, წერისთვის არ სცალიაო. მაგრამ მთავრი და ჩემთვის ყველაზე უფრო სარწმუნო მისი მოსაზრება დაახლოებით ასეთი იყო: სქელტანიანი წიგნების დრო არ არის; სქელტანიანი წიგნებით იკვებება ინტელიგენცია, იგი კი, როგორც ხედავთ, სოციალიზმიდან უკან იხევს ლიბერალიზმისაკენ და არჩეული გზიდან ვერ გადავახვევიანებთო. ჩვენ გვესაჭიროება გაზეთი, ბროშურა; კარგი იქნებოდა „ზნანიეს“ პატარა ბიბლიოთეკის აღდგენა, მაგრამ რუსეთში ეს შეუძლებელია ცენზურის, ხოლო აქ კი ტრანსპორტის პირობების გამო: მასებში უნდა გადავისროლოთ ათეული, ასეულ ათასობით ფურცელი, ხოლო ამოდენა გროვას არალეგალურად ვერ გადაიტან. ამიტომ გამომცემლობის შექმნა უფრო ხელსაყრელ დრომდე უნდა გადავდოთო.

ლენინმა განსაცვიფრებელი, მისთვის მუდამ დამახასიათებელი სიცხოველითა და სიცხადით დაიწყო ლაპარაკი სათათბიროზე, კადეტებზე, რომლებიც „ოქტიაბრისტებად გახდომას თაკილობენ“ და „რომელთაც მხოლოდ ერთი გზა აქვთ — მარჯვნივ“. შემდეგ კი მოიყვანა იმის დამადასტურებელი ბევრი საბუთი, რომ ომი ახლოვდებოდა და, „როგორც ჩანს, არა ერთი, არამედ მოელი რიგი ომებისა“. ეს მისი განჭვრეტა ორჯერ ახლა კიდევ ბალკანეთში.

წამოდგა, დამახასიათებელი წესტით ილლიის ქვეშ უილეტში ჩაიწყო თითები და ნელა დაიწყო სიარული ვიწრო ოთახში, თან თვალებს ჰუტავდა და აკვესებდა.

— ომი იქნება. იგი გარდაუვალია. კაპიტალისტური სამყარო საბოლოოდ გაიხრწნება. იდამიანებს ახლაც წამლავს შოვინიზმის, ნაციონალიზმის შხამი. მგონი, ჩვენ საერთო-ევროპული ომის მოწმენი გავხდებით. ხოლო რას იზამს პროლეტარიატი? საეჭვოა, პროლეტარიატმა გამოიჩინოს ძალა, რომ სისხლისმღვრელი შეტაკება თავიდან აიცილოს. როგორ შეიძლება ამის მოგვარება? ევროპის მუშათა საყოველთაო გაფიცვით? საამისოდ მუშებს ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ საკმაო ორგანიზებულობა და შეგნება. ასეთი გაფიცვა შეიძლებოდა სამოქალაქო ომის დასაწყისი გამხდარიყო. ჩვენ რეალისტი პოლიტიკოსები ვართ და ამის იმედს ვერ ვიქონიებთ.

ლენინი გაჩერდა, იატაკზე ფეხსაცმლის ქლასუნით პირქუშად წარმოთქვა:

— პროლეტარიატი, რასაკვირველია, სასტიკად დაზარალდება. ასეთია ჯერჯერობით მისი ბედი. მაგრამ პროლეტარიატის მტრებიც დაასუსტებენ ერთმანეთს. ესეც გარდაუვალია.

იგი მომიახლოვდა და თითქოს გაოცებით, ძალუმაღ, მაგრამ ხმადაბლა მითხრა:

— ერთი დაფიქრდით: რისი გულისათვის ერეკებიან მამლრები მშვივრებს სასაკლაოზე ერთიმეორის წინააღმდეგ? შეგიძლიათ დამისახელოთ ამაზე უფრო იდიოტური და საზიზღარი ბოროტება? ძალიან ძვირად დაუჯდებათ ეს მუშებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი გაიმარჯვებენ. ასეთია ნება ისტორიისა.

იგი ხშირად ლაპარაკობდა ისტორიაზე, მაგრამ მის სიტყვებში არასოდეს მიგრძნია ფეტიშური ქედმოხრა ისტორიის ნებისა და ძალის წინაშე.

ლაპარაკმა ააღელვა. მაგიდას მიუჯდა, გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა, ცივი ჩაი მოსვა და მოულოდნელად მკითხა:

— რა სკანდალი შეგემთხვიათ ამერიკაში? გაზეთების ცნობით კი ვიცი, რაც მოხდა, მაგრამ მაინც რა იყო?

მოკლედ ვუამბე ჩემი თავგადასავალი.

არასოდეს შევხვედრივარ ადამიანს, ვისაც შეეძლო ვლადიმერ ილიას ძესავით გადამდებად სიცილი. მიკვირდა კიდეც, რომ მკაცრ რეალისტ ადამიანს, ვინც ასე კარგად ხედავს და ღრმად გრძნობს უდიდესი სოციალური ტრაგედიების გარდუვალობას, ვინც გაუნელებელი სიძულვილით არის შეპყრობილი კაპიტალისტური სამყაროსადმი, შეუძლია ისე ბავშვურად იცინოს, რომ ცრემლები მოადგეს და სუნთქვა შეეკრას. ასეთი სიცილისათვის დიდი და მტკიცე სულიერი სიჭანსაღე უნდა გქონოდა.

— ოჰ, თქვენ იუმორისტი ყოფილხართ! — სიცილით მეუბნებოდა იგი. — ამას არ მოველოდი. რა სასაცილო რამ მიამბეთ...

შემდეგ სიცილის ცრემლები მოიწმინდა და უკვე სერიოზულად, კარგი, გულთბილი ღიმილით მითხრა:

— კარგია, რომ შეგიძლიათ იუმორით შეხვდეთ წარუმატებლობას. იუმორის გრძნობა ჩინებული, საღი თვისებაა. მე კარგად მესმის იუმორი, მაგრამ ვერ ვფლობ. ხოლო სასაცილო რამ ცხოვრებაში, გარწმუნებთ, სამწუხაროზე ნაკლები როდია, დიახ.

შევთანხმდით, ერთი დღის შემდეგ კვლავ ვინახულებდი. მაგრამ ცუდი ამინდის გამო საღამოს ძლიერი სისხლიანი ხველა ამიტყდა და პარიზიდან მეორე დღესვე გავემგზავრე.

პარიზის შემდეგ ჩვენ კაპრიზე შეხვდით ერთმანეთს. ამ შეხვედრამ ჩემზე ძლიერ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა: ვლადიმერ ილიას ძე თითქოს ორჯერ იყო კაპრიზე და ორჯერვე ფრიად სხვადასხვა განწყობილებით.

ერთმა ილიჩმა ნავმისადგომზე შეხვედრისთანავე გადაჭრით განმიცხადა:

— მე ვიცი, ალექსეი მაქსიმეს ძევ, მაინც იმედოვნებთ, რომ მახისტებს შეეურიგდები, თუმცა წერილით უკვე გაგაფრთხილეთ, ეს შეუძლებელია-მეთქი ასე რომ, ნუ შეეცდებით ამას.

გზაშიც და ბინაზედაც ვცადე ამეხსნა მისთვის, რომ მთლად მართალი როდია: არ მქონია და არცა მაქვს იმის განზრახვა;

შევარიგო ფილოსოფიური უთანხმოებანი, რომლებიც, სიტყვამ შოიტანა და, არცთუ ისე ხეირიანად გამეგება. გარდა ამისა, უკვე სიკაბუჯეში გავიმსჭვალე უნდობლობით ყოველგვარი ფილოსოფიისადმი. ამის მიზეზი კი ის იყო და არის, რომ ფილოსოფია არ ეთანხმება ჩემს პირად, „სუბიექტურ“ გამოცდილებას: ჩემთვის სამყარო ის იყო იწყებდა არსებობას, „მკვიდრდებოდა“, ფილოსოფია კი თავში უტყაბუნებდა მას და სრულებით უადგილოდ, უდროოდ ეკითხებოდა:

„საით მიდიხარ? რისთვის მიდიხარ? რატომ ფიქრობ?“

ზოგიერთი ფილოსოფოსი კი მოკლედ და მკაცრად უბრძანებდა:

„შესდექ!“

გარდა ამისა, მე უკვე ვიცოდი, რომ შეიძლება ფილოსოფიაც ქალივით მეტად ულამაზო და მახინჯიც კი იყოს, მაგრამ ისე მოხდენილად და დამაჯერებლად იმოსებოდეს, ულამაზეს ქალად მოგეჩვენოს. ამაზე ვლადიმერ ილიას ძემ გაიცინა.

— ეს ხომ იუმორისტიკაა, — თქვა მან. — ხოლო სამყარო რომ ეს-ეს არის იწყებს არსებობას, დამკვიდრებას — კარგია! ამაზე სერიოზულად იფიქრეთ. ეს გზა იქ მიგიყვანთ, სადაც კარგა ხნის წინათ უნდა მისულიყავით.

შემდეგ ვუთხარი, ა. ა. ბოგდანოვი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ვ. ა. ბაზაროვი, ჩემი აზრით, თვალსაჩინო, შესანიშნავად და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები არიან, რომელთა მსგავსთაც პარტიაში არ შევხვედრივარ-მეთქი.

— გთქვამთ, ასეა. მერე რა?

— ბოლოს და ბოლოს, მათ საერთო მიზნით გამსჭვალულ ადამიანებად მივიჩნევ. ღრმად გაგებულმა და შემეცნებულმა მიზნის ერთიანობამ კი უნდა წაშალოს, მოსპოს ფილოსოფიური უთანხმოებანი...

— მაშასადამე, შერიგების იმედი მაინც ცოცხლობს თქვენში? სულ ტყუილად, — მითხრა ლენინმა. — ჩემი მეგობრული რჩევაა, განდევნეთ იგი და, რაც შეიძლება, შორსს თქვენი აზრით, პლენხანოვიც საერთო მიზნითაა გამსჭვალული. მე კი — ჩვენს შორის დარჩეს და — ვფიქრობ, რომ მას სულ სხვა მიზანი აქვს, თუმცა მატერიალისტია და არა მეტაფიზიკოსი.

ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა. ვუქრობ, საჭირო არ არის მოგაგონოთ, რომ მე იგი სიტყუასიტყუით არ აღმიდგენია, მაგრამ აზრის სიზუსტით გადმოცემაში ეჭვი არ მეპარება.

და აი, მე დავინახე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი კიდევ უფრო მტკიცე და ურყევი, ვიდრე იგი ლონდონის ყრილობაზე გახლდათ. იქ იგი ღელავდა და იყო მომენტები, როცა აშკარად იგრძნობოდა, რომ პარტიაში წარმოშობილი განხეთქილება მძიმე წუთებს განაცდევინებდა.

აქ კი მშვიდად, გულგრილად და დამცინავად იყო განწყობილი, ძლიერ ვერიდებოდა ფილოსოფიურ თემაზე საუბარს და, საერთოდ, ფრთხილად ეჭირა თავი. საოცრად სიმპათიური, რბილი ხასიათის ა. ა. ბოგდანოვი, რომელსაც უყვარდა ლენინი, მაგრამ ცოტა თავმოყვარე იყო, იძულებული ხდებოდა, მოესმინა ძალიან მწვავე და აუტანელი სიტყვები:

— შოპენჰაუერი ამბობს: „ვინც ნათლად აზროვნებს — ნათლად ლაპარაკობს“, ვფიქრობ, ამაზე უკეთესი მას არაფერი უთქვამს. თქვენ, ამხანაგო ბოგდანოვ, გაუგებრად ლაპარაკობთ. ორი-სამი ფრაზით ამიხსენით, რას აძლევს მუშათა კლასს თქვენი „შენაცვლება“ და რატომ არის მახიზში მარქსიზმზე უფრო რევოლუციური?

ბოგდანოვი შეეცადა ამის ახსნას, მაგრამ იგი მართლაც რომ გაუგებრად ლაპარაკობდა და სიტყვების კორიანტელს აყენებდა.

— კმარა, — ურჩია ვლადიმერ ილიას ძემ. — ვილაცამ; ვგონებ, ყორესმა თქვა: „სიმართლის ლაპარაკი გერჩიოს. მინისტრობას“. მე დავუმატებდი: და მახისტობას-მეთქი.

შემდეგ იგი გატაცებით ეთამაშებოდა ბოგდანოვს ჭადრაკს და, როცა წააგებდა, ჯავრობდა, ბავშვურად მოიწყენდა კიდევ. შესანიშნავი ის იყო, რომ ეს ბავშვური მოწყენაც კი, ისევე როგორც მისი საოცარი სიცილი, ვერ არღვევდა მისი ხასიათის მტკიცე მთლიანობას.

იყო კაპრიზე მეორე ლენინი — ჩინებული ამხანაგი; მხიარული ადამიანი, ქვეყნად ყოველივეს მიმართ ცოცხალი და დაუშრეტელი ინტერესით გამსჭვალული, ადამიანებისადმი გასაოცრად გულთბილად განწყობილი კაცი.

ერთხელ, გვიან საღამოს, როცა ყველა სასიეროდ იყო

წასული, ლენინმა მე და მ. ანდრეევას სევდიანად და დიდი სინანულით გვითხრა:

— აჰ, ჭკვიანმა, ნიჭიერმა ადამიანებმა ბევრი რამ გაუკეთეს პარტიას; ათჯერ მეტს გააკეთებდნენ, მაგრამ ჩვენ არ წამოგვეყვებიან არ ძალუძთ. ათობით, ასობით ამგვარ ადამიანს აფუჭებს, ამახინჩებს ეს დანაშაულებრივი წყობილება.

სხვა დროს მან თქვა:

— ლუნაჩარსკი დაუბრუნდება პარტიას; იგი დანარჩენ ორზე უფრო ნაკლებ ინდივიდუალისტია. იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. მე „განუსჯელად მიყვარს“ იგი, — ეშმაკმა დალახვროს, რა უცნაური სიტყვებია: განუსჯელად სიყვარული წარმოიდგინეთ, მე მიყვარს იგი, ჩინებული ამხანაგია! მასში ლევის რაღაც ფრანგული ბრწყინვალება. მისი ფუქსავატობაც ფრანგულია; ეს ფუქსავატობა ესთეტიზმისაგან სჭირს მას.

ლენინმა დაწერილებით გამოიკითხა კაპრელი მეთევზეების ცხოვრების ამბები, მათი ხელფასის, ხუცების გავლენის, სკოლების ამბები. მისმა უსაზღვრო დაინტერესებამ გამოაცა. როცა უთხრეს, რომ ესა და ეს ხუცესი ღარიბი გლეხის შვილიაო, მაშინვე მოითხოვა გაეგოთ, ხშირად შეჰყავთ თუ არა გლეხებს თავიანთი შვილები სემინარიუმებში და უბრუნდებიან თუ არა მღვდელმსახურებად გლეხთა შვილები თავიანთ სოფლებს.

— გესმით? თუ ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშასადამე, ვატიკანის პოლიტიკაა, ეშმაკური პოლიტიკა!

არ შემიძლია წარმოვიდგინო რომელიმე სხვა ადამიანი, ასე მალლა რომ იღვეს სხვებთან შედარებით, გადაურჩეს პატივმოყვარეობის ცდუნებას და შეინარჩუნოს ცხოველი ინტერესი „უბრალო ადამიანებისადმი“.

ლენინს ჰქონდა რაღაცნაირი მაგნეტიზმი, მისკენ რომ იზიდავდა მშრომელი ადამიანების გულს და სიმპათიას აღუძრავდა მათ. მან არ იცოდა იტალიური ენა, მაგრამ კაპრელმა მეთევზეებმა, რომელთაც ენახათ შალიაპინი და ბევრი სხვა დიდი რუსი ადამიანიც, რაღაც ალღოთი მაშინვე განსაკუთრებული აღგილი მიუჩინეს ლენინს. ლენინმა მომაჯადოებელი სიცილი იცოდა — იმ კაცის „გულითადი“ სიცილი, ვინც მშვე-

ნიერად ხედავს ადამიანთა უგუნურების სიტლანქეს და გონების აკრობატულ ეშმაკობას, მაგრამ მაინც შეუძლია „უბრალო გულის ადამიანთა“ ბავშვური გულუბრყვილობით დატკბეს.

მოხუცმა მეთევზემ ჭიოვანი სპადარომ ლენინზე თქვა:

— ასეთი სიცილი მხოლოდ პატიოსან კაცს შეუძლია.

ცასავით ლურჯ, გამჭვირვალე ტალღებზე მოტივტივე ნავში მჭდომი ლენინი სწავლობდა თევზის ჭერას უტარო ანკესით, პირდაპირ ხელში დაჭერილი ძაფით. მეთევზეები ასწავლიდნენ, ხელი მაშინ უნდა ამოჰკრა, როდესაც თითზე ძაფის შერხევას იგრძნობო:

— კოზი: დრინ-დრინ. კაპიშ?

ლენინმა მაშინვე ამოჰკრა ანკესს, თევზი წყლიდან ამოაგდო და ბავშვური აღტაცებითა და მონადირული აზარტით შესძახა:

— აჰა დრინ-დრინ!

მეთევზეები ყურისწამლებად, თანაც ბავშვურად, მხიარულად ახარხარდნენ. მათ ამის შემდეგ შეარქვეს მეთევზეს:

„სინიორ დრინ-დრინი“.

ლენინის გამგზავრების შემდეგ ისინი ხშირად მეკითხებოდნენ:

— როგორ ცხოვრობს სინიორ დრინ-დრინი? მეფე ვერ დაიქერს მას, ხომ?

ალარ მახსოვს, ვლადიმერ ილიას ძეზე აღრე, თუ მის შემდეგ იყო კაპრიზე გ. ვ. პლეხანოვი.

კაპრის კოლონიის რამდენიმე ემიგრანტს — ლიტერატორ ნ. ოლიგერს, სოქის აჯანყების მოწყობისათვის სიკვდილმისჯილ ლორენც-მეტნერს, პავლე ვიგდორჩიკს და, მგონი, კიდევ ორ სხვა პირს მასთან საუბარი სურდათ. მაგრამ პლეხანოვმა უარი განაცხადა. ამის საბაბი თითქოს ჰქონდა კიდევ — ავად იყო და დასასვენებლად ჩამოვიდა: მაგრამ ოლიგერმა და ლორენცმა მითხრეს, პლეხანოვმა უარი ჩვენთვის მეტად შეურაცხყოფელი ფორმით გამოხატაო. ნერვული ოლიგერი დაჟინებით ამტკიცებდა, თითქოს პლეხანოვს მისთვის ეთქვას, „დამ-

დალა ისეთ ადამიანებთან საუბარმა, ვისაც ლაპარაკი უყვარს, მაგრამ საქმისათვის გამოუსადეგარიოა". ჩემთან ყოფნის დროს პლენხანოვმა, მართლაც, შეხვედრაზე უარი უთხრა ადგილობრივ კოლონისტებს. ვლადიმერ ილიას ძემ კი ყველა ნახა. პლენხანოვი არავის არაფერს ეკითხებოდა, მან ყველაფერი იცოდა და თვითონ ჰყვებოდა. მას, დიდი რუსული ნიჭის პატრონს და ევროპულად აღზრდილს, ლამაზი მახვილი სიტყვებით კაპწიობა უყვარდა. ვგონებ, სწორედ მოსწრებული სიტყვის გულისათვის შეუბრალებლად აღნიშნავდა საზღვარგარეთელი და რუსი ამხანაგების ნაკლს. მეჩვენებოდა, რომ მისი ოხუნჯობა ყოველთვის არ იყო მოსწრებული. მეხსიერებაში ჩამჩა მხოლოდ უხვირო ოხუნჯობანი: «Не в меру умеренный Меринг», «Самозванец Энрико Ферри, в нем нет железа ни золотника»¹ — აქ კალამბური აგებულია სიტყვაზე „ფერო — რკინა“. ასეთი იყო მისი სიტყვამოსწრებულობა. საერთოდ იგი შემწყნარებლურად ეკიდებოდა ადამიანებს; რასაკვირველია, არა ღმერთივით, მაგრამ რამდენადმე მის მსგავსად. ეს უნიჭიერესი ლიტერატორი და პარტიის დამაარსებელი აღმიძრავდა ღრმა პატივისცემას, მაგრამ არა სიმპათიას. მას ძალიან ბევრი „არისტოკრატიზმი“ ჰქონდა. შესაძლოა ვცდებოდე. მე არცთუ ისე მიყვარს შეცდომები, მაგრამ სხვებივით მეც ვცდები ხოლმე. ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: იშვიათად თუ შევხვედრივარ ესოდენ განსხვავებულ ადამიანებს, როგორც ვ. პლენხანოვი და ვ. ლენინი იყვნენ. ეს ბუნებრივიც არის: ერთი მათგანი ამთავრებდა ძველი სამყაროს დანგრევისაკენ მიმართულ თავის მუშაობას, მეორე კი ახლა შესდგომოდა ახალი სამყაროს მშენებლობას.

ცხოვრება ისე ოსტატურად არის მოწყობილი, რომ თუ სიძულვილი არ ძალგდის, გულწრფელ სიყვარულსაც ვერ შეძლებ. უკვე მარტო ეს, იმათვითვე ადამიანის დამმახინჯებელი სულიერი გაორების აუცილებლობა, სიძულვილში გამოტარე-

¹ „უზომოდ ზომიერი მერინგი“ „თვითმარქვიია ენრიკო ფერი, მასში არ შობიოვება არც ერთი მისხალი რკინა“.

ბული სიყვარულის აუცილებლობა დასანგრევად განწირავს ცხოვრების თანამედროვე პირობებს.

რუსეთში, სადაც ტანჯვის აუცილებლობა „სულის ცხონების“ უნივერსალურ საშუალებად არის გამოცხადებული, მე არ შევხედდრივარ, არ ვიცნობ სხვა ადამიანს, რომელსაც ასე ღრმად და ასეთი ძალით სძულდეს და ეზიზღებოდეს ადამიანთა უბედურება, მწუხარება, ტანჯვა, როგორც სძულდა და ეზიზღებოდა ლენინს.

ცხოვრების დრამებისა და ტრაგედიებისადმი ასეთი გრძნობა, ეს სიძულვილი ჩემს თვალში განსაკუთრებით ამაღლებს ვლადიმერ ლენინს, იმ ქვეყნის ადამიანს, სადაც ტანჯვის სადიდებლად და საკურთხევლად შექმნილია ყველაზე ნიქიერად დაწერილი სახარებანი და სადაც ახალგაზრდობა ცხოვრების გაცნობას წვრილმანი, ყოველდღიური ერთფეროვანი დრამებით აღსავსე წიგნებით იწყებს. რუსული ლიტერატურა ევროპის ყველაზე უფრო პესიმისტური ლიტერატურაა; ჩვენში ყველა წიგნს ერთი და იგივე თემა აქვს — როგორ გვტანჯავს სიკაბუჯეშიც და მოწიფულობაშიც გონების უკმარობა, თვითმპყრობელური ჩაგვრა, ქალები, მოყვასის სიყვარული, ცუდად მოწყობილი სამყარო; ხოლო მოხუცებულობაში: ცხოვრების მანძილზე ჩადენილი შეცდომების შეგნება, უკბილობა, კუქის მოუწელებლობა და სიკვდილის გარდაუვალობა.

ყოველ რუს ადამიანს, რომელსაც კი „პოლიტიკის გამო“ თუნდაც ერთი თვე დაუყვია ციხეში ან ერთ წელიწადს გადასახლებაში ყოფილა, წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია, რუსეთს საჩუქრად უბოძოს მოგონებების წიგნი თავის ტანჯვაზე. აქამდე არავის მოსვლია აზრად, შეექმნა ბედნიერად გატარებული ცხოვრების ამსახველი წიგნი. და რადგანაც რუსი ადამიანი თავისი ცხოვრების გამოგონებას არის მიჩვეული, ხოლო მისი შენება არცთუ ისე ეხერხება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბედნიერ ცხოვრებაზე დაწერილი წიგნი ასეთი ცხოვრების გამოგონებას მიაჩვევდა მას.

ჩემთვის ლენინი განსაკუთრებით დიდია სწორედ ადამიანთა უბედურებისადმი შეუერიგებელი, შეუწელებელი სიძულვილის გრძნობით, მისი იმ ნათელი რწმენით, რომ უბედურე-

ბა წარმოადგენს არა ყოფის უცვლელ საფუძველს, არამედ იმ სისაძაგლეს, რომელიც ადამიანებმა თავიდან უნდა მოიცილონ. ეს კი მათ შეუძლიათ.

მისი ხასიათის ამ ძირითად თვისებას მე მატერიალისტის მეტროძოლ ოპტიმიზმს ვუწოდებდი. სწორედ იგი იზიდავდა განსაკუთრებით ჩემს სულსა და გულს ამ ადამიანისაკენ — დიდი ადამიანისაკენ.

917-918 წლებში ჩემი ურთიერთობა ლენინთან სრულებით არ იყო ისეთი, როგორიც მსურდა. მაგრამ არც სხვაგვარი შეიძლებოდა.

იგი პოლიტიკოსი იყო. სრულყოფილად ფლობდა შეხედულებების ზუსტად გამომუშავებულ პირუთვნელობას. ეს კი აუცილებლად ესაჭიროება ისეთი ვეება, მძიმე ხომალდის მესაქვის, როგორიცაა პირქუში, გლახური რუსეთი.

მე კი ორგანულად მძულდა პოლიტიკა და ნაკლებად მწამდა მასის გონიერება საერთოდ, გლახური მასისა კი — განსაკუთრებით. იდეით დაურაზმავი გონება ჯერ კიდევ არ არის ის ძალა, რომელიც შემოქმედებითად შედის ცხოვრებაში. აასის გონებაში მანამდე არ არის იდეა, სანამ არ შეუგნია ყველა მისი ერთეულის ინტერესთა ერთიანობა.

ათასი წლობით ესწრაფვის მასა უკეთესს, მაგრამ ეს მისწრაფება მის წილში წარმოშობს მისსავე დამმონებელს, მის სისხლისმწოველ მტაცებლებს. ეს ასე იქნება მანამ, სანამ მასა ვერ შეიგნებს, რომ მსოფლიოში მხოლოდ ერთ ძალას — ლენინის სიმართლის ძალას — შეუძლია მტაცებლების ტყვეობისაგან მისი განთავისუფლება.

917 წელს, რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ, ლენინმა თავისი „თეზისები“ გამოაქვეყნა. მაშინ ვიფიქრე, რომ ამ თეზისებით ლენინს სურს, რიცხოვრივად უმნიშვნელო, მაგრამ ხარისხობრივად გმირული, პოლიტიკურად აღზარდილი მუშების რაზმი და მთელი ნამდვილად რევოლუციური ინტელიგენცია მსხვერპლად შესწიროს რუსეთის გლახობას; რუსეთში არსებული ეს ერთადერთი აქტიური ძალა ერთი პეშვი მარტივით იქნება გადასროლილი სოფლის მტკნარ ქაობში და უკვალოდ

გაღწევა, გაქრება მასში. შეცვლით კი ვერაფერს შეცვლის რუსი ხალხის სულში, ყოფაში, ისტორიაში.

მეცნიერული, ტექნიკური — საერთოდ, კვალიფიციური ინტელიგენცია, ჩემი აზრით, რევოლუციური იყო თავისი არსით. მუშათა, სოციალისტურ ინტელიგენციასთან ერთად, ჩემთვის იგი რუსეთის მიერ მოგროვილ ყველაზე უფრო ძვირფას ძალას წარმოადგენდა. სხვა ძალას, რომელსაც კი შეეძლებოდა ძალაუფლების ხელში აღება და სოფლის დარაზმვა, 917 წლის რუსეთში ვერ ვხედავდი. მაგრამ რიცხობრივად უმნიშვნელო და წინააღმდეგობებით დაქსაქსული ეს ძალები მხოლოდ უმტკიცესი შინაგანი ერთიანობის პირობებში შეძლებდნენ თავიანთი როლის შესრულებას. მათ უდიდესი სამუშაო ელოდათ. ეს იყო: სოფლის ანარქიზმის დაძლევა, „მუჟიკის“ ნების კულტივირება, გონივრული მუშაობის მიჩვევა, მისი მეურნეობის გარდაქმნა და ყოველივე ამის შემდეგ ქვეყნის სწრაფი წინსვლა. ამის მიღწევა კი მაშინ შეიძლებოდა, თუ სოფლის ინსტიტუტები დაემორჩილებოდა ქალაქის ორგანიზებულ გონებას. რევოლუციის უპირველეს ამოცანად ისეთი პირობების შექმნა მიმაჩნდა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ჩვენი ქვეყნის კულტურული ძალების ზრდას. ამ მიზნით მუშებისათვის კაპრიზე სკოლის მოწყობის წინადადება წამოგაყენე და რეაქციის პერიოდში — 1907-1913 წლებში — შეძლებისდაგვარად ყოველმხრივ ვცდილობდი მუშების სულიერ გამხსნეებას.

ამავე მიზნით, თებერვლის გადატრიალებისთანავე, 917 წლის გაზაფხულზე დაარსდა „დადებით მეცნიერებათა განვითარება-გავრცელების თავისუფალი ასოციაცია“. ამ დაწესებულების ამოცანა იყო, ერთი მხრივ, რუსეთში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნა, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის ფართო და განუწყვეტელი პოპულარიზაცია მუშათა შორის. ასოციაციას სათავეში ჩაუდგინე დიდი მეცნიერები, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრები ვ. სტეკლოვი, ლ. ჩუგაევი, აკადემიკოსი ფერსმანი, ს. კოსტიჩევი, ა. პეტროვსკი და სხვები. აქტიურად გროვდებოდა სახსრები; ს. კოსტიჩევი უკვე შეუდგა ადგილის ძებნას

ზობოტანიკის საკითხებზე მომუშავე კვლევითი ინსტიტუტის მოსაწყობად.

უფრო ნათლად რომ ვთქვა, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მაწუხებდა სოფლის უაღრესად უწიგნურობა ქალაქთან შედარებით, გლეხობის ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი და სოციალური ემოციების თითქმის სრული უქონლობა. მეცნიერულ და ტექნიკურ ინტელიგენციასთან მტკიცედ დაკავშირებული, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მუშების დიქტატურა წარმოადგენდა, ჩემი აზრით, ამ რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთ შესაძლო საშუალებას. ეს მდგომარეობა კი განსაკუთრებით გაართულა ომმა, რომელმაც სოფელში უფრო მეტი ანარქია შეიტანა.

მე არ ვეთანხმებოდი კომუნისტებს რუსეთის რევოლუციაში ინტელიგენციის როლის შეფასების მხრივ. ეს სწორედ ის ინტელიგენცია იყო, რომელმაც მოამზადა რევოლუცია და რომელსაც ეკუთვნის ყველა „ბოლშევიკი“, ვინც სოციალური გმირობისა და დიდი ინტელექტუალობის სულისკვეთებით აღზარდა. ასობით მუშა. რუსეთის ინტელიგენცია — მეცნიერულიც და მუშურიც — იყო, არის და კიდევ დიდხანს იქნება რუსეთის ისტორიის მძიმე უღელში შებმული მუშა ცხენი. ხალხის მასების გონება, მის მიერ უკვე განცდილი ბიძგებისა და გზნების მიუხედავად, ჯერ კიდევ იმ ძალად რჩება, რომელსაც გარედან ხელმძღვანელობა ესაჭიროება.

ასე ვფიქრობდი 13 წლის წინათ და. ასე ვცდებოდი. ეს ფურცელი ამოსაშლელია ჩემი მოგონებიდან. მაგრამ ნათქვამია, „რასაც კალმით დაწერ, ნაჯახითაც ვერ ამოთლიო“. გარდა ამისა: „შეცდომებზე ვსწავლობთ“, როგორც ხშირად იმეორებდა ხოლმე ვლადიმერ ილიას ძე. დანე, მკითხველებმა იცოდნენ ჩემი ეს შეცდომა. კარგი იქნება, თუ იგი გაკვეთილად გამოადგება იმათ, ვინც თავისი დაკვირვებებიდან დასკვნების გამოტანას ჩქარობს.

გასაგებია, რომ სპეციალისტთა ერთი ნაწილის საზიზღარი მავნებლობის მთელი რიგი ფაქტების შემდეგ ვალდებული ვიყავი, გადამეფასებინა — და გადავაფასე კიდევ — ჩემი დამოკიდებულება მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა მიმართ. ასეთი გადაფასება არცთუ ისე ადვილი საქმეა, მით უმეტეს, მოხუცებულობის ეამს.

იყო ხალხის პატიოსანი ბელადი, მეტისმეტად ძნელია. მაგრამ აქი იმ რევოლუციის წინააღმდეგობაც, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, უფრო ფართოდ და ძლიერ იყო ორგანიზებული. ამასთანავე, მხედველობაში მისაღებია ის, რომ „ცივილიზაციის“ განვითარებასთან ერთად ადამიანის სიცოცხლის ღირებულება აშკარად ეცემა; ამას უდავოდ მოწმობს ადამიანის განადგურების ტექნიკის განვითარება თანამედროვე ევროპაში, ამ საქმისადმი გემოვნების ზრდა.

მაგრამ სინდისს დაეკითხეთ და თქვით: რამდენად უმართებულო და რა მეტისმეტად საზიზღარია იმ „მორალისტთა“ თვალთმაქცობა, რომლებიც რუსეთის რევოლუციის სისხლიან ხასიათზე ლაპარაკობდნენ, თვითონ კი მთელს ევროპაში გამართული სამარცხვინო ხოცვა-ჟლეტის ოთხი წლის მანძილზე არათუ ეცოდებოდათ მილიონობით გაჟლეტილი ადამიანი, არამედ ყოველმხრივ აჩაღებდნენ ამ საძაგელ ომს „სრულ გამარჯვებამდე“! ამჟამად „კულტურული ერები“ განადგურებულნი, დაქაბუნებულნი აღმოჩნდნენ, ისინი ველურდებიან, ხოლო საყოველთაო მეშინაურმა სისულელემ კი გაიმარჯვა: მისი ვიწრო მარყუქები აქამდე ახრჩობს ადამიანებს.

ლენინის სისასტიკეზე ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. რა თქმა უნდა; თავს ნებას ვერ მივცემ, სასაცილო უტაქტობა გამოვიჩინო — სიცრუისა და ცილისწამებისაგან მისი დაცვა ვიკისრო. ვიცი, ცილისწამება და სიცრუე მეშინათა პოლიტიკის დაკანონებული მეთოდია, მტრის წინააღმდეგ მათი ბრძოლის ჩვეულებრივი ხერხია. ამა ქვეყნის დიდ ადამიანთა შორის, ალბათ, ერთიც კი არ იქნება ისეთი, რომლის ტალახში ამოსვრასაც არ ცდილიყვნენ. ეს ყველამ იცის.

გარდა ამისა, ყველა ისწრაფვის იმისაკენ, რომ არა მარტო დაამდაბლოს გამოჩენილი ადამიანი თავისი გაგების დონემდე, არამედ იმისაც შეეცდება, ფეხქვეშ მოიგდოს იგი, თავისივე მიერ აზღვილ იმ წებოვან და შხამიან ტალახში ჩააგდოს, რომელსაც „ყოველდღიურ ცხოვრებას“ უწოდებს.

ჩემში ზიზღს იწვევს ასეთი ფაქტის მოგონება: 919 წელს პეტერბურგში „სოფლის ღარიბთა“ ყრილობა გაიმართა. რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებიდან რამდენიმე ათასი გლეხი ჩამოვიდა და ბევრი მათგანი რომანოვების ზამთრის სასახლე-

ში მოათავსეს. როდესაც ყრილობა დამთავრდა და გლეხები უკან დაბრუნდნენ, აღმოჩნდა, მათ ღამის კუერკლებად გამოეყენებინათ და წაებილწათ სასახლის არა მარტო აბაზანები, არამედ უამრავი უძვირფასესი სევრული, საქსონური და აღმოსავლური ლარნაკი. ეს მათ საჭიროების გამო კი არ გააქეთეს, — სასახლის საპირფარეშოები წესრიგზე იყო და წყალსადენიც მოქმედებდა. არა. ეს ხულიგნობა ღამაში ნივთების გაფუჭების, წაბილწვის სურვილს გამოხატავდა. ორი რევოლუციისა და ომის მანძილზე მრავალგზის შემინიშნავს ადამიანთა შევბენელი, შურისმგებლური მისწრაფება მშვენიერების მსხვერვის, დამახინჯების, დაცინვისა და გათახსირებისა.

ნუ იფიქრებთ, თითქოს „სოფლის ღარიბთა“ მოქმედება განსაკუთრებით იმიტომ აღენიშნე, სექპტიკურად ვიყო განწყობილი „მუჟიკის“ მიმართ. არა. მე ვიცი, რომ მშვენიერების წაბილწვის ავადმყოფური მისწრაფებით შეპყრობილია ინტელიგენციის ზოგიერთი ჯგუფიც, მაგალითად, ის ემიგრანტები, რომლებიც, ალბათ, ფიქრობენ: რადგან ჩვენ რუსეთში აღარა ვართ, იქ უკვე კარგი აღარაფერი მოიპოვებო.

განსაკუთრებულად მშვენიერი ნივთების გაფუჭების ბოროტ მისწრაფებასა და არაჩვეულებრივი ადამიანის ყოველი ღონით გათახსირების საზიზღარ მისწრაფებას ერთი და იგივე ფესვი აქვს. ყოველივე არაჩვეულებრივი ხელს უშლის ადამიანებს, თავიანთი სურვილის მიხედვით იცხოვრონ. ადამიანებს სწყურიათ — თუკი მათ სწყურიათ — თავიანთი სოციალური ჩვევების მხოლოდ გაფართოება და არა ძირფესვიანად შეცვლა. მათი უმრავლესობის კვნესა-გოდებაა:

„ხელს ნუ გვიშლით, ისე ვიცხოვროთ, როგორც მიჩვეული ვართ!“

ვლადიმერ ლენინი ის კაცი იყო, ვინც ისე შეუშალა ხელი ადამიანებს, გაეგრძელებინათ ჩვეული ცხოვრება, როგორც მანამდე ვერავინ შეძლო.

მსოფლიო ბურჟუაზიის სიძულვილი მისდამი აშკარა და საზიზღარად მკაფიოა. ამ სიძულვილის შავი ჭირის მსგავსი ლაქები ყველგან თვალნათლივ ბზინავს. თავისთავად საზიზღარი ეს სიძულვილი იმას გვეუბნება, თუ რამდენად დიადი და საშიშია ყველა ქვეყნის პროლეტართა ბელადი და შთამაგო-

ნებელი — ვლადიმერ ლენინი მსოფლიო ბურჟუაზიის თვალში. აი, იგი უკვე აღარ არსებობს ფიზიკურად, მაგრამ მისი ხმა სულ უფრო ძლიერად და ძლევამოსილად გაისმის დედამიწის ყველა მშრომელის გასაგონად. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი კუთხე, სადაც ეს ხმა რევოლუციისათვის, ახალი ცხოვრებისათვის, თანასწორუფლებიან ადამიანთა სამყაროს შექმნისათვის არ აღანთებდეს მუშა ხალხის ნებისყოფას. სულ უფრო მეტი რწმენით, სიმტკიცითა და წარმატებით განაგრძობენ დიად საქმეს ლენინის მოწაფეები, მისი მემკვიდრეები.

მე აღმაფრთოვანებდა ლენინის მკაფიოდ გამოვლენილი ნებისყოფა ცხოვრებისადმი და აქტიური სიძულვილი ყოფის სისაძაგლისადმი. ვტკბებოდი იმ ჰაბუკუური გატაცებით, რითაც იგი აღავსებდა ხოლმე ყოველივეს, რასაც აკეთებდა. მათვლებდა მისი არაადამიანური შრომისუნარიანობა. მისი მოძრაობა იყო მსუბუქი და მარდი, ხოლო მისი ძუნწი, მაგრამ ძლიერი უესტი სავსებით ეთანხმებოდა სიტყვებით ასევე ძუნწ, მაგრამ აზრით მდიდარ ლაპარაკს. და მონგოლური ტიპის სახეზე ენთო, ელავდა ცხოვრების სიცრუისა და უბედურების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის მახვილი თვალები; ენთო, ილულებოდა, ხან ირონიულად იღიმებოდა და ხანაც მხრისხანედ გამოანათებდა. ამ თვალთა ბრწყინვალეზა სიმწვავესა და სიცხადეს მატებდა მის სიტყვებს.

ხანდახან მოგეჩვენებოდა, მისი სულის მოუთოკველი ენერჯია ნაპერწკლებად ცვივა თვალთაგან და მით გამსჭვალული სიტყვები ჰაერში ბრწყინავენო. მისი სიტყვა ყოველთვის იწვევდა უცილობელი სიმართლის ფიზიკურ შეგრძნებას.

უჩვეულო და საოცარი იყო გორკაში, პარკში მოსეირნე ლენინის დანახვა. ჩვენს წარმოდგენაში ხომ იგი უკვე იქცა ისეთ ადამიანად, გრძელი მაგიდის თავში რომ ზის და, მესაჭის მოლიმარი და გამჭირიახი თვალების კართომით, მარჯვედ და მოხდენილად წარმართავს ამხანაგების კამათს; ან კიდევ — ესტრადაზე მდგომს თავი უკან გადაუწევიან და მკაფიო, ნათელ სიტყვებს აფრქვევს სიმართლეს მოწყურებულ, სულგანაბულ ხალხს.

ეს სიტყვები ყოველთვის მაგონებდა რკინის ბურბუშელაში
ბზინვარებას.

ამ სიტყვებიდან საოცარი სისადავით წამომართებოდა
ხოლმე სიმართლის მხატვრულად გამოჩარხული ფიგურა.

ლენინის ბუნებისათვის დამახასიათებელი იყო გატაცება
მაგრამ ეს როდი წარმოადგენდა მოთამაშის ანგარებით აღ-
სავსე გატაცებას. მასში ვლინდებოდა ლენინის განსაკუთრე-
ბული სულიერი სიმტკიცე. ასეთი სიმტკიცე ხასიათებს მხო-
ლოდ თავისი მოწოდების ურყევი რწმენით აღჭურვილ ადა-
მიანს, ვინც ყოველმხრივ და ღრმად გრძნობს თავის კავშირს
სამყაროსთან და ვისაც ბოლომდე შეუგნია თავისი როლი
სამყაროს ქაოსში — ამ ქაოსის მტრის როლი. მას ერთნაირი
გატაცებით შეეძლო ჭადრაკის თამაში, „კოსტუმის ისტორი-
ის“ თვალყურება, ამბნანაგებთან საათობით დავა, თევზაობა,
სამხრეთის მზით გახურებულ კაპრის ქვიან ბილიკებზე სი-
არული, კურდღლისცოცხას ოქროსფერი ყვავილებისა და მე-
თევზეთა მოთხუბნილი ბავშვების ცქერით ტკბობა. საღამოს
კი, როცა რუსეთის, სოფლის ამბებს ისმენდა, სინანულით
ამოიოხრებდა ხოლმე:

— კარგად ვერ ვიცნობ რუსეთს. სიმბირსკი, ყაზანი, პე-
ტერბურგი, გადასახლება — აი, თითქმის ყველაფერი, რასაც
ვიცნობ!

ლენინს ძალიან უყვარდა სასაცილო ამბები და მთელს
სხეულით იცინოდა. ისე ძლიერ იცინოდა, ხანდახან ცრემლე-
ბიც კი წასკდებოდა ხოლმე. მას შეეძლო მოკლე თავისებური
წამოძახილის — „ჰმ, ჰმ“ — გამსჭვალვა დაუსრულებელი ნი-
უანსებით. ამ წამოძახილში იგრძნობოდა მსუსხავი ირონია, ც,
ფრთხილი დაქვევებაც... ხშირად კი ამ „ჰმ, ჰმ“-ში გამოსჴვიო-
და ძალიან გამჴრიახი და ცხოვრების ჯოჯობეთურ უმსგავსო-
ებათა ჩინებულად მცოდნე ადამიანისათვის გასაგები მახვი-
ლი იუმორი.

ეს ჩასკენილი, მკვრივი კაცი, რომელსაც სოკრატეს თავი
და ყოვლისმზილველი თვალები ჰქონდა, ხშირად იჭერდა სა-
ოცარსა და ოდნავ კომიკურ ბოზას — თავს უკან გადასწევდა,
ცალ მხარეს გადახრიდა და თითებს ილლიის ქვეშ, ჟილეტში

ჩასჩრიდა. ამ პოზაში იყო რაღაც მეტისმეტად მიმზიდველი და სასაცილოც, რაღაც ძლევამოსილი და ზვიადი, ამ წუთში სულ ერთიანად ბრწყინავდა იგი, ამ შეჩვენებული ქვეყნის დიდი შვილი, მშვენიერი ადამიანი, რომელსაც სიყვარულის საქმის განხორციელებისათვის მტრობისა და სიძულვილის მსხვერპლად უნდა შეეწირა თავი.

918 წლამდე, ლენინის მოკვლის უსაზიზღრეს და უსაძაგლეს ცდამდე, მას რუსეთში არ შეეხვედრივარ, შორიდანაც არ დამინახავს აქ იგი. მასთან მაშინ მივედი, როდესაც ჯერ კიდევ კარგად ვერ ხმარობდა ხელს და გაჭირვებით ამოძრავებდა ნატყვიარ კისერს. ჩემს აღშფოთებაზე უხალისოდ მიპასუხა, ისე როგორც უკვე მობეზრებულ საგანზე ლაპარაკობენ:

— ჩხუბია. რას იზამ? ყველა ისე მოქმედებს, როგორც შეუძლია.

ძალიან მეგობრულად შეეხვდით ერთმანეთს. მაგრამ, ცხადია, საყვარელი ილიჩის გამჭრიახი და ყველაფრის მხილველი თვალები აშკარა სინანულით მიცქეროდნენ მე, „გზააბნეულს“.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლენინი გატაცებით ამბობდა:

— ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია. ისტორიისაგან დამოუკიდებელი ადამიანები — ფანტაზიაა. თუნდაც დავუშვათ, რომ ასეთი ადამიანები მართლაც იყვნენ ოდესმე, ახლა ისინი აღარ არიან, არ შეიძლება იყვნენ. ისინი არავის ესაჭიროება. ყველა, უკლებლივ, ჩაბმულია სინამდვილის ორომტრიალში, ხოლო ეს სინამდვილე ახლა ისეა აწეწილდაწეწილი, როგორც არასოდეს. თქვენ ამბობთ, რომ მე ძალზე გამარტივებ ცხოვრებას? რომ ეს გამარტივება დალუპვას უქადის კულტურას, არა?

ირონიული, დამახასიათებელი:

— კმ-კმ...

მახვილი მზერა კიდევ უფრო უმახვილდება და ლენინი ხმადაბლა განაგრძობს:

— მაშ, თქვენი აზრით, შაშხანებით შეიარაღებული მილიონობით „მუეიკი“ საფრთხეს არ წარმოადგენს კულტურისათვის, ხომ? თქვენ ფიქრობთ, დამფუძნებელი კრება თავს გა-

«ართმევდა მათ ანარქიზმს? თქვენ, ვინც ასე ბევრს ხმაურობთ სოფლის ანარქიზმის თაობაზე, სხვებზე უკეთ უნდა გესმო-
დეთ ჩვენი მუშაობის არსი. რუსეთის მასას უნდა აჩვენო რა-
ღაც ძლიერ უბრალო, მისი გონებისათვის ესოდენ გასაგები
რამ. საბჭოები და კომუნისმი — სწორედ ასეთია.

— მუშების კავშირი ინტელიგენციასთან, ხომ? ეს ჩინე-
ბულია, ჩინებული. უთხარით ინტელიგენციას, მოვიდეს ჩვენ-
თან. თქვენი აზრით, იგი ხომ გულწრფელად ემსახურება სა-
მართლიანობის ინტერესებს? მაშ, რა უშლის ბელს? მობრ-
ძანდით ჩვენთან: სწორედ ჩვენ ვიკისრეთ ის უზარმაზარი
საქმე, რომ ფეხზე დავაყენოთ ხალხი, ცხოვრების მთელი სი-
მართლე ვუთხრათ ქვეყანას; ხალხებს ჩვენ ვუჩვენებთ ადამი-
ანური ცხოვრების პირდაპირ გზას, მონობის, სილატაკისა და
დამცირებისაგან თავის დაღწევის გზას.

მან გაიცინა და უბოროტოდ თქვა:

— ამიტომაც მესროლა ინტელიგენციამ ტყვია.

ხოლო როდესაც საუბარი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა,
ლენინმა წყენითა და ნალვლიანად ჩაილაპარაკა:

— განა იმის წინააღმდეგ ვდავობ, რომ ინტელიგენცია
ჩვენთვის აუცილებელია? მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ მტრუ-
ლად არის იგი განწყობილი, როგორ ცუდად ესმის მომენტის
მოთხოვნები? თანაც ვერ ხედავს, რომ უჩვენოდ უძღურია,
მასებთან ვერ მივა. მისი ბრალი იქნება, თუ ჩვენ ძალზე ბევ-
რი ქოთნის დამსხვრევა მოგვიწევს.

ამ თემაზე საუბარი ლენინთან ყოველი შეხვედრისას იმარ-
თებოდა. და თუმცა მისი დამოკიდებულება ინტელიგენციისა-
დმი სიტყვიერად უნდობელი, მტრული იყო, სინამდვილეში
მუდამ სწორად აფასებდა ინტელექტუალური ენერგიის მნიშ-
ვნელობას რევოლუციის პროცესში და თითქოს ეთანხმებო-
და იმ აზრს, რომ რევოლუცია, არსებითად, არის აფეთქება,
სწორედ ამ ენერგიისა, რომელმაც დრომოჭმულსა და შემზღუ-
დველ პირობებში კანონზომიერი განვითარების საშუალება
ვეღარ იპოვა.

მასსოვს, ლენინს ვეწვიეთ მე და აკადემიის სამი წევრი.
ლაპარაკი გვქონდა პეტერბურგის ერთ-ერთი უმაღლესი სა-
მეცნიერო დაწესებულების რეორგანიზაციის აუცილებლობაზე.

მეცნიერები რომ გააცილა, ლენინმა კმაყოფილებით თქვა:

— ზი ეს მესმის. ჰკვიანი ადამიანები არიან. ყველაფერი გასაგებად და ზუსტად აქვთ ჩამოყალიბებული. მაშინვე მივხედები, რომ კარგად იციან, რაც სურთ. ასეთ ადამიანებთან მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა. განსაკუთრებით მომეწონა...

და მან დაასახელა ერთ-ერთი გამოჩენილი რუსი მეცნიერი: ერთი დღის შემდეგ კი უკვე ტელეფონით შეკითხებოდა:

— ჰკითხეთ ს-ს, იმუშავენს თუ არა ჩვენთან?

და როდესაც ს-მ თამხმობა განაცხადა, ლენინმა გულწრფელად გაიხარა. იგი ხელების ფშვნეტით ხუმრობდა:

— აი ასე, თანდათან სათითაოდ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანთ ყველა რუს და ევროპელ ორქიმედს. და მაშინ მსოფლიო, უნდა თუ არ უნდა, მაინც გადატრიალდება!

პარტიის მე-8 ყრილობაზე ნ. ბუხარინმა, სხვათა შორის, თქვა:

— ერი — ეს ნიშნავს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს ერთად. რას ემსგავსება, რომ რომელიღაც საზიზლარი ბურჟუაზიის თვითგამორკვევის უფლება ვცნოთ?

— უკაცრავად, — შეეკამათა მას ლენინი. — ეს ემსგავსება იმას, რაც არის. თქვენ იმორწმებთ ბურჟუაზიისაგან პროლეტარიატის დიფერენციაციის პროცესს, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, როგორ წარიმართება იგი.

შემდეგ მან გერმანიის მაგალითით ცხადპყო, თუ როგორ ნელა და ძნელად ვითარდება ამ დიფერენციაციის პროცესი; გაიხსენა, რომ „კომუნისმი ძალადობის გზით არ ინერგება“, და ამგვარად ჩამოაყალიბა თავისი აზრი მრეწველობაში, ორმიასა და კოოპერაციაში ინტელიგენციის მნიშვნელობაზე. მომყავს ციტატა „იზვესტიაში“ დაბეჭდილი კამათის ანგარიშიდან:

„ეს საკითხი სრული გარკვეულობით უნდა გადაიჭრას ახლანდელ ყრილობაზე. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ კომუნისმის აგებას, როდესაც ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკის საშუალებანი უფრო მისაწვდომს გახდებიან მას მასებისათვის.“

ამისათვის კი საჭიროა ბურჟუაზიის აპარატის გამოყენება, ყველა სპეციალისტის ჩაბმა მუშაობაში. ბურჟუაზიული სპეციალისტების გარეშე არ შეიძლება საწარმოო ძალის ამალღება. მათ უნდა შევეუქმნათ ამხანაგური თანამშრომლობის ოტმოსფერო, მოვაქციოთ მუშა კომისართა, კომუნისტთა გარემოცვაში; ისეთი პირობები შევეუქმნათ, რომ წასვლა არ შეეძლოთ, მაგრამ იმის შესაძლებლობა კი მივცეთ, უკეთ იმუშაონ, ვიდრე კაპიტალისტებთან მუშაობდნენ, რადგანაც ბურჟუაზიის მიერ აღზრდილი ეს ფენა სხვა პირობებში არ იმუშავებს. იძულებით მთელ ფენას ვერ ამუშავებ. ბურჟუაზიული სპეციალისტები მიჩვეულნი არიან კულტურულ მუშაობას. ისინი წინ სწევდნენ ამ მუშაობას ბურჟუაზიული წყობილებების პირობებში, ესე იგი, უდიდესი მატერიალური წამოწყებებით ამდიდრებდნენ ბურჟუაზიას და მხოლოდ მცირედ ნაწილს უთმობდნენ პროლეტარიატს. მაგრამ ისინი მაინც ავითარებდნენ კულტურას — ეს არის მათი პროფესია. რამდენადაც ბურჟუაზიული სპეციალისტები ხედავენ, რომ მუშათა კლასი არა მარტო აფასებს კულტურას, არამედ ეხმარება კიდევ მასებში მის დანერგვას, ისინი იცვლიან ჩვენდამი დამოკიდებულებას. ამ პირობებში ბურჟუაზიული სპეციალისტები არა მარტო პოლიტიკურად ჩამოსცილდებიან ბურჟუაზიას, მორალურადაც დაგვექვემდებარებიან ჩვენ. ისინი უნდა ჩავაბათ ჩვენს აპარატში, ხოლო ამისათვის ხანდახან მსხვერპლიც უნდა გავიღოთ. სპეციალისტებს კრიჭაში არ უნდა ჩავუდგეთ. მათ არსებობის რაც შეიძლება უკეთესი პირობები უნდა შევეუქმნათ. ეს საუკეთესო პოლიტიკა იქნება. თუ გუშინ წვრილბურჟუაზიული პარტიების ლეგალიზაციაზე ვლაპარაკობდით, ხოლო დღეს ვაპატიმრებდით მენშევიკებსა და ესერებს, ამ მერყეობას მაინც გასდევს ერთი მეტად მტკიცე ხაზი: კონტრრევოლუცია მოვკვეთოთ, კულტურულ-ბურჟუაზიული აპარატი გამოვიყენოთ“.

დიდი პოლიტიკოსის ამ შესანიშნავ სიტყვებში გაცილებით მეტი ცოცხალი, რეალური აზრია, ვიდრე მემჩანური, უღონო და არსებითად ფარისევლური „კუმანიზმის“ ყოველგვარ გოდებაში. სამწუხაროდ, ბევრმა, ვისაც უნდა გაეგო და დაეფასებინა ეს მოწოდება მუშათა კლასთან ერთად პატიოს-

ნად შრომისა, ვერ გაიგო, ვერ დააფასა იგი; მათ ამჯობინეს ზურგს უკან მავნებლობა და გამცემლობა.

ბატონყმობის გაუქმების შედეგადაც ხომ ბევრი „შინაყმა“ — თავისი ბუნებით მონა — კვლავ თავისი ბატონის მსახურად დარჩა იმავე საჯინიბოში, სადაც ბატონებს არაერთხელ აუწვიათ მათთვის ზურგი.

ხშირად მილაპარაკია ლენინთან რევოლუციური ტაქტიკისა და ყოფის სისასტიკეზე.

— მაშ როგორ გინდათ? — გაოცებითა და განრისხებით მეკითხებოდა იგი. — განა შეიძლება ჰუმანურობა ასეთ წარმოუდგენლად სასტიკ ჩხუბში? განა შეიძლება გულჩვილობა და სულგრძელობა? ჩვენ ბლოკადაში გვაქცევს ევროპა, მოკლებულნი ვართ ევროპის პროლეტარიატის მოსალოდნელ დახმარებას, ყოველი მხრიდან დათვივით მოძვრება კონტრრევოლუცია; ჩვენ კი როგორ მოვიქცეთ? უფლება არა გვაქვს, ვებრძოლოთ, წინააღმდეგობა გაუწვიოთ? უკაცრავად, ბრიყვები როდი გახლავართ. ჩვენ ვიცით: რაც გვსურს, იმას ჩვენ გარდა არავინ გააკეთებს. ნუთუ გგონიათ, სხვა აზრისა რომ გახლდეთ, აქ ვიქნებოდით?

— რა საზომით ზომავეთ თქვენ აუცილებელი და ზედმეტი დარტყმების რიცხვს ჩხუბის დროს? — მკითხა ერთხელ გაცხარებული საუბრის შემდეგ. ამ უბრალო კითხვაზე მხოლოდ ლირიკული პასუხის გაცემა შემეძლო. ვფიქრობ, სხვანაირი პასუხი არც მოიძებნება.

ძალიან ხშირად ვაწუხებდი სხვადასხვა თხოვნით და ზოგჯერ ვგრძნობდი, რომ ჩემი შეუამდგომლობა ამა თუ იმ ადამიანის გამო ჩემდამი სიბრაალულს აღუძრავდა. იგი მეკითხებოდა:

— ვერა გრძნობთ, რომ უმნიშვნელო, წერილმანი საქმეებით ხართ გართული?

მაგრამ ვაკეთებდი იმას, რაც აუცილებლად მიმაჩნდა. იმ ადამიანის აღმაცერი, გაჯავრებული გამოხედვა, რომელმაც კარგად იცოდა პროლეტარიატის მტრების ანგარიში, ფარ-

ხმალს ვერ მაყრევიანებდა. იგი მკმუნვარედ აქნევდა თავს და მეუბნებოდა:

— სახელს იტეხთ ამხანაგების, მუშების თვალში.

მე კი მივეუთითებდი, რომ „გულფიცობასა და გაღიზიანებას აყოლილი“ ამხანაგები, მუშები ხშირად მეტად აღვილად და „უბრალოდ“ ეკიდებიან ძვირფასი ადამიანების თავისუფლებასა და სიცოცხლეს; რომ, ჩემი აზრით, ეს ზედმეტი, ზოგჯერ უაზრო სისასტიკე არა მარტო სახელს უტეხს რევოლუციის პატიოსან, ძნელ საქმეს, არამედ ობიექტურად მავნეა კიდევ მისთვის, რადგან საკმაოდ ბევრ, დიდ ძალას ჩამოაშორებს.

— კმ-კმ, — სკეპტიკურად ბუზღუნებდა ლენინი და ინტელიგენციის მიერ მუშათა საქმის ღალატის მრავალ ფაქტზე მიმითითებდა.

— ჩვენ შორის რომ დარჩეს, — ამბობდა იგი, — ბევრი ხომ გამცემლობს, ღალატს სჩადის არა მხოლოდ სილაჩრის, არამედ თავმოყვარეობის, სირცხვილის გამოც, იმის შიშის გამო, რომ პრაქტიკასთან შეჭახების დროს ზიანი არ მოუვიდეს მათ სათაყვანებელ თეორიას. ჩვენ კი ამისი არ გვეშინია. თეორია, ჰიპოთეზა ჩვენთვის რალაც „წმიდათაწმიდა“ რამ კი არ არის, ჩვენთვის იგი სამუშაო იარაღია.

და მაინც, არ მახსოვს, ილიჩს ოდესმე უარი ეთქვას ჩემი თხოვნის შესრულებაზე. თუ რაიმე არ შესრულებულა, ეს უკვე მისი მიზეზი კი აღარ იყო, არამედ, ალბათ, „მექანიზმის ნაკლისა“, რაც ყოველთვის ესოდენ ბევრი ჰქონდა რუსეთის მოუხეშავ სახელმწიფოებრივ მანქანას; დასაშვებია, აგრეთვე, საჭირო ადამიანების ხვედრის შემსუბუქების, მათი სიცოცხლის გადარჩენის წინააღმდეგ მიმართული ვისიმე ბოროტი ზრახვაც. შესაძლოა „მავნებლობაც“. მტერი ისევე აღსავსეა ცინიზმით, როგორც ეშმაკობით. შურისგება და ბოროტება ხშირად ინერციით მოქმედებენ. და, რასაკვირველია, მოიპოვებიან პატარა და ფსიქიკურად არაჯანსაღი ადამიანებიც, რომელნიც მოყვასთა ტანჯვით ტკბობის ავადმყოფური წყურვილით არიან შეპყრობილნი.

ერთხელ ლენინმა ღიმილით მიჩვენა დეპეშა:

„ისევ დამაპატიმრეს უთხარით რომ გამიშვან“.

ხელს აწერდა: ივან ვოლნი.

— წავიკითხე მისი წიგნი და ძალიან მომეწონა. აი, მისმა ხუთმა სიტყვამ მაგრძნობინა ადამიანი, რომელსაც ესმის შეცდომათა აუცილებლობა და არა ბრაზობს, ცოფებს არ ჰყრის პირადი განაწყენების გამო. ვგონებ, მესამედ დაუპატიმრებიან. მოდით, ურჩიეთ, წამოვიდეს სოფლიდან, თორემ შეიძლება მოკლან კიდევ. როგორც ჩანს, არ უყვართ იქ. დეპეშა გაუგზავნეთ.

ხშირად ძალზე მაკვირვებდა ლენინის მზადყოფნა, ისეთ ადამიანებსაც დახმარებოდა, რომლებიც თავის მტრებად მი-აჩნდა, და არა მარტო ეს მზადყოფნა, არამედ ამ ადამიანების მომავალზე ზრუნვაც. მაგალითად, ერთ გენერალს, მეცნიერს, ქიმიკოსს, სიკვდილი ემუქრებოდა.

— ჰმ-ჰმ, — წარმოთქვა ლენინმა, ყურადღებით რომ მოისმინა ჩემი ნაამბობი. — მაშ, თქვენი აზრით, მან არ იცოდა, რომ შეილებმა მის ლაბორატორიაში დამალეს იარაღი? აქ რაღაც რომანტიკაა. მაგრამ საჭიროა ეს ძერჟინსკიმ გაარკვიოს, მას სიმართლის მეტად მახვილი ყნოსვა აქვს.

რამდენიმე დღის შემდეგ ლენინი ტელეფონით დამელაპარაკა პეტროგრადში:

— თქვენს გენერალს გამოფუშვებთ. ვგონებ, გამოუშვეს კიდევ. რა სურს, აკეთოს?

— ჰომოემულსია...

— დიახ, დიახ — რაღაც კარბოლმეჟავა! ჰოდა, ჩაუჭდეს კარბოლმეჟავას. მითხარით, რა სჭირდება...

და, ადამიანის გადარჩენით გამოწვეული მორცხვი სიხარული რომ დაეფარა, ლენინი ირონიას იშველიებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მკითხა:

— რასა იქმს გენერალი? მოეწყო?

919 წელს პეტერბურგის სამზარეულოებში დადიოდა მეტად ლამაზი ქალი და ამაყად მოითხოვდა:

— მე თავადის ქალი ჩ. ვარ. მომეცით ძვლები ჩემი ძაღლებისათვის!

როგორც ამბობდნენ, მან ველარ აიტანა დამცირება, შიმშილი და ნევაში თავის დახრჩობა გადაწყვიტა. მაგრამ თითქოს მისმა ოთხმა ძაღლმა იგრძნო პატრონის ავი განზრახვა; უკან აედევნენ, ყმულითა და შფოთით აიძულეს, უარი ეთქვა თვითმკვლელობაზე.

ლენინს ვუამბე ეს ლეგენდა. მან აღმაცერად ამომხედა. ჯერ მოკუტა თვალები, შემდეგ სულ დახუჭა და მოღუშულად თქვა:

— თუ ეს გამოგონილი ამბავია, კარვად შეუთხზავთ. რევოლუციის ხუმრობაა.

გაჩუმდა, შემდეგ წამოდგა, მაგიდაზე ქაღალდების თვალიერებას შეუდგა და ჩაფიქრებით თქვა:

— მართლაც რომ დიდი გაჭირება იგემეს ამ ადამიანებმა; ისტორია ავი დედაა და სამაგიეროს მიზღვაში არაფერს არ ერიდება. რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანებს უჭირთ. ვინც ჭკვიანია მათ შორის, იცის, რომ ძირფესვიანად არის ამოთხრილი და მიწას კვლავ ველარ შეეზრდება. ხოლო ტრანსპლანტაცია, ევროპაში გადარგვა ჭკვიანებს ვერ დააკმაყოფილებს. როგორ ფიქრობთ, ხომ ვერ გაიხარებენ ისინი იქ?

— ვფიქრობ, რომ ვერა.

— მაშასადამე, ან ჩვენ გამოგვყვებიან, ან კვლავ ინტერგენციის მოწყობას შეეცდებიან.

გკითხე: ასე შეჩვენება, თუ მას მართლაც ებრალება ადამიანები?

— ჭკვიანები მეცოდება. ჭკვიანები ცოტაა ჩვენში. ჩვენ უმთავრესად ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ ზანტი გონებისა.

აქ ლენინმა გაიხსენა ზოგიერთი ამხანაგი, რომელთაც გადალახეს კლასობრივი ზოოფსიქოლოგია და „ბოლშევიკებთან“ მუშაობენ, იგი საოცრად გულთბილად ლაპარაკობდა მათზე.

გასაოცრად ძლიერი ნებისყოფის ადამიანი — ლენინი — აღჭურვილი იყო საუკეთესო რევოლუციური ინტელიგენციის დამახასიათებელი თვისებებით — თვითშეზღუდვით, რომელიც ხშირად შიდიოდა თავის დატანჯვასა და დასახიჩრებამდე

რახმეტოვის ლურსმნებამდე, ხელოვნების უარყოფამდე, ლ. ანდრეევის ერთი გმირის ლოგიკამდე:

„ადამიანები ცუდად ცხოვრობენ — მაშასადამე, მეც ცუდად უნდა ვცხოვრობდე“.

შემშვილობის მძიმე, 919 წელს ლენინს რცხვენოდა ამხანაგების, ჭარისკაცებისა და პროვინციებიდან გლეხების მიერ გამოგზავნილი პროდუქტების ჭამისა. როდესაც მის მოუწყობელ ბინაში ამანათები მოჰქონდათ, იღუშებოდა, დარცხვენილი იყო და საჩქაროდ ურიგებდა ფქვილს, შაქარს, კარაქს ავადმყოფ ან უკმელობისაგან დასუსტებულ ამხანაგებს. ერთხელ სადილზე დამპატიჟა და მითხრა:

— შებოლილი თევზით გაგიმასპინძლდებით. ასტრახანიდან გამომიგზავნეს.

სოკრატეს შუბლი შეიკმუხნა, ყოვლისმხილველი თვალბით ირიბად გაიხედა განზე და დაუმატა:

— მიგზავნიან, თითქოს ბატონი ვიყო! როგორ უნდა დააღწიო კაცმა თავი ამას? უარი უთხრა, არ მიიღო, ეწყინებათ. ირგვლივ კი ყველა შემშვილობს.

მცირედითაც კმაყოფილი, ღვინოს, თამბაქოს შეუჩვეველი, დილიდან საღამომდე ძნელი, მძიმე მუშაობით გართული, სრულებით არ ზრუნავდა საკუთარ თავზე, მაგრამ ფხიზლად ადევნებდა თვალს ამხანაგების ცხოვრებას. აი, მაგიდას უზის თავის სამუშაო კაბინეტში, სწრაფად წერს და თავაუღებლად გეუბნებათ:

— გამარჯობათ, როგორა ხართ? ახლავე დავამთავრებ. ერთ ამხანაგს წერილს ვწერ პროვინციაში; მოწყენილია, ალბათ, მოიქანცა. უნდა გავამხნეოთ. განწყობილება მცირე რამეს არ ნიშნავს!

ერთხელ მოსკოვში ვეწვიე. მეუბნება:

— ისადილეთ?

— დიახ.

— ხომ არ იგონებთ?

— მოწმეები მყავს, კრემლის სასადილოში ვისადილე.

— ამბობენ, იქ საძაგელ კერძებს ამზადებენო.

— საძაგელს არა, მაგრამ უკეთ გაკეთება შეიძლება.

მან მაშინვე დაწვრილებით გამომკითხა, რატომ არის ცუდი, როგორ შეიძლება გაუმჯობესება.

და მოჰყვა გაჯავრებით ბუზღუნს:

— რა დამართათ, ნუთუ კარგი მზარეული ვერ მოუნახავთ? ხალხი დარეტიანებამდე მუშაობს, გემრიელი საქმელია უნდა ჰქვებავდნენ, რომ მეტი ჰამონ. ვიცი, პროდუქტებიც ცოტაა და ცუდი. ამიტომაც დახელოვნებული მზარეულია საქარო. — და ლენინმა წაიკითხა რომელიღაც პიგიენისტის ციტატები, თუ რა როლს ასრულებს გემრიელი საკაზმი კვებისა და საქმლის მონელების პროცესში: ვკითხე:

— როგორღა ასწრებთ ასეთ საგნებზე ფიქრს?

მანაც მკითხა:

— რაციონალურ კვებაზე?

და თავისი სიტყვების ტონით მაგრძნობინა, რომ ჩემი შეკითხვა უადგილო იყო.

ჩემი ძველი ნაცნობი, ისიც სორმოველი, გულკეთილი კაცი პ. ა. სკოროხოლოვი ჩეკაში მუშაობის სიძნელეს უჩიოდა. გუთხარა:

— მეც ვფიქრობ, რომ ეს თქვენი საქმე არ არის, თქვენს ხასიათს არ შეჰფერის.

სევდიანად დამეთანხმა:

— სრულებით არ შეჰფერის ჩემს ხასიათს.

შემდეგ დაფიქრდა და მითხრა:

— მაგრამ როცა გავიხსენებ, რომ, ალბათ, ილიჩიც ხშირად იძულებულია, თავის გრძნობებს არ აპყვეს, ჩემი სისუსტისა მრცხვენია.

მე ვიცნობდი და ვიცნობ ბევრ მუშას, რომლებიც იძულებულნი იყვნენ და არიან, კბილი კბილს დააჭირონ და „თავიანთ გრძნობებს არ აპყვენ“, ძალდატანებით შეზღუდონ თავიანთი ორგანული „სოციალური იდეალიზმი“ იმ საქმის გამარჯვების გულისათვის, რომელსაც ემსახურებიან.

ჰქონია თუ არა ლენინს შემთხვევა, რომ „საკუთარ გრძნობებს არ აპყოლოდა“?

იგი ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდა თავის თავს. საკუთარ თავზე სხვებთანაც არ უყვარდა ლაპარაკი. ლენინს ყველაზე უკეთ შეეძლო საკუთარ სულსა და გულში დატრიალებული

იღუმალი გრიგალების დაფარვა, მაგრამ, ერთხელ, გორკაში, ვილაყის ბავშვებს რომ ეფერებოდა, თქვა:

— ესენი ჩვენზე უკეთ იცხოვრებენ; ალარ გამოცდიან ბევრ რამეს, რაც ჩვენ განგვიცდია. მათი ცხოვრება ნაკლებად მკაცრი იქნება.

მან გახედა შორს, ბორცვებში მკვიდრად ჩამჯდარ სოფელს და ფიქრიანად დაუმატა:

— მაგრამ მაინც არ მშურს მათი. ჩვენმა თაობამ შეძლო საოცარი ისტორიული მნიშვნელობის საქმის გაკეთება. პირობებით გამოწვეულ ჩვენი ცხოვრების სისასტიკეს სათანადოდ გაიგებენ და გაამართლებენ. ყველაფერს გაიგებენ, ყველაფერს!

ბავშვებს ფრთხილად, რაღაც განსაკუთრებით ფრთხილად და მოკრძალებით ეფერებოდა.

ერთხელ მასთან შევიარე და ვხედავ, მაგიდაზე დევს „ომისა და მშვიდობის“ ტომი.

— დიახ, ტოლსტოის ნადირობის სცენის წაკითხვა მომინდა, მაგრამ მომაგონდა, რომ ამხანაგს წერილი უნდა მივწერო. კითხვის დრო სრულებით არ მრჩება. მხოლოდ წუხელ წავიკითხე თქვენი წიგნი ტოლსტოიზე.

გაიღიმა, თვალები მოჭუტა, სავარძელში სიამოვნებით გაიჭიმა და ხმადაბლა, აჩქარებით განაგრძო:

— რამოდენა გოლიათია, ა? რა ბუმბერაზი ადამიანია! აი, გეთაყვა, მხატვარი... და იცი, კიდეც რა არის საოცარი? ამ გრაფამდე ნამდვილი „მუჟიკი“ ლიტერატურაში არავის დაუხატავს.

შემდეგ თვალბმოჭუტულმა შემომხედა და მკითხა:

— ევროპაში ვინ შეიძლება მის გვერდით დადგეს?

თვითონვე უპასუხა:

— არავინ.

ხელები მოიფშვნიტა და კმაყოფილებით გაიცინა.

მასში ხშირად შემომჩნევია სიამაყის გრძნობა რუსეთის, რუსების, რუსული ხელოვნების გამო. ხანდახან ეს გრძნობა ლენინისათვის საოცრად უცხოდ და გულუბრყვილოდაც კი მეჩ-

გენებოდა. მაგრამ შემდეგ მასში აღმოვაჩინე ღრმად დაფარული, ბედნიერი სიყვარულის გამოძახილი მუშა ხალხისადმი.

კაპრიზე მეთევზეებს რომ აკვირდებოდა, რომლებიც ფრთხილად შლიდნენ ზვიგენის მიერ დაწყვეტილ, დაბურღულ ზადეებს, მან თქვა:

— ჩვენები უფრო მარჯვედ მუშაობენ.

ხოლო როდესაც ამ საგანზე ეკვი გამოვთქვი, წყენით მოთხრა:

— ჰმ-ჰმ, ხომ არ დაგაეწყათ რუსეთი აქაურობამ?

ვ. დესნიცი-სტროვემა მაცნობა, რომ ერთხელ შვეციაში მატარებლით მგზავრობდა ლენინთან ერთად. ვაგონში ისინი ზვალეირებდნენ გერმანულ მონოგრაფიას დიურერზე. კუბეში მყოფმა გერმანელმა მგზავრებმა ჰკითხეს, რა წიგნს ათვალეირებთო. გამოირკვა, რომ მათ არაფერი სმენოდით თავიანთ დიდ მხატვარზე. ამან თითქმის ალაფროვანა ლენინი და სიამაყით ორჯერ გაუმეორა დესნიცის:

— ისინი თავისიანებს არ იცნობენ. ჩვენ კი ვიცნობთ მათ.

ერთ საღამოს ლენინმა მოსკოვში ე. პეშკოვას ბინაზე მოიხსენა ბეთპოვენის სონატები ისაი დობროვეინის შესრულებით და თქვა:

— არაფერი მეგულება «*Apassionata*»-ზე უკეთესი და მზადა ვარ, ყოველდღე მოვისმინო. საოცარი, უჩვეულო მუსიკაა. ყოველთვის სიამაყით — შესაძლოა გულუბრყვილოდ — ეფიქრობ: აი, რა. სასწაულების მოხდენა შეუძლიათ ადამიანებს!

მან თვალეები მოჭუტა, გაიღიმა და მოწყენით დაუმატა:

— მაგრამ მუსიკის ხშირად მოსმენა არ შემოიძლია — ნერვებზე მოქმედებს, ბრიყველი ლაპარაკის გუნებაზე მაყენებს; იმის სურვილს აღმიძრავს, თავზე ხელი გადავუსვა ადამიანებს, ვისაც ს.ზიზღარ ჯოჯობეთურ პირობებში ასეთი მშვენიერების შექმნა შეუძლია. დღეს კი არავისათვის თავზე ხელის გადასმა არ შეიძლება — ხელს მოგკენეტენ. საჭიროა თავში ურტყა, შეუბრალებლად სცემო, თუმცა ჩვენ, ჩვენი იდეალის მიხედვით, ადამიანებზე ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგნი ვართ. ჰმ-ჰმ—ჯოჯობეთურად ძნელია ასეთი თანამდებობა!

ძალზე მოქანცული და უკვე თითქმის ავადმყოფი ლენინი 1921 წლის 9. VIII-ს მწერდა:

ა. მ. I

თქვენი წერილი ლ. ბ. კამენევს გადავუგზავნე. ისე მოვიქანცე, არაფერი შემიძლია. თქვენ სისხლს ახველებთ და მაინც არ მიემგზავრებით! ეს ხომ უსინდისობაა და უგუნურება! ევროპის ჩინებულ სანატორიუმში კიდეც იმკურნალბდით და სამჯერ მეტ საქმესაც გააკეთებდით. მერწმუნეთ, ჩვენში ვერც იმკურნალბთ, ვერც რამეს გააკეთებთ; აქ მხოლოდ ფაციფუცია, ფუჭი ფაციფუცი. გაემგზავრეთ, განიკურნეთ. გთხოვთ, ნუ ჩიუტობთ.

თქვენი ლენინი.

ერთ წელიწადზე მეტ ხანს საოცარი დაუინებით მოითხოვდა, რუსეთიდან გაემგზავრებულიყავი. და მაოცებდა: როგორ ახსოვს სულ ერთიანად მუშაობაში ჩაფლულ კაცს, რომ სადღაც ვიღაც ავად არის, დასვენება სჭირდება?

ასეთი წერილები, ზემოთ რომ მოვიყვანე, მას, ალბათ, ათეულობით მიუწერია სხვადასხვა ადამიანისათვის.

ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ამხანაგებისადმი, მათდამი გამოჩენილ ყურადღებაზე. არასოდეს გამოჩნებოდა ხოლმე მათი ცხოვრების არასასიამოვნო წვრილმანებიც კი. მაგრამ ამ გრძნობაში არასოდეს შემიმჩნევია ის ანგარებითი მზრუნველობა, რაც ხანდახან ასე ახასიათებს ჭკვიან მეპატრონეს პატიოსანი და მარჯვე მუშაკების მიმართ.

არა, ეს იყო სწორედ ჭეშმარიტი ამხანაგის ნამდვილი გულითადი ყურადღება, ტოლისადმი ტოლის სიყვარულის გრძნობა. მე ვიცი, რომ ვლადიმერ ლენინსა და მისი პარტიის უდიდეს ადამიანთა შორის არ შეიძლება ტოლფასოვნობის ნიშნის

დასმა, მაგრამ მას თითქოს არ ესმოდა ეს, უფრო სწორად — არ უნდოდა ამის გაგება. ადამიანებთან კამათის დროს იგი უკმეხი იყო, დაუნდობლად დასცინოდა, ხანდახან გესლიანად აბიაბრუებდა მათ — ყოველივე ეს მართალია.

მაგრამ იმ ადამიანებზე მსჯელობისას, რომელთაც იგი გუშინ ჯვარს აცვამდა და „ტყავს აძრობდა“, რამდენჯერ სავსებით გარკვევით შემინიშნავს გულწრფელი გაკვირვების კილო მათი ნიჭიერებისა და მორალური სიმტკიცის გამო, 1918-1921 წლების ჯოჯოხეთურ პირობებში მათი შეუდრეკელი და მძიმე მუშაობის გამო, ყველა ქვეყნისა და პარტიის ჯაშუშებით გარემოცვის, ჩვენი ქვეყნის ომისაგან გამოფიტულ სხეულზე დამპალი იარებივით გაჩენილ შეთქმულებათა პირობებში მუშაობის გამო. მუშაობდნენ შეუსვენებლივ. ჰამდნენ ციკას და ცუდად, ცხოვრობდნენ განუწყვეტელი მღელვარების პირობებში.

მაგრამ თვითონ თითქოს არ განიცდიდა სამოქალაქო ომის სისხლიანი ქარიშხლით ძირფესვიანად აფორიაქებული ცხოვრების ამ პირობებისა და მღელვარების სიმძიმეს. მხოლოდ ერთხელ, როგორც მ. ანდრეევა გადმოგვცემს, მასთან საუბარში წამოსცდა საყვედურის მსგავსი რამ:

— რა ვქნათ, ძვირფასო მარია თევდორეს ასულო! საჯიროა ბრძოლა. ეს აუცილებელია გვიჭირს? რასაკვირველია! გგონიათ, მე არ მიჭირს ხოლმე ზოგჯერ? მიჭირს და მერე როგორი მაგრამ შენედეთ ძერჯინსკის, რას დაემსგავსა რას იზამი ისევ ისა ჯობს, გვიჭირდეს, ოღონდ კი ჩვენ წინაშე მდგომი სიძნელეები დავძლიოთ!

პირადად მე მხოლოდ ერთხელ მსმენია მისი ჩივილი:

— დასანანი — მარტოვი ჩვენთან. არ არის, ძალიან დასანანი! რა გასაოცარი ამხანაგია, რა სპეტაკი კაცია!

მაგონდება, როგორ მხიარულად და დიდხანს ხარხარებდა ლენინი, როცა სადღაც მარტოვის სიტყვები ამოიკითხა:

„რუსეთში მხოლოდ ორი კომუნისტია: ლენინი და კოლონტაი“.

სიცილით გული რომ იჯერა, ამოიოხრა და თქვა:

— რა ჭკვიანი კაცია ეჰ...

სწორედ პარტივისციემითა და გაცეებით თქვა ერთ „სამე-

ურნეო დარგში მომუშავე“ ამხანაგზე, როცა იგი კაბინეტი-დან გააცილა:

— დიდი ხანია მას იცნობთ? ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ გამოდგებოდა.

და ხელების ფშვნეტითა და სიცილით დაუმატა:

— ევროპა ჩვენსავით მდიდარი როდია ნიჭიერი ადამიანებით.

ვუთხარი, მთავარ საარტილერიო სამმართველოში წამოსულიყო და იქ თვითმფრინავებისათვის ცეცხლის დაშენის მომწესრიგებელი აპარატი ენახა. ეს აპარატი ერთმა ბოლშევიკმა — ყოფილმა არტილერისტმა — გამოიგონა.

— რა გამეგება მაგ საქმისა? — მკითხა მან, მაგრამ მაინც წამოვიდა. ბინდით მოცულ ოთახში, მაგიდის გარშემო, რომელზედაც აპარატი იდგა, თავი მოეყარა სახემოდუშულ, უღვაშიან, ქალარა შვიდ გენერალს — სწავლულ ადამიანებს. ლენინის სამოქალაქოტანსაცმლიანი სადა ფიგურა მათ შორის თითქოს დაიკარგა, შეუმჩნეველი გახდა. გამომგონებელმა დაიწყო აპარატის კონსტრუქციის ახსნა. ლენინმა უსმინა მას ორი-სამი წუთი და მოწონებით თქვა:

— ჰმ-ჰმ! — და ისე თავისუფლად დაუწყო გამოკითხვა გამომგონებელს, თითქოს პოლიტიკის საკითხებში ცდისო:

— როგორ მიაღწიეთ ერთსა და იმავე დროს იმ მექანიზმის ორმაგ მუშაობას, რომელიც დამიზნების წერტილს განსაზღვრავს? ხომ არ შეიძლება, ქვემეხის ლულათა დანადგარი ავტომატურად დაუკავშირდეს აპარატის მონაცემებს?

ეკითხებოდა დაზიანების სივრცის სიდიდეზე და კიდევ სხვა რამეებს. გამომგონებელი და გენერლები ხალისიანად უპასუხებდნენ. გამომგონებელი მეორე დღეს მომითხრობდა:

— ჩემს გენერლებს ვუთხარი, რომ გვეწვეოდით თქვენ და ერთი ამხანაგი, მაგრამ ის კი აღარ ვთქვი, ვინ იქნებოდა ეს ამხანაგი. მათ ვერ იცნეს ილიჩი. ალბათ, ვერც წარმოედგინათ, რომ ლენინი უხმაუროდ, ზარ-ზეიმისა და მცველების გარეშე მოვიდოდა. მეკითხებიან: ვინ იყო — ტექნიკოსი, პროფესორი? ლენინიო? ძალიან გაოცდნენ — ნუთუ? არა ჰგავს და — კეთილ ინებეთ! — საიდან იცის ჩვენი მთელი ეს სიბრძნე? ტექნიკაში კარგად გარკვეული კაცივით გვეკითხებოდა.

ეს მისტიფიკაციაა ვგონებ, არც კი დაიჭერეს, რომ მათ სწორედ ლენინი ეწვიათ...

ხოლო ლენინი, როცა არტილერიის მთავარი სამმართველოდან უკან ვბრუნდებოდით, გულიანად იცინოდა და გამოგონებლებზე ლაპარაკობდა:

— აი თურმე, როგორ აღვიღაღ შეიძლება შეცდვად ადამიანის შეფასებისას! მე ვიცოდი, რომ იგი ძველი პატიოსანი ამხანაგია, მაგრამ მათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს. იგი კი თურმე სწორედ ამისათვის ვარგებულა. ყოჩაღი არა, ხომ დაინახეთ, როგორ შემომიღრინეს გენერლებმა, როცა აპარატის პრაქტიკულ ღირებულებაზე ეჭვი გამოვთქვი! ეს კი განგებ გავაკეთე — იმის გაგება მსურდა, როგორ აფასებენ სწორედ ისინი ამ გონივრულ აპარატს.

გულიანად გაიცინა, შემდეგ მკითხა:

— თქვენ ამბობთ, რომ ი-ს სხვა გამოგონებაც აქვს? საჭიროა, მხოლოდ ამ საქმეზე მუშაობდეს. ეჰ, ნეტავ იმის საშუალება მოგვცა, ყველა ტექნიკოსს მისთვის საჭირო მუშაობის იდეალური პირობები შევუქმნათ! ოცდახუთი წლის შემდეგ რუსეთი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად გადაიქცეოდა.

ღიახ, ამხანაგების ქება ხშირად მსმენია მისგან. მათაც კი, ვინც — როგორც ამბობდნენ — მის პირად სიმპათიას ვერ იმსახურებდა, ლენინი ყოველთვის მიუზღავდა ხოლმე კუთვნილს მათი ენერჯიის გამო.

ძალიან გამაოცა მის მიერ ლ. ტროცკის ორგანიზატორული ნიჭის მაღალმა შეფასებამ. ვლადიმერ ილიას ძემ შემამჩნია ეს გაცემა.

— ვიცი, რაღაცას ჭორაობენ ჩემს დამოკიდებულებაზე მასთან. მაგრამ რაც არის — არის, და რაც არ არის — არ არის, ესეც კარგად ვიცი. მან შეძლო სამხედრო სპეცთა ორგანიზება.

იყუჩა. შემდეგ წყნარად და უხალისოდ დაუმატა:

— მაგრამ ჩვენი მაინც არ არის! ჩვენთან არის, მაგრამ — ჩვენი არ არის! პატივმოყვარეა. არის მასში რაღაც ცუდი, ლასალისეული.

ეს სიტყვები — „ჩვენთან არის, მაგრამ ჩვენი არ არის“ — მეორედაც გავიგონე მისგან. ამჟამად ისინი შეეხებოდა ასევე გამოჩენილ ადამიანს. იგი მალე გარდაიცვალა ვლადიმერ

ილიას ძის შემდეგ. ვლადიმერ ილიას ძე ძალიან კარგად ცნობდა ადამიანებს. ერთხელ, მის კაბინეტში შესვლისას, წავაწყდი ერთ კაცს, რომელიც კარისკენ ზურგით იხევდა და ემშვიდობებოდა ვლადიმერ ილიას ძეს; ლენინი კი არც უყურებდა, წერით იყო გართული.

— იცნობთ მაგას? — მკითხა და კარისკენ მიმითითა: გუთხარი, ორჯერ მიმიმართავს მისთვის. „მსოფლიო ლიტერატურის“ საქმეების გამო-მეთქი.

— მერე, რაო?

— შემძლია გითხრათ: უცოდინარი და უხეში კაცია.

— ჰმ-ჰმ... ვილაც მლიქვნელია. შეიძლება გაიძვერა ციყოს. თუმცა პირველად ვხედავ და, შესაძლოა, ვცდებოდე:

არა. ვლადიმერ ილიას ძე არ შემეცდარა: რამდენიმე თვის შემდეგ ამ კაცმა სავსებით გაამართლა ლენინის დახასიათება.

ლენინი ბევრს ფიქრობდა ადამიანებზე; შეწუხებული იყო იმით, რომ, როგორც მან თქვა:

— ჩვენი აპარატი კრელია; ოქტომბრის შემდეგ მასში ბევრი უცხო ადამიანი შეიპარა. ეს თქვენი პატიოსანნი; საყვარელი ინტელიგენციის წყალობით მოხდა; ეს მისი საზიზღარი საბოტაჟის შედეგია, დიახ!

ეს გორკაში ჩემთან ერთად სეირნობის დროს თქვა. აღარ მახსოვს, რატომ ჩამოვაგდე სიტყვა ალექსინსკიზე; ვგონებ; მან იმ დროს რაღაც სისაძაგლე ჩაიდინა.

— წარმოიდგინეთ: პირველი შეხვედრისთანავე აღმეძრა წმინდა ფიზიკური, დაუძლეველი ზიზღი მისადმი. ჩემში არასოდეს არ გამოუწვევია ვინმეს ასეთი გრძნობა. ერთადაც გვიმუშავია, ყოველმხრივ ვიკავებდი თავს; უხერხულთ იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ გადაგვარებულის ატანა არ შემეძლო!

გაოცებით აიჩეჩა მხრები და თქვა:

— მაგრამ არამზადა მალინოვსკი კი ვერ გამოვიცანი. ძალიან ბნელი საქმეა ეს მალინოვსკი...

მისი დამოკიდებულება ჩემდამი მკაცრი მასწავლებლისა და კეთილი „მზრუნველი მეგობრისა“ დამოკიდებულება იყო.

— გამოუცნობი ადამიანი ხართ, — მითხრა ხუმრობით, —

ლიტერატურაში თითქოს კარგი რეალისტი ბრძანდებით, ადამიანებთან დამოკიდებულებაში კი — რომანტიკოსი. თქვენთვის ყველანი ისტორიის მსხვერპლნი არიან? ჩვენ ვიცით ისტორია და ასე მივმართავთ მსხვერპლთ: დაამხეთ სამსხვერპლოები, დაანგრეთ ტაძრები, ძირს ღმერთები თქვენ კი გსურთ, დამარწმუნოთ, მუშათა კლასის მებრძოლი პარტია გალდებულა, პირველყოვლისა, ჩინებულად მოაწყოს ინტელიგენტები.

შესაძლოა ვცდებოდეთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ვლადიმერ ილიას ძეს სიამოვნებდა ჩემთან საუბარი. იგი თითქმის ყოველთვის მეუბნებოდა:

— ჩამოხვალთ თუ არა, დამირეკეთ. შევხვდეთ ერთმანეთს.

ხოლო ერთხელ მითხრა:

— თქვენთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა. თქვენ მრავალგვარი და მდიდარი შთაბეჭდილებები გაქვთ.

მეკითხებოდა ინტელიგენციის განწყობილებაზე. განსაკუთრებული ყურადღებით მეკითხებოდა მეცნიერებზე, — მე ხომ იმ დროს ა. ხალატოვთან ერთად „მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიაში“ ვმუშაობდი. აინტერესებდა პროლეტარული ლიტერატურა:

— რას მოვლით მისგან?

ვუპასუხე, რომ ბევრ რამეს მოველი. მაგრამ სრულიად აუცილებლად მიმაჩნია ლიტერატურის უმაღლესი სასწავლებლის მოწყობა, რომელსაც ექნება ენათმეცნიერების, აღმოსავლეთისა და დასავლეთის უცხო ენების, ფოლკლორის, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის, ცალკე კი — რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრები.

— ჰმ-ჰმ, — ამბობდა იგი, თვალებს ქუთავდა და ხარხარებდა. — ფართო და ბრწყინვალე გეგმაა! ფართო რომ არის, ამისა საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ბრწყინვალეებისა კი რა მოგახსენო, ა? ამ დარგის პროფესორები ჩვენ არა გყავს, ბურჟუაზიული პროფესორები კი ისეთ ისტორიას წაგვიკითხავენ, რომ... არა, ახლა ამ საქმეს თავს ვერ მოვაბამთ. სამი-ხუთიოდე წელიწადი უნდა მოვიცადოთ.

და ჩივილით თქვა:

— სულ აღარ მრჩება კითხვის დრო!

დაყინებით და ხაზგასმით არაერთხელ აღუნიშნავს დემიან ბედნის მუშაობის სააგიტაციო მნიშვნელობა. მაგრამ, ამასთანავე, ამბობდა:

— ცოტა უხეშია. მკითხველს უკან მიჰყვება, მაშინ როდესაც ცოტათი უნდა უსწრებდეს.

მაიაკოვსკის უნდობლად და გაღიზიანებითაც კი ეკიდებოდა:

— ყვირის, რაღაც დაგრეხილ სიტყვებს იგონებს. ყოველივე, რასაც წერს, ჩემი აზრით, ის არ არის, რაც საჭიროა; თანაც ძნელი გასაგებია. ყველაფერი გაფანტული აქვს და ძნელად იკითხება. ნიჟიერია? ფრიად ნიჟიერიც კი? ჰმ-ჰმ, ვნახოთ! როგორ ფიქრობთ, ბევრი ლექსი არ იწერება ახლა? ეურნალეების მთელი გვერდები ლექსებს უჭირავს; კრებულებიც გამოდის თითქმის ყოველდღიურად.

ვუთხარი, რომ ახალგაზრდობის სწრაფვა სიმღერისაკენ — ბუნებრივი მოვლენაა ჩვენი დროისათვის, და რომ, ჩემი აზრით, საშუალო ღირებულების ლექსების წერა კარგი პროზის შექმნაზე ადვილია; ლექსების წერას დროც ნაკლები სჭირდება, თანაც ჩვენ ლექსთაწყობის ტექნიკის ბევრი კარგი მასწავლებელი გვყავს.

— ლექსი რომ პროზაზე ადვილად იწერებოდეს, ეს არა მჯერა! ვერ წარმომიდგენია. თუ გინდათ, ტყავიც გამაძრეთ, ორ სტრიქონსაც კი ვერ დავწერ, — თქვა მან და მოიღუშა. — მასებში უნდა შევიტანოთ მთელი ძველი რევოლუციური ლიტერატურა, რაც კი ჩვენში და ევროპაში მოიპოვება.

ლენინი იყო რუსი ადამიანი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა რუსეთის გარეთ და ყურადღებით ათვალიერებდა თავის ქვეყანას, რომელიც შორიდან უფრო ლამაზი და ნათელი ჩანდა. მან მართებულად შეაფასა რუსეთის პოტენციური ძალა — ხალხს განსაკუთრებული ნიჟიერება, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად იყო გამოხატული და მძიმე და მოსაწყენ ისტორიას ჯერ არ აემოძრაებინა, მაგრამ ოქროს ვარსკვლავებად ბრწყინ-

ნავდა ყველგან, ფანტასტიკური რუსული ცხოვრების შავ ფონზე.

ვლადიმერ ლენინი, — ამა ქვეყნის დიდი, ჰემმარიტი ადამიანი, — გარდაიცვალა. ეს სიკვდილი მძიმე ლახვარივით მოხვდა იმ ადამიანთა გულებს, ვინც მას იცნობდა!

მაგრამ სიკვდილის შავი ხაზი მთელი ქვეყნის თვალში კიდევ უფრო მკვეთრად გამოყოფს მის მნიშვნელობას, — მსოფლიოს მშრომელი ხალხის ბელადის მნიშვნელობას.

და მისადმი სიძულვილის, მისი სახელის გარშემო შექმნილი სიცრუისა და ცილისწამების ღრუბლები უფრო სქელიც რომ იყოს, სულ ერთია: არ არსებობს ისეთი ძალები, რომელთაც შეეძლოთ გონებადაკარგული სამყაროს მხუთვარე წყვდიადში ლენინის მიერ აღმართული ჩირაღდნის ჩაქრობა.

და ჯერ არ ყოფილა ადამიანი, ვისაც მასავეთ ნამდვილად დაემსახურებინოს ქვეყანაზე საუკუნო ხსოვნა.

ვლადიმერ ლენინი გარდაიცვალა. მისი გონებისა და ნებისყოფის მემკვიდრენი ცოცხლობენ. ცოცხლობენ და ისე წარმატებით მუშაობენ, როგორც არავის არასოდეს და არსად არ უმუშავია მთელ მსოფლიოში.

ლევ ტოლსტოი

ეს წიგნი შედგენილია ოლეიზში ცხოვრების დროს გაკეთებული მოკლე ჩანაწერებისაგან. ლევ ნიკოლოზის ასე მაშინ გასბრში იყო, ჭეჭ — მძიმე ავადმყოფი, ხოლო შემდეგ — გამოჯანმრთელებული. ნაგლეჯ ქაღალდებზე დაუდევრად დაწერილი ეს შენიშვნები დაკარგული ჰეგონა, მაგრამ ამას წინათ ვიპოვე მათი დიდი ნაწილი. მათვე დაეუძაბე დაუძთავრებელა წერილი, დაწერილი იასნაია პოლხანადან ლევ ნიკოლოზის ძის „წასვლა“ და მისი სიკვდილის უშუალო შთაბეჭდილებებით. ებეკდავ ამ წერილს შეუწოვრებლად, ისე, როგორც მაშინ დაიწერა. და არც ვამთავრებ-მას; დამთავრება რატომღაც შეუძლებლად მიმაჩნია.

ჩ ა ნ ა წ ვ რ ე ბ ი

I

ღმერთზე ფიქრი, როგორც ჩანს, ყველაზე ხშირად აწუხებს მის გულს. ზოგჯერ გგონია, რომ ეს ფიქრი კი არა, არამედ დაძაბული წინააღმდეგობაა რაღაცისადმი, რის ზემოქმედებასაც გრძნობს. იგი ამაზე უფრო ცოტას ლაპარაკობს, ვიდრე სწადია, მაგრამ ფიქრობს კი — ყოველთვის. ეს მოხუცებულობის, სიკვდილის წინათგრძნობის ნიშანი როდია. არა. ვფიქრობ, ეს მას შესანიშნავი ადამიანური სიამაყით მოსდის. და ცოტა — განაწყენებითაც, რადგან მისთვის, ლევ ტოლსტოისათვის, შეუარაცხმყოფელია, რომელიღაც სტრეპტოკოკს დაუქვემდებაროს თავისი ნება. ის რომ ბუნებისმეტყველი ყოფილიყო, რასაკვირველია, გენიალურ ჰიპოთეზებს შექმნიდა, უდიდეს აღმოჩენებს გააკეთებდა.

II

მას საოცარი ხელები აქვს — ულამაზო, გაგანიერებული ცენებით დაკვანძული და მაინც განსაკუთრებით შთამბეჭდავი და შემოქმედებითი ძალით აღსავსე. ალბათ, ასეთი ხელები ჰქონდა ლეონარდო და ვინჩის. ასეთი ხელებით ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ზოგჯერ, ლაპარაკის დროს, იგი ამოძრავებს თითებს, თანდათან კუმშავს მუშტად, შემდეგ უეცრად გაშლის და, ამასთანავე, წარმოთქვამს კარგ, ბარაქიან სიტყვას. იგი ჰგავს ღმერთს, არა საბაოთს ან ოლიმპიელს, არამედ რომელიღაც რუს ღმერთს, რომელიც „ოქროს ცახვის ქვეშ ზის ნეკერჩხლის ტახტზე“ და, თუმცა არც ისე დიდებულია, მაგრამ, შესაძლოა, ყველა სხვა ღმერთზე ეშმაკი იყოს.

III

სულერეიციკის ქალური სინაზით ეპყრობა. ჩეხოვი მამა-შვილურად უყვარს, ამ სიყვარულში იგრძნობა შემოქმედის სიამაყე, სულერი კი მასში აღძრავს სწორედ სინაზეს, მუდმივ ინტერესსა და აღტაცებას, რომელიც, ასე გგონია, არასოდეს არ ღლის ჯადოქარს. შესაძლოა, ამ გრძნობას თან ახლდეს რაღაც ოდნავ სასაცილო, როგორც შინაბერას სიყვარულს თუთიყუშის, გოშის, კატისადმი. სულერი უცხო, უცნობი ქვეყნის რომელიღაც მომხიბვლელად თავისუფალი ფრინველია, ასიოდე ასეთ ადამიანს შეუძლია, სახე და სული შეუცვალოს რომელიმე პროვინციულ ქალაქს. მას ისინი ცხვირ-პირს ჩაუბტვრევენ, ხოლო გულს აღუვსებენ შმაგი, მაგრამ ნიჭიერად მოაზრებული ანცობისადმი სიყვარულით. ადვილი და სასიამოვნოა გიყვარდეს სულერი, და როდესაც ვხედავ, როგორ გულგრილად ეპყრობიან მას ქალები, ეს ამბავი მაოცებს და მამბრაზებს. თუმცა, შესაძლოა, ამ გულგრილობით მარჯვედ ინიღბებოდეს სიფრთხილე. სულერს ვერ დაენდობი. არაჟინ იცის, რას მოიმოქმედებს ხვალ. შეიძლება, ყუმბარა ააფეთქოს, შეიძლება — ტრაქტირის მომღერალთა გუნდში შევიდეს. მას იმდენი ენერჯია აქვს, სამ საუკუნეს ეყოფა. სიცოცხლის

გზნება მასში ისე ბევრია, რომ გგონია, ნაპერწყლების ოხში-
ვარი ასდის, როგორც მეტისმეტად გავარვარებულ რკინას.

მაგრამ ერთხელ ტოლსტოი ძლიერ გაუჭავრდა სულერს, —
ანარქისტული მიდრეკილების ლეოპოლდი ხშირად და მგზნე-
ბარედ მსჯელობდა პიროვნების თავისუფლებაზე, ხოლო ლ.
ნ. ყოველ ასეთ შემთხვევაში სასაცილოდ იგდებდა მას.

მახსოვს, სულერეცემ სადღაც იშოვა თავად კროპოტკი-
ნის თხელი ბროშურა, რომელმაც იგი აღანთო და მთელ ღღეს
მოუთხრობდა ყველას ანარქიზმის სიბრძნეზე, თანაც გატაცუ-
ბით ფილოსოფოსობდა.

— აჰ, ლევუშკა, კარგი, გეყოფა. მოგვაბეზრე თავი, —
გულჯავრიანად უთხრა ლ. ნ-მ. — თუთიყუშივით დაგიყინია ერთი
სიტყვა: — თავისუფლება, თავისუფლება. სად არის ეს თავი-
სუფლება, რას წარმოადგენს მისი აზრი? მართლაც რომ
მიაღწიო ისეთ თავისუფლებას, შენ რომ ფიქრობ, შენ
რომ წარმოგიდგენია, რა მოხდება? ფილოსოფიური აზ-
რით, ეს იქნება უძირო სიცარიელე, ხოლო ცხოვრე-
ბაში, პრაქტიკაში — გაზარმაცდები, გამათხოვრდები. რა და-
გაკავშირებს შენ, შენი შეხედულებისამებრ თავისუფალს,
ცხოვრებასთან, აღამიანებთან? აი, ფრინველები თავისუფალ-
ნი არიან და მაინც ბუდეებს იშენებენ. შენ კი ბუდესაც არ
აიშენებ, შენს სქესობრივ გრძნობას დაიკმაყოფილებ, სადაც
შეძლებ, ვით ხვადი. სერიოზულად ჩაუკვირდი და დაინახავ,
იგრძნობ, რომ თავისუფლება, საბოლოო აზრით, სიცარიელეა,
უსაზღვრობაა.

გულმოსულად მოიღუშა, წუთით იყუჩა და წყნარად დაუ-
მატა:

— ქრისტე თავისუფალი იყო, ბუდაც, და ორივემ თავს
იღო ქვეყნიერების ცოდვები, ორივემ ნებაყოფლობით გა-
ყო თავი ამქვეყნიური ცხოვრების უღელში. და ამან ვერავინ
ვერ გასცილდა, ვერავინ. ხოლო შენ, ჩვენ — რაღა სალაპარა-
კოა ჩვენ ყველას გვინდა, გავთავისუფლდეთ იმ მოვალეო-
ბებისაგან, ჩვენი მოყვასის მიმართ რომ გვაკისრია, მაშინ,
როცა სწორედ ამ მოვალეობათა შეგრძნებამ გვაქცია ედამიან-
ებად, ეს შეგრძნებანი რომ არ იყოს, მხეცებივით ვიცხოვრებ-
დით...

გაიღიმა:

— ახლა კი ჩვენ ვაზროვნებთ მაინც, თუ როგორ ვიცხოვროთ უკეთ. ბევრი ხეირი არც ამაში ყრია, მაგრამ სულ არა-რაობას მაინცა სჯობს. აი, შენ შეკამათები და ისე ბრაზობ, რომ ცხვირი გილურჯდება, მაგრამ არა მცემ, არც კი მაგინებ. შენ რომ მართლაც თავისუფლად გრძნობდე თავს, აქამდე ნამდვილად სულს გამაცხებიინებდი.

კვლავ იყურია და შემდეგ დაუმატა:

— თავისუფლება ეს ის არის, როცა ყველაფერი და ყველა შეთანხმება მე, მაგრამ მაშინ მე არ ვარსებობ, რადგან ჩვენ ყველანი საკუთარ თავს მხოლოდ შეჯახებებში, წინააღმდეგობებში შევიგრძნობთ.

IV

გოლდენვეიზერი შოპენს უკრავდა, რამაც ლევ ნიკოლოზის ძეს ასეთი აზრები აღუძრა:

— რომელიღაც პატარა გერმანელმა მეფემ თქვა: „იქ, სადაც სურთ, მონები ჰყავდეთ, რაც შეიძლება მეტი მუსიკა უნდა შეთხზან“. ეს მართებული აზრია, სწორი დაკვირვებაა, — მუსიკა აჩლუნგებს ჰკუას. ყველაზე უკეთ ეს კათოლიკეებმა იციან — ჩვენი ხუცები, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებიან მენდელსონს ეკლესიაში. ერთი ტუღელი ხუცესი მარწმუნებდა, თვით ქრისტეც კი არ ყოფილა ებრაელიო, თუმცა იგი ებრაელი ღმერთის შვილია და დედამისიც ებრაელი იყო; იგი აღიარებდა ამას, მაგრამ მაინც ამბობდა: „არ შეიძლება, რომ ეს მომხდარიყო“. ვეკითხები: „მაშ, როგორ-მეთქი?“ მხრები აიჩეჩა და მითხრა: „ეს ჩემთვის გამოუცნობია“

V

„ინტელიგენტი — ეს გალიციის თავადი ვლადიმირკოა; იგი ჯერ კიდევ XII საუკუნეში ძალზე კადნიერად ამბობდა: „ჩვენს დროში სასწაულები არ ხდებაო“. მას შემდეგ ექვსასმა წელმა განვლო, და ყველა ინტელიგენტი ჩასჩიჩინებს ერთიმეორეს: „სასწაული არ არსებობს, სასწაული არ არსებობს“. მთელ ხალხს კი ისევე სწამს სასწაულებისა, როგორც XII საუკუნეში სწამდა“.

— უმცირესობას ღმერთი ესაჭიროება იმიტომ, რომ დანარჩენი ყველადღერი აქვს, ხოლო უმრავლესობას იმიტომ, რომ არაფერი გააჩნია.

მე სხვაგვარად ვიტყვოდი: უმრავლესობას ღმერთი სწამს სულმოკლეობის გამო, და მხოლოდ ცოტას — სულგრძელობის გამო¹.

— თქვენ გიყვართ ანდერსენის ზღაპრები? — მკითხა მან ჩაფიქრებულმა. — ჩემთვის გაუგებარი იყო ეს ზღაპრები, როცა მარკო ვოვროკის თარგმანი იბეჭდებოდა, ხოლო ათი წლის შემდეგ წავიკითხე წიგნი და უეცრად მთელი სიცხადით ვიგრძენი, რომ ძალიან მარტო იყო ანდერსენი, ძალიან მარტო. მე არ ვიცნობ მის ცხოვრებას; მგონი, თავშეკავებულად ცხოვრობდა. ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ადასტურებს ჩემს გრძნობას, — იგი მარტოსული იყო. სწორედ ამიტომ მიმართავდა ბავშვებს, თუმცა მცდარი იმ აზრი, თითქოს ბავშვებს მოზრდილებზე მეტად ეცოდებოდეთ ადამიანი. ბავშვებს არაფერი არ ეცოდებათ, მათ არ შეუძლიათ შეცოდება.

VII

მირჩევდა ბუდისტური კატეხიზმოს წაკითხვას. ბუდიზმსა და ქრისტიანულ იგი ყოველთვის სანტიმენტალურად ლაპარაკობს; ქრისტიანულ — განსაკუთრებით ცუდად — არც ენთუზიზმი, არც პათოსი არა აქვს მის სიტყვებს, გულში მოგიზგიზე ცეცხლის ერთი ნაპერწკალიც არ კიაფობს მათში. ვფიქრობ, ქრისტიანს მიაჩნია გულუბრყვილო ადამიანად, რომელიც შებრალების ღირსია და თუმცა ხანდახან ეტრფის მას, მაგრამ საეჭვოა, უყვარდეს. თითქოს შიშობს კიდევ: ქრისტიანს რომ რუსულ სოფელში გამოჩნდეს, მას გოგოები სასაცილოდ აიგდებენ.

¹ მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად უნდა ვთქვა, რომ რელიგიურ შემოქმედებას მე განვიხილავ როგორც მხატვრულს; ბუდას, ქრისტიანს მაჰმადის ცხოვრებას — როგორც ფანტასტიკურ რომანებს.

დღეს მასთან იყო დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. ჭკვიანი კაცი ჩანს, თავი უჭირავს ძლიერ უბრალოდ, ცოტაშ ლაპარაკობს. სიმპათიური თვალები აქვს და მოხდენილი, ლამაზი ტანი, მშვიდი ქესტები. ლ. ნ. ალერსიანად უღიმოდა მას და ესაუბრებოდა ხან ფრანგულად, ხანაც ინგლისურად. რუსულად უთხრა:

— კარამზინი მეფისათვის წერდა, სოლოვიოვი — გაჭიჭნურებულად და მოსაწყენად, კლიუჩევსკი კი — თავშესაქცევად. ეშმაკია: კითხულობ — თითქოს აქებს, მაგრამ ღრმად ჩასწვდები და — ლანძღავს.

ვილაცამ ზაბელინი მოაგონა.

— მეტად სათნო კაცია. გადამწერსა ჰგავს. ძველმანების მოყვარულია, ყველაფერს აგროვებს, რაც ხელთ მოხვდება. ჭამას ისე ღღწერს, თითქოს თვითონ არასოდეს ყოფილიყო მძღარი. მაგრამ ძლიერ, ძლიერ სასაცილო ვინმეა.

IX

იგი მოგაგონებთ იმ ჯოხიან მწირთ, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე ზევით-ქვევით დაიარებიან, ათასობით ვერსს გადიან მონასტრიდან მონასტრამდე, წმინდანის ნაწილებიდან მეორე წმინდანის ნაწილებამდე, საშინლად მიუსაფარნი, ყველასა და ყველაფრისათვის უცხონი. ქვეყანა მათთვის არ არსებობს, არც — ღმერთი. ისინი ღმერთზე ჩვეულების გამო ლოცულობენ, სულის სიღრმეში კი სძაგთ იგი: რატომ ერეკება მათ ამ დედამიწაზე ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, რატომ? ადამიანები გზაზე მდებარე კუნძები, ფესვები, ქვები, არიან, მათზე წაიბორძიკებ დი ზოგჯერ მათგან ტკივილს განიცდი. შეგიძლია, მათ გარეშეც იარსებო, მაგრამ ხანდახან სასიამოვნოა, გააოცო ადამიანი იმით, რომ მას არ ჰგავხარ; დაანახვო, რომ არ ეთანხმები მას.

X

ფრიდრიხ პრუსიელმა ძალიან კარგად თქვა: „თითოეულმა თავს უშველოს á sa faison¹“. მანვე თქვა: „იმსჯელეთ, როგორც გენებოთ, ოღონდ მმორჩილებდეთ“. მაგრამ, როცა კვდებოდა, აღიარა: „მე მომქანცა მონების მართვა-გამგებლობამ“. ეგრეთ წოდებული დიდი ადამიანები ყოველთვის საოცრად წინააღმდეგობრივნი არიან. ეს მათ ეპატიებათ ყოველგვარ სხვა უგუნურებასთან ერთად. თუმცა წინააღმდეგობა უგუნურება როდია: სულელი ჭიუტია, მაგრამ წინააღმდეგობა არ ძალუძს. დიახ, ფრიდრიხი უცნაური კაცი იყო: გერმანელთა ჩინებული ხელმწიფის სახელი მოიხვეჭა, გერმანელები კი სძულდა, თვით გოეთე და ვილანდიც კი უყვარდა...

XI

— რომანტიზმი — ეს ის არის, რომ შიშით თვალი გაუსწორო სიმართლეს, — თქვა გუშინ საღამოს ბალმონტის ლექსების გამო. სულერი არ დაეთანხმა, აღელვებისაგან ენამორჩილექილმა ძლიერ პათეტურად ისევ წაიკითხა ლექსები.

— ეს, ლევუშკა, ლექსები კი არა, თვალთმაქცობაა, „ჩმახიობა“, როგორც შუა საუკუნეებში ამბობდნენ, სიტყვების უაზრო ხლართვაა. პოეზიას ხელოვნურობა არ უყვარს; როცა ფეტი წერდა:

...თვითონ არ ვიცი, თუ რას ვიმღერებ,
მაგრამ სიმღერა გულში მწიფდება, —

ამით მან გამოხატა პოეზიის ნამდვილი, სახალხო გრძნობა. მუეიკმაც არ იცის, რომ მღერის, — აო, ეო, მეო, — და ნამდვილი სიმღერა კი გამოუდის, პირდაპირ გულიდან მორაქრაქე, როგორც ჩიტს. ეს თქვენი ახლები კი სულ რაღაცას იგონებენ. არის ასეთი სულელური რამ — ფრანგული „არტიკლ დე პარი“, და სწორედ იგი შერჩენია თქვენს ლექსთმხლართველებს. ნეკრასოვიც სულ ასე იგონებდა თავის საცოდავ ლექსებს.

¹ თავისებურად (ფრანგ.).

— ბერანე? — ჰკითხა სულერმა.

— ბერანე სხვაა რა გვაქვს საერთო ჩვენ და ფრანგებს? ისინი გრძნობასაყოლილნი არიან; სულის სიცოცხლე მათთვის ისე მნიშვნელოვანი როდია, როგორც ხორცი. ფრანგისათვის უპირველესია ქალი. ისინი არაქათგამოლეული, გაცვეთილი ხალხია. ექიმები ამბობენ, რომ ყველა ჭლექიანი ავებოდა.

სულერმა მისთვის ჩვეული პირდაპირობით დაუწყო კამათი და განუჩივრებლად წამოსრილილი სიტყვების კორიანტელი დააყენა. ლ. ნ-მ შეხედა მას და გულლიად გაღიმებულმა უთხრა:

— შენ დღეს ჭირვეულობ ქალიშვილივით, რომლის გათხოვების დროც დადგა, მაგრამ სასიძო არა ჩანს...

XII

აუადმყოფობამ კიდევ უფრო გამოაშრო ლ. ნ., რალაც ამოსწვა მასში, შინაგანადაც თითქოს უფრო მსუბუქი გახდა, გამჭირვალე, ცხოვრების მიმღები. თვალები უფრო გამახვილებული გაუხდა, მზერა — სულში ჩამწვდომი. გისმენთ ყურადღებით და თითქოს იგონებს დავიწყებულს ან რწმენით ელოდება ახალ, ჭერ უცნობ რამეს. იასნაიაში ისეთ ადამიანად მეჩვენებოდა, რომელმაც ყველაფერი იცის და მეტის ცოდნა აღარ სჭირდება — მეჩვენებოდა ამოცნობილი კითხვების ადამიანად.

XIII

ლ. ნ. რომ თევზი ყოფილიყო, დასაკვირველია, მხოლოდ ოკეანეში იცურავებდა, არასოდეს არ შევიდოდა ზღვებში, განსაკუთრებით — მდინარეების მტკნარ წყლებში. აქ მას თავს აფარებს, მის გარშემო დასრიალებს რომელიღაც ნაფოტა. რასაც იგი ამბობს, საინტერესო და საჭირო არაა ამ ნაფოტასათვის, და მისი დუმილიც არ აფრთხობს, არ ეხება ნაფოტას; მხოლოდ დუმს იგი შთამაგონებლად და მოხერხებულად, ვით განდევნილი ამა ქვეყნისა. თუმცა ბევრს ლაპარაკობს თავის აუცილებელ თემებზე, მაგრამ იგრძნობა, რომ კიდევ უფრო მეტად დუმს. სხვა რაიმეს ვერავის გაუხმელს. ალბათ, აქვს აზრები, რომლებსაც ეშინია.

XIV

ვილაცამ გამოუგზავნა ქრისტეს ნათლულის ზღაპრის ჩინებული ვარიანტი. იგი სიამოვნებით უკითხავდა ზღაპარს სულერს, ჩეხოვს, — უკითხავდა გახსაცვრებლად! განსაკუთრებით ართობდა ის, თუ როგორ აწამებენ ეშმაკები მემამულეებს, და ეს როგორღაც არ მომეწონა. მას არ შეუძლია, გულწრფელი არ იყოს, მაგრამ თუ ამას გულწრფელად სჩადის - მით უარესი.

შემდეგ მან თქვა:

— აი, რა შესანიშნავად თხზავენ მუჟიკები. ყველაფერი უბრალოდაა, სიტყვები — ცოტა, გრძნობები კი — ბევრი. ჭეშმარიტი სიბრძნე მცირესიტყვიანია, როგორც — უფალო შემეწყალე.

ზღაპარი კი სასტიკია.

XV

მისი ინტერესი ჩემდამი ეთნოგრაფიული ინტერესია. მის თვალში მე მისთვის ნაკლებად ცნობილი ტომის წარმომადგენელი ვარ მხოლოდ.

XVI

უკითხავდი ჩემს მოთხოვრებას — „ხარი“; ბევრი იცინა და შემაჭო იმისათვის, რომ ვიცი „ენის ოინები“.

— მაგრამ სიტყვებს მოხერხებულად ვერ იყენებთ, თქვენნი ყველა მუჟიკი ძლიერ ჭკვიანურად ლაპარაკობს. სინამდვილეში ძინი ბრიყვეულად, უაზროდ ლაპარაკობენ, — უცბად ვერც მიხვდები, რა უნდათ, თქვან. ამას განგებ სჩადიან. ბრიყვეული სიტყვებით ისინი მუდამ ფარავენ იმის სურვილს, რომ სხვა აალაპარაკონ. კარგი მუჟიკი არასოდეს უცბად არ გუჩვენებს თავის ჭკუას, ეს ხელსაყრელი არაა მისთვის. მან იცის, რომ ბრიყვ ადამიანს უბრალოდ, გულუბრყვილოდ ეკიდებიან, და სწორედ ეს უნდა მასი თქვენ მის წინაშე გულლია ხართ, იგი მაშინვე ხედავს ყველა თქვენს სუსტ ადგილს. იგი მიუნ-

დობელია, ცოლსაც კი არ უმჯღავნებს იღუმალ ფიქრს. თქვენ კი — ყველაფერი გულისადა გადაგიშლიათ და ყოველ მოთხრობაში წარმოგვიდგენთ ბრძენთა რაღაც მსოფლიო საეკლესიო კრებას. თანაც ყველა აფორიზმებით ლაპარაკობს, ესეც არაა მართალი, — აფორიზმი რუსულ ენას ვერ ეგუება.

— ანდაზები, მოსწრებული გამოთქმები?

— ეს სხვა. ეს დღეს არ შექმნილა.

— აკი თვითონ თქვენ ხშირად ლაპარაკობთ აფორიზმებით.

— არასოდეს! შემდეგ, თქვენ ალამაზებთ ყველაფერს ადამიანებსაც, ბუნებასაც, განსაკუთრებით — ადამიანებს! ასე აკეთებდა ლესკოვი, ღვლარქნილი, უთავბოლო მწერალი, მას უკვე დიდი ხანია, აღარ კითხულობენ. ნუ აპყვებით სხვას, ნუ შეგეშინდებათ ვისიმე, — მაშინ კარგი გამოვა...

XVII

დღიურის რვეულში, რომელიც მან წასაკითხავად მომცა, მე განმაცვიფრა საოცარმა აფორიზმმა: „ღმერთი ჩემი სურვილია“.

დღეს, რვეული რომ დავებრუნე, ვკითხე, ეს რა არის-მეთქი.

— დაუმთავრებელი აზრია, — თქვა და მოჭუტული თვალებით დააცქერდა რვეულის გვერდს. — შესაძლოა, მსურდა მეთქვა: ღმერთი არის ჩემი სურვილი მისი შეცნობისა... არა, ასე არაა... — გაიცინა, რვეული მილისებურად დაგრაგნა და ხალათის ფართო ჯიბეში ჩაიღო. ღმერთთან მას ძალიან გაურკვეველი ურთიერთობა აქვს, მაგრამ ხანდახან ეს მაგონებს „ერთ ბუნაგში მყოფი ორი დათვის“ ურთიერთობას.

XVIII

მეცნიერების შესახებ.

— მეცნიერება ოქროს ზოდია, თაღლითი ალქიმიკოსის მიერ ჩამოსხმული. თქვენ გინდათ გაამარტივოთ იგი, მთელი ხალხისათვის გასაგები გახადოთ, — მაშასადამე: მოჭრათ ბეჭერი ყალბი ფული. როდესაც ხალხი გაიგებს ამ ფულის ნამდვილ ფასს, მადლობას არ გვეტყვის.

იუსუპოვის პარკში ესეირნობდით. იგი შესანიშნავად ყვე-
ბოდა მოსკოვის არისტოკრატიის ზნე-ჩვეულებებზე. ყვავილ-
ნარში ზორბა რუსი დედაკაცი მუშაობდა წელში მოხრილი;
სპილოს ფეხები გაეშიშვლებინა, ათგირვანქიან ძუძუებს აქეთ-
იქით აქანავებდა. იგი ყურადღებით დააკვირდა ქალს.

— აი, ასეთ კარიატიდებს აწვით მხრებზე მთელი ეს დი-
დებულება და უგუნურება. იგი არსებობდა არა მარტო მუ-
ციკებისა და დედაკაცების შრომით, არა მარტო ღალით, არა-
მედ ნამდვილად ხალხის სისხლით. თავადაზნაურობა რომ
დროდადრო ასეთ ცხენებს არ შეჯვარებოდა, დიდი ხნის წინ
ამოწყდებოდა. ენერგიის ისე ფლანგვა, როგორც ამას სჩადი-
ოდა ჩემი დროის ახალგაზრდობა, დაუსჯელად არ ჩაივლის
ხოლმე. მაგრამ დაშოშმინების შემდეგ ბევრი ირთავდა ცო-
ლად მოქალაქე გოგოს და კარგ ნაშიერს იძლეოდა. ისე რომ,
აქაც მუჟიკთა ძალამ გვიხსნა. იგი ყველგან თავის ადგილზეა.
და საჭიროა, რომ ყოველთვის მოდგმის ერთი ნახევარი თავის
ძალას საკუთარ თავს ახმარდეს, ხოლო მეორე ნახევარი სოფ-
ლურ სქელ სისხლს შეედუღოს და იგიც ოდნავ განაზავოს. ეს
სასარგებლოა.

XX

ქალებზე სიამოვნებით და ბევრს ლაპარაკობს ფრანგი რო-
მანისტივით, მაგრამ ყოველთვის რუსი მუჟიკის იმ სიტლან-
ქით, რომელიც წინაბრ ასე არასასიამოვნო იყო ჩემთვის. დღეს
ნუშის ხეივანში ჩეხოვს ჰკითხა:

— ძალიან მრუშობდით ჰაბუკობისას?

ე. პ-მ მორცხვად ჩაიციინა, წვერზე ხელი ჩამოისვა და რა-
ღაც ჩაიდუღუნა. ლ. ნ. კი, რომელიც ზღვას გასცქეროდა, გა-
მოტყდა:

— შე დაუცხრომელი ვიყავი...

ეს მან გულდაწყვეტით თქვა და თანაც ფრაზის ბოლოს
ჩიგრიანი მუჟიკური სიტყვა მიაყოლა. მაშინ პირველად შე-
ვამჩნიე, რომ ისე უბრალოდ წარმოთქვა ეს სიტყვა, თითქოს

არ იცოდა მისი სანაცვლო ღირსეული გამოთქმა. ყველა მნეთი სიტყვა, რომელსაც მისი ფაჩვნიერი ბაგენი წარმოთქვამენ, უბრალოდ, ჩვეულებრივად ჟღერს, საღდაც კარგავს თავის სალდათურ სიტლანქეს. მაგონდება პირველი შეხედრა მასთან, მისი საუბარი „ვარენჯა ოლესოვას“, „ოცდაექვსი მამაკაცისა და ერთი ქალის“ შესახებ. ჩვეულებრივი თვალსაზრისით, მისი საუბარი წარმოადგენდა სათაკილო სიტყვების წყობას. მე შემაკრთო და გამანაწყენა კიდეც ამან; ასე მომეჩვენა, რომ მას ეგონა, ვერ გავიგებდი სხვა ენას. ახლა კი მესმის, განაწყენება სისულელე იყო.

X X I

იგი იჭდა ქვის სკამზე კვიპაროსების ქვეშ, გამხდარი, დაპატარავებული, უფერული, მაგრამ მაინც მსგავსი საბოთისა, რომელიც ცოტა მოქანცულა და ერთობა, ცდილობს, სტვენით აპყვეს სკვინჩას. ჩიტი გალობდა ხშირ, დაჩრდილულ სიმწვანეში, იგი კი მისკენ იცქირებოდა, მახვილი თვალეზი მოეჭუტა, ბავშვურად — მილისებურად, დაემგრვალეზინა ტუჩები და მოუხერხებლად უსტვენდა.

— როგორ გულფიცობს ჩიტუნა! შმაგობს. ეს რა ჩიტია? მე ვუთამბე სკვინჩას შესახებ და ექვიანობის იმ გრძნობაზე, ამ ფრინველს რომ ახასიათებს.

— მთელ სიცოცხლეში ერთ რამეს მღერის, და მაინც ექვიანობს. ადამიანის სულში ასობით სიმღერაა, მაგრამ მას ჰკიცხვენ ექვიანობისათვის. განა სამართლიანია ეს? — ჩაფიქრებითა და, თითქოს საკუთარ თავს ეკითხებო, ისე წარმოთქვა. — არის ისეთი წუთები, როდესაც მამაკაცი ქალს იმაზე მეტს ეუბნება, რაც ქალმა უნდა იცოდეს ამ მამაკაცზე. მამაკაცმა უთხრა და — დაიფიწყა, ქალს კი ახსოვს. შესაძლოა, ექვიანობა იბადებოდეს სულის დამცირების შიშისაგან, დამცირებისა და სასაცილოდ გაზღომის შიშისაგან. საშიშია არა იმ დედაკაცი, რომელსაც ...სათვის ჩაუვლია ხელი, არამედ იგი, ვინც სულს ჩაჭყრენია.

როცა მე ვთქვი, რომ ამაში იგრძნობა წინააღმდეგობა

„კრეიცერის სონატასთან“, მან მთელ წვერზე გადმოაფრქვია ღიმილი და მიპასუხა:

— მე სკვინჩა როდი ვარ.

სალამოს, სეირნობის დროს, მოულოდნელად თქვა:

— ადამიანი იტანს მიწისძვრებს, ეპიდემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და სულის ყოველგვარ წამებას, მაგრამ მისთვის ყველა დროში ყველაზე უმწვავესი ტრაგედია იყო, არის და იქნება — საწოლი ოთახის ტრაგედია.

ამას რომ ამბობდა, ამაყად იღიმებოდა, — მას ხანდახან ეწვევა ხოლმე ასეთი ფართო, მშვიდი ღიმილი ადამიანისა, ვინც გადალახა ძლიერ ძნელი რაღაც ან ვისაც დიდხანს აწვალებდა მწვავე ტკივილი და, აი, უცბად გაქრა ეს ტკივილი. ყოველი აზრი მის სულს ტკიპასავით ჩააფრინდება ხოლმე; იგი ან სწრაფად მოიგლეჯს მას, ან ჭარბად სისხლს აწოვინებს მანამ, სანამ გაიბერება და შეუშინევლად თვითონ ჩამოვარდება.

იგი მიმზიდველად ჰყვებოდა სტოიციზმზე, მაგრამ უეცრად მოიღუშა და ტუჩების წკლაპუნით მკაცრად წარმოთქვა: — Стеганое, და არა стежаное; არსებობს ზმნები стегать და стяхать; ზმნა стежать კი არ არსებობს...

ამ ფრაზას აშკარად არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა სტოიკოსთა ფილოსოფიასთან. როცა შენიშნა, რომ ვერაფერს მივხვდრ, თავით მეზობელი ოთახის კარებისაკენ მანიშნა და აჩქარებით წარმოთქვა:

— იქ ამბობენ: стежаное одеяло!

და განაგრძო:

— ხოლო ეს ტკბილად მოლაცხებ რენანი...

მას ხშირად უთქვამს ჩემთვის:

— თქვენ კარგად იცით მოყოლა — საკუთარი სიტყვებით, ძარღვიანად, არამწიგნობრულად.

მაგრამ თითქმის ყოველთვის შემამჩნევდა ენობრივ დაუდევრობას და ხმადაბლა იტყოდა ხოლმე, თითქოს თავისთვის:

— მსგავსად, და იქვე — აბსოლუტურად, როცა შეიძლება ითქვას — სრულიად!

ხანდახან საყვედურით იტყოდა:

— უძლური სუბიექტი — განა შეიძლება თავისი სულით

განსხვავებული, არამსგავსი სიტყვების ერთმანეთის გვერდით ხმარება? ცუდია...

ენის ფორმებისადმი მისი ყურმანხილობა ზოგჯერ ავადმყოფურ ჭირვეულობად მეჩვენებოდა; ერთხელ თქვა:

— რომელიღაც მწერლის ნაწერში, ერთ ფრაზაში ასეთ რამეს წაეაწყდი: кошка და книшка — საძაგლობაა! კინალამ გული ამერია.

ხანდახან ასე მსჯელობდა:

— Подождем და под дождем — რა კავშირია?

ხოლო ერთხელ პარკიდან დაბრუნებულმა თქვა:

— ახლა მებაღე ამბობს: насилиу столкновался. საოცარია, ხომ? იქედება ღუზები და არა მაგიდები. როგორღა არიან დაკავშირებული ეს ზმნები — ковать და толковать? ფილოლოგები არ მიყვარს — სქოლასტიკოსები არიან, მაგრამ მათ დიდი მუშაობა მოეღოთ ენის დარგში. ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთი სიტყვებით, რომლებიც არ გვესმის. აი, მაგალითად, როგორ შეიქმნა ზმნები просить და бросить?

უფრო ხშირად დოსტოევსკის ენაზე ლაპარაკობდა:

— იგი წერს: უმსგავსად და განგებ ულამაზოდაც კი, — დარწმუნებული ვარ — განგებ, კეკლუცობის გამო. პრანჭიაობდა. „იდიოტი“ წერს: «В наглom приставании и афишевании знакомства». ვფიქრობ, მან განგებ დაამახინჯა სიტყვა «афишировать». რადგან ეს სიტყვა უცხოა, დასავლურია. მაგრამ მის ნაწერებში შეიძლება იპოვოთ მიუტევებელი შეცდომები: იდიოტი ამბობს: „ვირი გულკეთილი და სასარგებლო აღამიანია“, მაგრამ არაფერ არ იცინის, თუმცა ამ სიტყვებმა აუცილებლად უნდა გამოიწვიოს სიცილი ან რაიმე შენიშვნა. იგი ამბობს ამას სამი დის თანდასწრებით, ხოლო მათ უყვარდათ მისი გაქირდვა. განსაკუთრებით აგლაიას. ამ წიგნს ცუდ წიგნად თვლიან, მაგრამ ყველაზე ცუდი მასში ის არის, რომ თავადი მიშკინი ბნედიანია. ის რომ ჯანმრთელი იყოს. მისი გულუბრყვილობა, მისი სიწმინდე ძლიერ აგვადელვებდა. მაგრამ, იგი რომ ჯანმრთელ კაცად დაეხატა, დოსტოევსკის ამის გამბედაობა არ ეყო. და არც უყვარდა მას ჯანმრთელი აღამიანები. დარწმუნებული იყო, რაკი თვითონ ავადმყოფია — მაშასადამე, მთელი ქვეყანაც დაავადებულა...

სულერსა და მე გვიკითხავდა „მამა სერგის“ ცდუნების სცენის ვარიანტს. უღმობელი სცენაა. სულერი აიპრიზა და აღელვებული შეიშმუშნა.

— შენ რა? არ მოგწონს? — ჰკითხა ლ. ნ-მ.

— ძლიერ მკაცრად, თითქმის დოსტოვესკისებურად. განრწინილი გოგოა, ძუძუები ბლინებს მიუგავს. ეს არის და ეს. რატომ არ შესცოდა მან ლამაზ, ჯანმრთელ ქალთან?

— ეს გაუმართლებელი ცოდვა იქნებოდა, ასე კი — შეიძლება თავის მართლება ქალიშვილისადმი სიბრალულით — ვინ ინდომებდა მას, ასეთს?

— მე არ მესმის...

— შენ ბევრი რამ არ გესმის, ლევუშკა, შენ ეშმაკი არა ხარ...

მოვიდა ანდრეი ლევის ძის მეუღლე, საუბარი შეწყდა, ხოლო როცა ის და სულერი ფლიგელში გავიდნენ, ლ. ნ-მ მითხრა:

— ლეობოლდი ყველაზე წმინდა ადამიანია, ვისაც კი ვიცნობ. ისიც ასევე იქცევა. თუ რამ ცუდს ჩაიდენს — ვინმეს სიბრალულის გამო.

X X I I

ლ. ნ. ძალიან ხშირად ლაპარაკობს ღმერთზე, მუჟიკსა და ქალზე. ლიტერატურაზე — იშვიათად და ძუნწად, თითქოს ლიტერატურა მისთვის უცხო რამ საქმე იყოს. ქალს, ჩემი აზრით, შეურიგებელი მტრობით ეპყრობა და უყვარს მისი დასჯა, — თუ იგი არ არის კიტი ან ნატაშა როსტოვა, ესე იგი, ნაკლებად გონებაშეზღუდული არსება. ეს არის მტრობა მამაკაცისა, ვინც ვერ მოასწრო იმდენი სიამოვნების მიღება, რამდენიც შეეძლო, თუ — სულის მტრობა „დამამცირებელ ხორციელ აღგზნებათა“ წინააღმდეგ? მაგრამ ეს არის მტრობა, ამასთან — გულცივი, როგორც „ანა კარენინაში“. „ხორციელ დამამცირებელ აღგზნებაზე“ მან მოხდენილად თქვა კვირას, როცა ჩეხოვსა და ელპატიევსკის ესაუბრებოდა რუსოს „აღსარებაზე“. სულერმა ჩაიწერა მისი სიტყვები, ხოლო შემდეგ, ყავას რომ ამზადებდა, სპირტის ქურაზე დაწვა ჩანაწერი. ამას

წინათ კი მან ცეცხლს მისცა ლ. ნ-ს აზრები იბსენზე და დაკარგა ჩანაწერები საქორწინო წესების სიმბოლურობაზე; ლ. ნ. კი მათ გამო მეტად წარმართულ აზრებს გამოთქვამდა. ზოგიერთ რამეში მისი აზრები ვ. ვ. როზანოვის შეხედულებებს ემთხვეოდა.

X X I I I

დილით იყვნენ ფეოდოსიელი შტუნდისტები, და ლ. ნ. მთელ დღეს აღტაცებით ლაპარაკობს მუჟიკებზე.

საუზმის დროს:

— მოვიდნენ ისინი — ორივე ძლიერ ჩანსალი, მკვრივი ერთი ამბობს: «Вот, пришли незваные», მეორე კი — «Еще даст — уйдем не драмы». — და წასკდა ბავშვური სიცილი, მთელი ტანით ცახცახებდა.

საუზმის შემდეგ, აივანზე:

— მალე ჩვენ სულ გადავეჩვევით ხალხის ენის გაგებას; ო, ჩვენ ვამბობთ: „პროგრესის თეორია“, „პიროვნების როლი ისტორიაში“, „მეცნიერების ევოლუცია“, „დიხენტერია“, მუჟიკი კი იტყვის: „შუბი ხალთაში არ დაიმალება“, და ყველა ეს გამოთქმა — თეორია, ისტორია, ევოლუცია უბადრუკი, სასაცილო ხდება იმიტომ, რომ გაუგებარია და ხალხს არ ესაჭიროება. მაგრამ მუჟიკი ჩვენზე ძლიერია, ის უფრო გამძლეა და, შესაძლოა, ჩვენ იგივე დაგვემართოს, რაც ატყურთა ტომს, რომლის შესახებაც რომელიღაც მეცნიერს უთხრეს: „ყველა ატყური ამოწყდა, მაგრამ აქ არის თუთიყუში, რომელმაც იცის მათი ენის რამდენიმე სიტყვა“.

X X I V

„სხეულის მხრივ ქალი მამაკაცზე გულწრფელია, ხოლო ფიქრები კი ცრუ აქვს. მაგრამ როცა იგი ცრუობს — საკუთარი თავისა არა სჯერა, ხოლო რუსო ცრუობდა და სჯეროდა“.

X X V

„დოსტოევსკიმ ერთ-ერთ თავის გიჟ პერსონაჟზე დაწერა, რომ იგი შურს იძიებდა საკუთარ თავსა და სხვებზე იმის გამო, რომ იმას ემსახურა, რაც არა სწამდა. ეს მან თავის თავზე დაწერა, ესე იგი, მას იგივე შეეძლო ეთქვა საკუთარ თავზე“.

X X V I

— ზოგიერთი საეკლესიო სიტყვა საოცრად ბუნდოვანია — მაგალითად, რა აზრია სიტყვებში: «Господня земля и исполнение ея». ეს საღვთო წერილიდან კი არა, რომელიღაც პოპულარულ-მეცნიერული მატერიალიზმიდანაა ამოღებული.

— თქვენ საღვთო განმარტებული გაქვთ ეს სიტყვები, — უთხრა სულერმა.

— მერე რა, რომ განმარტებული მაქვს... «Толк-от есть, да не втолкан весь».

და ეშმაკურად გაიღიმა.

X X V I I

მას უყვარს ძნელი და ცბიერი კითხვების მოცემა:

— რას ფიქრობთ თქვენს თავზე?

— გიყვართ თქვენი მეუღლე?

— როგორ ფიქრობთ, ჩემი ვაჟი — ლევი — ნაჭკვირაა?

— მოგწონთ სოფიო ანდრიას ასული?

მასთან ვერ იცრუებთ.

ერთხელ მკითხა:

— ა. მ. I გიყვარვართ?

ეს დევემირის კადნიერებაა: ასეთი თამაშობით ირთობდა თავს სიკაბუტეში 'ნოვგოროდელი ჩხუბისთავი ვასკა ბუსლაევი. „გცდით“ იგი, სულ რაღაცას სინჯავს, თითქოს ჩხუბს აპირებდნო. ეს საინტერესოა, მაგრამ არცთუ ძალიან მომწონს. იგი ჯადოქარია, მე კი ჭერ ბალლი ვარ და ხელს არ უნდა მახლებდეს.

შესაძლოა, მუეიკი მისთვის, უბრალოდ, ცუდი სუნია, იგი ყოველთვის გრძნობს მას და ძალაუნებურად მასზე უნდა ილაპარაკოს.

გუშინ საღამოს ვუამბე ჩემი ჩხუბის ამბავი გენერალ კორნეს ქვრივთან. იგი ისე ხარხარებდა, რომ ცრემლები მოერია, გულმკერდი ეტკინა. ვიშვიშებდა და თან წვრილი ხმით შეუძახებდა ხოლმე:

— ბარით!.. ზე ბარით, ა? ზედ... ზე. ფართო ბარი იყო? შემდეგ, სული რომ მოითქვა, სერიოზულად მითხრა:

— თქვენ კიდევ დიდსულოვნად მოქცეულხართ, სხვა — შიგ თავში სთხლეშდა მაგის გულისათვის. ძლიერ დიდსულოვნად. მიხვდით თუ არა, რომ მას თქვენ უნდოდა?

— არ მახსოვს; არ მგონია, რომ მიემხდარიყავ... .

— როგორ არა! ეს ცხადია. ნამდვილად ასეა.

— ეს საქმე არ მიტაცებდა მაშინ...

— გიტაცებდათ თუ არა — სულ ერთია! როგორც ჩანს, თქვენ არცთუ დიდი მუსუსი ყოფილხართ. სხვა ამით კარიერის მიაღწევდა, სახლის მფლობელი გახდებოდა და ქალთან ერთად გალოთდებოდა.

იყუჩა:

— სასაცილო ხართ. არ გეწყინოთ — ძლიერ სასაცილო და ძალიან საოცარია, რომ თქვენ, ვისაც უფლება გაქვთ, ბოროტი იყოთ, მაინც გულკეთილი ხართ. დიახ, თქვენ შეიძლება ბოროტი ყოფილიყავით. მტკიცე ხართ, ეს კარგია...

კვლავ დაჩუმდა, შემდეგ ფიქრმორეულმა დაუმატა:

— თქვენს ჭკუისა არაფერი გამეგება — ძლიერ დახლართულია, გული კი გონიერი გაქვთ... დიახ, გული—გონიერი!

შენიშვნა: როცა ყაზანში ვცხოვრობდი, მებაღე-მეეზოვედ დავუდექი გენერალ კორნეს ქვრივს. ახალგაზრდა ფრანგი ქალი იყო, მსუქანი. მოზარდ გოგოსავით პაწაწინა ფეხები და საოცრად ლამაზი თვალები ჰქონდა, მოუსვენარი,

მუდამ ხარბად მაცქერალი. ვფიქრობ, გათხოვებამდე იგი უნდა ყოფილიყო მოვაჭრე ან მზარეული, შესაძლოა, „სიამოვნების გოგოც“ კი იყო. დილიდანვე თვრებოდა და ეზოში ან ბაღში ჰტყინავდა ან ამათი გამოდიოდა, რომელზედაც ნარინჯისფერი ხალათი ჰქონდა შემოცმული, ფეხთ ტარსიკონის წითელი თათრული ტუფლები ეცვა, ხშირი, დაუდევრად დავარცხნილი თმა მსრბებსა და დაუღაჟა ლოყებზე ეფინა. ახალგაზრდა როკავს ჰგავდა. დაეხეტებოდა ბაღში, მღეროდა ფრანგულ სიმღერებს, თვალყურს მადევნებდა, დროდადრო მიაღებოდა სამზარეულოს ფანჯარას და იტყოდა:

— პოლინ, მომეციო რამე.

„რამე“ ყოველთვის ერთი და იგივე რამ იყო — ერთი ჭიქა ყინულიანი ღვინო...

მისი სახლის ქვედა სართულში ცხოვრობდა სამი ობოლი თავადის ასული. დ.-გ., მათი მამა, ინტენდანტი გენერალი, სადღაც წასულიყო, ხოლო დედა გარდაცვლიდა. გენერლის ქვრივმა შეიძულა გოგონები და სხვადასხვა მუხანათური ხრიკებით ცდილობდა ბინიდან მათ გაგდებას. რუსულს ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ ლანძღვა შესანიშნავად იცოდა, როგორც კარგმა მეფორანემ. ძლიერ არ მომწონდა მისი დამოკიდებულება უწყინარი გოგონებისადმი, ისინი ძალიან ნაღვლიანი, თითქოს დამფრთხალნი, უმწეონი იყვნენ. ერთხელ, შუადღისას, ორი მათგანი ბაღში სეირნობდა, უცბად მოვარდა გენერლის ქვრივი, მთვრალი, როგორც ყოველთვის, და დაუწყო ყვირილი, თანაც ბაღიდან ერეკებოდა. გოგონები უხმოდ გაილაღნენ, მაგრამ გენერლის ქვრივი საცრბივით გაეხირა ბაღის პატარა ჭიშკარში, გასასვლელი შეუქრა მათ და მიმართა ისეთი სერიოზული რუსული სიტყვებით, რომელთა გაგონებაზე ცხენებიც კი შეკრთებიან ხოლმე. მე ვთხოვე, თავი დაენებებინა ლანძღვა-გინებისათვის და გაეშვა ქალიშვილები, მან მიყვირა:

— Я снай тибел Ти — им лявит окно, когда ночь...

გაეჯავრდი, მსრბებში ხელი ჩავაგლე და ჭიშკარს მოვაშორე, მაგრამ ხელიდან გამისხლტა, შემოტრიალდა, სწრაფად გაიღელა ხალათი, პერანგი აიწია და დაიღრიალა:

— Я луччи эти крис!

მაშინ კიდე უფრო გავბრაზდი, შემოვატრიალე ზურგით ჩემკენ და ბარი ისე ვუთავაზე წელს ქვემოთ, რომ ჭიშკარში გავარდა და ეზოში გაიქცა, თანაც დიდი განცვიფრებით სამჯერ წამოიძახა:

— თი თი თი

ამის შემდეგ გამოვართვი პასპორტი მის გულითად მეგობარს, ასევე ლოთ, მაგრამ ძლიერ ცბიერ დედაკაცს პოლინას, ამოვიღე ილლიაში ბოხჩა, რომელშიაც მთელი ჩემი ავლა-დიდება იყო გამოკრული, და გავეცალე იქაურობას, გენერლის ქვრივი კი ფანჯარას მოსდგომოდა, ხელში წითელი თავსაფარი ეჭირა და მეძახდა:

— Я не звать полис — нитшего — слюшнй! Иди еще назад... Не надо боясь..

XXIX

ვკითხე:

— თქვენ ეთანხმებით პოზნიშევს, როცა იგი ამბობს, ექიმებმა დალუპეს და ლუპავენ ათასობით და ასიათასობით ადამიანსო?

— ძლიერ გაინტერესებთ ამის გაგება?

— ძლიერ.

— მაშ, არ გეტყვით!

და ჩაიციხა, თანაც ცერი თითები აათამაშა.

მაგონდება, ერთ მის მოთხრობაში არის ასეთი შედარება ხოფლელი ბეითლისა მედიცინის დოქტორთან:

„სიტყვები «гильчак», «почечуй», «спущать кровь» განა იგივე ნერვები, რევმატიზმები, ორგანიზმები და ა. შ. არ არის?“

ეს ნათქვამია ჟენერის, ბერინგის, პასტერის შემდეგ. აი შარიანი კაცი!

XXX

რა საოცარია, რომ ბანქოს თამაში უყვარს. თამაშობს სერიოზულად, გზნებით. მისი ხელები ისეთი ნერვიული ხდება,

როცა იგი კარტს იღებს, თითქოს ცოცხალი ფრინველები ეჭიროს ხელში და არა მუყაოს უსულო ნაქრები.

X X X I

— დიკენსმა ძლიერ ჭკვიანურად თქვა: „ჩვენ მონიჭებულნი გვაქვს სიცოცხლე იმის უეჭველი პირობით, რომ გმირულად დავიცვათ იგი უკანასკნელ წუთებამდე“. საერთოდ კი იგი იყო სანტიმენტალური, ყბედი და არცთუ ისე დიდი ჭკუის მწერალი. თუმცა მან ყველაზე უკეთ იცოდა რომანის აგება, ყოველ შემთხვევაში, ბალზაკზე უკეთ მაინც. ვილაცამ თქვა: „ბევრი შეუპყრია წიგნების წერის ვნებას, მაგრამ შემდეგში იშვიათად თუ ვინმე შეუწუხებია სირცხვილს ამის გამო“. ბალზაკს არ დაურცხვენია და არც დიკენსს, ხოლო ორივემ ცოტა როდი დაწერა ცუდი. მაგრამ მაინც ბალზაკი გენიოსია, ესე იგი, სწორედ ის არის, რასაც სხვა რამეს ვერ უწოდებ — გენიოსი...

ვილაცამ მოიტანა ლევ ტიხომიროვის წიგნი „რატომ დავანებე თავი რევოლუციონერობას“. ლევ ნიკოლოზის ძემ აიღო მაგიდიდან, ჰაერში შეაქნია და თქვა:

— აქ ყველაფერი კარგად არის ნათქვამი პოლიტიკურ მკვლევლობათა შესახებ, იმის შესახებ, რომ ბრძოლის ამ სისტემას არ გააჩნია ნათელი იდეა. ასეთი იდეა, ამბობს გონს მოსული მკვლელი, შეიძლება იყოს მხოლოდ პიროვნების ანარქიული ყოვლისშემძლეობა და საზოგადოებისადმი, კაცობრიობისადმი სიძულვილი. ეს სწორი აზრია, მაგრამ ანარქიული ყოვლისშემძლეობა შეცდომაა, უნდა ეთქვა — მონარქიული. კარგი, სწორი იდეაა, მასზე წაიფორხილებს ყველა ტერორისტი; მე ვლაპარაკობ პატიოსნებზე. ვინც თავისი ბუნებით მკვლევლობის მოყვარულია — იგი არ წაიფორხილებს, ის ვერაფერს წამოჰკრავს ფეხს. მაგრამ იგი ხომ, უბრალოდ, მკვლელია და ტერორისტებში შემთხვევით მოხვდა...

X X X I I

ზოგჯერ თვითკმაყოფილი და აუტანელია, როგორც ვოლგისმიღმელი სექტანტი-მედავითნე, და ეს სულ არ შეჭფერის მას, ამა ქვეყნის ასეთ მოგუგუნე ზარს. გუშინ მითხრა:

— მე თქვენზე მეტად ვარ მუყიკი და უფრო მეტად მეს-
მის ყველაფერი.

ო, ღმერთო ჩემო! არ უნდა იკვებინდეს ამას, არა!

X X X I I I

წავუკითხე პიესა „ფსკერის“ სცენები. ყურადღებით მოის-
მინა, შემდეგ მკითხა:

— რატომ წერთ ამას?

ავუხსენი, როგორც შემეძლო.

— თქვენ ყველგან გახასიათებთ მამლაცინწური დამოკი-
დებულება ყველაფრისადმი. და აგრეთვე — თქვენ გსურთ
ყველა ნახვრეტსა და ბზარს თქვენი საღებავი გადაუსვათ. გახ-
სოვთ, ანდერსენმა თქვა: „გარაყი მოშორდება, მხოლოდ ლო-
რის ტყავი დარჩება“, ხოლო ჩვენში მუყიკები ამბობენ: „ყვე-
ლაფერი წარმავალია, მხოლოდ სიმართლე რჩება“. უმჯობესია,
ნუ წაგლესავთ, შემდეგში თქვენთვის ეს ცუდი იქნება. ესეც
არ იყოს, ენა ძალზე კვიმატურია, ფოკუსებიანი, ეს არ ვარგა.
უბრალოდ წერაა საჭირო, ხალხი უბრალოდ ლაპარაკობს,
თითქოს, აბნეულადაც, მაგრამ — კარგად. მუყიკი არ იკითხავს:
„რატომ არის მესამედი მეოთხედზე მეტი, თუ ყოველთვის
ოთხი სამზე მეტია“, როგორც ამას ერთი განსწავლული ქა-
ლიშვილი კითხულობდა. ფოკუსები საჭირო არ არის.

უკმაყოფილოდ ლაპარაკობდა, როგორც ჩანს, ძალიან არ
მოეწონა ჩემი წაკითხული. დუმილით გასცქეროდა სივრცეს
ჩემს იქით, შემდეგ მოლუშულმა თქვა:

— თქვენი მოხუცი არასიმპათიურია. მისი გულკეთილო-
ბისა არ გჭერა. აქტიორს არა უშავს, კარგია. თქვენ წაგიკი-
თხავთ „განათლების ნაყოფი?“ ჩემი იქაური მზარეული ჰგავს
თქვენს აქტიორს. პიესების წერა ძნელია. მეძავე ქალიც კარ-
გი გამოვიდა, ასეთები იქნებიან ცხოვრებაში. თქვენ გინახავთ
ასეთები?

— მინახავს.

— დიახ, ეს იგრძნობა. სინამდვილე ყველგან იჩენს თავს.
თქვენ ბევრს ლაპარაკობთ პირველი პირით, ამიტომ არ გამო-

გიდით ხასიათები და ყველა თქვენი ადამიანი ერთი სახისაა. ქალებს, ალბათ, თქვენ არ იცნობთ, ისინი არ გამოგიდით, არც ერთი. ივიწყებ მათ სახეებს...

მოვიდა ა. ლ-ს ცოლი და ჩაიხე მიგვიპატიყა; იგი წამოდგა და ისე სწრაფად წავიდა, თითქოს საუბრის დამთავრება გაუხარდაო.

X X X I V

— ყველაზე ცუდი სიზმარი რომელი გინახავთ?

მე იშვიათად მესიზმრება რამე და სიზმრებსაც ცუდად ვიშახსოვრებ, მაგრამ ორი სიზმარი ჩამრჩა მეხსიერებაში და, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება.

ერთხელ დამესიზმრა რალაც სურავანდიანი, დამყაყებულები ცა, მომწვანო-მოყვითალო ფერისა, ვარსკვლავები ასხდა მრგვალი, ბრტყელი, უსხივო, მიმქრალი, გამხდარ სხეულზე იარებივით მიმოფანტული. მათ შორის, დამყაყებულ ცაზე ზანტად დაიკლაკნებოდა მოწითალო ელვა. იგი ძლიერ წააგავდა გველს, და როცა ვარსკვლავს შეეხებოდა, ვარსკვლავი მაშინვე ბუშტივით იბერებოდა და უხმაუროდ სკდებოდა, თავის ადგილას კი მუქ ლაქას ტოვებდა — თითქოს კვამლიაო. — და სწრაფად უჩინარდებოდა ჩირქოვან თხელ ცაზე ასე, ზედიზედ დასკდა და დაიღუპა ყველა ვარსკვლავი. ცა გაშავდა შემადრწუნებელი გახდა, შემდეგ კვამლად შებოლქვდა, აშინდა და, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული, თავზე დამაცვივდა ლაბასავით, ხოლო ნაკუწებს შორის, განაფხრეწ ადგილებში, სხურავის რკინის მოელვარე სიშავე გამოკრთოდა. ლ. ნ-მ თქვა:

— ეს მეცნიერული წიგნის შედეგია, ალბათ, რაიმე წაიკითხეთ ასტრონომიიდან და კომმარიც აქედან გაჩნდა. სხვა სიზმარი?

სხვა სიზმარი: თოვლით დაფარული ვაკე, ქალაქის ფურცელივით გლუვი, არსად არც ბორცვი, არც ხე, არც ბუჩქი, მხოლოდ აქა-იქ მოჩანს თოვლში ამოწვერილი წკებლები. თოვლით გადაპენტილ მკვდარ უდაბნოში. პორიზონტიდან პორიზონტამდე წვრილ ზოლად მიიკლაკნება ძლივს გამოსახული გზა, ხოლო გზაზე ნელა მიაბოტებენ წაცრისფერი თექის ცარიელი ჩექმები.

მან ქაჯის ბანჯგვლიანი წარბები აზიდა, ყურადღებით და მკვირდა, ჩაფიქრდა.

— ეს საშინელებაა! მართლა ნახეთ ასეთი სიზმარი, ხომ არ მოგიგონიათ? ამაშიც არის რაღაც წიგნური.

და უეცრად, თითქოს გაჯავრდამო, უკმაყოფილოდ, მკაცრად დამიწყო ლაპარაკი, თანაც თითს მუხლზე იკაქუნებდა.

— თქვენ არ სვამთ, ხომ? გეტყობათ, არც უწინ იყავით მსმელი. ამ სიზმრებში კი რაღაც ჩანს სიმთვრალისა. იყო ერთი გერმანელი მწერალი ჰოფმანი. იმასთან კიდევ — ლომბერის მაგიდები ქუჩებში დარბოდნენ, და ბევრი ამის მსგავსი რამ. მაგრამ ის ხომ ლოთი იყო, — „კალაპოლიკი“, როგორც ნასწავლი მეეტლეები ამბობენ. ცარიელი ჩექმების სიარული — ეს, მართლაც, საშინელებაა! თუ თქვენ ეს მოიგონეთ კიდევ, მაინც ძალიან კარგია საშინელია!

მოულოდნელად ღიმილი გადაეფინა მთელ წვერზე, ყვრი-მალებიც კი გაუბრწყინდა.

— აბა, წარმოიდგინეთ: უეცრად ტვერსკაიაზე მორბის ლომბერის მაგიდა. აი, ისეთი — გამოზნექილფეხებიანი; ფიცრები ერაზუნება და ცარცს ამტვერებს, ციფრებიც კი მოჩანს, მწვანე მაულზე წარწერილი — მასზე სამი დღე და ღამე გადაბმით აქციზის ჩინოვნიკები ვინტს თამაშობდნენ, მან კი მეტი ვეღარ აიტანა და გამოიქცა.

ერთხანს იცინა, შემდეგ, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ, ცოტა არ იყოს, მეწყინა მისი ჩემდამი უნდობლობა:

— გწყინთ, რომ თქვენი სიზმრები წიგნური მგონია? ნუ იწყენთ, კარგად ვიცი, ხანდახან ისეთ რამეს შეთხზავ შენდა უნებურად, რომ ძნელი დასაჯერებელია, არავეთარ შემთხვევაში არ დაიჯერება, და გგონია, რომ შენ კი არ გამოგიგონია, არამედ სიზმრად გინახავს. ერთი მოხუცი მემამულე მოგვი-თხრობს, რომ დაესიზმრა, თითქოს ტყეში მიდის, გამოვიდა ველზე და რას ხედავს: ველზე ორი ბორცვია, და უეცრად ისინი ქალის ძუძუებად იქცნენ, ხოლო მათ შორის წამოიწია შავმა სახემ, თვალების ნაცვლად ორი მთვარე აქვს ლიბრით, თვითონ კი უკვე ქალის ფეხებს შუა დგას, ხოლო მის წინ — წყვდიადით მოცული ღრმა ხრამია, რომელიც ითრევეს მას. ამ მემამულეს ამის შემდეგ კალარა გაძოვრია, ხელეგმა

კანკალი დაუწყო, და საზღვარგარეთ ექიმ კნეპს მიმართა წყლით სამკურნალოდ. მას სწორედ ასეთი რამ უნდა დასიზმრებოდა — გარყვნილი კაცი იყო.

მხარზე ხელი დამკრა.

თქვენ ხომ არც ლოთი ხართ და არც გარყვნილი. ასეთი რამ როგორ გესიზმრებათ?

— არ ვიცი.

— არაფერი არ ვიციით ჩვენს თავზე!

მან ამოიხვნეშა, თვალები მოჭუტა, ფიქრს მიეცა და უფრო წყნარად დაუმატა:

— არაფერი არ ვიციით!

დღეს საღამოს, გასეირნებისას, მან ხელი გამომდო და მითხრა:

— ჩემები კი მიდიან. შემზარავია, არა? სულ ცარიელები — ტყაპ-ტყუპ, — თოვლი კი კრატუნობს! დიახ, კარგია და მაინც, თქვენ ძლიერ წიგნური ხართ, ძლიერი ნუ გაჯავრდებით და, წიგნურობა ცუდია, ხელს შეგიშლით.

საექვოა, ლ. ნ-ზე უფრო წიგნიერი ვიყო, მაგრამ იმჯერად კი მკაცრ რაციონალისტად მეჩვენა, მიუხედავად ყველა მისი დამატებითი შენიშვნისა.

X X X V

ხანდახან ისე ვეჩვენება, თითქოს ეს არის მოვიდა რომელიღაც შორეული მხრიდან, სადაც აღამიანები სხვაგვარად ფიქრობენ, სხვაგვარად გრძნობენ, სხვაგვარ ურთიერთობაში არიან, მოძრაობაც კი სხვაგვარი აქვთ და სხვა ენაზე ლაპარაკობენ. ზის კუთხეში, დაღლილი, ნაცრისფერი, თითქოს სხვა მიწის მტვრით დამტვერილი, და ყველას ყურადღებით უცქერის გარეშე და მუნჯი კაცის თვალებით.

გუშინ სადილობის წინ შემოვიდა სასტუმრო დარბაზში სწორედ ასეთი, ჩვენთვის შორეული. დივანზე ჩამოჯდა, წუთით იყუჩა, შემდეგ ხელებით მუხლების სრესა დაიწყო. ამ მოძრაობას ტანსაც აყოლებდა, წინ და უკან ირწეოდა. ბოლოს სახე შეკუმხნილმა მოულოდნელად თქვა:

— ეს კიდევ არ არის ყველაფერი, არა, არ არის ყველაფერი.

ვილაცამ, მუდამ ბრყვეულად რომ ეჭირა თავი და უთოსავით მუნჯად იყო, ახლა ჰკითხა:

— რაზე ბრძანებთ?

ლ. ნ. მიაშტერდა მას, შემდეგ ძირს დაიხარა, შემოხედა ტერასს, სადაც ეჭიმი ნიკიტინი, ელპატიევსკი და მე ვისხედით, და იკითხა:

— ვისზე ლაპარაკობთ?

— პლევეზე.

— პლევეზე... პლევეზე... — ფიქრებში წასულმა პაუზებით გაიმეორა, თითქოს, პირველად ესმის ეს სახელით, შემდეგ ფრინველივით შეიბერტყა და მკრთალი ღიმილით თქვა:

— დღეს დილიდან თავში სისულელე მიტრიალებს: ვილაცამ მითხრა, რომ სასათლაოზე ასეთი წარწერა წაიკითხა:

ჟ. ამ ქვის ქვეშ ივან ეგორის ძე განისვენებს,
დაბადი იყო ის ხელობით, ტყავებს აღობდა.
იყო კეთილი, მოსვენება არ ჰქონდათ ხელებს,
მოკვდა, არ არგო ცოლს ქარხანა, ცოლი დარდობდა.
იყო ჭარმაგი, გარჯა კიდევ შეეძლო დიდად,
მაგრამ უფალმა მიიბარა სამოთხის მკვიდრად
ბარასკევის და შაბათ ღამით ვნების კვირამი.

და კიდევ რაღაც ამის მსგავსი...

დადუმდა, შემდეგ თავის ქნევით და ოდნავი ღიმილით დაუმატა:

— ადამიანის სისულელეში — თუ იგი ბოროტული არაა — არის რაღაც გულის შემძვრელი რამ... მიმზიდველიც კი... ყოველთვის არის...

სადილზე მიგვიწვიეს.

XXXVI

— მე არ მიყვარს მთვრალი ადამიანები, მაგრამ ვიცნობ ისეთებს, რომლებიც სიმთვრალეში საინტერესონი ხდებიან, მათთვის სიფხიზლეში უჩვეულო გონებამახვილობას, აზრის სილამაზეს, სიტყვის მარჯვედ და მდიდრულად გამოყენების უნარს იძენენ. მაშინ მზადა ვარ, დავლოცო ღვინო.

სულერი გვიამბობდა: ერთხელ ლევ ნიკოლოზის ძეს თან
ახლდა ტვერსკაიაზე. ტოლსტოიმ შორიდან შენიშნა ორი ბეგ-
თაროსანი. მზეზე მოლაპლაპე სპილენძის საჭურვლით აღკაზ-
მულნი, დეზების ქლარუნით, ფეხაწყობილნი მოდიოდნენ
ისინი, თითქოს ერთმანეთს შეზრდიანო, სახეებიც კი უბრწყინ-
ავდათ ძალისა და სიჭაბუკის თვითკმაყოფილებით.

ტოლსტოიმ მათი გაკიცხვა დაიწყო:

— რა დიადი სისულელეა! ესენი ხომ ნამდვილი პირუტყ-
ვები არიან, ჯოხით გაწვრთნილი პირუტყვები...

მაგრამ როდესაც ბეგთაროსნებმა გვერდით ჩაუარეს, გა-
ჩერდა, ალერსიანი მზერა გააყოლა და აღტაცებით თქვა:

— რა ლამაზები არიან! ძველ რომაელთ ჰგვანან, ხომ, ლე-
ვუშკა? ძალა, სილამაზე, — აჰ, ღმერთო ჩემო! რა კარგია,
როცა ადამიანი ლამაზია, რა კარგია!

XXXVII

ერთ სიცხიან დღეს მან ქვემო გზაზე გამასწრო: ლივადიის
მიმართულებით მიდიოდა; პატარა თათრულ თვინიერ ცხენზე
იჯდა.

ნაცრისფერი, აბურძგნილი, თექის მსუბუქი სოკოსმაგვარი
თეთრი შლიაპით გნომს მოჰგავდა.

ცხენი შეაყენა, გამომესაუბრა. მე გვერდით მივყევი და
სხვათაშორის, ვუთხარი, რომ ვ. გ. კოროლენკოს წერილი მი-
ვიღე. ტოლსტოიმ გაჯავრებით შეარხია წვერი:

— მას ღმერთი სწამს?

— არ ვიცი.

— მთავარი. რამ არ გცოდნიათ. მას სწამს, მაგრამ ერცხ-
ვინება ამის აღიარება ათეისტების წინაშე.

ბუზღუნით, ახირებით, გულმოსულად თვალმოქუტულო
ლაპარაკობდა. აშკარა იყო, ხელს ვუშლიდი, მაგრამ როცა წას-
გლა დავაპირე, შემაჩერა:

— თქვენ საით? მე ნელა მოვდივარ. .
და კვლავ აბუზღუნდა:

— თქვენს ანდრეევსაც ათეისტებისა რცხენია, ღმერთი კი მასაც სწამს და ეშინია კიდევაც.

დიდი მთავრის ა. მ. რომანოვის მამულის საზღვართან გზაზე საუბრობდა ერთმანეთთან ახლო მდგომი სამი რომანოვი: აი-ტოდორის პატრონი, გიორგი, და კიდევ ერთი — მგონი, ბეტრე ნიკოლოზის ძე დიულბერიდან — ყველანი წარმოსადგენი, ახოვანნი. გზა გაეხერგა ერთცხენიან ეტლს, გარდი-გარდმო დამდგარიყო საჯდომი ცხენი. ლევ ნიკოლოზის ძეს გასაველელი ადგილი აღარ ჰქონდა. მან მკაცრად, მომთხოველად შეხედა რომანოვებს. მაგრამ მათ ადრევე შეაქციეს ზურგი. საჯდომი ცხენი აწრიალდა, ოდნავ გვერდზე მიდგა, ეზა მისცა ტოლსტოის ცხენს.

ლ. ნ. ორიოდე წუთს მდუმარედ მიდიოდა, შემდეგ თქვა:
— მიცნეს სულელებმა...

წუთის შემდეგ დაუმატა:

— ცხენი კი მიხვდა, რომ ტოლსტოის გზა უნდა მისცე:

XXXVIII

„გაუფრთხილდით თქვენს თავს, უპირველეს ყოვლისა, თქვენი თავისათვის, მაშინ სხვებსაც მეტი შეხვდებათ“.

XXXIX

„რას ნიშნავს ცოდნა? აი, მე ვიცი, რომ ვარ ტოლსტოი, მწერალი, მყავს ცოლი, შვილები, მაქვს ჭალარა თმა, უშნო სახე, წვერი, — ყოველივე ამას პასპორტებში აღნიშნავენ. სულის შესახებ კი პასპორტებში არაფერს წერენ. სულის შესახებ მე ვიცი ერთი რამ: სულს სწადია ღმერთთან სიახლოვე. ღმერთი რაღა არის? ის, რისი ნაწილაკიც არის ჩემი სული. ეს არის და ეს. ვინც აზროვნებას მიჩვევია, მას რწმუნება უქირს, ღმერთით არსებობა კი მხოლოდ რწმენით შეიძლება. ტერტულიანმა თქვა: „აზრი არის ბოროტებაო“.

მიუხედავად თავისი მოძღვრების ერთფეროვნებისა — უსაზღვროდ მრავალფეროვანია ეს ზღაპრული ადამიანი.

დღეს, პარკში, გასპრის მოლასთან საუბრის დროს, მამიამიამ მიუთითებდა მუთიკივით ეჭირა თავი, რომელსაც უკვე დრო დაუდგა თავისი აღსასრულის დღეზე ფიქრისა. პატარა და, თითქოს, განგებ კიდევ უფრო მოკუნტული, ჭანიანი და სოლიდური თათრის გვერდით მოგაგონებდათ ბერიკაცს, რომლის სული პირველად დაფიქრდა ყოფნის არსზე და ეშინია მასში აღძრული კითხვებისა. გაოცებით ასწევდა ხოლმე ბანჯგვლიან წარბებს, შიშით ახამხამებდა მახვილ თვალებს, რომელთა აუტანელი გამქოლი ცეცხლი ჩაექრო. მისი გულთამხილავი მზერა უძრავად ჩაჰფრენოდა მოლას ფართო სახეს, გუგებს დაეკარგათ ის სიმახვილე, ადამიანებს რომ აძრწუნებდა ხოლმე. იგი მოლას აძლევდა „ბავშვურ“ კითხვებს ცხოვრების არსზე, სულსა და ღმერთზე, ამასთან, უჩვეულო მოხერხებით ცვლიდა ყურანის სურებს სახარებისა და მოციქულთა სტრიქონებით. არსებითად იგი თამაშობდა, და თამაშობდა გასაოცარი ოსტატობით, რაც მხოლოდ დიდ მსახიობსა და ბრძენს შეუძლია.

რამდენიმე დღის წინათ კი, როცა ტანეევსა და სულერს მუსიკაზე ელაპარაკებოდა, ბავშვივით აღტაცებული იყო მისი სილამაზით, და ჩანდა, რომ მოსწონდა თავისი აღტაცება, — უფრო ზუსტად: აღტაცების თავისი უნარი. თქვა, მუსიკის შესახებ ყველაზე უკეთ და ღრმად შოპენჰაუერი წერდაო, ამასთან, მოჰყვა სასაცილო ანექდოტს ფერტზე და მუსიკას „სულის მუნჯი ლოცვა“ უწოდა.

— როგორ თუ მუნჯი? — ჰკითხა სულერმა.

— იმიტომ, რომ უსიტყვოა. ბგერაში უფრო მეტი სულია, ვიდრე აზრში. აზრი ქისაა, მასში შაურიანები ყრია, ბგერა კი არაფრით არ არის წაბილწული, შინაგანად წმინდაა.

აშკარად სიამოვნებდა ყმაწვილური სიტყვებით ლაპარაკი. უცხად ახსენდებოდა ყველაზე საუკეთესო, სათუთი სიტყვები. მერე მოულოდნელად ჩაიცინა წვერებში და წარმოთქვა: სათუთად, მოფერებასავით:

— ყველა მუსიკოსი სულელია, და რაც უფრო ნიჭიერია მუსიკოსი, მით უფრო გონებაშეზღუდულია. საოცარია, რომ თითქმის ყველა მათგანი მორწმუნეა.

XLI

იესოვს — ტელეფონით:

— ისეთი კარგი დღე გამითენდა, ისეთი ბედნიერი ვარ, რომ მინდა, თქვენც ბედნიერი იყოთ. განსაკუთრებით — თქვენი თქვენ ძალიან, ძალიან კარგი ხართ!

XLII

ლ. ნ. არ უსძენს და არც სჭერა, როცა იმას არ ლაპარაკობენ, რაც საჭიროა, არსებითად ის კი არ გეკითხებათ, არამედ — დაკითხვას გიწყობთ ისე, ვით იშვიათი ნივთების შემგროვებელი, იგი იღებს მხოლოდ იმას, რასაც არ შეუძლია მისი კოლექციის ჰარმონია დაარღვიოს.

XLIII

ფოსტის გარჩევის დროს:

— ერთ ამბავში არიან, მწერენ, მაგრამ მოვკვდები და, ერთი წლის შემდეგ იკითხავენ: ტოლსტოი? ჰო, ის გრაფი, თვითონ რომ ცდილობდა ჩექმების შეკერვას და რაღაც დაეშართა, — ის, ხომ?

XXLIV

რამდენჯერმე მინახავს მის სახეზე, მის გამომეტყველებაში იმ კაცის ეშმაკური და კმაყოფილი ღიმილი, რომელიც მოულოდნელად წააწყდა თავის მიერვე გადაძალულ რაღაცას. მან რაღაც გადაძალა და დაავიწყდა, სად დამალა. მრავალი დღე იდუმალ წუხდა, სულ იმას ფიქრობდა: სად ჯანდაბაში წავიდე ეს ჩემთვის აუცილებელი რამო. და — ეშინოდა, რომ ადამიანები შეამჩნევდნენ მის შესუფოთებას, მიხვდებოდნენ, რომ რაღაც დაკარგა, შეამჩნევდნენ და — რაღაც უსიამოვნებას

შეამთხვევდნენ. და აი, მოულოდნელად გაახსენდა, იპოვას სიხარულით აივსო და, აღარ ცდილობს ამის დაფარვას, ეშმაკურად უცქერის ყველას, თითქოს ეუბნება:

„ველარაფერს დამაკლებთ“.

მაგრამ იმას კი არ ამხელს, რა იპოვა და სად.

ლ. ნ. მუდამ გაოცებას იწვევს შენში და ეს არასოდეს მოგბეზრდება, მაგრამ მაინც ძნელია მასთან ხშირად შეხვედრა, მე მასთან ერთ სახლშიაც ვერ ვიცხოვრებდი, არათუ — ერთ ოთახში. ეს უდაბნო იქნებოდა, სადაც მზეს ყველაფერი გადაუტრუსავს, ხოლო თვითონ მზეც მთლიანად იწვის და უსასრულო შავი ლამე გემუქრება.

წ ა რ ი ლ ი

ის იყო გამოგიგზავნეთ წერილი, რომ დებეშები მოვიდა „ტოლსტოის გაქცევის“ შესახებ. და, აი, — ფიქრით ჯერ კიდევ თქვენთან დაკავშირებული, — კვლავ გწერთ.

ალბათ, ყველაფერი, რის თქმაც მინდა ამ ახალი ამბის გამო, ვერ გამომივა დალაგებულად, შესაძლოა, მკაცრად და სასტიკადაც გამომივიდეს, — მაგრამ უნდა მომიტევეთ, გეთაყვა, — მე ახლა ისეთ დღეში ვარ, თითქოს ყელში მწვდნენ და მახრჩობენ.

მას ბევრჯერ და დიდხანს უსაუბრია ჩემთან; ყირიმში, გასპრში ცხოვრების დროს, მე ხშირად დავდიოდი მასთან. ისიც სიამოვნებით მეწვეოდა ხოლმე: მე ყურადღებითა და სიყვარულით ვკითხულობდი მის წიგნებს, — და, მგონია, უფლება მაქვს, ვთქვა მასზე ის, რასაც ვფიქრობ, თუნდაც ეს იყოს კადნიერება და ბევრად არ მიუდგეს მისდამი საერთო დამოკიდებულებას. სხვებზე ნაკლებად როდი ვიცი, რომ არ არსებობს ადამიანი, ვისაც მასზე მეტი უფლება ჰქონდეს, განიოსად იწოდებოდეს, მასზე მეტად რთული, წინააღმდეგობრივი იყოს, მასზე საუცხოო იყოს ყველაფრით, დიახ, დიახ, ყველაფრით; იყოს რაღაც ისე განსაკუთრებით მომხიბლავი, რომ სიტყვებით ვერ გამოვთქვამ. მასში არის რაღაც ისეთი, რაც ყოველთვის აღმიძრავდა ხოლმე სურვილს — მეთქვა ყველა-

სა და თითოეულისათვის: შეხედეთ, რა საოცარი ადამიანთა ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, რადგან იგი, ასე ვთქვათ, ყოვლისა შემცველია და, უპირველეს ყოვლისა, კაცია, — კაცი კაცობრიობისა.

მაგრამ მე მუდამ არ მომწონდა მისი უნიანი, დესპოტური მისწრაფება, რომ გრაფ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ცხოვრება გადაეჭვია „ცხოვრებად წმიდათა თანა შერაცხულისა მამისა ჩვენისა ნეტარისა ბოიარისა ლევისა“. მოგვხსენებათ — დიდი ხანია ცდილობდა, „წამებულიყო“; მან ევგენი სოლოვიოვს და სულერს შესჩივლა იმის გამო, რომ ამას ვერ მიაღწია. მაგრამ მას სურდა წამებულიყო არა უბრალოდ, არა იმის ჩვეულებრივი მისწრაფებით, რომ შეემოწმებინა თავისი ნებისყოფის სიმტკიცე, არამედ აშკარა და — ვიშეორებ — იმ დესპოტური მიზნით, რომ უფრო მძიმე და ძლიერი გაეხადა თავისი მოძღვრება, შეუვალად ექცია თავისი ქადაგება თავისი წამებით, ეკურთხებინა იგი ადამიანთა თვალში და იძულებული გაეხადა ისინი, მიეღოთ ეს მოძღვრება. თქვენ გესმით? — იძულებული გაეხადა, რადგან მან იცის, რომ ეს მოძღვრება საკმაოდ დამაჯერებელი როდია; მის დღიურებში აქვენ — მომავალში — ამოიკითხავთ თავისი ქადაგებისა და პიროვნებისადმი მისივე სექტიკური დამოკიდებულების კარგნიმუშებს. მან იცის, — „იშვიათია, რომ წამებულნი და ტანჯულნი დესპოტები და მოძალადენი არ იყვნენ“, მან ყველაფერი იცის და მაინც ამბობს: „ჩემი აზრებესათვის რომ ვეწამო, ისინი სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენდნენ“. ეს მე ყოველთვის განმარიდებდა მას, რადგან არ შემიძლია ამაში არ დავიანხო ჩემზე ძალადობის მოხდენის ცდა, იმის სურვილი, რომ დაეუფლონ ჩემს სინდისს, დააბრმავონ იგი უმანკო სისხლის ბრწყინვალეობით, დოგმატიზმის უღელი დამადგან კისერზე.

იგი მუდამ ძლიერ აქებდა უკვდავებას იმქვეყნად, მაგრამ უკვდავება მას ამქვეყნიური უფრო მოსწონს. მან, ეროვნულმა მწერალმა, ამ ცნების ყველაზე უფრო ჭეშმარიტი გაგებით, თავის უდიდეს სულში განასხეულა ერის ყველა ნაკლი, ჩვენდისტორიის წამებათა მიერ მოყენებული ყველა სისახიჩრე... მასში ყველაფერი ეროვნულია, და მისი მთელი მოძღვრებაც —

რეაქციაა წარსულისა, ატავიზმია, რომელიც ის იყო თავიდან უნდა მოგვეცილებინა, დაგვეძლია.

მოიგონეთ მისი წერილი „ინტელიგენცია, სახელმწიფო, ხალხი“, 905 წელს რომ დაწერა, — როგორი შეურაცხმყოფელი და ღვარძლიანია მასში პირდაპირ გამოსპვივის სექტანტური: „აჰა, არ გამიგონეთ, ხომ!“ მე მაშინ დაეწერე მისთვის გასაგზავნი პასუხი, რომელიც ეყრდნობოდა ჩემთვის ნათქვამ მისსავე სიტყვებს, რომ მან „დიდი ხანია დაკარგა უფლება, ილაპარაკოს რუს ხალხზე და მისი სახელით“; მე ხომ მოწმე ვარ იმისა, რომ მას არ სურდა, მოესმინა და გაეგო ხალხისა, რომელიც მასთან მოდიოდა გულახდილად სასაუბროდ. ჩემი წერილი მკაცრი იყო და მე აღარ გამიგზავნია მისთვის.

აი, ახლა იგი აკეთებს თავის, ალბათ, უკანასკნელ ნახტომს, რომ თავის აზრებს ყველაზე უფრო მაღალი მნიშვნელობა მისცეს. მას, საერთოდ, ვასილი ბუსლაევისებურად უყვარდა ხტომა, მაგრამ ყოველთვის — თავისი წმინდანობის დამკვიდრებისა და შარავანდის ძიებისაკენ. ეს ინკვიზიტორულია, თუმცა მოძღვრება მისი გამართლებულია რუსეთის ძველი ისტორიითა და გენიოსის პირადი წამებით. წმინდანობას აღწევენ იმით, რომ შეჭხარიან ცოდვებს, ხუნდებს აღებენ სიცოცხლისადმი ლტოლვას...

ლევ ნიკოლოზის ძის პიროვნებაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ზოგჯერ ჩემში მისდამი სიძულვილისმაგვარ გრძნობას იწვევდა და აუტანელ სიმძიმედ აწვებოდა ჩემს სულს. მისი უზომოდ გაზარდილი პიროვნება საშინელი მოვლენაა, თითქმის მახინჯიც, არის მასში რაღაც სვიატოგორ-დეგემირისა, რომელსაც მიწა ვერ უძლებს. დიახ, ის ვეებერთელაა ღრმად მწამს, რომ ყოველივე იმის გარდა, რაზედაც იგი ლაპარაკობს, ბევრია ისეთი რამ, რაზედაც მუდამ დუმს, — თავის დღიურშიაც კი, — დუმს და, ალბათ, არასოდეს არავის გაუმხელს. ეს „რაღაც“ მხოლოდ ზოგჯერ და ისიც ნართაულად თუ გამოიჭიატებდა მის საუბარში, ნართაულად გამოსპვივის იგი დღიურის ორ რვეულში, რომლებიც მან წასაკითხად გადმოგვცა მე და სულერეიცკის; ეს „რაღაც“ მე „ყველა მტკიცებათა უარყოფის“ მსგავს რამედ მეჩვენება — უღრმეს და უბოროტეს ნიჰილიზმად, რომელიც აღმოცენდა უსაზღვრო, მოუშორებელი

სასოწარკვეთილებისა და მარტოობის ნიადაგზე, რაც ამ ადამიანამდე, ალბათ, არავის არ განუცდია ასეთი საშინელი სიციხადით. იგი ხშირად მეჩვენებოდა ისეთ კაცად, რომელიც სულის სიღრმეში ურყევად გულგრილია ადამიანებისადმი, ისე მალლა დგას, ისე ძლიერია მათთან შედარებით, რომ ყველანი მწერებად ეჩვენება, ხოლო მათი ფუსფუსი — სასაცილოდ და შესაბრალისად. იგი ძლიერ შორს წავიდა მათგან, სადღაც უდაბნოში, და იქ თავისი სულის მთელი ძალების უდიდესი დაძაბვით მარტოდმარტო ჩასცქერის „ყველაზე მთავარს“ — სიკვდილს.

ყოველთვის ეშინოდა სიკვდილისა და სძულდა იგი, მისი სულის მახლობლად მუდამ თრთოდა „არზამასის საშინელება“, როგორ, ის, ტოლსტოი, უნდა მოკვდეს? მთელი მსოფლიო, მთელი დედამიწა შემოსცქერის მას; ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ამერიკიდან — ყოველი მხრიდან მასთან გაბმულია ცოცხალი, მთრთოლარე ძაფები, მისი სული ყველას ეკუთვნის და — სამუდამოდ! რატომ არ უნდა დაუშვას ბუნებამ თავისი კანონის გამონაკლისი და არ უნდა უბოძოს ერთ ადამიანს ფიზიკური უკვდავება, რატომ? ცხადია, ისეთი გულუბრყვილო არ არის, რომ სასწაულისა სწამდეს, მაგრამ, მეორე მხრივ — იგი შფოთისთავია, გამომცდელია და ახალგაზრდა რეკრუტივით, უცნობი ყაზარმის შიშით სასოწარკვეთილი შმაგობს. მახსოვს, გასპრში, გამოჯანმრთელების შემდეგ, წაიკითხა ლევ შესტოვის წიგნი — „კეთილი და ბოროტი ნიკშესა და გრაფ ტოლსტოის მოძღვრებაში“. პასუხად ა. პ. ჩეხოვის შენიშვნისა, რომ „ეს წიგნი მას არ მოსწონს“, თქვა:

— მე კი თავი შემაქცევენა. თავმომწონეობით არის დაწერილი, მაგრამ მაინც არა უშავს, საინტერესოა. მე ცინიკოსები მიყვარს, თუ გულწრფელნი არიან. აი, რას ამბობს: „ჭეშმარიტება ზედმეტიაო“, და ეს სწორია. რად უნდა ჭეშმარიტება? სულ ერთია, მოკვდება.

ალბათ, მიხვდა, რომ მისი სიტყვები ვერ გავიგეთ, და მწარე ღიმილით დაუმატა:

— თუ ადამიანი მიეჩვია ფიქრს, — რაზედაც უნდა ფიქრობდეს, — ყოველთვის თავის სიკვდილზე ფიქრობს. ასეთია

ყველა ფილოსოფოსი. ხოლო — რაღა ჭეშმარიტებაა, თუ სიკვდილი არ აგცდება?

შემდეგ თქვა, რომ ჭეშმარიტება ყველასათვის ერთია — ღვთის სიყვარული; მაგრამ ამ თემაზე გულცივად და უნიათოდ ლაპარაკობდა. ხოლო საუზმის შემდეგ, აივანზე, კვლავ აიღო წიგნი და მონახა ის ადგილი, სადაც ავტორი წერს: „ტოლსტოის, დოსტოევსკის, ნიცშეს არ შეეძლოთ ისე არსებობა, თუ ვერ იპოვიდნენ პასუხს თავიანთ კთხვებზე. მათთვის ყოველგვარი პასუხი უკეთესი იყო, ვიდრე არაფერი“. ამზე გაიცინა და თქვა:

— აი, რა გაბედული პარიკმახერია; პირდაპირ ასე წერს, რომ მე თავი მოვიტყუე, მაშასადამე, სხვებიც მოვატყუე, ხომ ნამდვილად ასე გამოდის....

სულერმა ჰკითხა:

— რატომ — პარიკმახერი?

— ისე, — დაფიქრებით უპასუხა მან. — აზრად მომივიდა, მოდურია, კობტა, და ამან მომაგონა სოფელში მუყიკი ბიძის ქორწილში ჩასული მოსკოველი პარიკმახერი. საუკეთესო მანერები აქვს, ლანსიესაც ცეკვავს, ამიტომ ყველა ეჭაგრება.

ეს საუბარი თითქმის სიტყვასიტყვით მომყავს, იგი ძლიერ ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში და ჩაწერილიც კი მქონდა, როგორც ბევრი სხვა რამ, რასაც გავუოცებივარ ხოლმე. მე და სულერეიცკის ბევრი რამ ჩაგვიწერია, მაგრამ სულერმა გზაში დაკარგა თავისი ჩანაწერები, როცა ჩემთან მოემგზავრებოდა არზამასში. საერთოდ, დაუდევარი კაცი იყო და თუმცა სათუთად უყვარდა ლევ ნიკოლოზის ძე, მაგრამ როგორღაც საოცრად ეკიდებოდა მას, თითქოს ოდნავ მედიდურადაც კი; მეც სადღაც ჩავდევნი ჩემი ჩანაწერები და ვეღარ მიპოვია, ვილაცასთან დარჩა რუსეთში. ყოველთვის ძლიერ ყურადღებით ვაკვირდებოდი ტოლსტოის, რადგან ვეძებდი, აქამდე ვეძებ და სიკვდილამდე ვეძებ ცოცხალი, ჭეშმარიტი რწმენის ადამიანს. და კიდევ იმიტომ, რომ ერთხელ ა. პ. ჩეხოვმა, ჩვენს უკულტურობაზე რომ ლაპარაკობდა, შემომჩივლა:

— გოეთეს თითოეულ სიტყვას იწერდნენ, ტოლსტოის აზრები კი ჰაერში იკარგება. ეს, მოწყალეო ხელმწიფე, რუ-

სული აუტანელი დაუდევრობაა. ბოლოს გაახსენდებით, და იწყებენ მოგონებების წერას და იცრუებენ.

მაგრამ ისევ შესტოვის შესახებ:

— ამბობს, არ შეიძლება ისე ცხოვრება, რომ საშინელ მოჩვენებებს ხედავდეთ. მან საიდანღა იცის, შეიძლება თუ არ შეიძლება? მას რომ ცოდნოდა, მას რომ მოჩვენებები დაე-ნახა, ასეთ უბრალო რამეებს არ გამოუდგებოდა და სერიოზულ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, რასაც მთელ მის სიცოცხლეში აკეთებდა ბუღა.

უთხრეს, რომ შესტოვი ებრაელია.

— არა მგონია, — უნდობლად თქვა ლ. ნ-მ. — არა ჰგავს ებრაელს; ურწმუნო ებრაელები არ არსებობენ, დამისახელებთ თუნდაც ერთი... არ არსებობენ!

ხანდახან ისე მოგეჩვენებოდა, რომ ეს ბებერი ჯადოქარი სიკვდილს ეთამაშება, ეკეკლუცება მას და ცდილობს, როგორმე მოატყუოს: მე არ მეწინია შენი, მე შენ მიყვარხარ, მე მოგელი შენ. ამავე დროს კი თავისი მახვილი თვალებით ჩასტკერის: როგორი ხარ? რა არის შენს მიღმა, შენს შემდეგ? სრულებით მომსპობ თუ კიდევ იცოცხლებს ჩემი რაიმე?

საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი სიტყვები: „მე კარგადა ვარ, უზომოდ კარგად. მეტისმეტად კარგადა ვარ“. და ამის შემდეგ, მაშინვე: „ნეტავი ვეწამო“. წამება — ესეც მისი ჭეშმარიტება; იოტისოდენადაც არ მეეჭვება, რომ ჯერ კიდევ ნახევრად ავადმყოფი, გულწრფელად ბედნიერი იქნებოდა, საპყრობილეში ჩაესვათ, გადაესახლებინათ, საერთოდ — მოწამებრივი გვირგვინი დაედგათ. ალბათ, წამებას შეუძლია, რამდენადმე მაინც გაამართლოს სიკვდილი, უფრო გასაგები, მისაღები გახადოს იგი — გარეგნული, ფორმალური მხრით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, არასოდეს არ ყოფილა კარგად, არასოდეს და არსად: არც „ღიადი სიბრძნის წიგნებში“, არც „ცხენის ზურგზე“, არც „ქალის გულმკერდზე“ მას არ განუცდია სრულად „ამქვეყნიური სამოთხის“ სიტკბოებანი. იგი ხომ მეტად გონიერია და ძალიან კარგად იცნობს ცხოვრებას, ღღამიანებს. აი, კიდევ მისი სიტყვები:

„ხალიფა აბდურახმანს სიცოცხლეში თოთხმეტი ბედნიერი დღე ჰქონდა, მე კი, ალბათ, ამდენი არა მქონია. სულ კი იმის

ბრალია, რომ არასოდეს არ მ:ცხოვრია. — არ შემ:ძლია, ეიცხოვრო ჩემთვის, ჩემი სულისათვის, მხალოდ სხვების დასახავად, ადამიანებისათვის ვცხოვრობ*.

ა. ბ. ჩეხოვმა ერთხელ, მასთან ყოფნის შემდეგ, მითხრა: „არა მჯერა, რომ ბედნიერი არ იყოს“. მე კი მჯერა. არ იყო ბედნიერი. მაგრამ მართალი არაა, თითქოს „სხვების დასახავად“ ცხოვრობდა. დიახ, რაც მეტი ჰქონდა, ადამიანებს აძლევდა; მოსწონდა, როცა აიძულებდა მათ, საერთოდ — „აიძულებდა“ კითხვას, სვირნობას, მხოლოდ ბოსტნეულის ჰამას, მუჟიკის სიყვარულს და ლევ ტოლსტოის გონებრივ-რელიგიური ვარაუდების უცდომლობის რწმენას. სურს მიაჩიროს ადამიანებს რაიმე, რაც დააკმაყოფილებს ან შეიქცევს მათ, — ოღონდ ჩამოეხსნან, დატოვონ იგი ჩვეულ, მოწამებრივ და ხანაც მყუდრო მარტოობაში იმ უძირო მორევის წინაშე, რასაც შეიცავს კითხვა „მთავარის“ შესახებ.

ყველა რუსი მქადაგებელი, აბაკუმისა და, შესაძლოა, ტიხონ ზადონელის გარდა, — გულცივი ადამიანი იყო, რადგან ცოცხალი და მოქმედი რწმენა არ გააჩნდათ. როცა მე ლუკას ვნატაედი „ფსკერში“, სწორედ ამგვარი მოხუცის წარმოსახვა მინდოდა: მას აინტერესებს „ყოველგვარი პასუხი“ და არა ადამიანები: მას არ ძალუძს, თავი დააღწიოს მათთან შეხვედრას და როცა ხვდება, ანუგეშებს მათ, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ხელი არ შეუშალონ ცხოვრებაში. და ასეთი ადამიანების მთელი ფილოსოფია, მთელი ქადაგება მოწყალეობაა, რომელსაც ისინი გასცემენ ხოლმე დაფარული ზიზლით, და ამ ქადაგებაში მოისმის ასევე ლატაკი, შესაბრალისი სიტყვები:

„დამეხსენით! გიყვარდეთ ღმერთი ან მოყვასი და დამეხსენით! შეაჩვენეთ ღმერთი, გიყვარდეთ უცხონი, მე კი — დამეხსენით! დამეხსენით, ვინაიდან მე ადამიანი ვარ და, აი, სისიკვდილოდ განწირული“.

ოღონდაც, ეს ასეა, დიდი ხანია — ასეა სხვაგვარად არც შეიძლებოდა და არც შეიძლება, რადგან მოიქანცნენ ადამიანები, გაწვალდნენ, საშინლად გათიშულნი არიან, ისინი შეუბოქავს მარტოობას, რომელიც მათ სულს სწოვს. ლ. ნ. რომ ეკლესიას შერიგებოდა, ეს ოღნავადაც არ განმაცვიფრებდა. ამას

თავისი ლოგიკა ექნებოდა: ყველა ადამიანი ერთნაირად პატარაა, თუნდაც იგი ეპისკოპოსი იყოს. არსებითად, ეს არც იქნებოდა "შერიგება, პირადად მისთვის ეს აქტი მხოლოდ ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა: „შევუნდობ მოძულეთა ჩემთა“. ქრისტიანული საქციელია, და მის მიღმა იმალება მსუბუქი, მწვავე, დამცინავი ღიმილი, ეს ღიმილი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ჭკვიანი კაცის მისაგებელი ბრძევებისადმი.

მე მაინც ვერ ვწერ იმას, რაც საჭიროა, ვერ ვწერ ისე, როგორც საჭიროა. ჩემს სულში ძალი ყმუის, და რაღაც უბედურება მელანდება. აი, მოვიდა გაზეთები და უკვე ცხადია: თქვენთან დაუწყიათ „ლეგენდის“ შეთხზვა“, — იყო და არა იყო რა, იყვნენ ზარმაცები და უსაქმურები, და მოიპოვეს — წაინდანი. წარმოიდგინეთ, როგორ საზიანოა ეს ჩვენი ქვეყნისათვის სწორედ ახლა, როცა იმედგაცრუებულ ადამიანებს ძირს დაუხრიათ თავი, უმეტესთა სული დაცარიელებულა, ხოლო საუკეთესოთა სული მწუხარებას მოუცავს. ლეგენდა უნდათ მშვივრებს, წამებულთ. სურთ დაიყუჩონ ტკივილები, შეიმსუბუქონ წამება. და შეთხზავენ სწორედ იმას, რაც მას სურდა, მაგრამ რაც საჭირო არ არის, — ნეტარისა და წმინდანის ცხოვრებას, ის კი დიდი და წმინდა იმით არის, რომ ადამიანია, განსაკვიფრებელი და საოცრად ლამაზი ადამიანი, მთელი კაცობრიობის ადამიანი. აქ მე რაღაცაში ვეწინააღმდეგები საკუთარ თავს, მაგრამ ეს არაფერია. იგი მაძიებელია ღვთისა არა თავისთვის, არამედ ადამიანებისათვის, რომ ღმერთმა დასტოვოს იგი, ადამიანი, მის მიერ არჩეული უდაბნოს მყუდროებაში. მან მოგვცა სახარება, ხოლო ქრისტეს წინააღმდეგობანი რომ დავივიწყოთ, გაამარტივა მისი სახე, შეარბილა მისი მებრძოლური საწყისი და წამოაყენა თვინიერი „ნება მომვლინებელისა“. ექვს გარეშეა, რომ ტოლსტოის სახარება უფრო მისაღებია, რადგან იგი უფრო უდგება რუსი ხალხის „ტკივილებს“. საჭირო იყო რაიმეს მიცემა ამ ხალხისათვის, რადგან იგი ჩივის, კვნესით აძრწუნებს დედამიწას და „მთავარისაგან“ განარინებს ხოლმე ყურადღებას. ხოლო „ომი და მშვიდობა“ და ამგვარი სხვა ყველაფერი ვერ დააშოშმინებს რუსეთის რუხი მიწა-წყლის მწუხარებასა და სასოწარკვეთას.

„ომისა და მშვიდობის“ გამო თვითვე ამბობდა: „ყალბი

თავმდაბლობა იქით იყოს და, ვიტყვი, „ილიადას“ მსგავსი-მეტქი“. მ. ი. ჩაიკოვსკის უშუალოდ მისგან მოუსმენია „ბავ-შვობის“, „ყრმობის“ ზუსტად ასეთივე შეფასება.

ახლახან მეწვიენენ ნეაპოლელი ჟურნალისტები, — ერთი მათგანი უკვე რომიდან მოვარდა. მთხოვენ, ვუთხრა, თუ რას ვფიქრობ ტოლსტოის „გაქცევის“ გამო. — სწორედ ასე ამბობენ „გაქცევა“. უარი ვთქვი მათთან საუბარზე. თქვენ, უეჭველია, გესმით, რომ ჩემი სული მძაფრ შემფოთებას მოუცავს, — არა მსურს, წმინდანად გიხილო ტოლსტოი; დაე, ცოდვილად დარჩეს, სულ ერთიანად ცოდვილი სამყაროს გულის მახლობელ ადამიანად, თითოეული ჩვენგანის გულის მუდამ მახლობელ ადამიანად. პუშკინი და ლ. ნ. — ამაზე უფრო დიდებული და ძვირფასი ჩვენთვის არაფერია...

ლევ ტოლსტოი მოკვდა.

მიღებულია დეპეშა და მასში ჩვეულებრივი სიტყვებითაა ნათქვამი — გარდაიცვალა.

ამან შიგ გულში დამკრა. მწუხარებისა და ბოღმისაგან ავღრიალდი და, აი, ახლა, გაოგნებული მას ისეთს წარმოვიდგენ, როგორსაც ვიცნობდი, როგორიც მინახავს. საშინლად მწაღია მასზე ლაპარაკი. წარმოვიდგენ მას კუბოში; წევს, ვით გლუვი ქვა ნაქადულის ფსკერზე, და, ალბათ, ჭაღარა წვერში ჩუმად მიმალულა მისი — ყველასათვის უცხო — მოჩვენებითი ღიმილი და ხელებიც, დაბოლოს, წყნარად დაუკრეფი. გულზე — მათ მოიხადეს თავიანთი კატორღული ხარკი.

მაგონდება მისი მახვილი თვალები, — ისინი გამჟოლ ხედავდნენ, — და თითების მოძრაობა, — თითქოს ყოველთვის ჰაერისაგან რაღაცას ძერწავენო; მაგონდება მისი საუბრები, ოხუნჯობა, საყვარელი მუყიკური სიტყვები და მისი რაღაცნაირი გაურკვეველი ხმა. და ვხედავ, რა ბევრი სიცოცხლე მოიცვა ამ კაცმა, როგორი არაადამიანურად ჭკვიანი და შემზარავი იყო.

ერთხელ ისეთი ცნახე, როგორიც, შესაძლოა, არავის უნახავს: მასთან მივეშურებოდი გასპრში, ზღვის ნაპირს მივყვებოდი და იუსუპოვის მამულის ქვემოთ, ზედ ნაპირზე, ქვებზე

შორის, შევნიშნე მისი პატარა, მოუხეშავი ფიგურა. ნაცრისფერი დასრესილი ტანისამოსი ეცვა და დაკუმუქნილი ქუდი ეხურა. ზის, ხელები პირისახისათვის აქეთ-იქით შეუბჯენია, — თითებს შორის უფრიალებს ვერცხლისფერი წვერი, — და გასტკერის შორეთს, ზღვას, ხოლო მის ფეხებთან მორჩილად მოგორავენ, ლიცლიცობენ მომწვანო პატარა ტალღები, თითქოს რაღაცას მოუთხრობენო თავიანთ თავზე მოხუც ჯადოქარს. ფერადოვანი დღე იყო. ლოდებზე მიცოცავდნენ ღრუბელთა ჩრდილები, და ლოდებთან ერთად მოხუცი ხან ნათდებოდა, ხან მუქდებოდა. უზარმაზარი ლოდები დამსკდარი და სურნელოვანი წყალმცენარეებით დაფარულა — წინადლით ძლიერი დეღვა იყო და ლ. ნ-ც მომეჩვენა ძველ, გაცოცხლებულ ლოდად, რომელმაც უწყის ყველა საწყისი და მიზანი, ფიქრობს იმაზე, თუ როდის დადგება და როგორი იქნება აღსასრული მიწის, ქვისა და ბალახისა, ზღვის წყლისა და ადამიანისა, და — ქვით დაწყებული და მზით დამთავრებული — მთელი სამყაროსი. ზღვა კი მისი სულის ნაწილია, ყველაფერი ირგვლივ მისგან არის. მოხუცის ფიქრმორეულ უძრავობაში მომეჩვენა რაღაც გულთმისნური, ჯადოსნური, რაც წყვიდადში ჩაძირულა მის ქვეშ, ცნობისმოყვარედ ამართულა, ვით მწვერვალის ლაყვარდოვან სიციარიელეში დედამიწის ზევით, თითქოს ის — მისი ძალმოკრებილი ნებისყოფა — მოუხმობს და უკუაქცევს ტალღებს, მართავს ღრუბელთა და ჩრდილთა მოძრაობას, რომლებიც თითქოს აღვიძებენ ლოდებს, არხევენ მათ. და უეცრად, რაღაც წუთიერ სიგიჟეში მე ვიგრძენი, რომ — შესაძლოა! — წამოდგეს იგი, აიქნიოს ხელი, და ზღვა დადგება, გაშეშდება, ხოლო ქვეები შეირხევიან და დაიკივლებენ, და ირგვლივ ყველაფერი სულს ჩაიდგამს, ახმაურდება, სხვადასხვა ხმით ალაპარაკებდა საკუთარ თავზე, მასზე, მის წინააღმდეგ. სიტყვით არ გამოითქმის, რა ვიგრძენი მე მაშინ; გულში აღტაცებაც ჩამიდგა და ძრწოლაც, ხოლო შემდეგ ყველაფერი ერთ ბედნიერ აზრად გაერთიანდა:

„ობოლი არ ვიქნები ამ დედამიწაზე, სანამ ეს კაცი მასზე იმყოფება!“

და ფრთხილად, რომ ფეხით კენჭები არ ამეჩხრიალებინა, უკან გამოვბრუნდი, რათა არ დამეფრთხო მისი ფიქრები. და

ეი, ახლა დაობლებულად ვთვლი ჩემს თავს, ვწერ და ვქვითინებ, — არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ასე უნუგეშოდ, სასოწარკვეთითა და მწარედ არ მიტირია. არ ვიცი, მიყვარდა თუ არა. ან რა მნიშვნელობა აქვს — გიყვარდა თუ გძულდა? ის მუდამ აღძრავდა ჩემს სულში უდიდეს ფანტასტიკურ შეგრძნებებს, მღელვარებას. მის მიერ გამოწვეული თვით არასასიამოვნო და მტრული რამეც კი ისეთ ფორმებს იღებდა, რომ არ თრგუნავდა, არამედ როგორღაც აღანთებდა გულს, აფართოებდა მას, უფრო სათუთსა და ყოვლისმომცველს ხდიდა. შესანიშნავი რამ იყო, როდესაც ფეხსაცმლის ქლასაქლუსით თითქოს ბატონკაცურად ასწორებსო გზის ოღროზრობებს, უეცრად გამოჩნდებოდა საიდანღაც, კარებიდან. კუთხიდან, მოემართებოდა თქვენკენ ბევრ სიარულს მიჩვეული ადამიანის პატარა, მსუბუქი და ჩქარი ნაბიჯებით, სარტყელში ხელის გრძელ თითებს ჩაიჩრიდა, წამით შეჩერდებოდა, სწრაფად მოავლებდა ირგვლივ თავის მახვილ მზერას, მაშინვე ამჩნევდა ყოველივე ახალს და უმაღ ალიქვამდა მის აზრს.

— გამარჯობათ!

მე ყოველთვის ასე ვთარგმნიდი მის სიტყვას: „გამარჯობათ, — ჩემთვის ამას — დიდი სიამოვნება, ხოლო თქვენთვის — დიდი აზრი არა აქვს, მაგრამ მაინც — გამარჯობათ!“

შემოვა იგი — ტანმორჩილი. და მაშინვე ყველა მასზე უფრო პატარა გახდება. მუჟიკური წვერი, ტლანქი, მაგრამ არაჩვეულებრივი ხელები, უბრალო ტანსაცმელი. და მთელ ამ გარეგნულ, მომარჯვებულ დემოკრატიზმს ბევრი შეჰყავდა შეცდომაში; ხშირად მინახავს — რუსები, რომლებიც მიჩვეული იყვნენ, რომ ადამიანი მისი „ჩაცმულობის მიხედვით“ მიეღოთ, — ეს ძველი, მონური ჩვეულებაა! — როგორ იწყებდნენ იმ სურნელოვანი „გულწრფელობის“ გადმოფრქვევას, რომელსაც უფრო ზუსტად, მოურიდელები, უბოდიშო ქცევა ეწოდება.

„აჰ, ჩვენო კეთილო! აი, როგორი ყოფილხარ! როგორც იქნა ვეღირსე ჩემი მშობლიური მიწის უდიდესი შვილის ხილვას. იცოცხლე მარად და მიიღე ჩემი თაყვანისცემა!“

ეს სადა და გულლია მოსკოვური რუსულია. მაგრამ, აი, კიდევ „თავისუფალი აზრის“ რუსული:

„ლევ ნიკოლოზის ძევი არ ვიზიარებ თქვენს რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებებს, მაგრამ ღრმად პატივსა ვცემ თქვენი სახით დიდ მხატვარს...“

და უეცრად მუჟიკის წევრსა და დემოკრატიულ, დაქმუქნილ ხალათს მიღმა წამოიშარებოდა ძველი რუსი ბატონი, ბრწყინვალე არისტოკრატი, — მაშინ გულწრფელ, განათლებულ და სხვა ადამიანებს უმაღლეს ულურჯდებოდა ცხვირი აუტანელი სიცივისაგან. სასიამოვნო იყო წმინდა სისხლის ამ არსების დანახვა, სასიამოვნო იყო, გეცქირათ მისი კეთილშობილური და მოხდენილი მიხრა-მოხრისათვის, ზვიადი თავდაპერილობისათვის ლაპარაკში, მოგესმინათ მომაკვდინებელი სიტყვის დახვეწილი სიზუსტე. ბატონი მასში სწორედ იმდენი იყო, რამდენიც ყურმოჭრილ მონებს სჭირდებოდათ. და როდესაც ისინი ტოლსტოიში ბატონს გამოიწვევდნენ, იგი მოეგლინებოდა ხოლმე მათ მსუბუქად, თავისუფლად და ისე თრგუნავდა, რომ ისინი მხოლოდ იკუნტებოდნენ და წრიპინებდნენ.

ერთხელ მომიხდა იასნაია პოლიანიდან ერთ-ერთ „გულწრფელ“ მოსკოველ რუს ადამიანთან ერთად მოსკოვს დაბრუნება; მან დიდხანს ვერ მოითქვა სული. სულ საცოდავად ილიმებოდა და დაბნეულად გაიძახოდა:

— აი, გაჯორვაც ამას ჰქვია! რა სასტიკია... უჰ!

და, სხვათა შორის, აშკარა სინანულით წამოიძახა:

— აკი ვფიქრობდი, მართლაც ანარქისტია-მეთქი. ყველა გაიძახის — ანარქისტი, ანარქისტიო, და მეც დავიჯერე...

ეს კაცი მდიდარი, დიდი ფაბრიკანტი იყო; მოზრდილი ღიპი და მსუქანი, წამოჭარხლებული პირისახე ჰქონდა, — რად დასჭირდა ტოლსტოის ანარქისტობა? ეს რუსული სულის ერთ-ერთი „ღრმა საიდუმლოებაა“.

ლ. ნ-ს თუ სურდა თავი მოეწონებინა, ამას ჰქვია და ლამაზ ქალზე უფრო ადვილად ახერხებდა. სხედან მასთან სხვადასხვა ადამიანები: დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, მღებავი ილია, იალტელი სოციალ-დემოკრატი, შტუნდისტი პაცუკი, რომელიდაც მუსიკოსი, გერმანელი, გრაფის ცოლის — კლეინმიხელის — მოურავი, პოეტი ბულგაკოვი, და ყველა ერთნაირად სიყვარულით აღსაუსე თვალებით მისჩე-

რებია მას. იგი აცნობს მათ ლაო-ცეს მოძღვრებას, ხოლო მე მეჩვენება, რომ იგი რაღაცნაირი არაჩვეულებრივი ადამიანი-ორკესტრია, რომელსაც ძალუძს, ერთსა და იმავე დროს რამდენიმე საკრავის — ბუკის, დაფდაფის, გარმონის და ფლეიტის — დაკვრა. მეც ისევე ვუყურებდი მას, როგორც ყველა და, აი, მსურდა კიდევ ერთხელ მისი ნახვა, მაგრამ უკვე ვერასოდეს ველარ ვიხილა.

მეწვივნენ ჟურნალისტები, ამტკიცებენ, რომ რომში მიღებულია დეპეშა, „რომელიც უარყოფს ლევ ტოლსტოის სიკვდილის შესახებ გავრცელებულ ხმებს“. ფუსფუსებდნენ, ლაყბობდნენ, სიტყვაუხვად გამოთქვამდნენ სამძიმარს რუსეთისადმი. რუსული გაზეთები კი ყოველგვარ ეჭვს ფანტავენ.

მის წინაშე სიცრუე შეუძლებელი იყო თუნდაც სიბრაულის გულისათვის; მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი არ იწვევდა შებრალების გრძნობას. შებრალება ისეთი ადამიანებისა, როგორც ის იყო, უხამსობაა. მათ უნდა ვუფრთხილდებოდეთ, თავს ვევლებოდეთ. რაღაც გაცვეთილი, უსულგულო სიტყვების მტვერს როდი უნდა ვაყრიდეთ.

როცა გეკითხებოდათ:

— არ მოგწონვართ?

უნდა გეპასუხათ: „დიახ, არ მომწონხართ“.

— არ გიყვარვართ? — „დიახ, დღეს მე თქვენ არ მიყვარხართ“.

დაუნდობელი კითხვები იცოდა, პასუხები — თავშეკავებული, როგორც ბრძენს შეჰფერის.

გასაოცრად მშვენივრად ყვებოდა წარსულზე და ყველაზე უკეთ — ტურგენეზზე; ფეტზე — გულკეთილი ღიმილით, და ყოველთვის რაიმე სასაცილოს იტყოდა; ნეკრასოვზე — გულცივად, სკეპტიკურად, ისე ლაპარაკობდა, თითქოს ისინი მისი შეილები იყვნენ, ხოლო მან, მამამ, ყველა მათი ნაკლი იცოდა და — ინებეთი — ცუდს კარგზე აღრე აღნიშნავდა. ყოველთვის, როცა ვინმეზე ცუდს ლაპარაკობდა, მეჩვენებოდა, რომ წყალობას ურიგებდა მის ღარიბ მსმენელებს; მის მსჯელობას უხერხულად ისმენდი, მისი მწვავე ღიმილის წინაშე ძალაუ-

წებურად ძირს ხრიდი თვალებს და მეხსიერებაში არაფერა რჩებოდა.

ერთხელ გააფთრებით ამტკიცებდა, გ. ი. უსპენსკი ტულის ენაზე წერს და არავითარი ნიჭი არ გააჩნიაო. და მასვე, ჩემი თანდასწრებით, ა. პ. ჩეხოვისათვის უთქვამს:

— აი, მწერალის თავისი გულწრფელობის ძალით დოსტოვესკის გაგონებთ, ოღონდ დოსტოვესკი ბოლიტიკანობდა და კიკლუცობდა, ეს კი — უფრო უბრალოა, უფრო გულწრფელი, მას რომ ღმერთი სწამდეს, მისგან რომელიმე სექტანტი გამოვიდოდა.

— კი მაგრამ, აკი ამბობდით, ტულები მწერალია და ნიჭი არა აქვსო.

თვალები ბანჯგვლიან წარბებში ჩამალა და თქვა:

— ცუდად წერდა. რა ენა აქვს? სასვენი ნიშნები უფრო შეტია, ვიდრე სიტყვები. ტალანტი — ეს სიყვარულია. ვისაც უყვარს, ის ნიჭიერია. შეხედეთ შეყვარებულთ, ყველა ნიჭიერია!

დოსტოვესკიზე უხალისოდ ლაპარაკობდა, ძალდატანებით, რაღაცას გვერდს უვლიდა, რაღაცას ძალას ატანდა.

— კონფუციუსი მოძღვრებას რომ გაეცნობოდეს ან ბუდისტებისას, ეს დაამწვიდებდა მას. ეს მთავარია, რაც უნდა იცოდეს ყველამ და ყოველმა. ის იყო შმაგი ადამიანი, რომ გაჯარდებოდა — მელოტ თავზე კოპები ამოებურცებოდა და ყურებს ამოძრავებდა. გრძნობდა ბევრს, მაგრამ ფიქრობდა კი ცუდად; ფურიეს მიმდევრებისაგან, ბუტაშევიჩისა და სხვებისაგან სწავლობდა ფიქრს. შემდეგ — სძულდა ისინი მთელი თავისი სიცოცხლე. მის სისხლს რაღაც ებრაული ერია. ექვიანი იყო, თავმოყვარე, აუტანელი და უბედური. საოცარია, რომ მას ასე ბევრს კითხულობენ, არ მესმის — რატომ! ხომ მძიმეა და ფუჭი, რადგან ყველა ეს იდიოტები, მოზარდები, რასკოლნიკოვები და ყველაფერი — ასეთნი როდი იყვნენ, სინამდვილეში ისინი უფრო უბრალო და გასაგები არიან. ლენაკოვს კი ტყუილად მიანებეს თავი, აღარ კითხულობენ, ნამდვილი მწერალია. თქვენ თუ წაგიკითხავთ ლესკოვი?

— დიახ. ძლიერ მომწონს, განსაკუთრებით — ენა.

— ენა მან იცოდა შესანიშნავად, ესმოდა მთელი შინა სიარ-

თულე. საოცარია, რომ თქვენ ის გიყვართ, თქვენ თითქოს არცა ხართ რუსი, არარუსული აზრები გაქვთ. ხომ არ გწყინთ, რომ ასე ვლაპარაკობ? მოხუცი ვარ და, შესაძლოა, უკვე აღარ ძალმიძს, გავიგო ახლანდელი ლიტერატურა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ იგი რუსული არ არის. დაიწყეს რაღაც განსაკუთრებული ლექსების წერა, — არ მესმის. რატომ ან ვისთვის არის საჭირო ისინი. ლექსის წერას უნდა სწავლობდნენ პუშკინისაგან, ტიუტჩევისაგან, შენშინისაგან. აი, თქვენ, — მან მიძართა ჩეხოვს, — თქვენ რუსი ხართ! დიახ, უაღრესად რუსი.

და აღურსიანი ღიმილით მხარზე ხელი მოხვია ა. პ.-ს. ჩეხოვს შერცხვა და დუდუნით დაიწყო რაღაცის მოყოლა თავის აგარაკზე, თათრებზე.

ტოლსტოის უყვარდა ჩეხოვი და ყოველთვის, როცა მას უცქეროდა, თითქოს საოცრად განაზებული თვალებით ეაღერებოდა ა. პ.-ს სახეს. ერთხელ ჩეხოვი პარკში ბილიკზე მისეირნობდა ალექსანდრა ლევის ასულთან ერთად, ხოლო ჯერ კიდევ ავადმყოფმა ტოლსტოიმ, რომელიც აივანზე სავარძელში ისვენებდა, თითქოს მთელი არსებით მათ გაჰყვაო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— აჰ, რა ჩინებული, შესანიშნავი ადამიანია: ქალიშვილივით თავმდაბალი, წყნარი სიარულიც რომ ქალიშვილივით იცის, ქეშმარიტად ჩინებულია!

ერთ საღამოს, ბინდბუნდში, თვალების ქუტვითა და წარბების მოძრაობით კითხულობდა „მამა სერგის“ იმ სცენის ვარიანტს, სადაც მოთხრობილია; თუ როგორ მიდის ქალი განდეგილის საცდუნებლად. ჩაიკითხა ბოლომდე, თავი ასწია და თვალდახუჭულმა გარკვევით წარმოთქვა:

— კარგად დაუწერია მოხუცს, კარგად!

ეს ისე საოცრად უბრალოდ გამოუვიდა, სილამაზით აღტაცება ისე გულდია იყო, რომ ჩემს დღეში არ დამავიწყდება მაშინ განცდილი აღფრთოვანება. — აღფრთოვანება, რომლის გამოხატვაც მაშინ არ შემეძლო, ხოლო დაძლევის კი დიდი ენერგია მოვანდომე. კინაღამ გული შემეჩერდა, ხოლო შემდეგ ირგვლივ ყველაფერი გამოცოცხლდა, ქორთა და ახალი გახდა.

უსათუოდ უნდა გენახათ, როგორ ლაპარაკობდა, რომ გეგგოთ განსაკუთრებული, გამოუთქმელი სილამაზე ერთი შეხედვით არასწორი მისი საუბრისა, რომელშიაც ხშირად გესმოდათ ერთი და იგივე სიტყვები და რომელიც აღსაესე იყო სოფლური უბრალოებით. მის სიტყვებს ძალას აძლევდა არა მარტო ინტონაცია, არა სახის თრთოლა, არამედ თამაში და ბრწყინვალეობა თვალებისა, რომელთაც ისეთი გამჭირიანობა ჰქონდათ, სხვა დროს არასოდეს რომ არ მინახავს. ლ. ნ-ს თასი თვალი ეჭდა წყვილ თვალში.

სულერი, ჩეხოვი, სერგეი ლევის ძე და კიდევ ვილაც ბალში ისხდნენ და ქალებზე ლაპარაკობდნენ. ლ. ნ. დიდხანს მღუმარედ უსმენდა, შემდეგ უეცრად თქვა:

— მე დედაკაცებზე სიმართლეს მაშინ ვიტყვი, ერთ ფეხს სამარეში რომ ჩავდგამ. ვიტყვი, კუბოში ჩაებტები და სახურავს გადავიფარებ — აბა, მომწვდნენ მაშინ — და მისმა გამოხედვამ ისეთი საშინელი უტიფრობით იელვა, რომ წამით ყველა დადუმდა.

გფიქრობ, მასში ცოცხლობდა ვასკა ბუსლაევის ცნობის-მოყვარე თავხედობა და ნაწილობრივ — დეკანოზ აბაკუმის ჭიუტი სული, ხოლო სადღაც ზევით თუ გვერდით მიმალულიყო ჩაადაევის სკეპტიციზმი. ქადაგებდა და მხატვრის სულს აწვალეზდა აბაკუმის საწყისი, შექსპირისა და დანტეს დამხობას ცდილობდა ნოვგოროდელი ჩხუბისთავი, ხოლო ჩაადაევი ნაწილი დასცინოდა სულის ამ გართობას და — ამასთან — მის წამებასაც.

ხოლო მეცნიერებასა და სახელმწიფოებრიობას ამარცხებდა ძველი რუსი ადამიანი, რომელიც უკეთესი ადამიანური ცხოვრების ასაგებად თავის მრავალგზის ღონისძიებათა უშედეგობამ პასიურ ანარქიზმამდე მიიყვანა.

ეს საოცარია! მაგრამ ბუსლაევის ხასიათი ტოლსტოიში რაღაც იდუმალი ინტუიციის ძალით შეიცნო „სიმპლიციისიმუსის“ კარიკატურისტმა ოლაფ გულბრანსონმა; დააკვირდით მის ნახატს, რაოდენი ზუსტი მსგავსებაა მასში ნამდვილი ლევ ტოლსტოისა; რაოდენი გაბედული ჭკუა გამოსჰყვივის ამ დაფარულ, მიმალულთვალეზიან სახეში. მისთვის არ არსებობს ხელშეუხებელი სათაყვანო რამ; მას არ სწამს „არც

ცხვირის დაცემინებისა, არც სიზმრისა, არც ყვავის ჩხავილი-
სა“.

დგას ჩემ წინ ეს მოხუცი მისანი, ყველასთვის უცხო, რომელსაც ყოვლისმომცველი სიმართლის ძიებაში მარტოს შემოუვლია აზრის ყველა უდაბნო და ვერ მიუგნია მისთვის. გუცქერი მას და თუმცა დიდია ამ დანაკლისით გამოწვეული სევდა, მაგრამ იმით გამოწვეული სიამაყე, რომ მე მინახავს ეს ადამიანი, მიმსუბუქებს ტკივილსა და მწუხარებას...

საოცარი იყო ლ. ნ.-ს დანახვა „ტოლსტოელთა“ შორის; დგას უზარმაზარი სამრეკლო და მისი ზარი მოუღლედად გუგუნებს მთელს მსოფლიოში, ხოლო ირგვლივ დარბიან პატარა, ფრთხილი ძაღლები, წკმუტუნებენ ზარის ხმაზე და უნდობლად უბღვერენ ერთმანეთს — ვინ უკეთ დაიწკმუტუნა? მე ყოველთვის მეგონა, რომ იასნაია პოლიანას სახლიც და გრაფის ქალის პანიანას სასახლეც ამ ადამიანთა მიერ სულ ერთიანად გაუღენთილი იყო პირფერობის, სიმზდალის, წვრილი ვაჭრუქანობისა და მემკვიდრეობის მოლოდინის სულისკვეთებით. „ტოლსტოელნი“ რაღაცით ჩამოჰგვანან იმ მწირთ, რუსეთის მიყრუებულ კუთხეებში რომ დაეხეტებიან და თან დააქვთ ძაღლის ძვლები, რასაც წმინდანთა ნაწილებად ასაღებენ, და „ეგვიპტის ბნელით“ და ღვთისმშობლის „ცრემლებით“ ვაჭრობენ. მახსოვს, ერთმა ასეთმა მოციქულმა იასნაია პოლიანაში როგორ თქვა უარი კვერცხის ჭამაზე, რომ ქათმებს არ სწყენოდათ, ხოლო ტულის სადგურში მადიანად შეექცეოდა ხორცს და ამბობდა:

— აჭარბებს მოხუცი!

მათ თითქმის ყველას უყვარს წუხილი, კოცნა. ყველას ოფლიანი დონდლო ხელები აქვს და ყალბი თვალები. ამავე დროს, ისინი პრაქტიკული ადამიანები არიან, ძლიერ მოხერხებულად აჭახრაკებენ თავიანთ ამქვეყნიურ საქმეებს.

ლ. ნ.-მ, რასაკვირველია, კარგად იცოდა „ტოლსტოელების“ ნამდვილი ფასი. იცოდა სულერჟიციკიამაც, რომელიც მას სათუთად უყვარდა და რომელზედაც ყოველთვის ჭაბუკური გატაცებით, აღფრთოვანებით ლაპარაკობდა. ერთხელ იასნაიაში ვიღაც მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორი კმაყოფილებით ცხოვრობს იგი და როგორ განიწმინ-

და მისი სული მას შემდეგ, რაც ტოლსტოის მოძღვრება მი-
იღო. ლ. ნ. გადმოიხარა ჩემკენ და წყნარად მითხრა:

— ტყუის არამზადა, მაგრამ ამას იმიტომ სჩადის, რომ
მასიამოვნოს...

ბევრი ცდილობდა, ესიამოვნებინა მისთვის, მაგრამ მე არ
შემინიშნავს, რომ ვინმეს ეს კარგად, ხეირიანად მოემოქმე-
დებინოს. მას თითქმის არასოდეს არ ულაპარაკია ჩემთან თა-
ვის ჩვეულებრივ თემებზე — ყოვლის შენდობაზე, მოყვასის
სიყვარულზე, სახარებასა და ბუდიზმზე; ალბათ, თავიდანვე
მიხვდა, რომ ამით ჩემი „კვება“ არ შეიძლებოდა. მე დიდად
გაფასებდი ამას.

როცა მას სურდა, როგორღაც ზედმიწევნით მოხდენილი,
თავაზიანი, გულისხმიერი და ლმობიერი ხდებოდა, მისი ლა-
პარაკი — მომხიბვლელად უბრალო, ლაზათიანი, ხოლო ხანდა-
ხან მისი მოსმენა მძიმე და არასასიამოვნოც იყო. არასოდეს
არ მომწონდა მისი მსჯელობა ქალებზე, — მაშინ იგი უზომოდ
„მდაბიური“ იყო, რაღაც ხელოვნური რამ ეღერდა მის სიტყ-
ვებში, რაღაც არაგულწრფელი, და, ამავე დროს, ძლიერ პი-
რადული. თითქოს ოდესღაც შეურაცხყვეს და ამისი არც და-
ვიწყება, არც პატიება არ ძალუძსო. ჩვენი პირველი გაცნო-
ბის საღამოს მან თავის კაბინეტში შემიყვანა, — ეს იყო ხა-
მოვნიკში, — პირისპირ დამსვა და დაიწყო ლაპარაკი „ვარენ-
კა ოლესოვაზე“, „ოცდაექვს მამაკაცსა და ერთ ქალზე“. მე
შემადრწუნა მისმა ტონმა, დავიბენი კიდეც — ისე აშკარად
და უხეშად ლაპარაკობდა, როცა მიმტკიცებდა, ჯანმრთელ ქა-
ლიშვილს სირცხვილი არ სჩვევიაო.

— ქალიშვილი რომ თხუთმეტ წელს გადააბიჯებს, თუ იგი
ჯანმრთელია, მას სურს, ეხვეოდნენ, ჩქმეტდნენ. მის გონებას
აშინებს გოგონებისათვის ჯერ შეუცნობი, გაუგებარი რამ.
აი, ამას ეძახიან უმანკობას, მორცხვობას. მაგრამ მისმა სხე-
ულმა უკვე იცის, რომ ეს შეუცნობი რაღაც გარდაუვალია,
კანონიერია, და მოითხოვს კანონის აღსრულებას, გონების
საწინააღმდეგოდ. თქვენ კი ვარენაკა ოლესოვა დახატეთ ჯან-
მრთელი, მაგრამ გრძნობა მისი მკლეა, ეს სინამდვილე არ
არის!

ამის შემდეგ მან დაიწყო ლაპარაკი „ოცდაექვსის“ ქალიშ-

ვილზე. სრულიად მოურიდებლად ზედიზედ ხმარობდა უწ-
მაწურ სიტყვებს, რაც ცინიზმად მივიჩნე და, ცოტა არ იყოს,
საწყენადაც მივიღე. შემდეგში მივხვდი, „დაგმობილ“ სიტყ-
ვებს იგი მხოლოდ იმიტომ ხმარობდა, რომ უფრო ზუსტად
და სხარტად მიაჩნდა ისინი, მაგრამ მაშინ არ მსიამოვნებდა
მისი ლაპარაკის მოსმენა. არ შევეკამათე; უცბად იგი გულის-
ხმიერი, ლმობიერი გახდა და დამიწყო გამოკითხვა, როგორ
ვცხოვრობ, როგორ ვსწავლობ, რას ვკითხულობ.

— ამბობენ, თქვენ ძლიერ ნაკითხი ხართ, მართალია?
კოროლენკო მუსიკოსია?

— ვგონებ, არა. არ ვიცი.

— არ იცით? მოგწონთ მისი მოთხრობები?

— დიახ, ძლიერ.

— ეს კონტრასტის ბრალია. კოროლენკო ლირიკოსია,
თქვენ კი ეს არ გაგაჩნიათ. ველტმანი წაგიკითხავთ?

— დიახ.

— ხომ კარგი მწერალია? გაბედული, ზუსტი, არ აქარ-
ბებს. ზოგ შემთხვევაში, გოგოლს სჯობს. ბალზაკს იცნობდა.
გოგოლი კი მარლინსკის ჰბაძავდა.

როდესაც ვუთხარი, გოგოლი, ალბათ, ჰოფმანის, სტერნი-
სა და, შესაძლოა, დიკენსის გავლენას განიცდიდა-მეთქი, მან
შემომხედა და მკითხა:

— სადმე ამოიკითხეთ? არა? არ არის მართალი. საეჭვოა,
გოგოლს დიკენსი სცოდნოდა. თქვენ კი, მართლაც, ბევრი რამ
წაგიკითხავთ. ფრთხილად, ეს საზიანოა კოლცოვმა ამით და-
იღუპა თავი.

როცა მაცილებდა, ხელი მომხვია, მაკოცა და მითხრა:

— თქვენ ნამდვილი მუყეკი ხართ! გაგიჭირდებათ მწერ-
ლებში, მაგრამ არაფერმა შეგაშინოთ, ყოველთვის ისა თქვით,
რასაც გრძნობთ, უხეშად გამოგივით — არაფერი! კეკიანი ად-
მიანები მიგიხვდებიან.

ამ პირველმა შეხვედრამ ჩემზე ორგვარი შთაბეჭდილება
მოახდინა: ბედნიერი ვიყავი და ვამაყობდი იმით, რომ ტოლ-
სტოი ვნახე, მაგრამ მისი საუბარი ჩემთან ცოტათი გამოცდას
მაგონებდა. და თითქოს „კაზაკების“, „ხოლსტომერის“, „ომის“
ავტორი კი არ მენახოს, არამედ ბატონი, რომელიც მოწყა-

ლედ მომეპყრო და საჭიროდ მიიჩნია ჩემთან ლაპარაკი რა-
ღაც „ხალხური სტილით“, მოედნებისა და ქუჩების ენით; ეს
კი თავდაყირა აყეხებდა ჩემს წარმოდგენას მასზე — წარმოდ-
გენას, რომელსაც შევეჩვიე და რომელიც ძვირფასი იყო ჩემ-
თვის.

მეორედ იასნაიაში ვნახე. შემოდგომის მოღუშული დღე
იყო, წვიმა ცრიდა, მან კი ღრაფის მძიმე პალტო, ტყავის მა-
ღალყელიანი, ნამდვილი წყალში სასიარულო ბოტები ჩაიცვა
და სასეირნოდ წამიყვანა არყების ტყეში. ახალგაზრდასავით
ხტება თხრილებზე, გუბებზე, ანძრევს სველ ტოტებს და
თავს უშვერს მოწყვეტილ წვეთებს, თან შესანიშნავად მომი-
თხრობს, თუ როგორ აუხსნა შენშინმა მას ამ ტყეში შოპენპა-
უერი. და სიყვარულით უსვამს ალერსიან ხელს არყის ხეების
სველ, ატლასოვან ტანს.

— ამას წინათ ასეთი ლექსი წავიკითხე საღდაც:

გაქრნენ სოკონი, მაგრამ ხრამებში
სოკოს სინესტის კვლავ დგას სურნელი...

ძალიან კარგია, ძალიან მართალია.

უეცრად ზედ ფეხებთან წამოგვიხტა კურდღელი. ლ. ნ.
შეხტა, სულ ერთიანად აიბურძენა, სახე წამოუქარხლდა და,
ვით ძველმა მონადირემ, ყიჟინა დასცა. შემდეგ მე გადმოძხე-
და აუწერელი ღიმილით და ჩაიციხა კკვიანი, ადამიანური სი-
ცილით. საოცრად კარგი იყო ამ წუთს!

ერთხელ იქვე, პარკში, იგი ქორს მისჩერებოდა, — ქორი
თავს დასტრიალებდა ბაქს; შემოუვლის წრეს და შეჩერდება
ჰაერში, თანაც ოდნავ არხევს ფრთებს, ვერ გადაუწყვეტია,
დაეცეს თუ ჩერ აღრეა? ლ. ნ. სულ ერთიანად წაგრძელდა,
თვალეებზე ხელი იჩრდილა და თრთოლით ჩურჩულებს:

— არამზადა, ჩვენს ქათმებს უმიზნებს. აი — ახლა... ახლა...
ოჰ, ეშინია მებეტლე ხომ არ დგას იქ? უნდა დავუძახოთ მე-
ეტლეს...

და დაუძახა. როდესაც დაიყვირა, ქორი დაფრთხა, შე-
ტრიალდა, სხვა მხარეს გაფრინდა, — მიიძალა. ლ. ნ.-მ ამოი-
ოხრა და საკუთარი თავისადმი აშკარა საყვედურით დასძინა:

— არ უნდა დამეყვირა, ისედაც დააცხრებოდა თავზე...

ერთხელ, თბილისზე რომ ვუამბობდი, ვ. ვ. ფლეროვსკი-ბერვის სახელი ვუხსენე.

— იცნობდით მას? — გაცხოველებით მკითხა ლ. ნ.-მ — მიაშბეთ, როგორი კაცია.

მე ვუამბე, თუ მაღალი, გრძელწვერა, გამხდარი, მსხვილ-თვალემა ფლეროვსკი როგორ შეიმოსა ტილოს გრძელი კვართით, სარტყელზე მოიბა წითელ ღვინოში მოხარშული ბრინჯით სავსე ფუთა, იშოვა ტილოს უზარმაზარი ქოლგა და ჩემთან ერთად დაეხეტებოდა ამიერკავკასიის მთების ბილიკებზე; ვუამბე, როგორ შეგვეყარა ერთხელ ვიწრო ბილიკზე კამეჩი, როგორ კეთილგონივრულად დავიხიეთ უკან, როგორ ვემუქრებოდით გაშლილი ქოლგით ამ ბოროტ არსებას და თან უკან ვიხევდით, თუმცა მოსალოდნელი იყო, ასეთი უკუსვლით უფსკრულში გადაეჩენილიყავით. უეცრად ლ. ნ.-ს თვალეზე ცრემლი შევამჩნიე, ამან ამაღელვა და დავდუმდი.

— ეს არაფერია, ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ! სიხარულით მემართება, კარგი ადამიანის ამბავს რომ ვისმენ. რა საინტერესო კაცი იყო! სწორედ ასეთად მესახებოდა, განსაკუთრებულ ადამიანად. რადიკალ მწერალთა შორის იგი ყველაზე მომწიფებული, ყველაზე ჰკვიანია, „ანბანში“ იგი ძალიან კარგად ამტკიცებს, რომ მთელი ჩვენი ცივილიზაცია ბარბაროსულია, ხოლო კულტურა — მშვიდობიანი ტომების საქმეა; უძლურთა და არა ძლიერთა საქმე, ბრძოლა არსებობისათვისაც ცრუ მონაგონია, რომლითაც ბოროტების გამართლება სურთ. თქვენ, ცხადია, ამას არ ეთანხმებით. აი, დოდე კი ეთანხმება, გახსოვთ, როგორია მისი პოლ ასტიე?

— როგორღა შევუთავსოთ ფლეროვსკის თეორიას. თუნდაც ნორმანთა როლი ევროპის ისტორიაში?

— ნორმანები — ეს სხვა რამეა!

როცა პასუხის მოცემა არ უნდოდა, ყოველთვის ასე იტყოდა: „ეს სხვა რამეა“.

ყოველთვის ასე მეჩვენებოდა — და, გგონებ, არა ვცდები, — რომ ლ. ნ.-ს არცთუ ისე უყვარდა ლაპარაკი ლიტერატურაზე. მაგრამ ცხოველ ინტერესს იჩენდა თავად ლიტერატორისადმი. მისგან ხშირად მესმოდა კითხვები: „იცნობთ მას? როგორია? სად არის დაბადებული?“ და თითქმის ყო-

ველთვის მისი მსჯელობა რომელიღაც განსაკუთრებულ მხარეს აღმოაჩენდა ადამიანში.

ვ. გ. კოროლენკოზე მან ჩაფიქრებით თქვა:

— იგი არ არის ველიკოროსი, ამიტომ ჩვენი ცხოვრება უფრო მართლად და უკეთ უნდა დაინახოს, ვიდრე თვითონ ჩვენ ვხედავთ.

ჩეხოვზე, რომელიც გულთბილად და სათუთად უყვარდა, უთქვამს:

— მას ხელს უშლის მედიცინა, ექიმი რომ არ იყოს, უკეთ დაწერდა.

რომელიღაც ახალგაზრდაზე:

— ინგლისელად ასაღებს თავს, რაც ყველაზე ნაკლებად ეხერხება მოსკოველს.

რამდენჯერმე უთქვამს ჩემთვის:

— თქვენ შემთხვევლი ხართ. ყველა ეს თქვენი კუვალდები მოგონილია.

ვუთხარი, კუვალდა ცოცხალი ადამიანია -მეთქი.

— მიაბზეთ, სად ნახეთ?

იგი ძლიერ გაამხიარულა ყაზანის მომრიგებელი მოსამარაგის კოლონტაევის კამერაში მომხდარმა სცენამ, სადაც პირველად ვნახე — შემდეგში ჩემ მიერ კუვალდას სახელით აღწერილი კაცი.

— თეთრი ძვალი — ამბობდა იგი, თან იცინოდა და ცრემლებს იწმენდა. — დიახ, დიახ, თეთრი ძვალი, მაგრამ რა სასიამოვნო, რა სასაცილოა. მაგრამ თქვენ უკეთ ყვებით, ვიდრე წერთ. არა, თქვენ რომანტიკოსი ხართ, შემთხვევლი, გიჯობთ, გამოტყდეთ!

ვუთხარი, რომ, ალბათ, ყველა მწერალი უმატებს ცოტას, როცა ადამიანებს ხატავს ისეთებს, როგორებიც მას სურს, ისინი ცხოვრებაში იხილოს, კიდევ ისიც ვუთხარი, რომ მიყვარს აქტიური ადამიანეები, რომელთაც სურთ, ყველა საშუალებით, თვით ძალადობითაც კი, წინააღმდეგენ ცხოვრების ბოროტებას.

— ძალადობა კი მთავარი ბოროტებაა! — წამოიძახა და ხელი გამომდო. — როგორ დააღწევთ თავს ამ წინააღმდეგობას, მთხველო? აი, თქვენ გაქვთ „ჩემი თანამგზავრი“ —

შეთხზული არ არის, ეს კარგია იმიტომ, რომ გამონაგონი არაა. ხოლო როცა ფიქრობთ — რაინდები გებადებათ, ყველა ეს ამადისები, ზიგფრიდები...;

მე შევნიშნე, რომ სანამ ადამიანთა მსგავს და აუცილებელ ჩვენს „თანამგზავრთა“ მტკიცე გარემოცვაში ვცხოვრობთ, ყველაფერს მერყევ საფუძველზე, მტრულ გარემოცვაში ვაშენებთ.

მან ჩაიცინა და მსუბუქად წამკრა იდაყვი.

— ამ გზით შეიძლება ძლიერ, ძლიერ საშიშ დასკვნებამდე მიხვიდეთ! თქვენ საექვო სოციალისტი ბრძანდებით. თქვენ რომანტიკოსი ხართ, ხოლო რომანტიკოსები მონარქისტები უნდა იყვნენ, ისინი მუდამ ასეთნი იყვნენ.

— ჰიუგო?

— ის სხვაა, ჰიუგო. არ მიყვარს ჰიუგო, მყვირალაა.

ხშირად უკითხავს ჩემთვის, რას ვკითხულობ, და ყოველთვის საყვედური უთქვამს, მისი აზრით, წიგნების ცუდი შერჩევისათვის.

— ჰიბონი კოსტომაროვზე უარესია.. უნდა იკითხოთ მომსენი — თუმცა ძლიერ მომაბეზრებელია, მაგრამ სოლიდურია.

როცა შეიტყო, რომ პირველი წიგნი, რომელიც მე წაეიკითხე, „ძმები ზემგანოებია“, აღშფოთდა კიდევ.

— აი, ხომ ხედავთ, სულელური რომანი წაგიკითხავთ. ამას გაუფუჭებინართ თქვენ. ფრანგებს სამი მწერალი ჰყავთ: სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი, კიდევ— მოპასანი, მაგრამ ჩეხოვი სჯობს მას. ხოლო გონკურები ტაკიმასხარები არიან, ისინი მხოლოდ თავს გვაჩვენებენ სერიოზულად. ცხოვრებას ეცნობოდნენ ისეთივე მომგონთა მიერ დაწერილი წიგნებით, როგორებიც თვითონ იყვნენ, და ფიქრობდნენ, ეს სერიოზული საქმეაო; ვის რად უნდა ასეთი რამ.

მე არ დავეთანხმე მის ამ შეფასებას და ამან, ცოტა არ იყოს, გააღიზიანა ლ. ნ. — იგი გაქირვევით იტანდა წინააღმდეგობას და ზოგჯერ მისი მსჯელობა საოცარ კირვეულ ხასიათს იღებდა.

— არავითარი გადაგვარება არ არსებობს, — ამბობდა ლ. ნ., — ეს იტალიელმა ლომბროზომ მოიგონა, და მის აზრს

თუთიყუშივით იმეორებს ებრაელი ნორდაუ. იტალია თაღლითების, ავანტურისტების ქვეყანაა, იგი შობს მხოლოდ არეტინოს, კაზანოვას, კალიოსტროს და სხვა მისთანებს.

— გარიბალდი?

— ეს პოლიტიკაა, ეს სხვა რამეა!

ჩუსეთის ვაჭართა ოჯახების ისტორიიდან აღებულ მთელ რიგ ფაქტებზე მან უპასუხა:

— ეს მართალი არაა, ამას მხოლოდ ეგრეთ წოდებულ კვიანურ წიგნებში წერენ...

მე ვუამბე მას ჩემი ნაცნობი ვაჭართა ოჯახის სამი თაობის ისტორია, სადაც გადაგვარების კანონი განსაკუთრებით უღმობლად მოქმედებდა; მაშინ იგი ავზნებულად მწვდა სახელოში, მექაჩებოდა და თან მარწმუნებდა:

— აი, ეს კი მართალია ეს მე ვიცი, ტულაში არის ორი ასეთი ოჯახი. საჭიროა ამის დაწერა. დიდი რომანის მოკლედ დაწერა, გესმით? აუცილებლად!

მისი თვალები ხარბად ანათებდნენ.

— მაგრამ რაინდები გამომივა, ლ. ნ.!

— დამაცათ! ეს ძალზე სერიოზული რამ არის. აი ის, ბერად რომ შედგება, რათა მთელი ოჯახისათვის ილოცოს, — ეს შესანიშნავია! ეს ნამდვილია; თქვენ სცოდავთ. ხოლო მე შევდგები ბერად, რომ თქვენი ცოდვების მოსანანიებლად ვილოცო. მეორეც — მოწყენილი, მომხვეჭი-მშენებელი, — ესეც სინამდვილეა და რომ სვამს, მხეცია, გარყვნილი, და ყველა რომ უყვარს, მაგრამ უეცრად კაცი მოკლა! აჰ, ეს ქეშმარიტია! აი, ეს უნდა დაწერო, ქურდებსა და მათხოვრებში კი გმირებს ვერ მოძებნი, არც არის საჭირო! გმირი სიცრუეა, მონაჭორია, მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანები არსებობენ, ადამიანები და — მეტი არაფერი.

ძალზე ხშირად მიმითითებდა, მოთხრობებში ზოგჯერ აჭარბებო, მაგრამ ერთხელ, როცა „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილზე ლაპარაკობდა, გულკეთილი ღიმილით თქვა:

— ჩვენ ყველანი საშინელი შემთხვევები ვართ. მეც ასე მომდის. ზოგჯერ წერ და, აი, — შეგეცოდება ვინმე, ადგები და მიუმატებ უკეთეს საღებავს, ხოლო მეორეს — მოაკლებ, რომ სხვები, მის გვერდით რომ დგანან, ძალიან არ გაშავდნენ.

და მაშინვე დაუმატა შეუდრეკელი მოსამართლის მკაცრი ტონით:

— ამიტომაც ვამბობ, რომ მხატვრობა სიცრუეა, მოტყუება და თვითნებობაა და საზიანოა ადამიანებისათვის. წერ არა იმაზე, თუ რა არის ნამდვილი ცხოვრება, როგორია იგი, არამედ იმაზე, რასაც შენ ფიქრობ ცხოვრებაზე, თვითონ შენ. ვის რა სარგებელს მოუტანს იმის ცოდნა, თუ როგორ დამინახავს მე ეს კოშკი ან ზღვა, ან თათარი, რატომ არის ეს საინტერესო, რისთვის არის საჭირო?

ზოგჯერ მისი აზრები და გრძნობები მეჩვენებოდა ახირებულ და როგორღაც განგებ დამახინჯებულ რამედ, მაგრამ უფრო ხშირად იგი აოცებდა, ანცვიფრებდა ადამიანებს აზრის სწორედ მკაცრი პირდაპირობით, თითქოს იობი ყოფილიყო, სასტიკი ღმერთის უშიშარი მობაეჭკრე.

მან მიამბო:

— ერთხელ, მაისის დამლევს, კიევის გზატკეცილით მივდივარ. დედამიწა სამოთხესა ჰგავს, ყველაფერი ზეიმობს, ცა მოკრიალებულია, ფრინველები გალობენ, ფუტკარი ზუზუნებს, მზე გეალერსება და ირგვლივ ყველაფერი ზეიმური, ადამიანური, საუცხოო. წარმიტაცა ყოველივე ამან, გული ამიჩვილა, და ჩემი თავი ფუტკარი მეგონა, რომელსაც ნაბოძები აქვს მიწის ყველა საუკეთესო ყვავილი, და ღმერთს ვგრძნობდი სულის მახლობლად. ანაზღად ვხედავ: გზის ახლოს, ბუჩქებში, მოხეტიალე კაცი და ქალი წვანან, ელაციციბიან ერთმანეთს, ორივე უბირია, კუჭყიანი, მოხუცი; — ჯახირობენ კიებივით, ბუბუნებენ, ბურტყუნებენ, მზე კი დაუნდობლად აცხუნებს მათ შიშველ, გალურჯებულ ფეხებს, დამჰქნარ ტანს. სული ამიფორიაქდა, შენ, უფალო, სილამაზის შემოქმედო, როგორ არა გრცხვენია? ძლიერ ცუდად გავხდი...

— აი, ხომ ხედავთ, რა არ ხდება. ბუნება — „ბოგომილებს“ იგი სატანის საქმედ მიაჩნდათ, — სასტიკად და ძალზე დამცინავად აწვალებს ადამიანს: ძალას წაართმევს, სურვილს კი დაუტოვებს. ასე ემართება ცოცხალი სულის ყველა ადამიანს. მხოლოდ ადამიანს შეუძლია განიცადოს მის სისხლსა და ხორცში ჩათესილი ასეთი წამების მთელი სირცხვილი და საშინელება. ჩვენ თან დავატარებთ მას, ვით გარდაუვალ სასჯელს, მაგრამ რომელი ცოდვის საზღაურად?

როცა ამას ჰყვებოდა, თვალეზი საოცრად ეცვლებოდა: ხან ბავშვივით შესაბრალოსი უხდებოდა, ხანაც ცივი და მკაცრად ნათელი. ხოლო ტუჩები უთრთოდა და ულვაშები ებურძგნებოდა. როცა თხრობა დაასრულა, ხალათის ჩიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მაგრად შეიწმინდა სახე, თუმცა სრულიად მშრალი ჰქონდა. შემდეგ მუყეიკური ღონიერი ხელის კაუჩუკი თითებით შეისწორა წვერი და წყნარად გაიმეორა:

— დიახ, რომელი ცოდვის საზღაურად?

ერთხელ მასთან ერთად დიულბერიდან აი-ტოდორისაკენ მივდიოდი ქვემო გზით. ყმაწვილივით მსუბუქად მიაბიჭებდა და ოდნავ უფრო ნერვიულად ამბობდა, ვიდრე სხვა დროს:

— სხეული სულის მორჩილი ძალე უნდა იყოს, საითაც სული გაგზავნის, იქით უნდა მირბოდეს. ჩვენ კი როგორ ვცხოვრობთ? ბორგავს, ბობოქრობს სხეული, სული კი უკან მისჩანჩალებს უძლურად და საცოდავად.

მან მაგრად მოისრისა მკერდი გულის არეში, წარბები აზიდა, რალაც გაიხსენა და გააგრძელა:

— მოსკოვში, სუხარევიას მახლობლად, ერთ მიყრუებულ შესახვევში, შემოდგომაზე, ვნახე ერთი მთვრალი დედაკაცი; ზედ ტროტუართან გაშოტილიყო. ეზოდან გამომავალი ჭუჭყიანი წყალი პირდაპირ კეფასა და ზურგზე შემოსდგომოდა; იწვა იმ ცივ ღვარში, რალაცას ბუტბუტებდა, ჯახირობდა, ჭყაპუნობდა, ადგომა კი არ შეეძლო.

ლ. ნ.-ს სახე დაეღმიჭა, თვალეზი მოწყურა, თავი გააქნია და წყნარად მომმართა:

— ჩამოვსხდეთ... მთვრალი დედაკაცი ყველაფერზე საშინელი, ყველაფერზე საძაგელი რამ არის. მინდოდა, მივშველებოდი, წამომეყენებინა და ვერ გქენი, შემეზიზნა; სულერთიანად გალიპული იყო, ამოსვრილი. მას რომ შევხებოდი, ერთ თვეს ვერ მოვიცილებდი ხელებზე ჭუჭყს. საშინელებასა იქვე, კუნძზე კი ქერა, ნაცრისფერთვალეზა ბიჭუნა იჯდა; ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, ცხვირს აქსუტუნებდა და უღონოდ, მოღლილად იძახდა:

— დე-დი... დე-დიკო. ადექი რა...

დედამისი კი შეარხევდა ხელებს, წამოიბუხუნებდა, წამონწევდა თავს და ისევ ტყლაპუნით ეცემოდა ტალახში.

ლადუმდა, შემდეგ მიმოიხედა ირგვლივ და ძრწოლით გაიმეორა, თითქმის ჩურჩულით:

— დიახ, დიახ, საშინელებაა! თქვენ ბევრი გინახავთ მთვრალი ქალი? ბევრი? აჰ, ღმერთო ჩემო! არ აღწეროთ ასეთი რამ, საჭირო არაა!

— რატომ?

თვალეებში შემომხედა, ღიმილით გაიმეორა:

— რატომ?

მერე დაფიქრებით და ნელა თქვა:

— არ ვიცი, ეს მე — ისე... სირცხვილია სისაძაგლეზე წერა. თუმცა, რატომ არ უნდა დაწეროთ? ცხადია, საჭიროა, ყველაფერი იწერებოდეს, ყველაფერზე ვწერდეთ...

თვალეებზე ცრემლები მოადგა. მოიწმინდა და ღიმილით დახედა ცხვირსახოცს; ცრემლები კი კვლავ მოედინებოდნენ სახის ნოკებზე.

— ვტირი, მე მოხუცი ვარ, გული ვერ იტანს, როცა რაიმე საშინელი გამახსენდება ხოლმე.

თქვა ეს, მსუბუქად წამკრა იდაყვი და განაგრძო:

— თქვენც განვლით ცხოვრებას და ყველაფერი კვლავინდებურად დარჩება, მაშინ თქვენც ატირდებით, და ჩემზე უფარესადაც, ცრემლები „ლაპალუპით“ დაგდინდებათ, როგორც დედაკაცები ამბობენ... წერა კი ყველაფერზეა საჭირო, ყველაფერზე, თორემ ქერა ბიჭუნა გაჯავრდება, გვისაყვედურებს: ასე არ არის, მთელი სიმართლე არ გითქვამთო, იტყვის. იგი მკაცრად ეკიდება სიმართლეს!

უცებ სულ ერთიანად შეირხა და კეთილი ხმით შემომთავაზა:

— აბა, მიაშბეთ რამე, თქვენ ძლიერ გებერხებათ მოყოლა. რაიმე თქვენს თავზე, როცა პატარა იყავით. არა მჯერა, რომ თქვენ პატარა ყოფილიყავით, ისეთი საოცარი ხართ. თითქოს მოზრდილი დაბადებულხართ. თქვენს აზრებში ბევრი ბავშვური, მოუმწიფებელი რამ არის, ხოლო ცხოვრებაზე ბევრი რამ იცით; მეტი არც არის საჭირო. აბა, მიაშბეთ...

და მოხერხებულად წამოწვა ფიჭვის ძირას, მის გაშიშვლებულ ფესვებზე; თანაც თვალყურს ადევნებდა ჭიანჭველების ფუსფუსს ნაცრისფერ წიწვებში.

სამხრეთის ბუნებაში, რაც უჩვეულოდ მრავალფეროვან-

ნია ჩრდილოელისათვის, თვითკმაყოფილურად დიდებულ, მკვეხარა, თავგასულ მცენარეთა შორის, იგი, ლევ ტოლსტოი — თვით ეს სახელიც კი ნათელპყოფს მის შინაგან ძალას — პატარა კაცი, რომელიც სულ მთლიანად შეკრულია რაღაც მავარი, მიწის ღრმა ფესვებით, სულ ერთიანად კვანკებიანი, — მ. ე. ვამბობ, ყირიმის ამპარტავან ბუნებაში, იგი ერთსა და იმავე ღროს თავის ადგილას იყო და არც იყო. ის ჰგავდა ვიღაც ღრმად მოხუცებულ კაცს და ამასთან, მთელი ამ მხარის პატრონს, — პატრონსა და შემქმნელს, რომელიც ასი წლის არ. ყოფნის შემდეგ დაბრუნდა მის მიერ შექმნილ თავისსავე მეურნეობაში. ბევრი რამ დაეწყნია, ბევრი რამ ახალია მისთვის, აქ თითქმის ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, მაგრამ მთლიანად მაინც არ არის ისე, და ახლავე საჭიროა გაირკვეს — რა არ არის ისე, რატომ არ არის ისე, როგორც საჭიროა.

იგი დადის გზებსა და ბილიკებზე მიწის მარჯვე შემცნობელის მოხერხებული, ჩქარი ნაბიჯით და ხედავს, ზომავს, სინჯავს, აღარებს მახვილი თვალით, რომელსაც ვერ დაემალება ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი აზრი. და თავის ირგვლივ თესავს დაუთრგუნველი აზრის ცოცხალ მარცვლებს. ის ეუბნება სულერს:

— შენ, ლევუშკა, არაფერს არ კითხულობ, ეს არ ვარგა, რადგან თავისმოიმედობაა, გორკი კი ბევრს კითხულობს, არც ეს ვარგა, საკუთარ თავს არ ენდობა. მე ბევრს ვწერ, ესეც არ არის კარგი, რადგან მოხუცებულის თავმოყვარეობის შედეგია, იმის შედეგია, რომ მსურს, ყველა ჩემებრ ფიქრობდეს. ცხადია, მე კარგს ვფიქრობ ჩემთვის, გორკი ფიქრობს, რომ მისთვის ეს ცუდია, შენ კი — საერთოდ არ ფიქრობ, მხოლოდ თვალებს აცეცებ; ზვერაგ, რას ჩააფრინდე. და ჩააფრინდები ხოლმე არა შენს საქმეს, — ეს უკვე დაგმართნია. ჩააფრინდები, მოებლაუქები, ხოლო როცა შენგან თვით იწყებს ჩამოშორებას, აღარც აჩერებ. ჩეხოვს აქვს შესანიშნავი მოთხრობა „სულიკო“, შენ თითქმის მას ჰგავხარ.

— რით? — სიცილით პკითხა სულერმა.

— სიყვარულით — გიყვარს, ხოლო ამორჩევა არ შეგიძლია და წვრილმანებზე დახურდავდები ხოლმე.

— ყველა ასეთია?

— ყველა? — გაიმეორა ლ. ნ.-მ — არა, ყველა არა.

და მოულოდნელად შემეკითხა, თითქოს ხელი შემომკრა:

— თქვენ რატომ არ გწამთ ღმერთი?

— რწმენა არა მაქვს, ლ. ნ.!

— ეს არ არის სწორი. თქვენ ბუნებით მორწმუნე ხართ, და თქვენი უღმერთოდ ყოფნა არ შეიძლება. მალე იგრძნობთ ამას. ღმერთი კი უინიანობის, განაწყენების გამო არა გწამთ: სამყარო ისე არ არის მოწყობილი, თქვენ რომ გინდათ. ღმერთი არა სწამთ, აგრეთვე, მორცხვობის გამო, ეს ჭაბუკებს მოსდით: აღმერთებენ ქალს, ხოლო ამის ჩვენება არა სურთ, ეშინიათ — ვერ გაიგებსო, და თანაც სიმამაცე არ ყოფნიო. რწმენას — ისევე, როგორც სიყვარულს, — სიმამაცე, გაბედულება სჭირდება. უნდა უთხრა საკუთარ თავს — მწამს, — და ყველაფერი რიგზე იქნება, ყველაფერი ისეთი მოგჩვენება, როგორც გსურს, იგი საკუთარ თავს დაგანახვებთ და მიგიზიდავთ. აი, თქვენ ბევრი რამ გიყვართ, ხოლო რწმენა — ეს სწორედ გაძლიერებული სიყვარულია. კიდევ უფრო მეტად უნდა შეიყვართო — მაშინ სიყვარული რწმენად იქცევა. როდესაც ქალი უყვართ — უყვართ ყველაზე უკეთესი ამ ქვეყანაზე, — და აუცილებლად თითოეულს ყველაზე უკეთესი ქალი უყვარს, ეს უკვე — რწმენაა. ურწმუნო კაცს არ შეუძლია სიყვარული. მას დღეს ერთი შეუყვარდება, ერთი წლის შემდეგ — მეორე. ასეთი ადამიანების სული მოხეტიალეა, იგი უნაყოფოდ ცხოვრობს, ეს ცუდია. თქვენ რწმენა დედის მუცლიდან დაგყვათ და ჯობს, თავი გაანებოთ პრანჭვას. აი, თქვენ ამბობთ, მშვენიერებაო? რა არის მშვენიერება? — ყველაზე უფრო მაღალი და სრულყოფილი ღმერთი.

ადრე მას თითქმის არასოდეს არ ულაპარაკია ჩემთან ამ თემაზე და ამ თემის სიდიადემ, მოულოდნელობამ როგორღაც გამქელა. თავდაყირა დამაყენა. მე ვდუმდი. იგი დივანზე ფეხმორთხმული იჯდა. ასე მჯდომარემ წვერებიდან ზეიმური ღიმილი გამოაპარა და თქვა, თანაც თითით დამემუქრა:

— ამას დუმილით თავს ვერ დაადწევთ, ვერა!

ხოლო მე, ვისაც ღმერთი არა მწამს, რატომღაც ძალზე ფრთხილად, ცოტა შიშითაც შევცქერა მას, შევცქერა და გფიქრობ:

„ეს კაცი ღმერთსა ჰგავს.“

ა. პ. ჩ ე ხ ო ვ ი

ერთხელ სოფელ ქუჩუკ-ყოიში მიმიპატიჟა, სადაც პატარა შიშის ნაკვეთი და ორსართულიანი თეთრი სახლი ჰქონდა. თავისი „მამული“ რომ დამათვალეებინა, გაცხოველებით მიიხრა:

— ბევრი ფული რომ მქონდეს, აქ სანატორიუმს მოვაწყობდი ავადმყოფი სოფლელი მასწავლებლებისათვის. იცით, მშვენიერ ნათელ შენობას ავაგებდი, ძლიერ ნათელს, დიდფანჯრებიანსა და მაღალჭერიანს. მექნებოდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, სხვადასხვაგვარი მუსიკალური ინსტრუმენტი, საფუტკრე, ბოსტანი, ხეხილის ბაღი, შეიძლებოდა ლექციების მოწყობაც აგრონომიაზე, მეტეოროლოგიაზე. მასწავლებელმა ყველაფერი უნდა იცოდეს, ჩემო კარგო, ყველაფერი!

უცბად დადუმდა, დაახველა, გვერდიდან შემომხედა და გაიღიმა თავისი ღმობიერი, საამური ღიმილით, რომელიც მუდამ ასე ძლიერ გიზიდავდა და გაიძულებდა, განსაკუთრებული ყურადღებით მოგესმინა მისი სიტყვები.

— თქვენთვის მოსაწყენია ჩემი ფანტაზიების მოსმენა? მე კი მიყვარს ამაზე ლაპარაკი. რომ იცოდეთ, როგორ ესაჭიროება რუსეთის სოფელს კარგი, ჭკვიანი, განათლებული მასწავლებელი ჩვენში, რუსეთში, მასწავლებელს აუცილებლად უნდა შეეფქმნათ რაღაც განსაკუთრებული პირობები; და ეს რაც შეიძლება მალე უნდა გავაკეთოთ, თუ გვესმის, რომ ხალხის ფართო განათლების გარეშე სახელმწიფო ისე დაიშლება, როგორც ცუდად გამომწვარი აგურით ნაშენი სახლი მასწავლებელი არტისტი, მხატვარი, თავისი საქმის მგზნებარე მოყვარული უნდა იყოს, ჩვენში კი იგი შავი მუშა, ნაკლებად გან-

ვითარებული ადამიანია, რომელიც ისეთივე ხალისით მიდის
 სოფლად ბავშვების აღსაზრდელად, როგორც გადასახლე-
 ბაში წავიდოდა. მასწავლებელი შიმშილობს, დაბეჩავებულია,
 იმის შიშს შეუპყრია, ლუკმაპური არ დაეკარგო. საჭირო კი
 ის არის, რომ მასწავლებელი სოფელში პირველი კაცი იყოს,
 რომ მუუიკს პასუხს აძლევდეს ყველა მის კითხვაზე, რომ მუ-
 ეიკები მასში ისეთ ძალას ხედავდნენ, რომელიც ყურადღებას
 და პატივისცემის ღირსია, რომ არავის შეეძლოს მისთვის და-
 ყვირება... მისი პიროვნების დამცირება, როგორც ამას ჩვენში
 სჩადიან ყველანი: სოფლიზ პოლიციელი, მდიდარი მეღუქნე,
 ხუცესი, უბნის ბოქაულა, სკოლის მზრუნველი, მამასახლ-
 და ის ჩინოვნიკი, რომელიც სკოლების ინსპექტორის სახელს
 ატარებს, მაგრამ განათლების კარგად მოწყობისათვის კი არ
 ზრუნავს, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ზუსტად სრულდებო-
 დეს ოლქიდან მიღებული ცირკულარები. უაზრობაა, რაღაც
 გროშებს იღებდეს ადამიანი, რომელიც მოწოდებულია ხალ-
 ხი აღზარდოს, — გესმით? — ხალხი აღზარდოს დაუშვებელია;
 რომ ეს ადამიანი ძონძებით შემოსილი დადიოდეს, სიცივისა-
 გან კანკალებდეს ნესტიან, ფარღალალა სკოლებში, მხუთრი
 ახრჩობდეს, ცივდებოდეს, ოცდაათი წლის ასაკში ლარინგი-
 ტით, რევმატიზმით, ტუბერკულოზით ავადდებოდეს... ეს ხომ
 ჩვენი შერცხვენაა! ჩვენი მასწავლებელი წელიწადში რვა,
 ცხრა თვეს განდგილივით ცხოვრობს, ვერავის გაესაუბრება,
 მარტოობაში ჩლუნგდება, წიგნი მისთვის არ არის და გართო-
 ზა. თუ ამხანაგები მიიპატიჟა — არაკეთილსაიმედობას დააბ-
 რალებენ, — ამ სულელურ რაღაცას, რომლითაც ეშმაკი ად-
 ნიანები ბრყყვებს აშინებენ!.. საზიზღარია ყველაფერი ეს...
 რაღაც დაცინვაა იმ ადამიანისა, რომელიც დიდ, მეტად საჭი-
 რო საქმეს აკეთებს. იცით, როცა მასწავლებელს ვხედავ,
 უხერხულად ვგრძნობ თავს მის წინაშე მისი გაუბედაობის
 გამოც და იმის გამოც, რომ მას ცუდად აცვია. ასე მგონია,
 თითქოს მასწავლებლის ამ სილატაკეში მეც რაღაც დანაშაუ-
 ლი მიმიძლოდეს... სერიოზულად გეუბნებით!

დადუმდა, ჩაფიქრდა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და წყნარად
 წარმოთქვა:

— ასეთი უცოდინარი და ტლანქი ქვეყანაა ეს ჩვენი რუსეთი.

ღრმა ნალველის ჩრდილმა დაფარა მისი შესანიშნავი თვალები, ნაოჭთა წვრილი სხივები გარს შემოეფლნენ მათ და უფრო ჩააღრმავეს მისი გამოხედვა. ირგვლივ მიმოიხედა. და თავის თავზე იხუმრა:

— ხომ ხედავთ, ლიბერალური გაზეთის მთელი მოწინავე სტატია წაგიკითხეთ. წავიღეთ — ჩაით გაგიმასპინძლდებით იმისათვის, რომ ასეთი მომთმენი ხართ...

ასე იცოდა ხშირად: ლაპარაკობდა გულთბილად, სერიოზულად, გულლიად და უეცრად გაედიმებოდა საკუთარ თავსა და საკუთარ სიტყვებზე. და ამ წყნარ, ნალვლიან ღიმილში იგრძნობოდა იმ ადამიანის უნაზესი სკეპტიციზმი, ვინც იცის სიტყვის ფასი, ოცნების ფასი. და კიდევ, ამ ღიმილში გამოკრთოდა შესანიშნავი თავმდაბლობა, გულისხმიერი თავაზიანობა...

ჩვენ წყნარად და დუმილით გავეშურეთ სახლისაკენ. ნათელი და ცხელი დღე იყო. მზის ნათელ სხივებში მოლივლივე ტალღები ხმაურობდნენ; მთის ძირას ალერსიანად წკმუტუნებდა რაღაცით კმაყოფილი ძაღლი. ჩეხოვმა მკლავში ხელი გამომდო, რამდენჯერმე ჩაახველა და ნელა წარმოთქვა:

— ეს სამარცხვინო და სამწუხაროა, მაგრამ ხომ ასეა: ბევრი ადამიანი შენატრის ძაღლის ბედს...

და მაშინვე სიცილით დაუმატა:

— დღეს. სულ სხვანაირად ვლაპარაკობ... მაშასადამე, ვბერდები!

ძალიან ხშირად გამიგონია მისგან:

— იცით, რა, აქ ერთი მასწავლებელი ჩამოვიდა... ავადმყოფი, ცოლიანი. ხომ არა გაქვთ საშუალება, დაეხმაროთ? ჯერჯერობით მე დავაბინავე...

ან:

— გამიგონეთ, გორკი, ერთ მასწავლებელს სურს თქვენი

გაცნობა. გარეთ ვერ გამოდის, ავად არის. იქნებ შეიაროთ მასთან, კარგი?

ან:

— აი, მასწავლებელი ქალები გვთხოვენ, წიგნები გავუგზავნოთ... ხანდახან მასთან მისულს იქ დამხვედრია ეს „მასწავლებელი“: ჩვეულებრივ, მასწავლებელი, თავისი უხერხული მდგომარეობის შეგნებით სახეწამოქარხლებული, სკამის კიდეზე იჯდა და დიდი გაჭირვებით ეძებდა სიტყვებს, რომ გამართულად და განათლებულად ელაპარაკა, ან არადა ძალზე მორცხვი კაცის გამბედაობით სულ ერთთავად იმის ცდაში იყო, მწერალს ბრიყვად არ სჩვენებოდა, და ანტონ პავლეს ძეს სეტყვასავით აყრიდა კითხვებს, რომლებიც, საეჭვოა, მას ოდესმე აზრად მოსვლოდა.

ანტონ პავლეს ძე ყურადღებით ისმენდა უთავბოლო ლაპარაკს; მის სევდიან თვალებში დიმილი გამოკრთოდა, საფეთქლებთან ნაოჭები უთამაშებდა, და, აი, თავისი გულში ჩამწვდომი, რბილი, თითქოს მქრქალი ხმით, თვითონ იწყებდა უბრალო, ნათელი, უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული სიტყვებით ლაპარაკს, ისეთი სიტყვებით, რომლებიც უმაღვე აუბრალოებდნენ მოსაუბრეს: და იგი უკვე აღარ ცდილობდა გონიერ ადამიანად თავის მოჩვენებას, ამიტომ მაშინვე უფრო ჭკვიანი და უფრო საინტერესო ხდებოდა...

მახსოვს, ერთი მასწავლებელი — მაღალი, გამხდარი, რომელსაც ყვითელი, დამშეულის სახე და ნიკაბისაკენ მელანქოლიურად დახრილი კეხიანი ცხვირი ჰქონდა, — ანტონ პავლეს ძეს პირისპირ უჯდა, უძრავი შავი თვალებით შიგ სახეში მისჩერებოდა და ბოხი ხმით კუმტად ელაპარაკებოდა:

— ყოფიერების ამგვარი შთაბეჭდილებებისაგან პედაგოგიური სეზონის განმავლობაში იქმნება ისეთი ფსიქიური კონგლომერატი, რომელიც აბსოლუტურად თრგუნავს გარემო სამყაროსადმი ობიექტური დამოკიდებულების ყოველგვარ შესაძლებლობას. რასაკვირველია, სამყარო მეტი არა არის რა, თუ არა ჩვენი წარმოდგენა მის შესახებ...

აქ იგი ფილოსოფიაში გადაეშვა და ისე გაჰყვა მას, ვით მთვრალი კაცი მოლიპულ გზას.

— მითხარით, გეთაყვა, — ხმადაბლა და გულთბილად

კითხა ჩეხოვმა, — ვინ არის ის, თქვენს მაზრაში ბავშვებს რომ სცემს?

მასწავლებელი სკამიდან წამოვარდა და აღშფოთებით გასაყვსავა ხელები:

— რას ბრძანებთ? მე და ცემა? არასოდეს!

და გულნაწყენად აფრუტუნდა.

— ნუ ღელავთ, — განაგრძობდა ანტონ პაულეს ძე, თანაც მშვიდად იღიმებოდა, — განა თქვენზე ვლაპარაკობი მაგრამ მასსოვს — გაზეთებში წამიკითხავს — ვილაც სცემს მოსწავლეებს, სწორედ თქვენს მაზრაში...

მასწავლებელი დაჯდა, გაოფლიანებული სახე შეიმშრალა, გულს მოეშვა და ყრუ დვრინით განაგრძო ლაპარაკი:

— სწორია იყო ერთი შემთხვევა. ეს მაკაროვი გახლდათ. წარმოიდგინეთ — არ უნდა გაგიკვირდეთი მხეცობაა, მაგრამ თავისი ახსნა აქვს. მაკაროვი ცოლშვილიანია, ოთხი ბავშვი ჰყავს, ცოლი ავადმყოფობს, თვითონაც კლექიანია, ჯამაგირი ოცი მანეთი აქვს... სკოლა კი სარდაფშია, ხოლო მასწავლებელი ერთ ოთახში ცხოვრობს. ასეთ პირობებში ღეთის უწყინარ ანგელოზსაც კი მოსცხებ, ხოლო მოსწავლეები ანგელოზები არ არიან, დამიჯერეთ!

და ეს კაცი, რომელიც სულ ახლახან უმოწყალოდ უშენდა ჩეხოვს უამრავ „კვიციანურ“ სიტყვას, უეცრად უბრალო, ქვასავით მძიმე სიტყვებით ალაპარაკდა, რომლებითაც ნათლად ხატავდა რუსეთის სოფლის ყოფა-ცხოვრების წყეულ, სასტიკ სიმართლეს...

მასპინძელს რომ ემშვიდობებოდა, მასწავლებელმა ორივე ხელი ჩაჰკიდა მის პატარა, წვრილთითებიან გამხდარ ხელს, შეანჯღრია და თქვა:

— თქვენთან ისე მოვეშურებოდი, თითქოს უფროსებს უნდა წარვდგომოდი. გაუბედაობა მეუფლებოდა, ერუანტელი მივლიდა, თანაც მამალი ინდაურით გავიფხორე, მინდოდა, თქვენთვის მეჩვენებინა, რომ ცოტა რამე მეც გამეგება... და, აი, გშორდებით როგორც კარგ, ახლობელ ადამიანს, რომელსაც ყველაფერი ესმის! დიდი დაქმეა, ყველაფერი გესმოდეს! გმადლობთ! მივდივარ და თან მიმაქვს კარგი, კეთილი აზრი: დიდი ადამიანები უფრო უბრალონი, უფრო გამგებნი არიან,

სულითა და გულით უფრო ახლოს დგანან ჩვენთან, ვიდრე ყველა ეს უბადრუკნი, რომელთა შორისაც ჩვენ ვცხოვრობთ, მშვიდობითი არასოდეს არ დაგივიწყებთ...;

ცხვირი შეუტოკდა, ტუჩებზე კეთილი ღიმილი გაუკრთა და მან მოულოდნელად დაუმატა:

— კაცმა რომ თქვას, არამზადებიც საწყლები არიან, ეშმაკმა დალახვროს!

როცა წავიდა, ანტონ პავლეს ძემ თვალი გააყოლა, ჩაიცი-
ნა და თქვა:

— კარგი ყმაწვილია. დიდხანს ვერ იმასწავლებლებს...

— რატომ?

— სულს ამოხდინან... გააძევენ.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ხმადაბლა და ღმობიერად და-
უმატა:

— რუსეთში პატიოსანი კაცი ბუხრის მწმენდელივით არის, გადიები პატარ ბავშვებს რომ აშინებენ...

მე მგონია, ყველას, ვინც კი ანტონ პავლეს ძის გვერდით იყო, ძალაუნებურად აღეძვროდა სურვილი, რაც შეიძლება უბრალოდ დაეკირა თავი, უფრო გულმართალი, თავისთავადი ყოფილიყო. რამდენიმეჯერ მინახავს, როგორ იშორებდნენ ადამიანები წიგნური ფრაზების, მოდური სიტყვების ბრჭყვი-
ალა სამოსელს და იაფფასიან სამკაულებს, რომელთა შემწე-
ობითაც რუსი ადამიანი, ევროპელად რომ სურს თავი გიჩვენ-
ნოთ, ინგვარად ირთავს თავს, ვით ველური — ნიქარებითა და
თევზის კბილებით. ანტონ პავლეს ძეს არ უყვარდა თევზის
კბილები და მამლის ფრთები; ყოველივე ჭრელი, ხმაურა და
უცხო, რაც ადამიანს „მეტი განდიდებისათვის“ ჰქონდა ზედ
ასხმული, აძრწუნებდა მას; და მე ვამჩნევდი, რომ ყოველთ-
ვის, როცა კი იგი ამგვარად მორთულ კაცს შეხვდებოდა, სურ-
ვილი ებადებოდა, გაეთავისუფლებინა იგი მთელი ამ მძიმე
და ზედმეტი ზიზილ-პიპილებისაგან, ესოდენ რომ ამახინჯებ-
დნენ მისი მოსაუბრის ნამდვილ სახესა და ცოცხალ სულს.
მთელი სიცოცხლე ჩეხოვი საკუთარი სულით ცხოვრობდა,
ყოველთვის თავისთავადი, შანაგანად თავისუფალი იყო და

არასოდეს არაფრად აგდებდა, თუ რას მოელოდნენ ერთნი ანტონ ჩეხოვისაგან ან რას მოითხოვდნენ მისგან მეორენი, უფრო უხეშნი. მას არ უყვარდა „მაღალ“ თემებზე ლაპარაკი, რითაც გულითადი რუსი ადამიანი ასე ბეჭითად ირთობს თავს და ივიწყებს, რომ ერთობ სასაცილო და არცთუ მაინცდამაინც კვუაძახვილურია მომავლის ხავერდის კოსტიუმებზე მსჯელობა, თუ ახლა ხეირიანი შარვალიც არ გაცვია.

ჩეხოვი საუცხოოდ უბრალო კაცი იყო და ყველაფერი ნამდვილი, გულახდილი უყვარდა, და ჰქონდა კიდევაც ადამიანთა გაუბრალოების თავისებური მანერა.

ერთხელ მას სამი საუცხოოდ გამოწყობილი მანდილოსანი ეწვია. მათ მთელი ოთახი აბრეშუმის კაბების შრიალითა და სუნამოს ძლიერი სურნელით აავსეს; დინჯად დასხდნენ მასპინძლის წინ, თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს ძალიან აინტერესებდათ პოლიტიკა, და დაიწყეს „კითხვების დასმა“.

— ანტონ პავლეს ძევი როგორ ფიქრობთ, რით გათავდება ომი?

ანტონ პავლეს ძემ ჩაახველა, მოიფიქრა და ლმობიერად, სერიოზული, ალერსიანი ტონით უპასუხა:

— ალბათ, ზავით...

— თავისთავად ცხადია! მაგრამ ვინ გაიმარჯვებს? ბერძნები თუ თურქები?

— მე მგონია, ის გაიმარჯვებს, ვინც უფრო ძლიერია...

— მაინც ვინ არის, თქვენი აზრით, უფრო ძლიერი? — ერთიმეორეს არ აცლიდნენ, ისე ეკითხებოდნენ მანდილოსნები.

— ის, ვინც უკეთ იკვებება და უფრო განათლებულია...

— ახ, რა მოსწრებულად ბრძანებთ! — წამოიძახა ერთმა.

— ვინ უფრო გიყვართ — ბერძნები თუ თურქები? — ჰკითხა მეორემ.

ანტონ პავლეს ძემ ალერსიანად შეხედა მას და მშვიდი, თავაზიანი ღიმილით უპასუხა:

— მე მიყვარს მარმელადი... თქვენ გიყვართ?

— ძლიერი — გრძნობით წამოიძახა მანდილოსანმა.

— ის ძალიან არომატულია! — დარბაისლურად დადასტურა მეორემ.

და სამივე მანდილოსანი გაცხოველებით ალაპარაკდა, თანაც სამივემ მარმელადის საკითხში შესანიშნავი ერუდიცია და საგნის ზედმიწევნით ცოდნა გამოამჟღავნა. ცხადი იყო — ისინი ძალიან კმაყოფილი არიან იმით, რომ საჭირო აღარაა გონების დაძაბვა და თავის ისე მოჩვენება, თითქოს მართლაც აინტერესებდათ თურქები და ბერძნები, რომლებზედაც აქამდე არც კი უფიქრიათ.

როცა ემშვიდობებოდნენ, მხიარულად დაჰპირდნენ ანტონ პავლეს ძეს:

— მარმელადს გამოგიგზავნით

— თქვენ ჩინებულად ესაუბრეთ მათი — შევნიშნე, როცა ისინი წავიდნენ.

ანტონ პავლეს ძემ წყნარად გაიცინა და თქვა:

— ყოველი ადამიანი თავისი ენით უნდა ლაპარაკობდეს... ერთხელ მასთან ვნახე პროკურორის ამხანაგი, ახალგაზრდა ლამაზი კაცი. ჩეხოვის პირისპირ იდგა, ხუჭუჭა თავს აქნევდა და მკვირცხლად ამბობდა:

— მოთხრობა „ბოროტგანმზრახველით“ თქვენ, ანტონ პავლეს ძე, უკიდურესად რთულ საკითხს აყენებთ ჩემ წინაშე. თუ მე ვცნობ დენის გრიგორიევის შეგნებულ ბოროტგანზრახვას, უსიტყვოდ ციხეში უნდა ჩავსვა იგი, როგორც ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები. მაგრამ იგი ველურია, არ ესმოდა, თავისი მოქმედებით რომ დანაშაულს სჩადიოდა. მე მებრალება ისი თუ მას ისე მოვეპყარი, როგორც შეუგნებლად მოქმედ სუბიექტს და სიბრალულის გრძნობას დავემორჩილე, რა გარანტია შემიძლია მივცე საზოგადოებას, რომ დენისი კვლავ არ მოხსნის რელსების ქანჩებს და მარცხს არ გამოიწვევს? აი, კითხვაა მაშ, როგორ მოვიქცე?

იგი დადუმდა, უკან გადაიხარა და პირდაპირ სახეში მიაშტერდა ანტონ პავლეს ძეს. ახალი მუნდირი ეცვა, ფოლაქები ისევე თვითდაჯერებულად და ჩლუნგად ელავდა მის გულმკერდზე, როგორც თვალები მართლმსაჯულების ამ თავგამოდებული ჭაბუკი დამცველისა — სუფთა სახეზე.

— მე რომ მოსამართლე ვიყო, — სერიოზულად თქვა ანტონ პავლეს ძემ, — დენისს გავამართლებდი...

— რა საფუძვლით?

— ვეტყვოდი: „დენის, შენ ჯერ კიდევ არ მომწიფებულხარ შეგნებულად მოქმედი დამნაშავის ტიპად, წადი და მომწიფდი!“

იურისტმა გაიცინა, მაგრამ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო და განაგრძო:

— არა, პატივცემულო ანტონ პავლეს ძე. თქვენ მიერ დასმული საკითხი უნდა გადაიჭრას მხოლოდ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, ვისი ცხოვრებისა და საკუთრების დაცვაც მე მევალება. დენისი ველურია, დიახ, მაგრამ იგი დამნაშავეა, — აი, ქეშმარიტება!

— გრამოფონი თუ მოგწონთ? — მოულოდნელად აღერსით ჰკითხა ანტონ პავლეს ძემ.

— ცხადია, ძლიერი გასაოცარი გამოგონებაა! — ცოცხლად უპასუხა ჰაბუკმა.

— მე კი მეზიზღება გრამოფონები! — ნაღვლიანად აღიარა ანტონ პავლეს ძემ.

— რატომ?

— ისინი ხომ ისე ლაპარაკობენ და მღერიან, რომ არაფერს არ გრძნობენ. მათ ყველაფერი კარიკატურულად გამოუდით, უსიცოცხლოდ... ფოტოგრაფია ხომ არ გიზიდავთ?

აღმოჩნდა, რომ იურისტი ფოტოგრაფიის მგზნებარე მოტრფიალეა; მაშინვე გატაცებით დაიწყო ლაპარაკი ფოტოგრაფიაზე და უმალ დაივიწყა გრამოფონი, მიუხედავად ამ „გასაოცარი გამოგონებისადმი“ მისი მსგავსებისა, რაც ასე მოსწრებულად და ზუსტად შენიშნა ჩეხოვმა. მე კვლავ დავინახე, როგორ გამოიხედა მუნდირიდან ცოცხალმა და საკმაოდ სასაცილო კაცუნამ, რომელიც ცხოვრებაში ჯერ კიდევ ისე გრძნობდა თავს, როგორც ლეკვი ნადირობაზე.

ჰაბუკი რომ გააცილა, ანტონ პავლეს ძემ მოლუშულად თქვა:

— აი, მართლმსაჯულების... საჯდომზე ამოსული ასეთი მუწუკები განაგებენ ადამიანის ბედს.

და მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა:

— პროკურორებს ძლიერ უყვართ თევზები! ჰერა, განსაკუთრებით, ჩიქვისა!

ჩეხოვი ფლობდა იმის ხელოვნებას, რომ ყველგან დანახა და გამოეაშკარავებინა უხამსობა, — ხელოვნებას, რომელიც მხოლოდ ცხოვრებისადმი მაღალი მოთხოვნისა და ადამიანისთვის არის ხელმისაწვდომი და რომელიც მხოლოდ იმის მგზნებარე სურვილით იქმნება, რომ ადამიანები უბრალონი, ლამაზნი, ჰარმონიულნი ვიხილოთ. უხამსობა, მისი სახით, ყოველთვის მკაცრსა და ცხარე მსაჯულს აწყდებოდა.

ერთხელ ვიღაცა მისი თანდასწრებით მოგვეთხრობდა, რომ პოპულარული ჟურნალის გამომცემელმა კაცმა, რომელიც მუდამ ადამიანებისადმი სიყვარულსა და ღმობიერებაზე მსჯელობდა, სრულად უსაფუძვლოდ შეურაცხყო რკინიგზის კონდუქტორი და რომ ეს კაცი, საერთოდ, ძლიერ უხეშად ეპყრობა მასზე დამოკიდებულ ადამიანებს.

— რატომაც არა, — თქვა ანტონ პავლეს ძემ, თანაც წარბშეკრულმა ჩაიღიმა, — ის ხომ არისტოკრატია, განათლებული კაცია... სემინარიაში უსწავლია მამამისს ქალამნები ეცეა, ის კი სანდალოზის ფეხსაცმლით დადის...

და ამ სიტყვებს ისეთი კილო ჰქონდა, რომ „არისტოკრატი“ მაშინვე არარაობად და სასაცილოდ იქცა.

— ძალიან ნიჭიერი კაცია — ამბობდა ერთ ჟურნალისტზე. — ყოველთვის დიდად კეთილშობილურად, ჰუმანურად... დაშაქრულად წერს. თავის ცოლს სხვების თანდასწრებით სულელს ეძახის. მოსამსახურეები ნესტიან ოთახში ჰყავს და ისინიც მუდამ რევმატიზმით ხდებიან ავად...

— ანტონ პავლეს ძე, მოგწონთ N?

— დიან... ძალიან. სასიამოვნო კაცია, — ეთანხმება ანტონ პავლეს ძე, თან ახველებს. — ყველაფერი იცის. ბევრს კითხულობს. ჩემთან სამი წიგნი წაიკითხა. გულმა ვიწყია. დღეს გაგიცხადებთ, შესანიშნავი ადამიანი ხართო, ხვალ კი ვიღაცას ეტყვის, თითქოს თქვენი საყვარლის ქმარს აბრეშუმის შავი წინდები მოჰპარეთ, ლურჯოვლებიანი...

ვიღაცამ მისი თანდასწრებით უკმაყოფილება გამოთქვა, სქელტანიანი ჟურნალების „სერიოზული“ განყოფილებები მოსაწყენი და ტლანქიაო.

— ჰოდა, თქვენც ნუ კითხულობთ ამ სტატიებს, — გადაჭრით ურჩია ანტონ პავლეს ძემ. — ეს ხომ ძმაბიჭების ლიტე-

რატურა... მეგობართა ლიტერატურა. მას ბატონები კრასნო-
ვი, ჩერნოვი და ბელოვი¹ თხზავენ. ერთი სტატიას დაწერს,
მეორე შეეკამათება, მესამე კი პირველთა წინააღმდეგობას
შეარჩევს. ეს იმასა ჰგავს, რეგვენს რომ ვინტს ეთამაშებოდ-
ნენ. ხოლო ესაჭიროება თუ არა ყოველივე ეს მკითხველს,
ამას არც ერთი მათგანი არ ეკითხება თავის თავს.

ერთხელ ვილაც მსუქანი, ტანადი, ლამაზი, მშვენიერად
ჩაცმული მანდილოსანი ეწვია და „ჩეხოვურად“ დაუწყა ლა-
პარაკი.

— მოსაწყენია ცხოვრება, ანტონ პავლეს ძე! ყველაფერი
უფერულია; ადამიანები, ცა, ზღვა, ყვავილებიც კი უფერუ-
ლად მეჩვენება. გაქრა საწადელი... სული ნაღველს მოუცავს.
თითქოს რაღაც ავადმყოფობა იყოს...

— ეს ავადმყოფობაა! — დაბეჯითებით უთხრა ანტონ პავ-
ლეს ძემ. — ეს არის ავადმყოფობა. ლათინურად მას morbus
puitvorialis ეწოდება.

მანდილოსანმა, მისდა საბედნიეროდ, ალბათ, არ იცოდა
ლათინური; თუმცა ისიც შესაძლოა, არ შეიმჩნია, რომ იყო-
და...

— კრიტიკოსები ბუზანკლებს ჰგვანან, რომლებიც მიწის
ხენაში ხელს უშლიან ცხენს, — ამბობდა იგი, თან თავისებუ-
რად ჰკვიანურად იღიმებოდა. — ცხენი მუშაობს, ყველა კუნ-
თი კონტრაბასის სიმებივით დაუჭიმავს, ამ დროს კი ბუზანკა-
ლი დააჯდება გავაზე, უღიტინებს და ბზუის. ცხენმა უნდა
ატოკოს ტყავი და აქნიოს კუდი. რას ბზუის? საეჭვოა, თვი-
თონვე იცოდეს. უბრალოდ — მოუსვენარი ხასიათი აქვს და
უნდა, თავისი ხმა გააგონოს სხვას, აქაოდა, მეც ამ ქვეყა-
ნაზე ეცხოვრობო! ხომ ხედავთ, ბზუილიც კი შემოიძლია, ყვე-
ლაფერზე ბზუილილი! ოცდახუთი წელიწადია, რაც ჩემი მოთხ-
რობების კრიტიკას ვკითხულობ, და ერთი სასარგებლო მითი-
თება, ხეირიანი რჩევა არ მახსოვს. მხოლოდ ერთხელ სკაბი-
ჩევსკიმ მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება, მან დაწერა, რომ მე
მთვრალს სადღაც ღობის ძირას ამომზდება სული...

მის ნაცრისფერ, სევდიან თვალებში თითქმის ყოველთვის

¹ ეს გვარები ორაზროვანია. ქართულად იქნება: წითლიძე, შავიშვი-
ლი და თეთრაძე. — მთარგმ. შენიშვნა.

მსუბუქად თამაშობდა ნაზი სიცილი, მაგრამ ხანდახან ეს თვალები ცივი, მახვილი და მკაცრი უხედებოდა; ასეთ წუთებში მისი მოქნილი, გულშიჩამწვდომი ხმა უფრო მტკიცედ ჟღერდა, და მაშინ მეჩვენებოდა, რომ ეს თავმდაბალი, ღმობიერი კაცი, თუ საჭიროდ მიიჩნევდა, მედგრად, მტკიცედ აღუდგებოდა წინ მტრულ ძალას და არაფერს არ დაუთმობდა.

ზოგჯერ კი მეგონა, რომ ადამიანებთან მის დამოკიდებულებაში იყო რაღაც ცივი და წყნარი სასოწარკვეთის მსგავსი უიმედობის გრძნობა.

— რუსი ადამიანი საოცარი არსებაა! — თქვა ერთხელ. — მასში არაფერი ჩერდება, ისევე როგორც ცხრილში. სიჭაბუკეში თავის სულს ხარბად ავსებს ყველაფრით, რაც კი ხელთ მოჰყვება, ხოლო ოცდაათი წლის ასაკიდან მასში რაღაც უფერული ხარახურა ჩრება. კარგად, ადამიანურად რომ ცხოვრობდე — უნდა მუშაობდე! მუშაობდე სიყვარულით, რწმენით. ჩვენში კი ეს არ შეუძლიათ. არქიტექტორი, რომელმაც ორისამი ხეირიანი სახლი ააგო, ბანქოს თამაშს მიჰყოფს ხოლმე ხელს, მთელ სიცოცხლეს ამას გადააგებს ან თეატრის კულისებში დაეხეტება. ექიმი, თუ მას პრაქტიკა აქვს, მეცნიერებას აღარ ადევნებს თვალს, „ნოვოსტი ტერაპიის“ გარდა აღარაფერს კითხულობს და ორმოცი წლის ასაკში სერიოზულად არის დარწმუნებული, რომ ყველა ავადმყოფობა გაციებისაგან წარმოსდგება. არ შევხვედრივარ არც ერთ ისეთ ჩინოვნიკს, რომელსაც ოდნავ მაინც ესმოდეს თავისი მუშაობის მნიშვნელობა: ჩვეულებრივ, იგი ზის დედაქალაქში ან საგუბერნიო ქალაქში, თხზავს ქაღალდებს და შესასრულებლად აგზავნის მათ ზმიევსა და სმორგონში. ხოლო ვის წაართმევს ეს ქაღალდები მოძრაობის თავისუფლებას ზმიევსა და სმორგონში, ამაზე ჩინოვნიკი ისევე ცოტას ფიქრობს, როგორც ათეისტი — ჯოჯობეთის სატანჯველზე. კარგი დაცვით თუ სახელი გაითქვა, ადვოკატს უკვე აღარ აწუხებს სიმართლის დაცვა, იგი მხოლოდ საკუთრების უფლებას იცავს, დოღზე გამართულ თამაშებში ებმება, ხამანწყას მიიერთმევს და თავს ყველა ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნედ გვაჩვენებს. აქტიორი, რომელმაც ასე თუ ისე კარგად შეასრულა ორი-სამი როლი, თავს ანებებს შემდგომი როლების შესწავლას; დაი-

ხურავს ცილინდრს და თავი გენიოსად წარმოუდგენია. მთელი რუსეთი რალაცნაირი ხარბი და ზარმაცი ადამიანებით არის სავსე. ისინი საშინლად ბევრს ჭამენ, სვამენ, უყვართ დღისით ძილი და ძილში ხერინავენ. ქორწილდებიან, რომ სახლში წესრიგი ჰქონდეთ, და საყვარლებს იჩენენ, რომ საზოგადოებაში პრესტიჟი დაიმკვიდრონ. ფსიქოლოგია ძალისა აქვთ: როცა მათ სცემენ — ხმადაბლა წკმუტუნებენ და თავიანთ ხუბულებში იმალებიან, როცა ეფერებიან — ზურგზე წვებიან, თათებს მალლა აიშვერენ და კუდს აქიცინებენ...

ნაღვლიანი და ცივი სიძულელი ქლერდა ამ სიტყვებში, მაგრამ მას არა მარტო სძულდა, არამედ ებრალებოდა კიდევც. და როცა მასთან, ვთქვათ, აძაგებდით ვისმე, ანტონ პავლეს ძე მაშინვე დაიცავდა მას:

— აბა, რატომ სჩადიხართ ამას? ის ხომ მოხუცია, სამოცდაათი წლისაა...

ან:

— ის ხომ ჯერ ახალგაზრდაა, ეს სიბრძნევით ემართება... და როცა ამას ამბობდა, მის სახეზე ზიზღს ვერ ხედავდი...

სიჭაბუკის ჟამს უხამსობა მხოლოდ გასართობი და უმნიშვნელო რამ გგონია, მაგრამ ნელ-ნელა იგი ედება ადამიანს, თავისი ნაცრისფერი ბურუსით გამსჭვალავს ხოლმე მის ტყინსა და სისხლს, ვით შხამი და მხუთრი, და კაცი ემსგავსება ძველ, ჟანგით შექმულ აბრას: თითქოს რალაც გამოხატულია ზედ, მაგრამ რა? ვერ გაიგებ.

ანტონ ჩეხოვმა ჯერ კიდევ თავის პირველ მოთხრობებში შეძლო უხამსობის ბუნდოვან ზღვაში დაენახა ამ უხამსობის ტრაგიკული ბნელი ოინები: საკმარისია, ყურადღებით წაიკითხოთ მისი „უმორისტული“ მოთხრობები, რომ დარწმუნდეთ, თუ რაოდენ ბევრ მკაცრსა და საძულველს ხედავდა ავტორი გულსტკივილით და მალავდა დარცხვენით სასაცილო სიტყვებსა და დებულებებს მიღმა.

როგორღაც უმწიკვლო თავმდაბალი იყო, თავის თავს ნებას არ აძლევდა, ხმამალა და აშკარად ეთქვა ადამიანებისათვის: „იყავით... უფრო წესიერნი!“ — ამოდ იმედოვნებდა;

ისინი თვითონ მიხვდებიან იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ უფრო წესიერნი იყვნენო. ყველაფერი უხამსი და ბინძური სძულდა და ცხოვრების სისაძაგლეს აღწერდა პოეტის კეთილშობილური ენით, იუმორისტის ლმობიერი ღიმილით, და მისი მოთხრობების გარეგანი მშვენიერების მიღმა ოდნავ თუ მოჩანს მათი შინაგანი აზრი, მწარე საყვედურის გრძნობით აღსავსე.

უპატივცემულისა საზოგადოება „ალბიონის ასულს“ რომ კითხულობს, იცინის და ის კი ვერ დაუნახავს, რომ ამ მოთხრობაში ასახულია ყოველმხრივ უცხო მართხელა კაცის საზიზღარი აბუჩად აგდება მადლარი ბატონის მიერ. ანტონ პავლეს ძის ყოველ იუმორისტულ მოთხრობაში მე მესმის სუფთა, ქეშმარიტად ადამიანური გულის წყნარი, ღრმა ამოოხვრა, ამ უიმედო ამოოხვრაში გამოსჭვივის თანაგრძნობა იმ ადამიანებისადმი, რომელთაც არ შეუძლიათ თავიანთი ადამიანური ღირსების პატივისცემა და, უხეშ ძალას წინააღმდეგობის გაუწევლად დამორჩილებულნი, მონებივით ცხოვრობენ. არაფერი არა სწამთ, გარდა იმისა, რომ ყოველდღე უთუოდ შეხვრიპონ რაც შეიძლება ცხიმიანი შჩი და არაფერს არ გრძნობენ, გარდა იმის შიშისა, რომ ვინმემ, უფრო ღონიერმა და უტიფარმა, არ მოსპოს ისინი.

არავის ისე ნათლად და ზუსტად არ ესმოდა ცხოვრების წვრილმანების ტრაგიზმი, როგორც ანტონ ჩეხოვს, მასზე ადრე არავის დაუხატავს ადამიანებისათვის ასე დაუნდობელი სიმართლით მეშჩანური ყოველდღიურობის უფერულ ქაოსში მათი ცხოვრების სამარცხვინო და სევდიანი სურათი.

მისი მტერი იყო უხამსობა; მთელი თავისი ღღე და მოსწრება იგი ებრძოდა ამ უხამსობას, დასცინოდა და ხატავდა თავისი აუღელვებელი, მახვილი კალმით, ამასთან, უხამსობის ობი შეეძლო დაენახა იქაც კი, სადაც თვალის ერთი შევლებით გეგონებოდათ, ყველაფერი ძალიან კარგად, მოხდენილად, ასე გასინჯეთ — ბრწყინვალედაც კია მოწყობილიო... და უხამსობამ ამის გამო სამაგიერო გადაუხადა მას ცუდი საქციელით: „ხამანწკების“ გადასაზიდ ვაგონში დაასვენა მისი გვამი — გვამი პოეტისა.

სწორედ ამ ვაგონის ჭუჭყიანი მწვანე ლაქა მეჩვენებოდა მე

უხამსობის უზარმაზარ ზეიმურ დაცინვად დაღლილი მტრისადმი, ხოლო ქუჩური გაზეთების აურაცხელი „მოგონებები“ — თვალთმაქცურ მწუხარებად, რომლის მიღმაც ეგრძნობ ცივ, შმორიან სუნთქვას სწორედ იმავე უხამსობისა, რომელიც კმაყოფილია თავისი მტრის გარდაცვალებით.

ანტონ ჩეხოვის მოთხრობებს რომ კითხულობ, თავს ისე გრძნობ, როგორც გვიანი შემოდგომის მოწყენილ დღეს. როცა პაერი ასე გამქვირვალა და მკვეთრად მოჩანან შიშველი ხეები, ვიწრო სახლები, უფერული ადამიანები. ყველაფერი საოცრად განმარტოებულია, უძრავი და ულონო. სიღრმეში წასული ლურჯი შორეთები დაცარიელებულია. ისინი უფერულ ცას ერწყმიან და ნაღვლიან სიცივეს აფრქვევენ დედამიწას, რომელიც გათოშილ ტალახს დაუფარავს. ავტორის ჭკუა, ვით შემოდგომის მზე, დაუნდობელი სინათლით აწუქებს ჭანგრეულ გზებს, მრუდე ქუჩებს, ვიწრო და ქუჩყიან სახლებს, რომლებშიაც მოწყენილობა და სიზანტე სულს უხუთავს პატარა უბადრუკ ადამიანებს, თავიანთი უაზრო, ნახევრად მძინარე ფუსფუსით რომ ავსებენ ამ სახლებს. აი, ნაცრისფერი თავგვივით მოუსვენრად აქეთ-იქით აწყდება „სულიკო“ — სანდომიანი, მორჩილი ქალი, რომელსაც ასე მონური, ასე უზომო სიყვარული შეუძლია. მას შეიძლება სილა გააწინა, ის კი ხმაბალა დაკენესებასაც ვერ გაბედავს, მორჩილი მონაა. მის გვერდით დგას „სამი დის“ გმირი — ნაღვლიანი ოლღა. მასაც დიდი სიყვარულით უცემს გული და უდრტვინველად ემორჩილება თავისი უქნარა ძმის გარყვნილი და უხამსი ცოლის ჭირვეულობას, მის თვალწინ იმსხვრევა მისივე დების ცხოვრება, იგი კი ტირის და არ ქალუძს, ვინმეს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს; უხამსობის საწინააღმდეგო პრეტესტის არც ერთი ცხოველი, ძლიერი სიტყვა არ მოაპოვება მის გულში.

აი, თვალცრემლიანი რანევსკაია და „ალუბლის ბაღის“ სხვა ყოფილი მეპატრონენი — ბავშვებივით ეგოისტურნი და მოხუცებივით მოშვებულნი. მათ დაავგიანეს დროზე სიკვდილი და წუწუნებენ, ვერაფერს თავის გარშემო ვერ ხიდავენ, არაფერი ესმით; — ესენი პარაზიტები არიან, რომელთაც ძალა არ ჰყოფნით, კვლავ მიეტმასნონ ცხოვრებას. საზიზღარა

სტუდენტი ტროფიმოვი მშვენივრად ლაპარაკობს მუშაობის აუცილებლობაზე, ხოლო თვითონ უქნარაა; უსაქმურობით გამოწვეულ მოწყენილობას იმით კლავს და იმით ერთობა, რომ ბრიყვულად აბუჩად იგდებს ვარიას, ვინც წელმოწყვეტით შრომობს უსაქმურთა კეთილდღეობისათვის.

ვერწინინი ოცნებობს იმაზე, თუ როგორი კარგი იქნება ცხოვრება სამასი წლის შემდეგ, და ისე ცხოვრობს, ვერც კი ამჩნევს, რომ მის გარშემო ყველაფერი იხრწნება, რომ მოწყენილობით აღრენილი და ბრიყვი სოლიონი მის თვალწინ მზად არის, მოკლას საბრალო ბარონი ტუზენბახი.

ჩვენ თვალთა წინაშე ჩაივლის თავისი სიყვარულის, თავისი სისულელისა და სიზანტის, ცხოვრების დოვლათისადმი თავისი სიხარბის მონათა დაუსრულებელი მწკრივი; ჩაივლიან ცხოვრებისადმი ბნელი შიშის მონები, ჩაივლიან ბუნდოვანი შიშით მოცულნი და მყოფადზე მეოცნებენი ამ ცხოვრებას უაზრო სიტყვებით ავსებენ, რადგან გრძნობენ, რომ აწმყოში მათი ადგილი არ არის...

ხანდახან მათ უფერულ მასაში გაისმის სროლის ხმა. ეს — ივანოვი ან ტრებლევი მიხვდნენ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ, და თავი მოიკლეს.

ბევრი მათგანი მიმზიდველად ოცნებობს, თუ რა კარგი იქნება ცხოვრება ორასი წლის შემდეგ, და არავის აზრადაც არ მოსდის უბრალო კითხვა: ვინღა აქცევს მას კარგად, თუ ჩვენ მხოლოდ ვიოცნებებთ?

უღონო ადამიანების ამ მოსაწყენი, უფერული ბრბოს ვვერდით ჩაიარა დიდმა, ჭკვიანმა ადამიანმა, ვინც ყველაფერს ყურადღებით ათვალთვრებდა; დააკვირდა იგი თავისი სამშობლოს ამ მოსაწყენ მცხოვრებთ და სევდიანი ღიმილით, ლმობიერი, მაგრამ ღრმა საყვედურის კილოთი, სახესა და გულზე შემონთებული უიმედო მწუხარებით, წკრიალა, გულწრფელი ხმით წარმოთქვა:

— საძაგლად ცხოვრობთ, ბატონებო!

მეხუთე დღეა, რაც სიცხემ ამიწია, მაგრამ მაინც არ ვწვებ. უფერული ფინური წვიმის შინაშლგები ძღენთავენ მიწას. იწოს ფორტში ქვემეხები გრუხუნებენ, მათ ამოწმებენ. ღამ-

დამოხმით პროექტორის გრძელი ენა ლოშნის ღრუბლებს და ეს საზარელი სანახაობაა, რადგან საშუალებას არ გაძლევს, დაივიწყო ეშმაკის ცდუნება — ომი.

ვკითხულობდი ჩეხოვს. იგი რომ ათი წლის წინათ არ გარდავივლილიყო, ალბათ, ომი მოუღებდა ბოლოს, ჯერ კი აღმნიანებისადმი სიძულვილით მოშხამავდა მას. მომავლად მისა დაკრძალვა.

მოსკოვისათვის ასე „სათუთად საყვარელი“ მწერლის კუბო ჩამოასვენეს რალაც მწვანე ფერის ვაგონით, რომელსაც კარებზე დიდი ასოებით ეწერა: „ხამანწკებისათვის“. მწერლის შესახვედრად ვაგზალზე შეკრებილი პატარა ჯგუფის ერთი ნაწილი მანჯურიიდან ჩამოსვენებულ გენერალ კელერის კუბოს გაჰყვა და ძალიან უკვირდა, რომ ჩეხოვს სამხედრო ორკესტრით კრძალავდნენ. როცა შეცდომა აშკარა გახდა, ზოგიერთ გულმხიარულს ამან ღიმილი მოჰგვარა, ხოლო ზოგიერთმა ხითხითიც ააყოლა. ჩეხოვის კუბოს სულ ბევრი, ასამდე კაცი მიჰყვებოდა; ძლიერ დამამახსოვრდა ორი ადვოკატი. ორივეს, სასიძოსავით, ახალი ფეხსაცმელი ეცვა და ბრჭყვილა ჰქონდათ ეკეთა. მე მათ უკან მივდიოდი და მესმოდა, რომ ერთი მათგანი — ვ. ა. მაკლაკოვი — ძაღლების ჰკუთხე ლაპარაკობდა, მეორე, უცნობი კი, თავისი აგარაკის მოწყობილობას და მისი მიდამოების პეიზაჟის სილამაზეს აქებდა. ხოლო ლილისფერ კაბაში გამოწყობილი რომელიღაც მანდილოსანი, რომელსაც არშიიანი ქოლგა ეჭირა, რქისსათვალთან მოხუცს არწმუნებდა:

— აჰ, საოცრად საყვარელი და ძალზე ჰკუთმახვილი იყო...

მოხუცი საეჭვოდ ასველებდა. დღე იყო ცხელი, მტვრიანი. ბროცესიას წინ მედიდურად მიუძღოდა მსუქანი უბნის ზედამხედველი, რომელიც თეთრ ნაპატივებ ცხენზე იჯდა. ყოველივე ეს და კიდევ ბევრი რამ ძალზე უხამსი იყო და არ შეეფერებოდა დიდი და ფაქიზი მხატვრის ხსოვნას.

მოხუც ა. ს. სუვორინისადმი გაგზავნილ თავის ერთ-ერთ წერილში ჩეხოვმა თქვა:

„იმაზე მეტად მოსაბეზრებელი და, ასე ვთქვათ, არაპოე-

ტური ზრავერია, ვიდრე უფერული ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც სიცოცხლის სიხარულს გართმევს და აპათიაში გაგდებს“.

ამ სიტყვებით გამოხატულია წმინდა რუსული განწყობილება, რომელიც, ჩემი აზრით, საერთოდ არ ახასიათებდა ა. პ.-ს. რუსეთში, სადაც ყველაფერი ბევრია, მაგრამ ადამიანებს არ გააჩნიათ შრომის სიყვარული, უმრავლესობა ასე ფიქრობს. რუსი შეჭხარის ენერჯიას, მაგრამ სათანადოდ არ სჯერა მისი. აქტიური განწყობილების მწერალი — მაგალითად, ჯეკ ლონდონი, — შეუძლებელია, რუსეთში დაბადებულიყო, თუმცა ლონდონის წიგნებს ჩვენში ხალხით კითხულობენ, მაგრამ მე ვერ ვხედავ, რომ ისინი რუს ადამიანს მოქმედებისათვის აღძრავდნენ, ისინი მხოლოდ აღიზიანებენ წარმოსახვას. მაგრამ ჩეხოვი ძალიან რუსული არ არის ამ აზრით. მისთვის და სხვებისთვისაც ჯერ კიდევ სიჭაბუკეში დაიწყო ყოველდღიური წვრილმანი ზრუნვით აღსავსე და უილაჯო „ბრძოლა არსებობისათვის“, ბრძოლა ლუკმაპურის მოსაპოვებლად. ამ უსიხარულო ზრუნვას შეაღია მან სიჭაბუკის მთელი ენერჯია და უნდა გვიკვარდნა, როგორ შეინარჩუნა თავისი იუმორი. იგი ხედავდა ცხოვრებას, როგორც ადამიანთა მხოლოდ მოსაწყენ ლტოლვას მაძღრობისაკენ, უზრუნველობისაკენ; ამ ცხოვრების დიდი დრამები და ტრაგედიები მისთვის დაფარული იყო უფერულობის სქელი ფენით. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცოტათი თავი დააღწია თავის გარშემო მაძღარი ადამიანების დანახვისათვის ზრუნვას, მან ფხიზლად ჩაიხედა ამ დრამების არსში.

მე არ მინახავს სხვა ადამიანი, ვინც ისე ღრმად და ყოველმხრივად შეიგრძნობდა შრომის, როგორც კულტურის საფუძვლის მნიშვნელობას, ვით ამას ა. პ. გრძნობდა. ეს გამოსჭვივოდა მისი შინაური ცხოვრების ყველა წვრილმანში, საგნების შერჩევასა და მათს კეთილშობილურ სიყვარულში; რომელიც სრულიად გამორიცხავს მათი დაგროვებისადმი მისწრაფებას და იწვევს უქრობ სიხარულს მათდამი, როგორც ადამიანური სულის შემოქმედების პროდუქტებისადმი. მას უყვარდა მშენებლობა, ბაღების გაშენება, მიწის დამშვენება,

იგი გრძნობდა შრომის პოეზიას. რა მგრძნობიარე მზრუნველობით აკვირდებოდა, თუ როგორ იზრდებოდა მის ბაღში მისივე ხელით დარგული ხეხილი და დეკორატიული ბუჩქნარი აუტკაში სახლის აშენებით გართული ამბობდა:

— ყველა ადამიანმა თავისი მიწის ნაკვეთზე რომ გააკეთოს ის, რაც მას შეუძლია, რა თვალწარმტაცი იქნებოდა ჩვენი დედამიწა!

პიესა „ვასკა ბუსლაევის“ წერა რომ წამოვიწყებ, მე მას ვასკას მონოლოგი წავუყივებ, სადაც იგი იკვებნის:

ეჰ, ნეტა ძალა, ძალა რომ მომცა
ჩემ ცხელი სუნთქვით თოელს გავადნობდი
კილით კიდემდე მიწას მოვხნავდი,
ქალაქებს კედლით შემოვრავავდი,
ტაძრებს და ბაღებს გავაშენებდი,
მიწას მოვრთავდი კეკლუც ქალივით,
ხელს გადავხვევდი პატარძალივით,
მიწას ავწევდი, მკერდს მივიკრავდი
და მივიტანდი უფლის წინაშე:
— შეხე, უფალო, რა ლამაზია
მიწა, ჩემ მიერ ნალამაზევი!
შენ ის გასტყორცნე, ვით ქვა სივრცეში,
მე ის ვაქციე ძვირფას ზურმუხტად!
შეხე, უფალო, დასტკბი, იხარე,
რა მწვანედ ელავს მზის სხივების ქვეშ!
მე მოგართმევდი შენ მას ნობათად, —
ძვირფასია და არ მემეტება!

ჩეხოვს მოეწონა ეს მონოლოგი. აღელვებული, სუსტად ახველებდა და თან მე და ექიმ ა. ნ. ალექსინს გვეუბნებოდა:

— ეს კარგია... ძალიან ნამდვილია, ადამიანური სწორედ იმაშია „არსი მთელი ფილოსოფიისა“. ადამიანი მიწაზე დამკვიდრდა, იგი მას გადააქცევს თავის მყუდრო საცხოვრებლად. — ჯიუტად დააქნია თავი და გაიმეორა: — გადააქცევს! მითხრა, კიდეც ერთხელ წამიკითხეო ვასკას კვებნა. მოისმინა, თან ფანჯარაში იცქირებოდა, და მირჩია:

— ორი უკანასკნელი სტრიქონი არ უნდა, ეს თავგასულობაა, ზედმეტია...

¹ ლექსები თარგმნა მ. აბულაძემ.

თავის ლიტერატურულ ნაშრომებზე ცოტას და უხალისოდ ლაპარაკობდა, ასე მინდა ვთქვა — მორიდებით და, თითქმის ისეთივე სიფრთხილით, როგორც ლევ ტოლსტოიზე იცოდა მოყოლა. მხოლოდ იშვიათად, როცა კარგ გუნებაზე იყო, ღიმილით გადაგვიშლიდა ხოლმე თემას, ყოველთვის — იუმორისტულს.

— იცით, დავწერ მასწავლებელი ქალის ამბავს, იგი ათვისტია, აღმერთებს დარვინს, სჯერა, რომ აუცილებელია ხალხში გავრცელებული ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო თვითონ ღამის თორმეტ საათზე შავ კატას ხარშავს აბანოში, რათა ამოართვას „კიბკიპა“ — ძვალი, რომლითაც მამაკაცს მიიზიდავს, სიყვარულს აღანთებს მასში, — არის ასეთი ძვალი...

თავის პიესებზე ისე ლაპარაკობდა, როგორც „მხიარულ“ პიესებზე, და, ვგონებ, გულწრფელად სჯეროდა, რომ სწორედ „მხიარულ პიესებს“ წერდა. სახვა მორწმუნე, ალბათ, მისი სიტყვების გავლენით ამტკიცებდა „ჩეხოვის პიესები ღირიკულ კომედიებად უნდა დაიდგასო“.

მაგრამ, საერთოდ, ლიტერატურას იგი ეკიდებოდა ძლიერ მახვილი ყურადღებით, განსაკუთრებით გულთადად კი — „დამწყებ მწერლებს“. იგი განსაცვიფრებელი მოთმინებით კითხულობდა ბ. ლაზარევის, წ. ოლიგერისა და ბევრი სხვის უამრავ ხელნაწერს.

— ჩვენ მეტი მწერალი გვჭირდება, — ამბობდა იგი. — ლიტერატურა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ჯერ კიდევ ახალი ხელია და მხოლოდ „რჩეულთათვის“ განკუთვნილი. ნორვეგიაში ყოველ ორას ოცდაექვს კაცში ერთი მწერალია, ჩვენში კი — მილიონზე მოდის ერთი მწერალი...

ავადმყოფობა მას იბოქონდრიკად და მიზანთროპადაც კი აქცევდა ზოგჯერ. ასეთ დღეებში ჭირვეული იყო მსჯელობის დროს და ძნელად ასატანი ხდებოდა.

ერთხელ, როცა დივანზე იწვა, მშრალად ახველებდა ღრთერმომეტრს ათამაშებდა, თქვა:

— იმიტომ იცოცხლო, რომ მოკვდე, საერთოდ; ვერაფე-

რი გასართობია, მაგრამ თუ იცი, რომ უდროოდ მოკედებოც
სიცოცხლე სრული სისულელეა...

ერთხელ, როცა ღია ფანჯარასთან იჯდა და ზღვის სივრ-
ცეს გასცქეროდა, მოულოდნელად გაჯავრებით ჩაილაპარაკა:

— ჩვენ მივეჩვიეთ ცხოვრებას კარგი ამინდის იმედით,
მოსავლის იმედით, სასიამოვნო რომანის იმედით, გამდიდრე-
ბის ან პოლიცემისტერის ადგილზე დანიშვნის იმედით, მაგრამ
ადამიანებს მე აქამდე ვერ შევამჩნიე დაქვეიანების იმედი.
ფიქრობთ: ახალი მეფის ხელში უკეთესად ვიცხოვრებთ, ორა-
სი წლის შემდეგ კი — უფრო უკეთესადო, და არავინ იმას არ
ცდილობს, რომ ეს უკეთესი დადგეს ხვალ. საერთოდ — ცხოვ-
რება ყოველდღე სულ უფრო რთული ხდება და თავისთავად
შიემართება სადღაც, ხოლო ადამიანები — შესამჩნევად ბრყ-
ვდებიან, და სულ უფრო მეტი ადამიანი სცილდება ცხოვრე-
ბას.

ჩაფიქრდა, შუბლი შეიჭმუხნა და დაუმატა:

— ვით დამშეული ხეიბრები ლიტანიის დროს.

იგი ექიმი იყო, ხოლო ექიმის ავადმყოფობა ნუდამ უფრო
შიძიშეა, ვიდრე მისი პაციენტებისა; პაციენტები მხოლოდ
გრძნობენ, ექიმმა კი, ამავე დროს, იცის კიდევ ცოტა რაშ იმა-
ზე, თუ როგორ იშლება მისი ორგანიზმი. ეს ერთ-ერთი ისე-
თი შემთხვევაა, როცა ცოდნა სიკვდილს აახლოებს.

მას ჩინებული თვალეზი ჰქონდა; როცა იცინოდა — რო-
გორღაც ქალურად მოაღერსე და მეტად სათუთი უხდებოდა.
მისი სიცილიც, თითქმის უხმო, განსაკუთრებით კარგი იყო;
როცა იცინოდა, სწორედ რომ ტკებებოდა სიცილით, ზეიმობ-
და; არ ვიცი, კიდევ ვის შეეძლებოდა სიცილი ასე, მე ვიტ-
ყოლი, „სულიერად“.

უხეში ანეკდოტები არასოდეს აცინებდა.

მშვენიერი და გულითადი სიცილით მიაშობდა:

— იცით, რატომ გეპყრობათ ტოლსტოი თქვენ ასე სხე-
დასხვანაირად? ეჭვიანობს, ფიქრობს, რომ სულერეციკიბ
თქვენ მასზე მეტად უყვარხართ. დიახ, დიახ. გუშინ მეუბნებოდა:
„არ შემიძლია, გორკის გულწრფელად მოვეყიდიო, თვითონ არ

ვიცი; რატომ, მაგრამ არ შემძლია. არც კი მსიამოვნებს, რომ სულერი მასთან ერთად ცხოვრობს. სულერისათვის ეს საზიანოა. გორკი ბოროტი კაცია. ამ სემინარიელსა ჰგავს, რომელიც ძალად აღკვეცეს ბერად და ამით ყველაზე გააბრაზეს. მას მსტოვრის სული უდგას, იგი მოვიდა საიდანღაც მისთვის უცხო, ქანაანურ მიწაზე, ყველაფერს აკვირდება, ყველაფერს ამჩნევს და ყველაფერზე ცნობებს აწვდის რომელიღაც თავის ღმერთს. მისი ღმერთი კი მახინჯია, რაღაც ქაჯის ან კიდევ სოფლელი დიაცების მიერ მოგონილი წყლის კაციმავარი რამ“.

ამას რომ მიაბზობდა, ჩეხოვი იმდენს იცინოდა, ცრემლები მოერია. მერე მოიწმინდა ცრემლები და განაგრძო.

— მე ვეუბნები: „გორკი გულკეთილია-მეთქი“ ის კი: „არა, არა, მე ვიცი. მას იხვისებური ცხვირი აქვს. ასეთი ცხვირები მხოლოდ უბედურებსა და ბოროტებს აქვთ. ქალებსაც არ უყვართ იგი, ხოლო ქალები, ძალებივით ალღოთი სცნობენ კარგ კაცს. აი, სულერი — მას აქვს ადამიანებისადმი უანგარო სიყვარულის ჭეშმარიტად ძვირფასი უნარი. ამ მხრივ იგი გენიალურია. რომ შეგეძლოს სიყვარული, ეს ნიშნავს, ყველაფერი შეგეძლოს...“

ჩეხოვმა შეისვენა და გაიმეორა:

— დიახ, ექვიანობს მოხუცი.. რა საოცარია...

ტოლსტოიზე ლაპარაკობდა ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული, ძლივს შესამჩნევი, ნაზი და დარცხვენილი ღიმილით, თვალებში რომ უკრთოდა; ლაპარაკობდა ხმის დაწევით, თითქოს რაღაც მოჩვენებითზე, იღუმალზე, რომელიც ფრთხილ, სათუთ სიტყვებს საჭიროებს.

ხშირად ჩიოდა იმის გამო, რომ ტოლსტოის გვერდით არ არის ეკერმანი, კაცი, ვინც გულდასმით ჩაიწერდა ბრძენი მოხუცის მახვილ, მოულოდნელ და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს.

— კარგი იქნებოდა, მოგეკიდათ ხელი ამისათვის, — არწმუნებდა იგი სულერჟიციის, — ტოლსტოის ძლიერ უყვარ-

ხართ თქვენ, ესოდენ ბევრსა და კარგ რამეს ლაპარაკობს თქვენთან.

სულერის შესახებ ჩეხოვმა მითხრა:

— იგი ბრძენი ბაეშვია...

ძლიერ კარგად თქვა.

როგორღაც ჩემი თანდასწრებით ტოლსტოი აღტაცებას გამოთქვამდა ჩეხოვის მოთხრობის, მგონი, „სულიკოს“ გამო. იგი ამბობდა:

— ეს თითქოს უმანკო ქალიშვილის მიერ მოქსოვილი მაქმანია; იყვნენ ძველად ასეთი მაქმანის მქსოველი ქალიშვილები, გაუთხოვრად დარჩენილები. ისინი მთელ თავის სიცოცხლეს, ბედნიერების ყველა ოცნებას ნაყშს გადასცემდნენ. ნაყშით ოცნებობდნენ მეტად ძვირფასზე, მთელ თავის ბუნდოვან, სუფთა სიყვარულს მაქმანს აქსოვდნენ. — ტოლსტოი ძალიან აღელვებული ლაპარაკობდა, თვალზე ცრემლმომდგარი.

ჩეხოვს კი ამ დღეს სიცხემ აუწია, იჭდა, ლოყებზე წითელი ლაქები შემონთებოდა და, თავდახრილი, გულმოდგინედ წმენდდა პენსნეს. კარგა ხანს დუმდა. ბოლოს ამოიოხრა და წყნარად, დარცხვენით თქვა:

— შიგ შეცდომები გაიპარა...

ჩეხოვზე ბევრის დაწერა შეიძლება, მაგრამ აუცილებელია ძლიერ დაწვრილებით და მკაფიოდ წერა, რაც მე არ შემიძლია. კარგი იქნებოდა ჩეხოვზე ისე წერა, როგორც თვითონ მან დაწერა „ტრამალი“, არომატული, მსუბუქი და სწორედ რუსული, ნაღვლიანი ფიქრებით გამსჭვალული. მოთხრობა — თავისთვის.

კარგია ასეთი ადამიანის გახსენება, მაშინვე შენს ცხოვრებას კვლავ უბრუნდება მხნეობა, მას კვლავ შეერწყმის ნათელი აზრი.

ადამიანი სამყაროს ღერძია.

მაგრამ, — გვეტყვიან, — მისი მანკიერებანი, ნაკლოვანებანიო?

ჩვენ ყველას გვშია ადამიანის სიყვარული, ხოლო შიმშილობის უამს ცუდად გამომცხვარი პურიც გემრიელია.

ვ. გ. კოროლენკო

როდესაც თბილისიდან ნიუში დაებრუნდი, ვ. გ. კოროლენკო პეტერბურგში იყო.

მე სამუშაო არა მქონდა და რამდენიმე პატარა მოთხრობა დავწერე, რომლებიც რეინგარდტის „ვოლესკი ვესტნიკს“ გავუბზავნე; ეს ყველაზე გავლენიანი გაზეთი იყო მთელს ვოლგისპირეთში იმის წყალობით, რომ მასში ვ. გ. მონაწილეობდა.

მოთხრობებს ქვეშ მოწერილი ჰქონდა მ. გ. ან გ-ი. ისინი სწრაფად დაბეჭდეს. რეინგარდტმა საკმაოდ კარგი ქების წერილი მომწერა და ბევრი ფულიც გამომიგზავნა, დაახლოებით, ოცდაათი მანეთი. რაღაც განზრახვის გამო, რომელიც ახლა აღარ მახსოვს, მე დაუინებით ვუმაღავდი ჩემს ავტორობამ ჩემთვის ძალიან ახლობელ ადამიანებსაც კი — ნ. ზ. ვასილიევსა და ა. ი. ლანიანს; ამ მოთხრობებს სერიოზულ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი და არ ვფიქრობდი, რომ ისინი გადაწყვეტდნენ ჩემს ბედს. მაგრამ რეინგარდტმა აცნობა კოროლენკომ ჩემი გვარი და, როცა ვ. გ. პეტერბურგიდან დაბრუნდა, გადმომცეს, რომ ჩემი ნახვა სურდა.

იგი კვლავ არქიტექტორ ლემკეს ხის სახლში ცხოვრობდა, ქალაქის განაპირას. მე რომ მივედი, ჩაის სასმელ მაგიდას უჯდა პატარა ოთახში, რომლის ფანჯრებიც ქუჩაში გამოდიოდა. ფანჯრების რაფაზე და ოთახის კუთხეებში ყვავილები იდგა, ყველგან ელაგა უამრავი წიგნი და გაზეთი.

მეუღლე და ბავშვები, რომელთაც ჩაის სმა დაემთავრებინათ, გასასეირნებლად ემზადებოდნენ. იგი მე უფრო მკვირივი, რწმენიო აღსაესე და ხუჭუჭთმიანი მეჩვენა.

— ეს არის ვკითხულობდი თქვენს მოთხრობას „ჭიკვაიში შესახებ“. აი, თქვენ უკვე იბეჭდებით, მომილოცნია თურმე ჭიუტი ყოფილხართ, სულ ალიგორიებსა წერთ. თუმცა, ალიგორიაც კარგია, თუ მახვილგონიერულია, არც სიჭიუტეა ცუდი თვისება.

კიდევ რამდენიმე გულთბილ სიტყვას მეუბნება, თანაც თვალმოჭუტული მიცქერის. შუბლსა და კისერზე ძლიერ მოპკიდებია ზაცხულის მზე, წვერი გახუნებია. აცვია ლურჯი ფერის სარეპტის ტილოს ხალათი, რომელზედაც ტყავის ღვედი შემოურტყამს, შავი შარვალი ჩექმებში აქვს ჩატანებული, და ყოველივე ეს ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, გგონია, ეს-ესაი სადღაც შორიდან მოვიდა და მალე კვლავ წავა. მისი წყნარი, ჭკვიანი თვალები მხნედ და მხიარულად ანათებდნენ.

ვუთხარი, რომ კიდევ რამდენიმე მოთხრობა მაქვს, ხოლო ერთი მათგანი დაბეჭდილია გაზეთ „კავკაზში“.

— ახლა არაფერი მოგიტანიათ? სამწუხაროა. ძალიან თავისებურად წერთ. ყველაფერი დალაგებული, დახვეწილი ვერა გაქვთ, მაგრამ საინტერესოა. ამბობენ, ბევრი გივლიათ ფეხით. მეც თითქმის მთელი ზაფხული დავდიოდი ვოლგის გაღმა, კერქენცზე, ვეტლუგაზე. თქვენ სად იყავით?

როცა მოკლედ მოუხსაზე ჩემი გზა, მოწონებით წამოიძახა:

— ოჰოი კარგი გზაა აი, რას დაუვავაკცებინართ ასე ამ თითქმის სამი წლის მანძილზე! ძალ-ღონეც საკმაოდ მოიკრიბეთ, ალბათ!

მე ის იყო წავიკითხე მისი მოთხრობა „მდინარე ანკობს“ და ძალიან მომეწონა სილაზათითაც და შინაარსითაც. მადლობის გრძნობა აღმეძრა ავტორისადმი და აღტაცებით დავიწყე ლაპარაკი ამ მოთხრობაზე.

მებორნე ტიულისის სახით კოროლენკომ, ჩემი აზრით, მოგვეცა გასაოცრად სწორად გაგებული და ჩინებულად დახატული ტიპი გლეხისა, რომელიც „გმირია ერთი საათით“. ასეთ აღამიანს შეუძლია, თავდავიწყებითა და უბრალოდ ჩაიდინოს დიდსულოვანი გმირობა, ხოლო ამის შემდეგ სასიკვდილოდ დაასახიჩროს ცოლი, მარგილით თავი გაუბოს მეზობელს. მაშ

შეუძლია, მოგხიბლოთ გულკეთილი ღიმილით, უამრავი გულითადი, ყვავილებივით ფერად-ფერადი სიტყვით, და უეცრად, უმიზეზოდ, ტალახში ამოსვრილი ჩექმიანი ფეხი დაგადგათ სახეზე. მას შეუძლია, კოზმა მინინივით აამხედროს ხალხი, ხოლო შემდეგ — „სულ მთლად გალოთდეს“, „ტილებს შეაჭამოს თავი“.

ვ. გ.-მ ისე მოისმინა ჩემი არეული ლაპარაკი, ერთხელაც არ გაუწყვეტინებია სიტყვა, თან ყურადღებით მაკვირდებოდა. ეს ძალიან მაკრთობდა. ხანდახან იგი, თვალეზდახუჭული, ხელისგულს მაგიდას დაკვრავდა ხოლმე. ბოლოს კი წამოდგა, ზურგით კედელს მიეყრდნო და გულკეთილი ღიმილით თქვა:

— გადააჭარბეთ. უბრალოდ ვთქვით: მოთხრობა კარგია. ეს იკმარებს. არ დაგიმაღავეთ — თვითონ მეც მომწონს. მაგრამ, ისეთია თუ არა, საერთოდ, მუყიკი, როგორც ტიულინი, ეს კი არ ვიცი თქვენ კი კარგად ლაპარაკობთ, ნათლად, ცხადად, ძარღვიანი ენით, — ესეც თქვენ, სამაგიერო, ჩემი შექებისათვის! იგრძნობა, ბევრი რამ გინახავთ, ბევრი გიფიქრიათ. ამას გულითა და სულით მოგილოცავთ, გულითა და სულით.

და ხელი გამომიწოდა. დაკოყრებული ხელი ჰქონდა, ალბათ, ნიჩბების ან ნაჯახის ხმარებით, მას ხომ შეშის ჩეხვა უყვარდა, საერთოდ — ფიზიკური შრომა.

— აბა, მოყვებით, რა ნახეთ?

მოგზაურობის ამბებს რომ მოვუთხრობდი, შევეხე ჩემს შეხვედრებს სიმართლის სხვადასხვა მაძიებლებთან, — ისინი ასეულობით დაეხეტებიან ერთი ქალაქიდან მეორეში, ერთი მონასტრიდან მეორეში რუსეთის დახლართულ გზებზე.

კოროლენკომ, რომელიც ფანჯრიდან ქუჩას გაჰყურებდა, თქვა:

— უფრო ხშირად ისინი უსაქმურები არიან, ხელმოცარული გმირები, რომელთაც საზიზღრად შეჰყვარებიან თავიანთი თავი. თუ შეამჩნიეთ, რომ თითქმის ყველა მათგანი ბოროტია? მათი უმეტესობა „წმინდა სიმართლეს“ კი არ ეძიებს, არამედ იმას ცდილობს, იოლად იშოვოს პური და კისერზე მოაჯდეს ვინმეს.

მშვიდად ნათქვამმა ამ სიტყვებმა გამაოცეს, უეცრად დამანახვეს სინამდვილე, რომელსაც ბუნდოვნად ვგრძნობდი.

— კარგი მთხრობელნიც ურევნიან მათში, — განაგრძობდა კოროლენკო. — ჩინებული მოყოლა იციან: ზოგიერთი ისე ლაპარაკობს, თითქოს აბრეშუმით ქარგავსო.

„სიმართლის მაძიებელნი“, „უკეთესი მომავლის მაძიებელნი“ — ეს საყვარელი გამირები იყვნენ ნაროდნიკული ცხოვრების აღწერითი ლიტერატურისა, კოროლენკო კი მათ უსაქმურებს ეძახის და ბოროტებსაც კი უწოდებს! ეს თითქმის მკრეხელურად უღერდა. მაგრამ ვ. გ. ანას მოფიქრებულად და გადაჭრით წარმოთქვამდა. და მისმა სიტყვებმა გამიძლიერეს ამ კაცის სულიერი თავისთავადობის შეგრძნება.

— ვოლინსა და პოდოლიეში არ ყოფილხართ? იქაურობა ლამაზია!

ვუამბე იოანე კრონშტადტელთან ჩემი ნაძალადევი საუბრის ამბავი, — მკვირცხლად წამოიძახა:

— რას ფიქრობთ ამ კაცზე? რას წარმოადგენს?

— ისეთივე გულწრფელად მორწმუნე ადამიანია, როგორც ზოგი სხვა — უბრალო, კეთილი, გულწმინდა სოფლელი მღვდელი. მე მგონია, დამფრთხალია თავისი პოპულარობით, ამისმებს ეს პოპულარობა, მის ძალას აღემატება. მასში იგრძნობა რაღაც შემთხვევითი. თითქოს სულ სხვისი ნებით მოქმედებს. მუდამ თავის ღმერთს ეკითხება: ასეა, უფალო? და ყოველთვის ეშინია: ვაითუ, ასე არ იყოს!

— საოცარია, — თქვა ჩაფიქრებულმა ვ. გ.-მ.

შემდეგ თვითონ მოყვა ლუკოიანოვის მუეიკებთან, კერძენცელ სექტანტებთან თავისი საუბრის ამბავს. იგი ჩინებულად, მახვილი, ძარღვიანი იუმორით უსვამდა ხაზს თანამოსაუბრეთა ლაპარაკში უვიცობისა და ეშმაკობის სასაცილო შეხამებას, მარჯვედ აღნიშნავდა მუეიკის საღ აზრს და მის ფრთხილ უნდობლობას უცხო ადამიანისადმი.

— ხანდახან მგონია, რომ არსად დედაძინის ზურგზე არ მოიძებნება ისეთი მრავალფეროვანი სულიერი ცხოვრება, როგორც ჩვენში, რუსეთში. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, მოაზროვნე და მორწმუნე ადამიანთა ხასიათება ჩვენში უსაზღვროდ და შეუთავსებლად სხვადასხვანაირია.

მან საფუძვლიანად ილაპარაკა სოფლის სულიერი ცხოვრების ყურადღებით შესწავლის აუცილებლობაზე.

— ამას ეთნოგრაფია ვერ ამოწურავს, რაღაც სხვა მიდგომა, უფრო ახლოს, ღრმად ჩაკვირვებაა საჭირო. სოფელი ნიადაგია, რომელზედაც ჩვენ ვიზრდებით, და ბევრი ნარშავი, ბევრი უსარგებლო სარეველა ბალახიც იზრდება. „ჭკვიანური, კეთილი, მარადი“ ამ ნიადაგზე ფრთხილად უნდა დაითესოს, და თან — ენერგიულად. მე ზაფხულზე ვესაუბრე ერთ საქმაოდ ჭკვიან ახალგაზრდა კაცს, მაგრამ იგი სერიოზულად მარწმუნებდა, რომ სოფლის კულაკობა პროგრესული მოვლენაა, რადგან, თურმე, კულაკები კაპიტალს აგროვებენ, ხოლო რუსეთი აუცილებლად უნდა იქცესო კაპიტალისტურ ქვეყნად. ასეთი პროპაგანდისტი თუ სოფელში მოხვდა...

მას სიცილი წასკდა.

როცა მაცილებდა, კვლავ წარმატება მისურვა.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, წერა შემიძლია? — ვკითხე.

— ცხადია — ცოტა არ იყოს, გაოცებით თქვა, — თქვენ ხომ უკვე წერთ, ბეჭდავთ, მეტი რაღაა საჭირო? თუ რჩევა დაგჭირდეთ — მოიტანეთ ხელნაწერი, განვიხილოთ...

მისგან იმ ადამიანის მხნე განწყობილებით წამოვედი, რომელმაც თაკარა დღისა და დიდი მოქანცულობის შემდეგ ტყის მღინარის ცივ წყალში იბანავა.

ვ. გ. კოროლენკომ პატივისცემის ღრმა გრძნობა აღძრა ჩემში, მაგრამ რატომღაც ვერ ვიგრძენი სიმპათია მწერლისადმი, და ამან გული მატკინა. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ იმ დროს მასწავლებლები და ჭკუის დამრიგებლები უკვე ცოტა აუტანლად მეჩვენებოდნენ, ძალიან მინდოდა მათგან დასვენება, კარგ ადამიანთან მეგობრული, უბრალო ბაასი იმაზე, რაც სასტიკად მალეღვებდა. ხოლო როცა მასწავლებლებთან მიმქონდა ჩემი შთაბეჭდილებების მასალა, ისინი ჭრიდნენ და კერავდნენ მას იმ პოლიტიკურ-ფილოსოფიური ფირმის მოდისა და ტრადიციების მიხედვით, რომელთა გამომჭრელებად და მკერავებდაც ისინი იყვნენ. ვგრძნობდი, რომ სრულიად გულწრფელად არ შეუძლიათ სხვაგვარად ჭრა-კერვა, მაგრამ ვხედავდი, რომ ისინი მასალას მიფუჭებდნენ.

ორი კვირის შემდეგ კოროლენკომ მივუტანე ხელნაწერები ზღაპრისა „მეთევზისა და ფერიამ შესახებ“ და მოთხრობისა — „მოხუცი იზერგილი“, რომელიც ის იყო დავწერე. ვ. გ. შინ

არ იყო, ხელნაწერები დავტოვე და მეორე დღესვე მივიღე მისი ბარათი: „მოდით საღამოს, მოვილაპარაკოთ. ვლ. კორ.“. კიბეზე შემომეყარა. ხელში ნაჯახი ეჭირა.

— არ იფიქროთ, რომ ეს ჩემი კრიტიკის იარაღია, — თქვა მან და თან ნაჯახი მოიქნია. — არა, საკუქნაოში თაროებს ვაკეთებდი. მაგრამ ცოტათი თავის წაქრას მაინც ელოდეთ...

სახე გულკეთილად უბრწყინავდა, თვალეში სიხარული ჩასდგომოდა და, როგორც კარგ, ჯანლონიან რუს დედაკაცს, ახლად გამომცხვარი პურის სუნი ასდიოდა.

— მთელ ღამეს ვწერდი, სადილის შემდეგ კი დავიძინე, როცა გამომეღვიძა, ვიგრძენი, რომ წამუშავება მჭირდებოდა.

ვ. გ. აღარ ჰგავდა იმ კაცს, მე რომ ორი კვირის წინათ ვნახე; სრულებით ვეღარ ვგრძნობდი მასში მასწავლებელსა და დამრიგებელს; ჩემ წინ იდგა კარგი ადამიანი, მთელი მსოფლიოსადმი კეთილი ყურადღებით განწყობილი.

— პოდა, — დაიწყო მან, თან მაგიდიდან ჩემი ხელნაწერები აიღო და მუხლზე ირტყამდა, — წავიკითხე თქვენი ზღაპარი. ეს რომ დაეწერა ქალიშვილს, რომელსაც ბევრი უკითხავს მიუხედავად ლექსები და ისიც, ჩვენი პატივცემული მოხუცი მანდილოსნის მისოვსკაიას მიერ თარგმნილი, — მე ვეტყვოდი ამ ქალიშვილს: „არა უშავს, მაგრამ გიჯობთ, გათხოვდეთ!“ ასეთი მძვინვარე აყლავდასათვის, როგორც თქვენა ხართ, სათუთი ლექსების წერა — ეს თითქმის საძაგლობაა, ყოველ შემთხვევაში, დანაშაულია. როდის დაიწყეთ?

— ჯერ კიდევ თბილისში...

— ოლონდაც თქვენს ამ ნაწარმოებში პესიმისტის სუნი ტრიალებს. გაითვალისწინეთ: სიყვარულისადმი პესიმისტური დამოკიდებულება ასაკობრივი სენია, ეს თეორია უფრო ეწინააღმდეგება პრაქტიკას, ვიდრე ყველა სხვა თეორია. გიცნობთ თქვენ, პესიმისტებს, ზოგი რამ გესმენია თქვენზე.

ეშმაკურად ჩამიკრა თვალი, გაიცინა და სერიოზულად განაგრძო:

— მთელი ამ პანაშვიდიდან შეიძლება მხოლოდ ლექსების დაბეჭდვა, ისინი ორიგინალურია, მე მათ დაგიბეჭდავთ. „მოხუცი“ უკეთ არის დაწერილი, უფრო სერიოზულად, მაგრამ — მაინც კვლავ და კვლავ — ალეგორიაა. კარგს არაფერს გიქა-

დით თქვენ ეს ალეგორია ციხეში ხომ იჭექით? კიდეც ჩაგს-
ვამენს!

ერთხანს ჩაფიქრდა, თან ხელნაწერს ფურცლავდა:

— საოცარი რამ არის. ეს რომანტიზმია, რომანტიზმი კი
დიდი ხანია მიიცვალა. ძალიან მეექვსეება, რომ ლაზარეს გა-
ცოცხლება ღირდეს. მე მგონია, თქვენ სხვისი ხმით მღერით.
რეალისტი ხართ თქვენ და არა რომანტიკოსი, რეალისტი
ხართი კერძოდ, აქ არის ერთი ადგილი პოლონელის შესახებ,
ძალზე პირადული მეჩვენა, ასეა, არა?

— შესაძლოა.

— აჰა, ხომ ხედავთ აკი გითხარით: ჩვენ ზოგი რამ ვე-
ციით თქვენ შესახებ. მაგრამ ეს დაუშვებელია. პირადული ვან-
დევენეთი მხედველობაში მაქვს ვიწრო პირადული.

სიამოვნებით, მხიარულად ლაპარაკობდა, უჩვეულოდ უბრ-
წყინავდა თვალები, მე დიდად გაკვირვებული ვუყურებდი
ამ ადამიანს, თითქოს პირველად ვხედავდი. მან ხელნაწერი მა-
გიდაზე დააგდო და ჩემკენ მოიწია, მუხლზე ხელი დამადო.

— შეიძლება თქვენთან შინაურულად ლაპარაკი? გიც-
ნობთ ცოტათი, ზოგ რამეს თვითონაც ვხედავ. ცუდად ცხოვ-
რობთ. გზა შეგშლიათ. ჩემი აზრით, თქვენ უნდა გაეცალოთ
აქაურობას ან ცოლად შეირთოთ კარგი, კკვიანი გოგო.

— მე ხომ ცოლიანი ვარ.

— აი სწორედ ეს არის ცუდი!

ვუთხარი, რომ ამ თემაზე ლაპარაკი არ შემიძლია.

— მაპატიეთ.

და ხუმრობა დაიწყო. შემდეგ უეცრად შეწუხებულმა იკი-
თხა:

— ჰო, მართლა გაიგეთ რომასის დაპატიმრების ამბავი?
დიდი ხანია? ოჰო. მე მხოლოდ გუშინ შევიტყვე. სად? სმო-
ლენსკში? რას აკეთებდა იქ?

რომასის ბინაში აღმოაჩინეს მის მიერ მოწყობილი „ნა-
როდობრავეცების“ სტამბა.

— მოუსვენარი კაცია, — ჩაფიქრებით თქვა ვ. გ-მ. — ახ-
ლა ისევ უკრავენ თავს სადღაც. ჭანმრთელად არის? ძალიან
ჯანსაღი კაცი იყო...

ამოიოხრა, ფართო მხრები შეარხია.

— არა, ასე არ შეიძლება! ამ გზით ვერაფერს ვერ მიაღწევ. ასტირევის საქმე კარგი გაკვეთილია, ის გვეუბნება: ხელი მოჰკიდეთ შავ, ლეგალურ სამუშაოს, ყოველდღიურ კულტურულ საქმეს, თვითმპყრობელობა დაავადებული, მაგრამ მაგარი კბილია, მისი. ფესვები ღრმად არის გაბარჯღული, ჩვენი თაობა ამ კბილს ვერ ამოაძრობს, — ჭერ უნდა მოვარყიოთ, ხოლო ამას დასჭირდება არაერთი ათეული წლის ლეგალური მუშაობა.

დიდხანს ლაპარაკობდა ამ თემაზე, და იგრძნობოდა, რომ ღრმად სწამდა, რასაც ლაპარაკობდა.

მოვიდა ავდოტია სიმონის ასული, ახმაურდნენ ბავშვები, მე დავეპშვიდობე და კარგ გუნებაზე დამდგარი წამოვედი.

ცნობილია, რომ პროვინციაში ისე ცხოვრობ, როგორც მინის ხუფში, — ყველამ იცის შენი ამბავი, იციან, რას ფიქრობდი ოთხშაბათს, დაახლოებით, ორ საათზე, და შაბათს — მწუხრის ლოცვის წინ; იციან შენი იღუმალი ზრახვები და ძლიერ ბრაზდებიან, თუ არ ამართლებ ადამიანთა წინასწარმეტყველურ ვარაუდებსა და წინასწარჭკვრეტას.

რასაკვირველია, მთელმა ქალაქმა გაიგო, რომ კოროლენკო კეთილად არის განწყობილი ჩემ მიმართ, და მე იძულებული ვიყავი, ბევრი ამგვარი რჩევა მომესმინა:

— უფროთხილდით, გზა-კვალს აგიბნევთ მოქცვიანებულთა ეს კომპანია!

მწედველობაში ჰქონდათ პ. დ. ბობოროკინის იქდროინდელი პოპულარული მოთხრობა — „მოქცვიანდა“ — რევოლუციონერის შესახებ, რომელმაც ხელი მოჰკიდა ლეგალურ სამუშაოს ერობაში, რის შემდეგაც მან დაკარგა ქოლგა და ცოლმაც მიატოვა.

— თქვენ დემოკრატი ხართ, გენერლებისგან ვერაფერს ისწავლით, თქვენ ხალხის შვილი ხართ! — ჩამაგონებდნენ ხოლმე.

მაგრამ მე უკვე დიდი ხანია ხალხის გერად ვგრძნობდი თავს, ეს გრძნობა ღრთა განმავლობაში სულ უფრო მიძლიერდებოდა და, როგორც უკვე ვთქვი, თვით ხალხთმოტრფიალენიც ისეთსავე გერებად მეჩვენებოდნენ, როგორიც მე ვიყავი. როცა ამაზე მიუუთითებდი, მტუქსავდნენ:

— იი, ხომ ხედავთ, თქვენ უკვე დაავადლით!

იაროსლავსკის ლიცეუმის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა ნადიმზე მიმიწვია, რაღაც წავუკითხე მათ. ისინი ჩემს ლუდიან პიქაში მალულად არაყს ასხამდნენ, ცდილობდნენ, რომ ეს არ შემემჩნია. ვხედავდი მათ უბადრუკ ეშმაკობას, ვატყობდი, ჩემი „სასტიკად დათრობა“ სურდათ, მაგრამ ვერ გამეგო, რისთვის ესაჭიროებოდათ. ერთი მათგანი, თავის თავზე შეყვარებული და ქლექიანი, მარწმუნებდა:

— მთავარია, ეშმაკეებს დაულოცოთ იდეები, იდეალები და ყველა ეს აბლაუბდა! წერეთ უბრალოდ ძირს იდეები...

აუტანლად მომაბეზრებელი იყო ყველა ამგვარი რჩევადარიგება.

ვ. გ. კოროლენკო, როგორც ყველა ცნობილი ადამიანი, ობიექტულების სხვადასხვაგვარ ზეგავლენას განიცდიდა. ერთნი, რომლებიც გულწრფელად აფასებდნენ მის გულისხმიერ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, ცდილობდნენ მწერლის ჩათრევას თავიანთ პირად, წერილმან კინკლაობაში, ზოგმა წერილმან ცილისწამებათა საცდელ ობიექტად აირჩია. ჩემს ნაცნობებს არცთუ ძლიერ მოსწონდათ მისი მოთხრობები:

— მაგ თქვენს კოროლენკოს, მგონი, ღმერთიც კი სწამს, — მეუბნებოდნენ.

რატომღაც განსაკუთრებით არ მოეწონათ მოთხრობა „ხატს მიღმა“, მიაჩნდათ, რომ ეს „ეთნოგრაფიაა“ და მეტი არაფერი.

— ასე წერდა ჯერ კიდევ პავლე იაკუშკინი.

ამტკიცებდნენ, რომ მოთხრობის გმირის — მეჩექმის — ხასიათი აღებულია ვ. უსპენსკის „რასტერიაევის ქუჩის ზნეჩვეულებებიდან“. საერთოდ, კრიტიკოსები მაგონებდნენ ერთ ვორონეჟელ მღვდელ-მონაზონს, რომელმაც მიკლუხო-მაკლაიხ მოგზაურობის დაწვრილებითი ამბავი რომ მოისმინა, გაოცებულმა და გულმოსულმა იკითხა:

— მოითმინეთ თქვენ ბრძანეთ, რომ მან რუსეთში პაპუასნ ჩამოიყვანა. მაგრამ, რატომ მაინცდამაინც პაპუასი? და რატომ მხოლოდ ერთი?

ერთხელ ადრე დილით ვბრუნდებოდი მინდვრიდან, სადაც ღამე ვსეირნობდი. ზედ მისი ბინის შესასვლელთან შევხვდი ვ. გ-ს.

— სად ყოფილხართ? — მკითხა გაოცებით. — მე კი სასეირნოდ მივდივარ, ჩინებული დილაა! გავისეირნოთ?

ეტყობა, მასაც არ უძინია ღამით: გაწითლებული და ამომშრალი თვალები მოქანცულად გამოიყურებიან, წვერი აბურძგნია, არც ლაზათიანად აცვია.

— „ვოლგარში“ წავიკითხე თქვენი „ბაბუა არხიპი“, კარგი ნაწარმოებია, მისი დაბეჭდვა ეურნალში შეიძლებოდა. რატომ არ მიჩვენეთ ეს მოთხრობა დაბეჭდვამდე? საერთოდ, რატომ აღარ დადინართ ჩემთან?

ვუთხარი, რომ გული ამიცრუა იმ მანერამ, რომლითაც მან სამი მანეთი მასესხა; ზურგშექცეულმა მდუმარედ რომ გამომიწოდა ფული, ეს მეწყინა. ფულის სესხება ისე ძნელია, რომ მე მხოლოდ უკიდურესი გაჭირვებისას ვსესხულობ.

ვ. გ. ჩაფიქრდა, შუბლი შეიკმუხნა:

— არ მახსოვს ყოველ შემთხვევაში, ეს, ალბათ, მართლაც ასე იყო, რაკი თქვენ ამბობთ, ასე იყო. მაგრამ უნდა მაპატიოთ ეს დაუდევრობა. ალბათ, ცუდ გუნებაზე ვიყავი; უკანასკნელ დროს ასე ხშირად მემართება. უეცრად შემიპყრობს ფიქრები. თითქოს ჭაში ჩავვარდი, ველარაფერს ვხედავ, არაფერი მესმის, მაგრამ რალაცას ვაყურადებ ძალიან დამახული.

ხელი გამომდო და თვალებში ჩამხედა.

— დაივიწყეთ, გეთაყვა, ეს ამბავი. გასანაწყენებელი თქვენ არაფერი გაქვთ, კარგად ვარ განწყობილი თქვენ მიმართ, მაგრამ რომ განაწყენდით, ეს, საერთოდ ცუდი არ არის. ჩვენ განაწყენება ძალიან არ გვიყვარს, აი, ეს არის ცუდი! კარგი, დავივიწყოთ, რაც იყო. აი, რა უნდა გითხრათ: ბევრს წერთ, ჩქარობთ, ხშირად თქვენი მოთხრობები ზერელეა, ბუნდოვანი. თუნდაც „არხიპის“ ის ადგილი, სადაც წვიმა აღწერილი, — გერ გაიგებ, ლექსია თუ რიტმული პროზა. ეს ცუდია.

ბევრი მელაპარაკა დაწვრილებით სხვა მოთხრობებზედაც. ცხადი იყო, რომ დიდი გულისყურით კითხულობდა ყველაფერს, რასაც ვბეჭდავდი. გასაგებია, ეს ძალზე მეამა.

— უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, — თქვა მან ჩემი მადლობის პასუხად. — ჩვენ ცოტანი ვართ და ყველას გვიჭირს.

ხმას დაუწია და მკითხა:

— ხომ არ გსმენიათ — ნეტავ, მართალია, რომ რომასისა და სხვების საქმეში ვილაც ქალიშვილი ისტომნაა გარეული?

მე ვიცნობდი აქ ქალიშვილს. მაშინ გავიცანი, ვოლგიდან რომ ამოვიყვანე, რომელშიც თავით გადაეშვა პატარა გემის კიჩოდან. მისი ამოყვანა არ გამჭირვებია: სადაც თავის დახრჩობას შეეცადა, წყალი ღრმა არ იყო. იგი ისტერიისადმი მიდრეკილებისა და სიცრუის ავადმყოფურად მოყვარული, უფერული, უტკუო არსება იყო. შემდეგში, მგონი, აღმზრდელად მსახურობდა სტოლიპინთან სარატოვში და სხვებთან ერთად მაქსიმალისტების ბომბით დაიღუპა აფთიაქის კუნძულზე მინისტრის აგარაკის აფეთქების დროს.

ჩემი ნაამბობი რომ მოისმინა, ვ. გ.-მ თითქმის მრისხანედ თქვა:

— დანაშაულია ასეთი ბავშვების ჩათრევა სარისკო საქმეში. ოთხი წლის თუ უფრო მეტი ხნის წინათ მე შევხვდი იმ ქალიშვილს. მაშინ ისეთად არ მეჩვენა, როგორც თქვენ დახატეთ. უბრალოდ, სანდომიანი გოგონა იყო, ცხოვრების აშკარა სიცრუით შეშფოთებული, მისგან შეიძლებოდა სოფლის კარგი მასწავლებელი დამდგარიყო. ამბობენ, ბევრი რამ წამოაყრანტალა დაკითხვის დროსო. მაგრამ რა უნდა სცოდნოდა? არა, მე არ შემიძლია გავამართლო ბავშვების შეწირვა პოლიტიკის ბაალისადმი...

ნაბიჯს აუჩქარა, მე კი ფეხები მტკიოდა, ვბორძიკობდი და უკან ვრჩებოდი.

— რა მოგდით?

— რევმატიზმი მაქვს.

— ნაადრევია ქალიშვილზე, ჩემი აზრით, თქვენ სრულებით არ ლაპარაკობთ მართალს. საერთოდ კი კარგად იცით მოყოლა. აი, რა — სცადეთ ჟურნალისათვის უფრო მოზრდილი რამის დაწერა. უკვე დროა დაწეროთ. როცა თქვენს ნაწარმოებს ჟურნალში დაბეჭდავენ, იმედი მაქვს, უფრო სერიოზულად მოეკიდებით თქვენს თავს.

არ მახსოვს, ოდესმე ასე მომაჯადოებლად ელაპარაკოს

ჩემთან, როგორც ამ შესანიშნავი დილით, ორი დღის განუწყვეტელი წვიმის შემდეგ გამოცოცხლებულ ველზე.

ჩვენ კარგა ხანს ვისხედით ხრამის ნაპირას ებრაელთა სასაფლაოსთან და ვტკებოდით ხეების ფოთლებსა და ბალახებზე დაკიდებული ნამის ზურმუხტოვანი წვეთებათ. იგი მიამბობდა „ბინადრობის ფარგლის“ ებრაელთა ტრაგიკომიკურ ცხოვრებაზე, ხოლო თვალის უბეები კი დაქაბცულობისაგან თანდათან უფრო მეტად ულურჯდებოდა.

უკვე დილის ცხრა საათი იყო, როცა ქალაქში დავბრუნდით. რომ შემწვიდობებოდა, მომაგონა:

— მაშასადამე, ცდით დიდი მოთხრობის დაწერას, გადაწყვეტილია?

დავბრუნდი თუ არა შინ, მაშინვე შევეუდექი „ჩელკაშის“ წერას, ეს გახლდათ მოთხრობა ქალაქ ნიკოლაევის საავადმყოფოში ჩემს მეზობლად მწოლარე ოდესეღ მაწანწალაზე. ორ დღეში დავამთავრე და შვად დაწერილი ვ. გ-ს ვავუგზავნე.

რამდენიმე დღის შემდეგ მან ჩემს პატრონთან მოიყვანა ვილატის მიერ განაწყენებული მუყიკები და მისთვის ჩვეული გულითადობით მომილოცა.

— კარგი რამ დაგიწერიათ. სწორედ რომ კარგი მოთხრობაა! მთლიანი ნაჭრისაგან არის გამოკვეთილი...

ძლიერ შემაცბუნა ასეთმა შექებამ.

სალამოს, თავის პატარა კაბინეტში სკამზე ვადამჯდარი, იგი გაცხოველებით ამბობდა:

— ძალიან კარგია! თქვენ შეგიძლიათ ბასიათების შექმნა, თქვენს ნაწარმოებებში ადამიანები ლაპარაკობენ და მოქმედებენ თავისთავად, თავისი არსებით, თქვენ არ ერევით მათი აზრების დინებაში, გრძნობათა თამაშში. ამის უნარი ყველას როდი აქვს მომადლებული! ყველაფერზე უკეთესი კი ის არის, რომ თქვენ აფასებთ ადამიანს ისეთს, როგორიც ის არის. აკი გეუბნებოდით, რეალისტი ხართ-მეთქი!

მაგრამ მცირე ხნით ჩაფიქრდა, ჩაიციხა და დაუმატა:

— მაგრამ, ამავე დროს — რომანტიკოსიც! კიდევ, აი, რა, სულ მეოთხედი საათი თუ იქნება, რაც აქ ზიხართ და უკვე მეოთხე პაპიროსს ეწევით.

— ძალიან ვღელავ...

— ტყუილუბრალოდ. თქვენ, როგორღაც, ყოველთვის აღელვებული ხართ. ალბათ, ამიტომ ამბობენ თქვენზე, ბევრს სვამსო. ძვლები უხვადა გაქვთ, ხორცი — არა, თამბაქოს ეწევით, თუმცა არც გესაქიროებათ და არც გსიამოვნებთ; რა მოგდით?

— არ ვიცი.

— თურმე ბევრსაც სვამთ, ხმები დადის.

— ტყუიან.

— და რაღაც ორგიებსაც აწყობთ თქვენთან...

ამას რომ. ამბობდა, თან გამომცდელად მიყურებდა, ასე მოჰყვა ჩემზე რამდენიმე მოხერხებულად შეთხზულ ჭორს. შემდეგ ხაზგასმულად:

— როდესაც ვინმე ცოტა წინ გამოყოფს თავს, მას, ყოველ შემთხვევისათვის, თავში ჩაარტყამენ ხოლმე; ეს ერთი სტუდენტი-პეტროველის ნათქვამია. მაშ ასე, შორს ჩვენგან ფუჭი რამ, როგორი სასურველიც უნდა იყოს იგი თქვენთვის. „ჩელკაშს“ დავბეჭდავთ „რუსსკოე ბოგატსტვოში“ და ისიც პირველ ადგილას, ეს ცოტაოდენი გამორჩევაც იქნება და ბატივიც. ხელნაწერში თქვენ რამდენიმე ადგილას შეჯახებისხართ გრამატიკას და ეს მოთხრობისათვის საზიანოა, მე ისინი გაეასწორე. სხვა არაფრისათვის ხელი არ მიხლია, გინდათ, ნახოთ? რასაკვირველია, უარი გუთხარი.

ვიწრო ოთახში რომ მიმოდინოდა, ხელების სრესით მითხრა:

— მახარებს თქვენი წარმატება.

ვგრძნობდი ამ სიხარულის მომხიბლავ გულწრფელობას და აღტაცებით ვუცქეროდი ადამიანს, რომელიც ისე ლაბიარაობდა ლიტერატურაზე, როგორც იმ ქალზე, მშვიდი, მტკიცე სიყვარულით სამუდამოდ რომ უყვარს. დაუვიწყრად კარგად ვგრძნობდი თავს ამ დროს ამ ლოცმანთან, მღუშმარედ შევცქეროდი მის თვალებს — მათში ბრწყინავდა ადამიანით გამოწვეული უხვი და სასიამოვნო ბედნიერება.

ადამიანით გამოწვეულ ბედნიერება — მას იშვიათად თუ განიცდიან ადამიანები, ეს კი უდიდესი ბედნიერებაა ამ დედამიწაზე.

კოროლენკო ჩემ წინ გაჩერდა, თავისი მძიმე ხელები მხარზე დამადო.

— ხომ არ აჯობებს თქვენთვის აქედან წასვლა? მაგალითად, სამარაში. იქ ნაცნობი მყავს „სამარსკაია გაზეტაში“. გინდათ, მას მივწერ, სამუშაო მოგცეთ? მივწერო?

— განა ვინმეს რამეს ვუშავებ აქ?

— თქვენ გიშავებენ.

ცხადი იყო, მას სჯეროდა ჩემი ლოთობის, „აბანოში გამართული ორგეების“ შესახებ დარბეული ხმებისა და, საერთოდ, ჩემი „მანკიერი“ ცხოვრების ამბავი. ამ ცხოვრების ძირითადი მანკიერება კი სიღარიბე იყო. ვ. გ-ს დაეინებულ რჩევა, ქალაქიდან წავსულიყავი, ცოტა არ იყოს მწყინდა, მაგრამ, ამასთანავე, მისი სურვილი, რომ „მანკიერების წიაღიდან“ ამოვეყვანე, გულს მიჩვილებდა.

აღელვებულმა ვუამბე, როგორ ვცხოვრობდი. მღუმარედ მოისმინა, მოიღუშა, მხრები აიჩეჩა.

— თვითონ თქვენ უნდა ხედავდეთ, რომ ყოველივე ეს სრულიად შეუძლებელია და — უცხო ხარტ მთელ ამ ფანტასტიკაში ჯობს, გამიგონოთ: თქვენთვის აუცილებელია, წახვიდეთ, ცხოვრება გამოიცვალოთ...

ბოლოს დამიყოლია, ასე მოვქცეულიყავი.

შემდეგ, როცა „სამარსკაია გაზეტაში“ უხეირო ყოველდღიურ ფელეტონებს ვწერდი, რომელთაც კარგ ფსევდონიმს — „იეგუდილ ხლამიდას“ ვაწერდი, კოროლენკო წერილებს მიგზავნიდა, აკრიტიკებდა ჩემს შეჩვენებულ მუშაობას დაცინვით, დარწმუნებით, სასტიკად, მაგრამ — ყოველთვის მეგობრულად.

განსაკუთრებით კარგად დამამახსოვრდა ასეთი შემთხვევა: საშინლად მომაბეზრა თავი ერთმა პოეტმა, რომელიც მისთვის საბედისწერო გვარს — სკუკინს — ატარებდა. იგი რედაქციას საეწიბით ლექსებს უგზავნიდა. ეს ლექსები უსაშველოდ უწიგნურად იყო დაწერილი და თანაც — ყოველად უხამსად, მათი დაბეჭდვა არ შეიძლებოდა. დიდების წყურვილმა შთააგონა ამ კაცს ორიგინალური აზრი: თავისი ლექსები ვარდისფერი ქაღალდის ცალკე ფურცლებზე დაბეჭდა და ქალაქის გასტრონომიულ მაღაზიებში დაარიგა: შეგირდები

ზმ ქალაღდებში ხვეგდნენ ჩანს, კანფეტებს, კონსერვებს, ძებ-
გებს, და, ანგეარად, ობივატკლი თავის შეხედუნთან ერთად
პრემიანს სახით იღებდა ხახვეარაშინიან ლექსებს, რომლებიც
საზეიმო ქება-დიდებას უძღვნიდნენ ქალაქის ხელისუ-
ფალთ, თავადაზნაურობის წინამძღოლს, გუბერნატორს, არქი-
ელს.

იითოეული მათგანი თავისებურად წესამჩნევი იყო და
მართლაც იმსახურებდა ყურადღებას, მაგრამ არქიელ- გან-
საკუთრებით ცნობილი ფიგურა გახლდათ. მან ძალით მონათ-
ლა თათრის ქალიშვილი, რითაც თათართა მთელი თემის აჯანყე-
ზა კინაღამ გამოიწვია; მან მოაწყო თვითმგვემელთა სრულიად
იდიოტური პროცესი; ამ პროცესით დასჯილ იქნენ სრულიად
უდანაშაულო ადამიანები, ეს კარგად ვიცოდი. განსაკუთრე-
ბით „სასახლო“ იყო მისი ასეთი გმირობა: ეპარქიის შემოვ-
ლის დროს, ერთ ავდრიან დღეს, რომელიღაც მიყრუებული
სოფლის მახლობლად მას ეტლი გაუფუჭდა და იძულებული
იყო, გლეხის ქოხისათვის შეეფარებინა თავი. იქ, თაროზე,
სახატეს გვერდით, მან დაინახა თაბაშირისაგან გაკეთებული
ზევისის თავი. რასაკვირველია, ამან განაცვიფრა. გამოკითხვი-
თა და სხვა ქოხების დათვალიერებით გამოიჩვენა, რომ ოლიმ-
პიელთა მბრძანებლის გამოსახულება, აგრეთვე, ღმერთქალ
ეენერას ქანდაკება სხვა რამდენიმე გლეხსაც ჰქონდა, მაგრამ
არც ერთს არ სურდა გაემხილა, სად იშოვეს კერპები.

ეს საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ აღძრულიყო სისხ-
ლის სამართლის საქმე სამარელი წარმართების სექტის შესა-
ხებ, რომელნიც ძველი რომის ღმერთებს სცემდნენ თავყვანს.
კერპთაყვანისმცემლები ციხეში ჩასხეს, სადაც იმ დრომდე
ამყოფეს, სანამ გამოძიებამ არ დაადასტურა, რომ მათ მოკლეს
და გაძარცვეს ვიატკაში სოლდატსკაია სლობოდას თაბაშირის
ნაკეთობებით მოვაჭრე ვიღაც ვაჭარი; ვაჭარი რომ მოკლეს,
ამ ადამიანებმა მეგობრულად გაიყვეს მისი საქონელი. ეს იყო
ღა ეს.

ერთი სიტყვით, უკმაყოფილო ვიყავი გუბერნატორისა,
არქიელისა, ქალაქისა, სამყაროსი, საკუთარი თავისა და კიდევ
ბევრი რამისა, ამიტომაც გაანჩხლებულმა და გაღიზიანებულ-
მა გავლანძღე პოეტი, რომელიც აქებდა და აღიღებდა მას,

რაც მე მძულდა, და, ამასთან, მის გვარს — სკუკიშ — მიეუ-
მატე სიტყვა „შვილი“.¹

ვ. გ.-მ მაშინვე გამომიგზავნა გრძელი და შთაგონებული
წერილი თემაზე: თუნდაც საქმის გულისთვის ლანძღავდე ადა-
მიანს, მაინც საჭიროა დაიცვა ზომიერების გრძნობა. ეს იყო
კარგი წერილი, მაგრამ გაჩხრეკის დროს წამართვეს ჟანდარ-
მებმა და კოროლენკოს სხვა წერილებთან ერთად დაიკარგა.

ბარემ — ჟანდარმთა შესახებაც.

97 წლის ადრიან გაზაფხულზე ნიუნიში დამაპატიმრეს და,
არცთუ ისე თავაზიანად, თბილისში ჩამიყვანეს. იქ, მეტეხის
ციხეში, როტმისტრი კონისკი — შემდეგში პეტერბურგის
ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, — რომელმაც დამკითხა,
სევდიანად ამბობდა:

— რა კარგ წერილებსა გწერთ თქვენ კოროლენკო, ის
ხომ რუსეთის საუკეთესო მწერალია ახლა!

საოცარი კაცი იყო ეს როტმისტრი: ტანმორჩილი, მსუბუ-
ქად მოძრავი, ფრთხილი, თითქოს გაუბედავი, უშნო დიდი
ცხვირი მოწყენილად ეკიდა სახეზე, ხოლო თითქოსდა სხვისი
მკვირცხლი თვალები. სასაცილოდ ჩაქარგვოდა სადღაც ცხვი-
რის ფუძესთან.

— მე კოროლენკოს თანამემამულე ვარ, მეც ვოლინელი
გახლავართ, იმ ეპისკოპოს კონისკის შთაომავალი, რომელ-
მაც — გახსოვთ? — ცნობილი სიტყვა უთხრა ეკატერინე მეო-
რეს: „თავი დავანებოთ მზეს“ და ა. შ. მე ვამაყობ ამით!

თავაზიანად ვკითხე, ვინ უფრო ვამაყება მას — წინაპარი
თუ თანამემამულე?

— ერთიცა და მეორეც, ცხადია, ერთიცა და მეორეც!

მან ცხვირის ფუძესთან შერეკა თვალის გუგები, მაგრამ მა-
შინვე ხმამაღლა შეისუნთქა პაერი ვეება ცხვირით და გუგებიც
თავის ადგილას გამოხტნენ. ავადმყოფობით გაღიზიანებულმა
შეგნიშნე, არ მესმის, როგორ შეიძლება ისეთი კაცით იამაყო,
რომელსაც ჟანდარმთა განსაკუთრებული ყურადღება ასე
ძლიერ უშლიდა და უშლის ხელს ცხოვრებაში-მეთქი. კონის-
კიმ კი ღვთისმოსავი გრძნობით ანთებულმა მიპასუხა:

¹ რუსულად წააგავს „ძაღლისშვილს“. — შთარგმნ.

— ყოველი ჩვენგანი ასრულებს არსთავამრიგის ნებას, თითოეული და ყველა განვაგრძოთ საქმე. თქვენ, მაშასადამე, ამტკიცებთ... ამავე დროს კი ჩვენთვის ცნობილია...

ჩვენ ვისხედით პატარა ოთახში ციხის ალაყაფის კარების ქვეშ. მისი ფანჯარა დატანებული იყო ძალიან მაღლა, ჭერთან; ქალაღებით სავსე მაგიდას ფანჯრიდან მცხუნვარე მზის სხივი ეცემოდა და, სხვათა შორის, ჩემდა სამარცხვინოდ, ანათებდა ნამცეცა ქალაღს, რომელზედაც მე გარკვევით დამეწერა:

«Не упрекайте лососину за то, что гложет лось осину».
ვუყურებდი ამ წყეულ ქალაღს და ვფიქრობდი:

„რა უნდა ვუპასუხო როტმისტრს, ამ გამოთქმის აზრი რომ მკითხოს?“

ექვსი წელი — 95-დან 901 წლამდე — აღარ შევხვედრივარ კოროლენკოს, მხოლოდ ხანდახან თუ ვუგზავნიდით ერთმანეთს წერილს.

1901 წელს პირველად ჩავედი ბეტერბურგში... „მოდაში“ ვიყავი, მძლევედა „დიდება“, რომელიც საკმაოდ მიშლიდა ცხოვრებას. ჩემი პოპულარობა ფართოდ გრცელდებოდა: მახსოვს, ერთხელ ღამით ანიჩკოვის ხიდზე მივდიოდი, წინ გამისწრო ორმა კაცმა, ალბათ, პარიკმახერებმა. ერთმა მათგანმა სახეში შემომხედა და დამფრთხალმა ოდნავ გასაგონაფ უთხრა ამხანაგს:

— შეხედე — გორკი!

გაჩერდა, ყურადღებით შემათვალიერა თავით ფეხებამდე, ჩავლა დამაცალა და აღტაცებით თქვა:

— დალახვროს ღმერთმა, რეზინის კალოშები აცვია!

ბევრ სხვა სიამოვნებათა შორის იყო ასეთი მომენტიც სურათი გადავიღე ჟურნალ „ნაჩალოს“ რედაქციის წევრთა ჯგუფთან ერთად, მათ შორის იყო პროვოკატორი და საიდუმლო პოლიციის აგენტი მ. გუროვიჩი.

რასაკვირველია, ძლიერ მსიამოვნებდა ქალების მოწყალე ღიმილი, ქალიშვილების თითქმის მოთაყვანე შემოხედვა და, ალბათ, — ისევე, როგორც ღიღებით დარეტიანებულ ყველს

ახალგაზრდა ადამიანს ემართება, — მეც მამალი ინდაურივით ვიფხორებოდი.

მაგრამ ხანდახან, ღამლამობით, როცა მარტო ვრჩებოდი, ისე ვგრძნობდი თავს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც ჯერ არ შეუპყრიათ: გარს ერტყმიან ჯამუშები, გამომძიებლები, პროკურორები. ყველას ისე უჭირავს თავი, თითქოს დანაშაულს უბედურებად, სამწუხარო „შეცდომად ახალგაზრდობისა“ გითვლიან და ოღონდ აღიარო, დიდსულოვნად გაპატიებენ. მაგრამ თითოეულ მათგანს გულში იმის დაუძლეველი სურვილი აქვს, რომ ამხილოს დამნაშავე, გამარჯვებულის კილოთი მიახლოს პირში:

„აპა-აი“

ხშირად ვყოფილვარ იმ მოწაფის მდგომარეობაში, რომელიც საჯაროდ აბარებს გამოცდას ცოდნის ყველა დარგში.

— რა გწამს? — მცდიდნენ სექტების მეღავითნეები და ტაძართა ქურუმები.

თავაზიანი ვიყავი და ისეთი მოთმინებით ვაბარებდი გამოცდებს, რომლის ძალა მეც მათც ებოძა, მაგრამ სიტყვებით წამების შემდეგ მეზადებოდა იმის სურვილი, რომ საადმირალოს წვეტით გამეხზვრიტა ისაკის ტაძარი ან სხვა ასეთივე სკანდალური რამ ჩამედინა.

თითქმის ყოველთვის, ცოტა არ იყოს, ნაძალადევი გულკეთილობის მიღმა რუსები ფარავენ რაღაც ისეთს, ხეპრულს რომ გაგონებთ. ეს თვისება — და, შესაძლოა, ეს გამოკვლევის მეთოდი იყოს! — ძალიან სხვადასხვანირად ვლინდება, უმთავრესად კი ისწრაფიან, მონიხულონ მოყვასის სული, როგორც საბაზრო ბალაგანი, ნახონ, როგორ ფოკუსებს უჩვენებენ, უნდათ მიმოაბნინონ ფუჭი რამ, მოთელონ, დაანაგვიანონ სხვისი სული, ხოლო ხანდახან კი გადააყიარონ კიდევ რამე ამ სულში. და, თომას მაგალითისამებრ, თითები ჩასჩარონ ჭრილობებში, ალბათ, იმის ფიქრით, რომ მოციქულის სკეპტიციზმი მაიმუნების ცნობისმოყვარეობის თანაბარფასოვანია.

ვ. გ. კოროლენკომ ქვით ნაგებ პეტერბურგშიც გამოანახა თავისთვის პროვინციული მყუდროებით აღსავსე ძველი ხის

სახლი, რომლის ოთახებშიც შეღებილი იატაკი ეგო და სიძველის სასიამოვნო სურნელებას აფრქევდა.

ვ. გ. გაქაღარავებულიყო ამ წლებში, ჭკადარა თმის კულულები საფეთქლებთან თითქმის სულ გასთეთრებოდა, თვალებს ქვემოთ გაბლანდულიყო ნაოქები, დაბნეული, მოქანცული გამოხედვა ჰქონდა; პირველი ნახვისთანავე ვიგრძენი, რომ მისი სიმშვიდე, რაც მსიამოვნებდა წინათ, შეუცვლია უკიდურეს სულიერ დაძაბულობაში მყოფი ადამიანის ნერვიულობას. ჩანდა, იაფად არ დასჯდომოდა მას მულტანის საქმე, მთელი ამ მძიმე წლების მანძილზე შესრულებული საქმეები, დათვის ენერგიას რომ მოითხოვდა.

— უძილობა დამჩემდა, სასოწარკვეთამდე მივყავარ. თქვენ კი არაფრად აგდებთ ტუბერკულოზს და ისევ ბევრს ეწევიტ? როგორა გაქვთ ფილტვები; ზღვაზე ვაპირებ წასვლას, ერთად წავიდეთ.

ჩემ პირდაპირ მოუჯდა მაგიდას, სამოერის იქიდან იხედებოდა და თან ჩემს მუშაობაზე ლაპარაკობდა.

— ისეთი რამ, როგორიცაა „ვარენკა ოლესოვა“, თქვენ უკეთ გამოგდით, ვიდრე „თომა გორდევი“. ეს რომანი ძნელი წასაკითხავია. მასალა მასში ბევრია, წყობა, მკვეთრი აგებულება კი არა აქვს.

ისე გაიმართა წელში, რომ ხერხემალმა გაიტკაცუნა, და მკითხა:

— როგორაა თქვენი საქმე — გახდით მარქსისტი?

როდესაც ვუთხარი, უკვე ახლო ვარ-მეთქი, უსიხარულოდ გაიღიმა და შენიშნა:

— ჩემთვის გაუგებარია ეს; სოციალიზმი უიდეალიზმოდ — გაუგებარია და არა მგონია, რომ მატერიალური ინტერესების ერთობლიობის შეგნებაზე შეიძლებოდეს ეთიკის შექმნა; უეთიკოდ კი ჩვენ ვერ ვიარსებებთ.

ჩაი მოსვა და მკითხა:

— როგორ მოგწონთ პეტერბურგი?

— ქალაქი ადამიანებზე უფრო საინტერესოა.

— აქაური ადამიანები...

წარბები აზიდა და თითებით მაგრად მოისრისა დაღლილ თვალები.

— აქაური ადამიანები უფრო მეტად არიან ევროპელები, ვიდრე მოსკოველები და ჩვენი ვოლგელები. ამბობენ: მოსკოვი თავისებურიაო, — არ ვიცი. ჩემი აზრით, მისი თავისებურება როგორიღაც ტლანქი, მოჩლუნგო კონსერვატიზმია. იქ არიან სლავიანოფილები, კატკოვი და სხვა მისთანანი, აქ — დეკაბრისტები, პეტრაშეველები, ჩერნიშევსკი...

— პობედონოსცევი, — ჩავურთე მე.

— მარქსისტები, — ღიმილით დაუმატა ვ. გ.-მ. — და პროგრესული, ესე იგი, რევოლუციური აზრის ყოველგვარი სხვა გამახვილება. პობედონოსცევი კი ნიჭიერია, რაც გინდათ, თქვით! წაიკითხეთ მისი „მოსკოვსკი სბორნიკი“? ყურადღება მიაქციეთ — მაინც მოსკოვისა!

მაშინვე ნერვიულად გამოცოცხლდა, იუმორისტულად მოჰყვა ლიტერატურული წრეების ბრძოლის ამბავს, მარქსისტებთან ნაროდნიკების დავის ამბავს.

მე უკვე ვიცოდი ცოტა რამ ამაზე; პეტერბურგში ჩასვლის მეორე დღესვე გავეხივებოდა ერთ ხათაბალაში, რომლის მოგონება ახლაც კი უსიამოვნო გრძნობას მგვრის; ვ. გ.-ს ვეწვიე იმიტომ, რომ, სხვათა შორის, მოვლაპარაკებოდი ამ საქმის გამო.

საქმის შინაარსი ასეთი იყო:

ჟურნალ „უიზნის“ რედაქტორმა ვ. ა. პოსემ მოაწყო ნ. გ. ჩერნიშევსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიიწვია ვ. გ. კოროლენკო, ნ. კ. მიხაილოვსკი, პ. ფ. მელშინი, პ. ბ. სტრუვე, მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი და კიდევ რამდენიმე მარქსისტი და ნაროდნიკი. ლიტერატორებმა თანხმობა განუცხადეს, პოლიციამ ნებართვა მისცა.

პეტერბურგში ჩემი ჩასვლის მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ორი კოპწია სტუდენტი კეკლუცი ქალიშვილის თანხლებით და განმიცხადეს, რომ არ შეუძლიათ დაუშვან პოსეს მონაწილეობა ჩერნიშევსკის პატივსაცემ ზეიმში, რადგან „პოსე მიუღებელი პიროვნებაა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. იგი ექსპლოატაციას უწევს ჟურნალ „უიზნის“ გამომცემლებს“. ერთ წელიწადზე მეტია, რაც ვიცნობდი პოსეს და თუმცა მას ორიგინალურ, ნიჭიერ კაცად ვთვლიდი, მაგრამ არც იმ-

დენად, რომ გამომცემლობის ექსპლოატირება შესძლებოდა. ვიცოდი, რომ მას მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა მათთან, საფორნე ცხენივით მუშაობდა, უმნიშვნელოდ მცირე გასამრჩელოს იღებდა, დიდი ოჯახი ნახევრად მშვიერი ჰყავდა. როცა ყველაფერი ეს ვუთხარი ჰაბუკებს, მათ სიტყვა ჩამოაგდეს პოსეს ორქოფულ პოლიტიკურ პოზიციებზე ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის, მაგრამ ეს ორქოფობა თვითონაც ესმოდა მას და თავის სტატიებს ვალდეს ფსევდონიმით ბეჭდავდა. ზნეობისა და მართლწმენის დამცველნი გამიჩავრდნენ და წავიდნენ, თან განაცხადეს, მოვინახულებთ საზეიმო საღამოს ყველა მონაწილეს და დავითანხმებთ, რომ უარი თქვან გამოსვლაზე.

შემდეგში გამოირკვა, რომ „ინციდენტი თავისი არსით“ განხილულ უნდა იქნას არა როგორც გამოსდომა პირადად პოსეს წინააღმდეგ, არამედ „როგორც პოლიტიკური აზრის ორი მიმართულების ბრძოლის ერთ-ერთი აქტი“, — ახალგაზრდა მარქსისტებს მიაჩნიათ, რომ მათი სკოლის წარმომადგენლებისათვის შეუფერებელია იმ საზოგადოების წინაშე გამოსვლა, სადაც არიან „გაცვეთილი, სულთმობრძავე“ ნაროდნიკობის წარმომადგენლები. მთელი ეს „დიდი სიბრძნე“ გამოთქმული იყო მოხსენებასავით ცრულ წერილში, რომელიც ისეთი ენით იყო დაწერილი, რომ, როცა ცკითხულობდი, თავი უცხოელი მეგონა. ჩემთვის უცნობი ადამიანების მიერ გამოგზავნილი წერილის შემდეგ მე მივიღე ბ. ზ. სტრუვის ბარათი, — იგი მატყობინებდა, საღამოზე არ გამოვალ, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ მეორე ბარათით მაცნობა, უკან მიმაქვს ჩემი უარი. მაგრამ მეორე დღეს უარი განაცხადა მ. ი. ტუგან-ბარანოვსკიმ, და სტრუვემ გამოგზავნა მესამე ბარათი, რომელშიაც ამჯერად გამოთქმული იყო მტკიცე უარი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ისევე, როგორც პირველ ორ ბარათში.

ვ. გ-მ სიცილით მოისმინა ჩემი ნაამბობი ამ გაწამაწიაზე და იუმორისტული ნაღვლიანობით თქვა:

— აი, მიგიწვევენ და გთხოვენ, წაიკითხო, როგორც კი გამოხვალ ესტრადაზე, გტაცებენ ხელს, ჩაგაძრობენ შარვალს და გაგწიკებლავენ!

ზურგზე ხელებზემოწყობილი ბოლთას სცემდა ოთახში და ჩაფიქრებული ხმადაბლა განაგრძობდა:

— მიძიმე დროა საშინელი, ადამიანების გამხრწნელი რა-
ღაც იზრდება. ახალგაზრდობის განწყობილება ცუდად მეს-
მის, ვგრძნობ, მასში აღორძინებას იწყებს ნიჰილიზმი და გა-
მოჩნდნენ ვიღაც კარიერისტი-სოციალისტები. რუსეთს ღუ-
ბავს თვითმპყრობელობა, ხოლო მისი შემცვლელი ძალები
არა ჩანს!

პირველად ვხედავდი კოროლენკოს ასე შეშფოთებულსა
და მოქანცულს. ძლიერ სევდის მომგვრელი იყო ეს.

მას ეწვივნენ ვიღაც პროვინციელი ერობის მოღვაწენი, და
მე წამოვედი. ორი-სამი დღის შემდეგ იგი სადღაც გაემგზავ-
რა დასასვენებლად. აღარ მახსოვს, ვნახე თუ არა კიდევ ამ
შეხვედრის შემდეგ.

მას იშვიათად ვხვდებოდი, განუწყვეტლივ, ყოველდღიუ-
რად არ მიდევნებია მისთვის თვალყური, თუნდაც მოკლე
დროის მანძილზე.

მაგრამ მასთან ყოველი საუბარი განამტკიცებდა ჩემს წარ-
მოდგენას ვ. გ. კოროლენკოზე, როგორც დიდ ჰუმანისტზე.
რუს კულტურულ ადამიანთა შორის მე არ შევხვედრივარ
კაცს, ვისაც ასე კლავდა „სიმართლე-სამართლიანობის“ დაუო-
კებელი წყურვილი, ადამიანს, რომელიც ასე ღრმად გრძნობდა
ცხოვრებაში ამ სიმართლის განხორციელების აუცილებლო-
ბას.

ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების შემდეგ იგი მწერდა:
„ტოლსტოიმ ყველაზე მეტად გაზარდა მოაზროვნე და
მორწმუნე ადამიანთა რიცხვი. მე მგონია, თქვენ ცდებით, რო-
ცა ამტკიცებთ, რომ მათი რიცხვი გაიზარდა საქმის მკეთებელ-
თა ან უნარიანთა ხარჯზე. ადამიანის აზრი ყოველთვის ქმე-
დითია, ოღონდ გააღვიძეთ იგი და მისი მისწრაფება წარი-
მართება ჰუმანიტებისაკენ, სამართლიანობისაკენ“.

დარწმუნებული ვარ, რომ ვ. გ.-ს კულტურულმა მუშაო-
ბამ გააღვიძა უამრავი რუსი ადამიანის მთვლემარე მართლ-
შეგნება. იგი მთელ თავის ენერგიას ახმარდა სამართლიანო-
ბის საქმეს იმ იშვიათი, მთლიანი დაძაბულობით, რომელშიაც
პარმონიულად შეხამებული გრძნობა და აზრი ღრმა, რელიგი-

ურ მგზნებარებამდე მალღდება. იგი თითქმის ხედავდა და გრძნობდა სამართლიანობას, როგორც ჩვენს საუკეთესო ოცნებას, იგი აჩრდილია, ადამიანის სულით შექმნილი, რომელიც ეძიებს ხელშესახებ ფორმებში განხორციელებას.

მხატვრის ტალანტის საზიანოდ მან თავისი ენერგია შესწირა ფანტასტიკური რუსული ცხოვრების მიერ ნასუქი ასთავიანი ურჩხულის წინააღმდეგ განუწყვეტელ, დაუღალავ ბრძოლას.

რევოლუციური აზრის, რევოლუციური საქმის მკაცრი ფორმები აფორიაქებდნენ და აწამებდნენ მის გულს — იმ კაცის გულს, ვისაც მგზნებარედ უყვარდა მშვენიერება-სამართლიანობა, ეძებდა მათ შერწყმას ერთ მთლიანობაში. მაგრამ მას მტკიცედ სწამდა, რომ ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ძალები მალე გაიფურჩქნებოდა. წინასწარ გრძნობდა, რომ ადამიანთა მკვდრეთით აღდგომის სასწაული საშინელი სასწაული იქნებოდა.

908 წელს იგი წერდა:

„ყველაფერი, რასაც ახლა აკეთებენ, რამდენიმე წლის შემდეგ დაიჭუხებს ვულკანური აფეთქებით, საშინელი იქნება ის დღეები. მაგრამ იგი იქნება, თუ ცოცხალია ხალხის სული, ხოლო მისი სული ცოცხალია“.

87 წელს მან დაამთავრა თავისი მოთხრობა „დაბნელებაზე“ ნ. ბერგის ლექსით:

წმინდა რუსეთში მამლები ყივიან,

მალე გათენდება წმინდა რუსეთში.

მთელი თავისი სიცოცხლე იგი გმირის ძნელი გზით მიდიოდა ამ დღის, შესახვედრად და აურაცხელად ბევრია ყველაფერი ის, რაც ვ. გ. კოროლენკოს გაუკეთებია ამ დღის განთიადის დასაჩქარებლად.

სარბიი ესენინი

ცხრაას შვიდსა თუ რვა წელს, კაპრიზე, სტეფანე ეერომს-კიმ მე და ბულგარელ მწერალს პეტრო ტოდოროვს გვიანბო ერთი გლეხი ბიჭის, უმუდისა თუ მაზურის, ამბავი, რომელიც, რალაც შემთხვევის გამო, კრაკოვში მოხვდა და გზა-კვალი აერია. იგი დიდხანს ტრიალებდა ქალაქის ქუჩებში, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისთვის ჩვეულ მშობლიურ ვრცელ ველზე გამოსვლა. და როდესაც ბოლოს შეიგრძნო, რომ ქალაქს არ უნდოდა მისი გაშვება, დაიჩოქა, ღმერთს შეევედრა და ხიდიდან ვისლაში გადაეშვა იმ იმედით, რომ მდინარე მაინც გაიტანდა სასურველ გაშლილ სივრცეში. დახრჩობა მას არ დააცალეს, იგი გარდაიცვალა იმის გამო, რომ გადახტომის დროს დაიმტვრა.

ამ უბრალო ამბავმა სერგეი ესენინის სიკვდილი მომაგონა. ესენინი პირველად ვნახე 1914 წელს, სადღაც შევხვდით მას კლუევთან ერთად. 15-17 წლის ბიჭად მეჩვენა. ხუჭუჭა და ქერა, თავისი ცისფერი ხალათით, ხიტთანითა და ჩაკეცილ-ყელიანი ჩექმებით, იგი ძალიან წააგავდა სამოკიშ-სულდკოვსკაიას მოსაყირჭებელ ღია ბარათებზე გამოხატულ ერთნაირ-სახიან ბოიართა შვილებს. ზაფხული იყო, შეხუთული ღამე-ჩვენ, სამნი, ჯერ აუზის ქუჩას მივეყვებოდით, შემდეგ სიმეონის ხიდთან მივედით, დავდექით ზედ და შავ წყალს ჩავცქეროდით. არ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით, ალბათ, ოქზე; ის უკვე დაწყებული იყო. ესენინმა ჩემში აღძრა შთაბეჭდილება მორცხვი და ცოტა დაბნეული ბავშვისა, რომელიც თვითონ გრძნობს, რომ უზარმაზარი პეტერბურგი მისი ადგილი არ არის.

ასეთი უმანკო ბიჭები წყნარ ქალაქებში — კალუგაში, ორიოლში, რიაზანში, სიმბირსკში, ტამბოვში — ცხოვრობენ. იქ ისინი სავაჭროების ნოქრებად, ღურგლების შეგირდებად, ტრაქტირების გუნდების მოცეკვავეებად და მომღერლებად მუშაობენ. ხოლო, უკეთეს შემთხვევაში „ძველი ღეთისმოსაობის“ ერთგულ წვრილ ვაჭართა შეილები არიან.

გვიან, როცა მის გაბედულ, ნათელ, საოცრად გულწრფელ ლექსებს ვკითხულობდი, არ მჯეროდა, რომ მათ წერდა სწორედ ის განგებ ლამაზად ჩაცმული ბიჭი, რომელთან ერთადაც ვიდექი ერთხელ ღამით სიმეონის ხიდზე და ვხედავდი, როგორ აწიტებდა იგი გრანიტში მოქცეული მდინარის შავ ხავერდს.

ექვსი-შვიდი წლის შემდეგ ესენინს ბერლინში შევხვდო, ა. ნ. ტოლსტოის ბინაზე. თმანუჭუჭუა, სათამაშო ბიჭუნასაგან მხოლოდ ძლიერ ნათელი თვალები დარჩენილიყო და ისინიც კი თითქოს რომელიღაც ძალზე კაშკაშა მზეს გაეხუნებინა. მათი მოუსვენარი გამოხედვა ხან გამომწვევად და მედიდურად დასრიალებდა ადამიანთა სახეებზე, ხანაც — უეცრად, გაუბედავად, დარცხვენითა და უნდობლად. მე მომეჩვენა, რომ საერთოდ, ესენინი არამეგობრულად არის განწყობილი ადამიანებისადმი. ისიც ეტყობოდა, რომ სმა უყვარდა. ქუთუთოები წამოსივებოდა, თვალების თეთრი გარსი გასწითლებოდა, სახისა და კისრის კანს ნაცრისფერი დაჰკრავდა. გაფერმკრთალებულიყო, როგორც მათ მოსდით, ვინც ცოტა ხნითაა პაერზე და ცუდად სძინავს. ხელები მოუსვენარი ჰქონდა და მტევნებთან — გაშლილი, როგორც მედოლეს. და ერთიანად შეშფოთებული, დაბნეული ჩანდა ისეთი კაცივით, რომელსაც რაღაც მნიშვნელოვანი რამ დავიწყნია და კარგად არც კი ახსოვს, რა დაავიწყდა!

მას თან ახლდნენ აისედორა ღუნკანი და კუსიკოვი;

— ესეც პოეტია, — თქვა მასზე ესენინმა წყნარად და ხრინწიანი ხმით.

კუსიკოვი, ეს ძალზე თავაშვებული ახალგაზრდა კაცი, ზედმეტად მეჩვენა ესენინის გვერდით. იგი აღჭურვილი იყო გიტარით, პარიკმახერთა ამ საყვარელი ინსტრუმენტით, მაგრამ მასზე დაკვრა, მგონი, არც კი იცოდა. ღუნკანი მე ვნახე

ბუნებაზე ამ შეხვედრამდე რამდენიმე წლით ადრე, როდესაც მასზე ისე წერდნენ, ვით სასწაულზე, ხოლო ერთმა ჟურნალისტმა გასაოცრად თქვა: „მისი გენიალური სხეული გვწვავს ჩვენ დიდების ალითო“.

მაგრამ მე არ მიყვარს, არ მესმის გონივრული ცეკვა, და არ მომეწონა, როგორ დარბოდა ეს ქალი სცენაზე. მაგონდება — მოსაწყენიც კი იყო, გეგონებოდა, საშინლად სცივა და, ნახევრად შიმველი, დარბის იმისათვის, რომ გათბეს, თავი და აღწიოს სიცივესო.

მან ტოლსტოის ბინაშიაც იცეკვა, მაგრამ ჯერ დანაყრდა და არაყი მიირთვა. ცეკვა თითქოს გამოხატავდა დუნეანის ასაკის სიმძიმის ბრძოლას სახელითა და სიყვარულით განებივრებული მისი სხეულის ძალადობასთან. ამ სიტყვებს მიღმა არ იმალება ქალის შეურაცხყოფელი რამ, ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ სიბერის უბედურებაზე.

ხანში შესული და დამძიმებული, წითური, ულამაზო სახის ქალი აგურისფერ კაბაში გახვეული ტრიალებდა, იკლავებოდა ვიწრო ოთახში და თან მკერდზე იკრავდა დასრესილი, დამტკნარი ყვავილების თაიგულს, ხოლო მსუქან სახეზე არაფრისმთქმელი ღიმილი შეჰყინვოდა.

პლასტიკის ზედმიწევნით მცოდნე ათასობით ევროპელი ესთეტიკის მიერ ხოტბაშესხმული ეს ცნობილი ქალი, მოზარდით პატარა, განსაცვიფრებელი რიაზანელი პოეტის გვერდით სრულიად ზედმეტი იყო. ამაში არაფერია წინასწარ აკვირებული, აი ახლა მოგონილი: არა, მე ვლაპარაკობ იმ მძიმე დღის შთაბეჭდილებაზე, როდესაც ვუყურებდი ამ ქალს და ვფიქრობდი: როგორ შეუძლია მას, შეიგრძნოს პოეტის ასეთი ამოოხვრის აზრი:

კარგი იქნება, ზვინს რომ უღიმი,
მთვარის ლაშებით თივას ცოხნიდე!

რა შეუძლია უთხრას მას პოეტის ასეთმა ნაღვლიანმა ჩაცინებამ:

ცილინდრს ვახუტავ არა ქალთათვის —
ყუყუჩი ვნება გულს რომ მისწვდება,
მასში კარგია ჭაშაბისათვის
ოქროსფერ შერაის დაცოხნიება.

ესენინი ღუნკანს ელაპარაკებოდა ეესტებით, მუხლებისა და იდაყვის წაკერით. როცა ქალი ცეკვადა, ესენინი მაგიდასთან იჯდა, ღვინოს სვამდა, ღუნკანს ცალი თვალით უცქეროდა, იჭმუნებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ წუთებში ჩამოისხა ლექსის სტრიქონად სიბრაღულის სიტყვები:

ამოგიჩემეს, გაგსვარეს უღვთოდ...

და შეიძლებოდა გეფიქრა, რომ იგი უცქერის თავის მეგობარს, როგორც კოშმარს, რომელსაც უკვე შეეჩვია და აღარ უფრთხის, მაგრამ რომელიც მაინც თრგუნავს. მან რამდენიმეჯერ ისე გააქნია თავი, როგორც მელოტმა კაცმა, რომელსაც თავის კანზე ბუზი უხიციებდა.

შემდეგ მოქანცული ღუნკანი მუხლებზე დაეცა და სახეში შეაჩერდა პოეტს დაღლილი, მთვრალი ადამიანის ღიმილით. ესენინმა მხარზე დაადო ხელი, მაგრამ მკვეთრად შეტრიალდა. და კვლავ მეფიქრება: ამ წუთებში ხომ არ იფეთქეს მასში მკაცრმა და შებრალების სასოწარკვეთილმა სიტყვებმა!

რას მიცქერ ასე ლურჯ აშხფებით?
იქნებ სიფათში გსურს ჩაგაფარო?
...ძვირფასო... მე ვტირისი
შემინდე... შემინდე...

ესენინს სთხოვეს, წაეკითხა რამე. სიამოვნებით დათანხმდა, ადგა და დაიწყო ხლოპუშას მონოლოგი. თავდაპირველად კატორღელის ტრაგიკული წამოყვირება თეატრალურად მომეჩვენა.

გაშმაგებულო, გაცოფებულო სისხლო ნამღერევის!
რა ხარ? სიკვდილი?

მაგრამ მალე ვიგრძენი, რომ ესენინი კითხულობდა ამაღელვებლად და მისი მოსმენა ძნელად ასატანი, გულის ამაჩუყებელი გახდა, მე არ შემიძლია მის კითხვას ვუწოდო არტისტიკული, ოსტატური და ასე შემდეგ; ყველა ეს ეპითეტი არაფერს გვეუბნება კითხვის ხასიათზე. პოეტის ხმა ცოტა ხრინჭიანად, მყვირალად, გულამომჭდარად ეღერდა, და ეს ყველაზე უფრო ნათლად გამოკვეთდა ხლოპუშას მტკიცე სიტყვებში; საოცრად გულწრფელად, წარმოუდგენელი ძალით გაისმა

ჩამდენიმეჯერ და სხვადასხვა ტონით განმეორებული მო-
თხოვნა კატორღელისა:

მე მინდა ვნახო ეს ადამიანი!

და შესანიშნავად იყო გადმოცემული შიშში:

სად არის, სად? ნუთუ არ არის ის აქ?

არც კი მჯეროდა, რომ ეს პატარა კაცი ფლობდა გრძნობა-
თა ასეთ უზარმაზარ ძალას, ასეთ სრულყოფილ გამომხატვე-
ლობას. კითხვის დროს ისე გაფითრდა, რომ ყურებიც კი
გაუნაცრისფერდა. ხელებს ლექსის რიტმს არ აყოლებდა, მაგ-
რამ ეს ასე იყო საჭირო, ლექსის რიტმი შეუმჩნეველი იყო,
ჭვა სიტყვების სიმძიმე კაპრიზულად სხვადასხვა წონისაა. ასე
გეგონებოდა, იგი ისერის მათ, ერთს — საკუთარ ფეხებში,
მეორეს — შორს, მესამეს — საძულველ სახეში ახლის ვიდაცას.
და, საერთოდ, ყველაფერი: ხრინწიანი, გულამომჭდარი ხმა,
არასწორი ექსტეზი, მოქანავე სხეული, სევდიანი ანთებული
თვალები — ყველაფერი ისეთი იყო, როგორც უნდა ყოფი-
ლიყო ამ დროს პოეტის გარემომცველ ვითარებაში.

სრულიად განსაცვიფრებლად გადმოსცა მან პუგაჩოვის
კითხვა, სამჯერ განმეორებული:

თქვენ რა, გაგიყდით?

ძლიერად და მრისხანედ, შემდეგ უფრო ხმადაბლა, მაგრამ
მეტე გზნებით:

თქვენ რა, გაგიყდით?

და, ბოლოს, სრულიად ხმადაბლად, სასოწარკვეთით სუნ-
თქვაშეკრულმა:

თქვენ რა, გაგიყდით?

ვინ გითხრათ, თითქოს გაგვანადგურეს?

წარმოუდგენლად კარგად იკითხა მან:

ნუთუ სულშიაც ისე ეცემი, როგორც ტვირთის ქვეშ?

და მოკლე პაუზის შემდეგ ამოიოხრა უსასოოდ, გამომშვი-
დობებით:

ძვირფასო ჩემო...

ახ-ლობელნო...

ამაღელვა ისე, რომ სუნთქვა შეემეკრა, ქვითინი მომიწდა მახსოვს, ვერაფერი ქება ველარ ვუთხარი. ვფიქრობ, მას არც ესაჭიროებოდა ქება.

გთხოვე, წაეკითხა ლექსი ძაღლზე, რომელსაც შვიდი ლექვი მოსტაცეს და მდინარეში გადაყარეს.

— თუ არ დაიღალეთ...

— მე ლექსები არა მღლის, — თქვა მან და უნდობლად მკითხა: — მოგწონთ ლექსი ძაღლზე?

ვუთხარი, რომ, ჩემი აზრით, რუსულ ლიტერატურაში იგი პირველია, ვინც ასე ოსტატურად და ასეთი გულწრფელი სიყვარულით წერს ცხოველებზე.

— დიახ, ძლიერ მიყვარს ყოველგვარი მხეცი. — ჩაფიქრებითა და წყნარად წარმოთქვა ესენინმა, ხოლო კითხვაზე — იცნობს თუ არა იგი კლოდელის „ცხოველთა სამოთხეს“, არ მიპასუხა, ორივე ხელი გადაისვა თავზე და დაიწყო კითხვმ ლექსისა „სიმღერა ძაღლზე“. და როდესაც წარმოთქვა ბოლო სტრიქონები:

მიმოიფანტნენ ძაღლის თვალები
თოვლში ოქროსფერ ვარსკვლავებზეთ,

მის თვალებშიაც აციმციმდა ცრემლები.

ამ ლექსების შემდეგ ძალაუნებურად გავიფიქრე, რომ სერგეი ესენინი იმდენად ადამიანი არ არის, რამდენადაც ორგანო, რომელიც ბუნების მიერ შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ პოეზიისათვის, იმისათვის, რომ გამოხატოს ამოუწურავი „მწუხარება ველებისა“¹ და სამყაროში არსებული ყოველივე ცოცხალისადმი სიყვარული, რომ გამოხატოს კეთილმოწყალება, რასაც ყოველივე სხვა რამეზე მეტად იმსახურებს ადამიანი. და კიდევ უფრო საგრძნობი გახდა, რომ ზედმეტია გიტარიანი კუსიკოვი, მოცეკვავე დუნკანი, ზედმეტია ბრანდენბურგის ძაღზე მოსაწყენი ქალაქი — ბერლინი, ყველაფერი ის, რაც გარს ერტყა თავისებურად წიქიერ და დასრულებულ რუს პოეტს.

მან კი როგორღაც შეშფოთებით მოიწყინა, მოეფერა დუნკანს ისე, როგორც, ალბათ, ეალერსებოდა რიაზანელ ქალი-

¹ ნ. ს. სერგეევ-ცენსკის სიტყვებია.

შვილებს, ზურგზე ხელი მოუთათუნა და შესთავაზა, წაპყლოდა:

— სადღაც ხმაურში, — თქვა მან.

გადაწყვიტეს, საღამოს სწევოდნენ ლუნა-პარკს.

როდესაც წინა ოთახში იცვამდნენ, ღუნკანმა მამაკაცებს დაუწყო აღერსიანად კოცნა.

— ძალიან კარგები არიან რუსები, — მგრძნობიარედ ამბობდა ქალი. — ისეთნი — უხი უკეთესებს ვერსად შეხვდები...
ესენინმა უხეშად გაითამაშა ექვიანობის სცენა, ხელი დაკრა ზურგზე, შეუყვირა:

— არ გაბედო უცხო ხალხის კოცნა!

მე გავიფიქრე, მან ეს მხოლოდ იმიტომ მოიმოქმედა, რომ უცხო ადამიანები ეწოდებინა იქ მყოფთათვის.

ლუნა-პარკის ულაზათო ჩინებულებამ გამოაცოცხლა ესენინი, იგი სიცილით მირბოდა ერთი საკვირველებიდან მეორისაკენ, ხედავდა, როგორ ერთობოდნენ დარბაისელი გერმანელები, როგორ ცდილობდნენ, ბურთი პირდაპირ ხახაში მოერთყათ მუყაოს მახინჯი ნიღბისათვის, როგორ დაჟინებით მიცოცავდნენ ფეხქვეშ მოქანავე კიბეზე და მძიმედ ეცემოდნენ მოედანზე, რომელიც ტალღისებურად ადი-ჩადიოდა. იყო აურაცხელი ასეთივე უბრალო გასართობი, ბევრი ჩირაღდანი ენთო და ყველგან მონდომებით გრიალებდა პატროსანი გერმანული მუსიკა, რომელსაც შეიძლება „ლიპიანთა მუსიკა“ ეწოდოს.

— მოუწყვიათ ბევრი რამ, მაგრამ ვერაფერი განსაკუთრებული ვერ მოუგონიათ, — თქვა ესენინმა და მაშინვე დაუმატა: — მე არ ვაძაგებ. შემდეგ სასწრაფოდ დაიწყო, რომ ზმნა «хаять» სჯობს «порицать»-ს.

— მოკლე სიტყვები ყოველთვის სჯობს მრავალმარცვლოვან სიტყვებს, — თქვა მან.

ის სიჩქარე, რომელსაც ესენინი იჩენდა გასართობთა დათვალეირების დროს, საეჭვოდ ჩანდა და ბადებდა ასეთ აზრს: ადამიანს უნდა ყველაფერი ნახოს, რათა რაც შეიძლება მალე დაივიწყოს. იგი გაჩერდა მრგვალ კიოსკთან, რომელშიაც ტრია-

ლებდა და ზუზუნებდა რაღაც კრელი, და მოულოდნელად კვლავ აჩქარებით მკითხა:

— თქვენ ფიქრობთ, ჩემი ლექსები საჭიროა? და, საერთოდ, ხელოვნება, ესე იგი, პოეზია, საჭიროა?

ამ შეკითხვისათვის უკეთეს დროსა და ადგილს ვერ შეარჩევდა კაცი, — ლუნა-პარკი კარგად ერთობა უშიღეროდაც.

მაგრამ თავისი შეკითხვის პასუხს ესენინი არ დაელოდა, შემოგვთავაზა:

— წავიდეთ, ღვინო დავლიოთ.

რესტორანის ვეებერთელა ტერასაზე, რომელიც გაჭედილი იყო მხიარული ხალხით, მან კვლავ მოიწყინა, ისევ დაბნეულობამ მოიცვა, გაჭირვეულდა. ღვინო არ მოეწონა:

— მეაფეა და დამწვარი ნაკრტენის სუნი უდის. მოითხოვეთ წითელი ფრანგული.

მაგრამ წითელსაც უხალისოდ, თითქოს მოვალეობის გულისათვის სვამდა. სამი წუთის განმავლობაში მიშტერებით გაიყურებოდა შორს; იქ, მალა, ჰაერში, შავი ღრუბლების ფონზე მოჩანდა, ტბორზე გაბმულ ბაგირს როგორ მიჰყვებოდა ქალი. მას ანათებდნენ ბენგალური ცეცხლით, მის ზევით და თითქოს მისი მიდევნებით მიჰქროდნენ რაკეტები, რომლებიც ტბორის წყალში ისახებოდნენ და ღრუბლებში ქრებოდნენ. ეს თითქოს ლამაზი სანახავი იყო, მაგრამ ესენინმა წაიღუღუნა:

— ყველაფერი რაც შეიძლება უფრო საშინელი უნდათ. თუმცაღა, მე მიყვარს ცირკი. თქვენ?

ესენინი არ ახდენდა განებივრებული, თავმომწონე ადამიანის შთაბეჭდილებას, არა, გეგონებოდათ, ამ საექვო მხიარულ ადგილას მოხვდა, როგორც მოვალეობის გამო ან „ზრდილობის გულისათვის“, როგორც ურწმუნონი დადიან ხოლმე საყდარში. მოვიდა და მოუთმენლად ელოდება, როდის დამთავრდება ეს უცხო ღვთისადმი აღვლენილი წირვა-ლოცვა, რომელიც სრულებით არ ეხება მის სულს.

მ. მ. კოცოუბინსკი

„მშვენიერი — ეს იშვიათია“, — ამბობდნენ გონკურები, ზგი იყო ერთ-ერთი იმ იშვიათ ადამიანთაგანი, რომლებიც მათთან პირველი შეხვედრისთანავე იწვევენ კმაყოფილების სათნო გრძნობას: სწორედ ამ კაცს ელოდი დიდი ხანია, სწორედ მისთვის შემოგინახავს რაღაც განსაკუთრებული აზრები!

სილამაზისა და სიკეთის იდეათა სამყაროში იგი „შინაური“ კაცია, მშობლიური ადამიანია, და პირველი შეხვედრისთანავე იმის სურვილს აღგიძრავთ, რომ რაც შეიძლება ხშირად შეხვდეთ, მეტი ელაპარაკოთ.

იგი ყველაფერზე ფიქრობს და მისთვის განსაკუთრებით ახლობელია კარგი, ამასთან, მასში ბობოქრობს ორგანული ზიზღი ცუდისადმი. მას სათუთად აქვს განვითარებული ესთეტიკური ალლო კეთილისადმი, მხატვრის სიყვარულით უყვარს კეთილი, სწამს მისი გამარჯვების ძალა და მასში ცოცხლობს იმ მოქალაქის გრძნობა, რომელსაც ღრმად და ყოველმხრივ ესმის კეთილის კულტურული მნიშვნელობა, მისი ისტორიული ღირებულება.

ერთხელ, როცა რუსეთში წიგნის ფართო დემოკრატიული გამოცემის გეგმას ვაცნობდი, მე გავიგონე მისი სათნო ხმა, ფიქრით აღსავსე სიტყვები:

— კარგი იქნებოდა, შემოგვედო ყოველწლიური „ადამიანურობის გამოვლენის მატრიანე“, ყოველივე იმის მიმოხილვის ყოველწლიური გამოცემა, რაც ადამიანს მთელი წლის განმავლობაში მოუმოქმედია ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის. ეს შესანიშნავი საშუალება იქნებოდა იმისა, რომ ადამიანებმა შეიცნონ თავიანთი თავი, გაეცნონ ერთმანეთს.

ჩვენ ხომ უფრო ხშირად ცუდ რამეს ვგებულობთ, ვიდრე კარგს. ხოლო დემოკრატიისათვის ასეთ წიგნებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა...

ძალიან ხშირად ლაპარაკობდა დემოკრატიაზე, ხალხზე და ყოველივე ეს როგორღაც მუდამ განსაკუთრებით სასიამოვნო მოსასმენი და ჰკუთის სასწავლი რამ იყო.

ერთ წყნარ საღამოს მას ვუამბე ლეგენდა კალაბრიელ მენახშირე ჩიროზე, რომელიც 49 წელს, სიცილია რომ ფერდინანდ ბომბას ებრძოდა, ეახლა კეთილშობილ რუჯიერო სეტიმოს და გულწრფელად შესთავაზა:

— სინიორ, ნეაპოლელმა დესპოტმა-თუ გაიმარჯვა, ალბათ, მოისურვებს თქვენთვის თავის მოკვეთას, ხომ? მაშინ, სინიორ, შეაძლიეთ მას სამი თავი თქვენი ერთი თავის სანაცვლოდ: აი, ეს, ჩემი თავი, ჩემი ძმისა და სიძის თავები, ჩვენ ყველას ისევე გვეზიზღება ბომბა, როგორც თქვენ გეზიზღებათ, სინიორ, მაგრამ ჩვენ — პატარა ადამიანები — ვერ შევძლებთ, ისე ჰკვიანად და წარმატებით ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის, როგორც ეს თქვენ შეგიძლიათ, ვფიქრობ, ამით ხალხი ბევრად მოიგებს, ხოლო ბომბა, ალბათ, დიდი სიამოვნებით მოკლავს სამს ერთის ნაცვლად, — იმ უსაქმურს ხომ ხალხის ქლეთა უყვარს! ჩვენ კი სიამოვნებით მოვკვდებით თავისუფლებისათვის.

ლეგენდა მოეწონა მიხეილ მიხეილის ძეს; სიხარულით აუთამაშდა მოსიყვარულე თვალები და თქვა:

— დემოკრატია ყოველთვის რომანტიკულია, და ეს კარგია, დიახს რომანტიზმი ხომ ყველაზე უფრო ადამიანური განწყობილებათ; ვფიქრობ, მისი კულტურული არსი ჯერ საკმაოდ ვერ შეუგნიათ. იგი აზვიადებს, დიახს მაგრამ ის ხომ კეთილსაწყისებს აზვიადებს, რითაც ადასტურებს, თუ რაოდენ ფაღია კეთილისაყენ მისწრაფება ადამიანებში.

იყო ასეთი შემთხვევა: ზორბა რომანული ნაგაზი პირველად და ძალზე გაჭირვებით ყრიდა ლექვებს. ლექვები მკვდრები იბადებოდნენ; ტკივილებით განაწამები ძალი სულს დაფავდა. ამ მძიმე სურათმა სიბრაღის ოშკარად გამოვლენილი გრძნობა აღუძრა ძუკნა ფოქსტერიერს, რომელსაც ჯერ არ გამოეცადა ყოველივე ეს.

ბატარა, კობტა ძალღი ყველას აოცებდა თავის შეგრძნე-
ბათა დაძაბულობით: იგი წყნარი ყმუილით უვლიდა ნაგაზს
გარშემო, ცრემლებს ლოკავდა მის ნაწამებ თვალებზე და
თვითონაც ცრემლები სდიოდა; შეირბენდა სამზარეულოში,
დასტაცებდა პირს ძვლებს და თვალის დახამხამებაში მიჰქონ-
და ავადმყოფთან, ხვდებოდა ადამიანებს, წყნარი, შესაბრა-
ლისი ყუფით აბტებოდა მათ, თითქოს დახმარებას სთხოვსო,
სულ ტიროდა, — ცრემლები სცვიოდა მის ლამაზ თვალებს.
ეს ძალზე გულის ამაჩუყებელი იყო და ცოტათი შემზარავიც.

— საოცარი! — თქვა აღღვებულმა კოციუბინსკიმ. —
სხვა არაფრით შემიძლია ავხსნა გრძნობის ასეთი ძალა ძალ-
ში, თუ არა იმით, რომ ადამიანებმა უკვე თავიანთ გარშემო
შექმნეს ადამიანურობის თვალწარმტაცი და შთაბამონებელი
ატმოსფერო, რომელსაც ძალუძს, გარდაქმნას თვით ცხოვე-
ლიც კი, ჩაუნერგოს მას რალაც ადამიანის სულიდან.

ადამიანურობა, მშვენიერება, ხალხი, უკრაინა — კოციუ-
ბინსკის საყვარელი სასაუბრო თემები იყო. ისინი ყოველთვის
თან ახლდნენ მას, როგორც მისი გული, ტვინი და შესანიშნა-
ვი მოალერსე თვალები.

მას ძალიან უყვარდა ყვავილები და, ბოტანიკოსის ნაფუძ-
ვლიანი ცოდნით აღჭურვილი, პოეტის ენით ლაპარაკობდა
მათზე. სასიამოვნო სანახავი იყო, როცა ხელში ყვავილეთი კვი-
რა, ეალერსებოდა მას და გვიამბობდა:

— შეხედეთ, გუგულისკაბამ ფუტკრის ფორმა მიიღო:
ამით მწერებს ეუბნება, არ მომეკაროთო. რაოდენი გიანებაა
ყველგან, რამდენი სილამაზე!

დაავადებული გული ხელს უშლიდა მას კაპრის უსწორ-
მასწორო ბილიკებზე, მზით გახურებულ ქვებზე სიარულში,
ყვავილების სურნელით ძლიერ გაუღენთილ ცხელ ჰაერზე გამ-
ვლაში. მაგრამ თავს არ იზოგავდა, ბევრს სეირნობდა, ხში-
რად — მოქანცვამდეც.

და როცა ეტყოდით: „რატომ შვრებით ამას, რატომ ილ-
ლებით?“ — იგი ისე გიპასუხებდათ, რომ ადვილად აბათი-
ლებდა კეთილგონიერულ დარიგებას:

— მსურს, რაც შეიძლება მეტი ვნახო: აწი ხომ ბევრს
ვეღარ ვიცოცხლებ ამ ქვეყანაზე, მე კი მიყვარს იგი...

მას განსაკუთრებით სათუთად უყვარდა თავისი უკრაინული და თითქმის ყველგან ურცის სურნელი ეჩვენებოდა.

ერთხელ კი, როცა მეთევზეთა სახლის თეთრ კედელთან ფერმკრთალი ბალებები დაინახა, სახე ღიმილით გაეზადრა, ქული მოიხადა და ყვავილებს მიმართა:

— Здоровські були! Як живеться на чужині?

უხერხულად იგრძნო თავი და იოხუნჯა:

— „ციო, უოტა სანტიმენტალუტა ვხდება! მაგრამ, ალბათ, თქვენც ხშირად გენატრებათ თეთრი აქყის ხე, რომლითაც გაუწიკებლიხართ კიდეც, არა? ეჰ, ყველა ადამიანი ადამიანია, ხოლო ვინც ადამიანი არ არის — შეურცხვეს თავი!

მას უყვარდა კაპრი და მის შესახებ წერდა:

„თავს ცუდად ვგრძნობ, მხოლოდ კაპრი მასულდგმულებს: კაპრის ბუნებით მიღებული შთაბეჭდილებანი ისეთი ჰარმონიულია და ისე კეთილნაყოფიერად მოქმედებს ჩემს ფსიქიკაზე, რომ მაჯანსაღებს“.

მაგრამ, ვფიქრობ, ეს მთლად ასე როდი იყო; კუნძულის თბილი ჰავა არ რგებდა მას. და, გარდა ამისა, მისი უკრაინული კეთილი გული მუდამ სამშობლოსთან იყო, — მისი მწუხარებით ფეთქავდა, მისი ტკივილებით ეწამებოდა.

ხანდახან, ხედავ: მიდის წყნარად, ოდნავ მოხრილი, მზინავი თავი გაუშიშვლებია, ისეთი ფიქრიანი სახე აქვს, როგორც ეუკის პორტრეტზე, — ხედავ და ხვდები: თავის ჩერნიგოვშინაზე ფიქრებს გაუტაცია.

ასეც იყო: მოვიდა თავის თეთრ ოთახში, მოქანცულად ჩაეშვა სავარძელში და ამბობს:

— იციო, იქ, Arca Naturale-ს გზაზე, ზუსტად ისეთი ქოხი დგას, როგორიც ჩვენში შიგ ჩვენებურები ცხოვრობენ: გადაბერებული ბრძენი პაპა თავისი ჩიბუხით ზღრუბლზე ჩამომჯღარა, დედაკაციც — ასეთივე, და კიდეც, თაფლისფერ-თვალა გოგონა — სრული ილუზიაა. მხოლოდ ეს მთები, ლოდები, ზღვა არ უდგება თორემ ყველაფერი — მზეც — ისეთია, როგორც ჩვენში!

და დაიწყებდა წყნარად ლაპარაკს სამშობლოს ბედ-იღბალზე, მის მომავალზე, მის ადამიანებზე, რომლებიც ძლიერ უყვარდა, ლიტერატურაზე, უკვე დაღუპული „პროსვიტის“

კეთილნაყოფიერ მუშაობაზე. უსმენ მას და ხედავ ადამიანს, რომელსაც ყველაფერზე უფიქრია და რომელმაც კარგად იცის ის, რაც იცის.

1911 წლის ივნისში იგი კარპატებიდან, კრივორივნიდან იწერებოდა:

„მთელ დროს ვანდომებ ექსკურსიებს მთებში; ვმოგზაურობ გუცულური ცხენით, რომელიც ბალეტის მოცეკვავე ქალივით მსუბუქია და გრაციოზული. ვინახულე უდაბური ადგილები, რომლებამდეც ბევრი ვერ აღწევს, და „პოლონი-ნები“, სადაც ნომადი-გუცულები მთელ ზაფხულს ატარებენ თავიანთი ჯოგებით. რომ იცოდეთ, რა დიდებულია აქ ბუნება, როგორი პირველყოფილი ცხოვრებაა! გუცულები ძალზე ორიგინალური ხალხია — მდიდარი ფანტაზიისა და თავისებური ფსიქიკის ხალხი. ჭეშმარიტი წარმართი გუცული მთელ თავის სიცოცხლეს, სიკვდილამდე, ტყეებში, მთებსა და წყლებში დაბუდებული ბოროტი სულების წინააღმდეგ ბრძოლას ანდომებს. ქრისტიანობა მან მხოლოდ იმისათვის გამოიყენა, რომ დაამშვენოს წარმართული კულტი. რა ბევრი მშვენიერი ზღაპარი, თქმულება, გადმოცემა, სიმბოლო არის აქ. ვაგროვებ მასალას, განვიცდი ბუნებას, ვხედავ, ვისმენ და ვსწავლობ“.

ჩერნიგოვიდან გამოგზავნილ შემდგომ წერილში იგი იძულებული იყო ეთქვა:

„ვერ მოვიტმენ, მთებზე ავდიოდი და, რასაკვირველია, გავიუარესე ჯანმრთელობა. მაგრამ არაჩვეულებრივად ლამაზი სანახაობა იყო; ეს არის მთავარი“.

თავის ფიზიკურ ძალას რომ არ ზოგავდა ცხოვრებისა და მისი სიმშვენიერის შესწავლისაკენ სწრაფვაში, იგი თავის პოეტურ ნიჭსაც ზედმეტად მკაცრად ეკიდებოდა, ძლიერ სასტიკ მოთხოვნებს უყენებდა თავის თავს. „საკუთარი თავის გამო უკმაყოფილება ჩემში ძლიერ არის განვითარებული“, — არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, „ჩემი მოთხოვნები ყოველთვის უფერული, უინტერესო, ზედმეტია და როგორღაც მრცხვენია კიდევ ლიტერატურისა და მკითხველის წინაშე“, — წერდა იგი 1910 წელს.

ეს ფიქრები, მე მგონია, მუდამ თან სდევდნენ და განუწყვეტლივ ღრღნიდნენ მის განაწამებ გულს.

მეკითხება:

— მოგწონთ «Самогіій»?

— ყველაზე უკეთესია პროზად დაწერილ თქვენს სამ ლექსში, ხოლო ისინი, ყველა, ჩემი აზრით, ძალიან კარგია; ნაღვლიანად იღიმება.

— მე კი ამ დილით წავიკითხე და უხერხულობა ვიგრძენი, არავის არ ესაჭიროება ეს, არავისათვის არ არის საინტერესო რას ვგოდებ? ყველა ადამიანი ეუღლია. და ასე არ შეიძლება წერა იმაზე, რაც ჩვენს შეჩვენებას წარმოადგენს!

შემდეგ გულმოსულად განაგრძო:

— ბოლოში ამაყი შეძახილიც რომ დამირთავს! ეს ხომ არა გულწრფელად, არამედ ისეა ნათქვამი — თავის სანუგეშებლად. რა არის აქ საამაყო? ეუღლია, მაშასადამე — არავისთვის არაა საჭირო.

ამ თემაზე ხშირად ვსაუბრობდით და ყოველთვის იგი მკაცრად სჯიდა საკუთარ თავს.

— დახეთ, როგორ კარგად არის ნათქვამი:

Жаль маю до землі,
Бо тіні, що вкралівають її
Пресунуться на інше місце,
І де було тьмяно і сумно,
Знов ляже золото сонця...

მან ჩაიციხა და იქვე გადააკეთა ეს სტრიქონები იუმორისტულ ლექსად...

ერთხელ უთხრეს:

— როგორი ნამდვილი და შემადრწუნებელი ნაწარმოებია თქვენი «Сміх».

მან გულგრილად გაიქნია ხელი:

— ეს ხომ ნასესხებია! თანაც უხეიროდ დაწერილი — სინამდვილეში ეს სიცილი უფრო შემადრწუნებელი და კანონიერი.

ხანდახან დასანანი იყო, უფრო ხშირად — საწყენიც ასეთი წამოძახილების მოსმენა; დიდი, გულწრფელი წამება გამოსტვიოდა მათში.

თავის თავს რომ ასე დაუზოგავად ეპყრობოდა, სხვების მიმართ ძალზე შემწყნარებელი იყო, შეეძლო, ყველგან — ცუდ-

შიც კი — მოენახა კარგი, მოხდენილი სიტყვა, ეღერადი ფრაზა.

— ჩემო კარგო, — თქვა მან ეროხელ დამით, როცა ზღვა და კუნძული ისეთ საოცარ მყუდროებას მოეცვა, თითქოს გარინდებით ელოდნენო რაღაც უჩვეულოს. — რამდენი მინახავს, რამდენი განმიცდია. სულში სახეების, აზრების, რაღაც გულის ამჩუყებელი უბრალო და საამური სიმღერების მთელი სამყარო მოძრაობს მინდა, ზეციდან წვიმასავით დავაპკურო ყოველივე ეს დედამიწას, ადამიანებს, მაგრამ რომ არ გამომდის, რომ არ ძალმიძს?!

არ გამოუდიოდა, დიახ, მაგრამ იგი შეძლებდა, დაეწერა შესანიშნავი დიდი ნაწარმოებნი: ბევრი რამ ჰქონდა მას უკვე საბოლოოდ მოფიქრებული, მომზადებული და — მშვენივრად, ორიგინალურად, თავისებურად. არ გამოუდიოდა იმიტომ, რომ ჩვენი სამი წლის ნაცნობობის მანძილზე, თითქმის მის ყველა წერილში გაისმოდა და სულ უფრო ძლიერდებოდა ერთი და იგივე კილო:

„უნდა გამოგიტყდეთ, რაღაც უბედურება ტრიალებს ჩემს თავზე. გული სულ უფრო და უფრო ცუდად მუშაობს, ხანდახან ჩაწოლაც მიხდება, მუშაობა ისე მღლის, რომ ძალა აღარ შემწევს, სხვა რამეს მოვკიდო ხელი“.

„თითქმის ვერაფერი ვერ გამოვიმუშავე ზამთარში, მაშასადამე — შემექმნა ძნელად დასაძლევნი დაბრკოლება. ამავე დროს კი ოთხოთახიანი ვილა, რომელიც 65 ლირა ღირს და გულკეთილი დიასახლისი ჰყავს, მიზიდავს და მხიბლავს“.

და, ბოლოს, 912 წლის 9 ოქტომბერს იგი მწერდა:

„ცუდადა ვარ, ძვირფასო ა. მ., ავადა ვარ ძლიერ, ხანგრძლივად და სასტიკად; ყველაფერზე ცუდი ის არის, მუშაობა არ შემიძლია. ისლა დამრჩენია, გმირული საშუალება ვცადო: სააეადმყოფოში დავეწვე ხანგრძლივი დროით; ამიტომაც ამ დღეებში კიევს მივემგზავრები“.

ხოლო ობრაზცოვის კლინიკიდან მხნედ იტყობინებოდა:

„როგორც იქნა, გადამიყვანეს კიევში, დამაწვინეს კლინიკაში, ვით „გულით მძიმე ავადმყოფი“. მაგრამ, ვფიქრობ, ხანდახან შესანიშნავია ასეთი ნებივრობა! რა ჩინებული ადამიანები მნახულობენ ყოველდღე, მოაქვთ ჩემთვის ყველაფერი;

რაც მიყვარს — ყვავილები, წიგნები, საკუთარი ხულის ფანჯარაში იქყიტება იგივე მზე, თქვენ რომ გათბობთ, და ამიტომ უფრო მცხუნვარე და ალერსიანი ჩანს“.

მას უყვარდა ადამიანისათვის ალერსიანი, კარგი სიტყვის თქმა და ახლაც კი, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობით ძლიერ დანაღვლიანებული იყო ნ. ვ. ლისენკოს გარდაცვალების გამო, მაინც მოძებნა თავის გულში ეს სიტყვა, ძვირფასი სიტყვა...

იყოფა, რომ მალე მოკვდებოდა, და ხშირად ლაპარაკობდა ამაზე უბრალოდ, უშიშრად, მაგრამ არც ნაძალადევი ყოყოჩობა ეტყობოდა, რომლითაც ბევრი ასე ყალბად იწონებს ხოლმე თავს.

— სიკვდილი დამარცხებულ უნდა იქნეს, და იგი დამარცხებული იქნება — თქვა მან ერთხელ. — მე მწამს ადამიანის გონებისა და ნებისყოფის გამარჯვება სიკვდილზე, ისევე, როგორც ის, რომ თვითონ მე მალე მოკვდები. და კიდევ მილიონობით ადამიანი მოკვდება, მაგრამ მაინც, დადგება დრო, როდესაც სიკვდილი ჩვენი ნების უბრალო აქტად იქცევა, — ჩვენ გადავალთ ხოლმე არყოფაში ისევე შეგნებულად, როგორც ვეძლევიტ დ.ლს. სიკვდილი დამარცხებულ იქნება მაშინ, როდესაც ადამიანთა უმრავლესობა ნათლად შეიგნებს სიცოცხლის ფასს, გაიგებს მის მშვენიერებას, იგრძნობს შრომისა და სიცოცხლის სიტკბობას.

დიდი სულიერი კულტურის ადამიანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცოდნით საკმაოდ აღჭურვილი, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, რაც სიკვდილს წინააღმდეგ ბრძოლის დარგში კეთდებოდა, მაგრამ კვდომის პოეზიასაც, ფორმის განუწყვეტელი ცვლის პოეზიასაც მახვილად გრძნობდა.

მადლიერებით რომ შეჰყურებდა კაპრის რუხ კლდეებს, რომლებსაც უხვად შემოხვეოდა ბალახებისა და ყვავილების მდიდრული სამოსი, მას არაერთხელ უთქვამს:

— რა ძალა აქვს სიცოცხლეს ჩვენ მივეჩვიეთ მას და ვერ ვამჩნევთ ცოცხლის გამარჯვებას მკვდარზე, მოქმედისა — ინერტულზე, და ჩვენ თითქოს არც ვიცით, რომ მზე ჰქმნის ყვავილებსა და ნაყოფს მკვდარი ქვისაგან, ვერ ვხიდავთ, რო-

გორ ყველგან ზეიმობს ცოცხალი, რათა გაგვაძნეოს და გაგვახაროს. ჩვენ მეგობრულად უნდა ვუღიძოდეთ სამყაროს...

მას განსაკუთრებით შეეძლო ასე ღიმილი, — ყველაფერს მეგობრულად უღიშოდა. ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების გამო იგი წერდა:

„გული მატკინა იმის წაკითხვამ, რომ თქვენ ასე მძიმედ განიცადეთ ტოლსტოის სიკვდილი. ჩემთვისაც მძიმე იყო, მაგრამ — არ ვიცი, ხომ არ დავირცხვინო? — იმის შეცნობაც კარგი იყო, რომ ამ ქვეყანაზე დიდი რაღაც არსებობს. სიკვდილი თითქოს უფრო ზუსტად განსაზღვრავს ზომას, ვიდრე ცხოვრება“.

ჩემთვის მიხეილ კოციუბინსკის სიკვდილი მძიმე პირადი დანაკლისი იყო, დავკარგე გულითადი მეგობარი.

შესანიშნავე, იშვიათი ყვაეილი დაქვანა, ალერსიანი ვარსკვლავი ჩაქრა. ძნელი იყო მისი ცხოვრება: ძალზე ძნელია რუსეთში პატიოსანი კაცობა.

თანდათან გვეცლებიან ხელიდან კარგი ადამიანები, მაშ, დავტკბეთ მათი მოგონებით, ადამიანებსა და მთელ სამყაროზე თავდადებით შეყვარებულ ამ ნათელ სულთა სილამაზის მოგონების სევდით; დავტკბეთ მოგონებით ძლიერი ნებისყოფის ადამიანებისა, ვინც თავისი სამშობლოს ბედნიერებისათვის იღვწოდა.

სამუდამო ხსოვნა პატიოსან ადამიანებს!

გარინ-მისაილოვსკიზე

დროდადრო ჩვენს სამყაროს მოვევლინებიან ხოლმე ადამიანები, რომელთაც მე მხიარული გუნების წმინდანებს ვუწოდებ.

ვფიქრობთ, მათ მამამთავრად ქრისტე კი არ უნდა იყოს აღიარებული, — სახარების თანახმად, იგი ცოტათი მაინც პედანტი იყო; მხიარული გუნების წმინდანების მამამთავარი, ალბათ, უნდა იყოს ფრანჩესკო აზიზელი — სიცოცხლის სიყვარულის დიდი მხატვარი; მან იმიტომ კი არ იცოდა სიყვარული, რომ სხვებისათვის ესწავლებინა, არამედ იმიტომ, რომ იტაცებული სიყვარულის ყველაზე სრულყოფილ ხელოვნებასა და ბედნიერებას ფლობდა და არ შეეძლო, ეს ბედნიერება ადამიანებისათვის არ გაეზიარებინა;

მე ვლაპარაკობ სწორედ სიყვარულის ბედნიერებაზე და არა სიბრალულის ძალაზე, რომელმაც აიძულა ანრი დიუნანი, შეექმნა „წითელი ჯვრის“ სიერთაშორისო ორგანიზაცია და რომელიც ქმნის ისეთ ხასიათებს, როგორიცაა სახელგანთქმული ექიმი ჰააზი — პრაქტიკოს-ჰუმანისტი, მეფე ნიკოლოზ პირველის მძიმე ეპოქაში რომ ცხოვრობდა.

მაგრამ ცხოვრება ისეთია, რომ უმწიკველო სიბრალულს მასში უკვე აღარა აქვს ადგილი და, ვგონებ, ჩვენს დროში სიბრალული არსებობს როგორც მხოლოდ სირცხვილის ნიღაბი.

მხიარული გუნების წმინდანები არცთუ ისე თვალსაჩინონი არიან. შესაძლოა, ისინი იმიტომ გვეჩვენებიან ბატარებად, რომ, ნალი აზრის თვალსაზრისით, მკაფიოდ არ მოჩანან მკაცრი სოციალური ურთიერთობის შავ ფონზე. ისინი არსებობენ

კეთილგონიერების საწინააღმდეგოდ; ამ ადამიანთა არსებობა სრულიად არაფრით არ არის გამართლებული, გარდა მათი ნებისა, რომ იყვნენ ისეთნი, როგორნიც არიან.

წილად მხვდა ბედნიერება, შევხვედროდი ექვსამდე მხიარული გუნების წმინდანს. მათ შორის ყველაზე უფრო გამოირჩეოდა იაკობ ლევის ძე ტეიტელი — ყოფილი სასამართლო გამომძიებელი სამარაში, მოუნათლავი ებრაელი.

ის ფაქტი, რომ სასამართლოს გამომძიებელი ებრაელი იყო, იაკობ ლევის ძეს ბევრ ფათერაკს შეამთხვევდა ხოლმე ქრისტიანი უფროსები მას ისე უყურებდნენ, როგორც ლაქას, რომელიც ჩრდილს აყენებდა სასამართლო უწყების უწმინდეს ბრწყინვალეებას, და ყოველნაირად ცდილობდნენ მის გაგდებას, მგონი, ჯერ კიდევ „დიდი რეფორმების ეპოქაში“ დაკავებული პოზიციიდან. ტეიტელი ცოცხალია; იუსტიციის სამინისტროსთან თავისი ბრძოლის ამბავს იგი თვითონ მოგვითხრობს მის მიერვე გამოცემულ „მოგონების“ წიგნში. დიახ, ისევ ჩინებულად გრძობს თავს; ამას წინათ აღნიშნეს მისი სამოცდაათი თუ ოთხმოცი წლის იუბილე. მაგრამ იგი ჰბაძავს ა. ვ. პეშეხოვოვისა და ვ. ა. მიაკოტინის მაგალითს, რომლებიც — როგორც ყური მოვკარი — „კი არ მიითვლიან; არამედ იკლებენ“ წლებს. საკმაოდ დიდი ასაკი ოღნავადაც არ უშლის ხელს ტეიტელს მისი ჩვეული საქმის კეთებაში, რომელსაც მთელი სიცოცხლე შესწირა: მას ისევე დაუღალავად და მხიარულად უყვარს ადამიანები და ისევე მონდომებით ეხმარება მათ ცხოვრებაში, როგორც ამას სამარაში აკეთებდა 95-96 წლებში.

იქ მის ბინაში ყოველკვირა იკრიბებოდნენ ყველაზე ცხოველმოქმედი, საინტერესო ადამიანები ქალაქისა, რომელიც არცთუ ისე მდიდარი იყო ასეთი ხალხით. მასთან მოდიოდნენ ყველანი: როგორც დეკაბრისტის შთამომავალი, დიდად ჰკვირავნი კაცი და „ჯენტლმენი“, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ანენკოვი, ისე მარქსისტებიც, „სამარსკი ვესტნიკის“ თანამშრომლებიცა და „ვესტნიკის“ მტრული „სამარსკაია გაზეტას“ თანამშრომლებიც. ხოლო ეს გაზეთები, მგონი, „იდეოლოგიურად“ ისე მტრული არ იყვნენ, როგორც კონკურენტის ძალით; მოდიოდნენ ლიბერალი ადვოკატებიც და გაურ-

კვეველი საქმიანობის, მაგრამ ძალიან დანაშაულებრივი აზრებისა და განზრახვების მქონე ახალგაზრდებიც. საოცარი იყო ასეთი ადამიანების დანახვა სასამართლო გამომძიებლის „თავისუფალ“ სტუმრებად, მით უმეტეს, რომ ისინი არც კი ფარავდნენ თავიანთ აზრებსა და ზრახვებს.

როცა ახლი სტუმარი გამოჩნდებოდა, მასპინძლები არ აცნობდნენ მას თავიანთ მეგობრებს და ახალმოსული არავის აფიქრებდა, ყველას სჯეროდა, რომ იაკობ ტეიტელს ცუდი კაცი არ ეწვეოდა. სუფევდა სიტყვის სრული თავისუფლება. ტეიტელი თვითონ იყო მგზნებარე პოლემისტი და ხანდახან ფეხებსაც კი უბაკუნებდა მოკამათეს. სულ ერთიანად აპილპილდებოდა, ჭპლარა ხუჭუჭა თმა გაწიწმატებისაგან ყალყზე დაუდგებოდა, გათეთრებული უღვაშები მრისხანედ აებურძგნებოდა, ღილებიც კი ერხებოდა მუნდირზე. მაგრამ ეს არასოდეს არ იწვევდა შიშს, რადგან იაკობ ლევის ძის მშვენიერი თვალები მხიარულად და მოსიყვარულედ ბრწყინავდნენ.

თავგადადებით სტუმართმოყვარე მასპინძლებს — იაკობ ლევის ძესა და მის მეუღლე ეკატერინე დიმიტრის ასულს — ვეებერთელა მაგიდაზე უხვად მოჰქონდათ კარტოფილთან ერთად შემწვარი ხორცი, საზოგადოება წაყრდებოდა, მიირთმევდა ლუღს, ხანდახან კი მუქ იისფერ, ალბათ, კავკასიურ ღვინოს, რომელსაც მანგანუმმკვავა კალიუმის გემო დაჰკრავდა; თეთრ მატერიაზე ეს ღვინო გამოუყვანელ ლაქებს ტოვებდა, მაგრამ თავზე თითქმის არ მოქმედებდა.

როცა დანაყრდებოდნენ, სტუმრები იწყებდნენ სიტყვებით ბრძოლას. თუმცა, ბრძოლა იწყებოდა დანაყრების პროცესშიც.

ტეიტელთან გავეცანი მე ნიკოლოზ გიორგის ძე მიხაილოვსკი-გარინს.

მოვიდა ჩემთან საგზაო ინჟინრის მუნდირში გამოწყობილი კაცი, შემომაჩერდა თვალებში და სწრაფად, უბოდიშოდ დამიწყო ლაპარაკი.

— თქვენ ხართ გორკი, არა? კარგად წერთ. მაგრამ, როგორც ხლამიდა — ცუდად. ხლამიდაც ხომ თქვენა ხართ?

თვითონვე ვიცოდი, რომ იეგუდილ ხლამიდა ცუდად წერ-

და, ძალიან მწყინდა ეს, და ამიტომ ინეინერი არ მომეწონა. იგი კი წურბელასავით მომეკრა:

— თქვენ სუსტი ფელეტონისტი ხართ. ფელეტონისტი ცოტა სატირიკოსი უხდა იყოს, თქვენ კი ეს გაკლიათ. იუმორი გაქვთ, მაგრამ მოუხეშავი, და მოხერხებულად ვერ ფლობთ მას.

ძალიან არასასიამოვნოა, როცა, იი, ასე დაგეძგერებით უცნობი კაცი და სახეში მოგახლით სიმართლეს. რამე მაინც შეეშალოს, არა — არ ეშლება, სულ მართალს გეუბნებათ.

იგი ჩემთან ძალიან ახლოს იდგა და ისე ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს სურდა, ბევრი რამ ეთქვა, და ეშინოდა, ვაითუ ყველაფრის თქმა ვერ მოვასწროო. ტანად ჩემზე დაბალი იყო და კარგად ვხედავდი მის ნაზ სახეს, რომელსაც ამშვენებდა სათუთად მოვლილი პატარა წვერი, შევერცხლილი თმების ქვეშ გაშლილი ლამაზი შუბლი და საოცრად ახალგაზრდული თვალები; ამ თვალების გამოხედვა არცთუ ისე ნათელი იყო, თითქოს ალერსიანი, მაგრამ, ამავე დროს, გამომწვევი, თამაჟი.

— არ მოგწონთ ჩემი ნათქვამი? — მკითხა და, თითქოს იმას ამტკიცებს, მე უფლება მაქვს, ასე გელაპარაკოთო, დაასახელა თავისი გვარი: — მე გარინი ვარ. წაგიკითხავთ რაიმე ჩემი?

„რუსსკაია მისლში“ წაკითხული მქონდა მისი სეპტიკური „თანამედროვე სოფლის ნარკვევები“ და რამდენიმე სასაცილო ანეკდოტიც მსმენოდა გლეხთა შორის ამ ნარკვევების ავტორის ცხოვრებაზე. „ნარკვევები“, რომელსაც ნარკვევნიკული კრიტიკა მკაცრად შეხვდა, ძლიერ მომეწონა; გარინის შესახებ გაგონილი ამბები კი მას „ფანტაზიის“ კაცად ხატავდნენ.

— ნარკვევები ხელოვნება არაა, ბელეტრისტიკაც კი არ არის, — თქვა მან, თანაც, აშკარა იყო, სხვა რამეზე ფიქრობდა, ეს გამოსქვიოდა მისი ახალგაზრდული თვალების დაბნეული გამოხედვიდან.

ვკითხე: მართალია თუ არა, რომ მან ერთხელ ორმაცი დესეტინაზე ყაყაჩო დათესა.

— რატომ მაინცდამაინც ორმოცზე? — თითქოს აღშფოთდა ნიკოლოზ გიორგის ძე. ლამაზი წარბები შეჭყარა და შე-

ფიქრიანებულმა ჩამოთვალა: — ორმოც ცოდვას მოინანიებ;
მაუ ობობას მოკლავ, მოსკოვში ორმოცჯერ ორმოცი ეკლესიაა,
მშობიარობის შემდეგ ქალს ორმოც დღეს საყდარში არ უშ-
ვებენ, ორმოცი წირვა მიცვალებულისათვის, მეორმოცე დათ-
ვი ყველაზე საშიშია. ეშმაკმა დალახვროს, საიდან გაჩნდა ეს
ორმოცეული ლაყობა? როგორ ფიქრობთ?

მაგრამ, ალბათ, ძალიან არ აინტერესებდა, რას ვფიქრობ-
დი, რადგან მაშინვე მხარზე დამკრა პატარა, მაგარი ხელი და
აღტაცებით წარმოთქვა:

— ნეტავი გენახათ, გეთაყვა, ეს ყაყაჩო, როცა აყვავდა
შემდეგ გარინი სწრაფად გამშორდა, მაგიდასთან გაჩა-
ლებულ კამათში მონაწილეობის მისაღებად გაეშურა.

ამ შეხვედრას არ აღუძრავს ჩემში სიმპათიები ნ. გ.-სადმი,
მასში მეჩვენა რაღაც ხელოვნური. რატომ ანგარიშობდა ორ-
მოცებს? და კარგა ხანს ვერ შევეჩვიე მის დიდკაცურ კოხტა-
ობას „დემოკრატიზმს“, რომელშიც თავდაპირველად ასევე
ვხედავდი რაღაც მოჩვენებითს.

ის იყო ტანადი, ლამაზი, მოძრაობდა სწრაფად, მაგრამ
მოხდენილად; იგრძნობოდა, რომ ეს სიჩქარე ნერვიული აშ-
ლილობის კი არა, არამედ ქარბი ენერჯის შედეგია, ლაბარა-
ჯობდა თითქოს დაუდევრად, მაგრამ სინამდვილეში ძალიან
მონერხებულად და თავისებურად იგებულნი ფრაზებით. ჩი-
ნებული ოსტატობით ფლობდა ჩართულ წინადადებებს; რომ-
ლებიც ასე ძლიერ სძულდა ა. პ. ჩეხოვს. მაგრამ არასოდეს
არ შემიმჩნევია ნ. გ.-სათვის იდეოკატების დამახასიათებელი
პევეა — გეკლუცობა თავისი მჭევრმეტყველებით. მის ლაბა-
რაქში ყოველთვის იგრძნობოდა „სიტყვათა სიმჭიდროვე, აზრ-
თა სილაღე“.

ალბათ, პირველი შეხვედრისას იგი ხშირად ახდენდა მინ-
თვის არცთუ ისე ხელსაყრელ შთაბეჭდილებას. დრამატურგი
კოსტოროტოვი ჩიოდა მასზე:

— მსურდა, მასთან ლიტერატურაზე საუბარი გამეზა, ის
კი გამიმასპინძლდა ლექციით ძირხვნეულების კულტურაზე,
შემდეგ რაღაც ილაბარაკა მათრობელაზე.

ხოლო ლეონიდ ანდრეევმა, როცა ვკითხე, როგორ მოგე-
წონა გარინი-მეთქი, მიბასუხა:

— ძალიან სასიამოვნო კაცია, ჭკვიანი, საინტერესო, ძალიან მაგრამ ინჟინერია. ეს ცუდია, ალექსუშკა, როცა ადამიანი ინჟინერია. მე მეშინია ინჟინრისა, საშიში კაცია ვერც კი შეამჩნევ, როგორ შეგიდგამს რომელიღაც ზედმეტ თვალს და უცერად გაქვანები სხვის რელსებზე. ამ გარინს ძალიან უნდა, თავის რელსებზე დააყენოს ადამიანები, დიახ, დიახ! გაწყება, გამძიმებს...

ნიკოლოზ გიორგის ძეს რკინიგზის შტო გაჰყავდა სამარიდან სერგოიევსკის გოგირდიან წყლებამდე. ამ მშენებლობასთან დაკავშირებული იყო ბევრი სხვადასხვა ანეკდოტი.

ერთხელ რაღაც განსაკუთრებული კონსტრუქციის ლოკომოტივი დასჭირდა და მოსთხოვა მიმოსვლის გზების სამინისტროს ამ ლოკომოტივის შექმნა გერმანიაში. მაგრამ გზათა მინისტრმა თუ ვიტემ უარი უთხრა ლოკომოტივის საზღვარგარეთ შექმნაზე და განკარგულება გასცა, სორმოვოში ან კოლომნის ქარხნებში გააკეთეთო. აღარ მახსოვს, რა ძნელი და გაბედული ხრიკებით მოახერხა ეს, მაგრამ გარინმა ლოკომოტივი მაინც საზღვარგარეთ შეიძინა და კონტრაბანდულად მოიტანა სამარაში; ამგვარად დაიზოგა, ალბათ, რამდენიმე ათასი მანეთი და ყველაზე უფრო ძვირფასი — დრო.

მაგრამ იგი ყმაწვილური აღტაცებით იმას კი არ ტრაბახობდა, რომ დრო და ფული დაზოგა, არამედ იმას, რომ მოახერხა ლოკომოტივის მალულად შემოტანა.

— ეს არის გმირობა! — გაიძახოდა იგი. — ხომ ასეა?

გეგონებოდათ, „გმირობა“ ჩაიდინა არა იმდენად საქმის გულისათვის, რამდენადაც იმის სურვილით, რომ გადაელახა შექმნილი დაბრკოლება; უფრო უბრალოდაც: გმირობა ჩაიდინა ურჩობის სურვილით. როგორც ყველა ნიჭიერ რუს ადამიანს, ნ. გ.-საც ძალიან ახასიათებდა ურჩობისაკენ მისწრაფება.

გულკეთილი იყო ასევე რუსულად. ფულს ისე ფანტავდა, თითქოს ამძიმებდა და ეზიზღებოდა ეს ქრელაჭრულა ქალადები, რომელზედაც ადამიანები თავიანთ ძალას ცვლიან. ბირველი ქორწინებით იგი შეუღლებული იყო მდიდარ ქალთან, მგონი, ალექსანდრე მესამის პირადი მეგობრის — გენერალ

ჩერევენის — ქალიშვილთან. მაგრამ მეუღლის მილიონიანი ქონება მოკლე დროში დახარჯა სასოფლო-სამეურნეო ცდებზე და 95-96 წლებში საკუთარა ხელფასით ცხოვრობდა. ხელგაშლილი იყო, ნაცნობებს შესაწინააღმდეგო საუზმეებითა და სადილებით, ძვირფასი ღვინოებით უმასპინძლდებოდა. თვითონ ისე ცოტას სვამდა და ჭამდა, რომ ვერ გაიგებდით, რით იკვებება მისი დაუთრგუნველი ენერჯია უყვარდა საჩუქრების მირთმევა და, საერთოდ, უყვარდა ესიამოვნებინა ადამიანებისათვის, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მათი გული მოენადირებინა, — ამას იგი ისედაც ადვილად აღწევდა თავისი მომზიბლავი ნიჭიერებითა და „დინამიურობით.“ ცხოვრებას უყურებდა, როგორც დღესასწაულს და ინსტინქტურად ზრუნავდა იმისათვის, რომ მის გარშემო მყოფ ადამიანებსაც ასევე ელიარებინათ ცხოვრება.

მეც უნებური მონაწილე გავხდი გარინის მიერ სახელდახელოდ შექმნილი ერთ-ერთი ანეკდოტისა. ერთხელ დილით, კვირას, „სამარსკაია გაზეტას“ რედაქციაში ვიჭეჭი და ვათვალიერებდი ჩემს ფელეტონს, რომელიც ისე გაექელა ცენზორს, როგორც ცხენი გაქელავს ხოლმე შვრიის ჭეჯილს. შემოვიდა ჯერ კიდევ სრულიად ფხიზელი დარაჯი და მითხრა:

— თქვენ საათი ჩამოგიტანეს სიზრანიდან.

სიზრანში მე არ ვყოფილვარ, საათი არ მიყიდია. ეს მოვასენე დარაჯს. იგი წავიდა, რაღაც წაიდუღუნა კარებს უკან და კვლავ შემოვიდა:

— ებრაელი ამბობს, რომ საათი თქვენია.

— დაუძახე.

შემოვიდა მოხუცი ებრაელი, რომელსაც ძველი პალტო ეცვა და არაჩვეულებრივი ფორმის ქუდი ეხურა; უნდობლად შემათვალიერა და მაგიდაზე დამიდო ასახევი კალენდრის ფურცელი, რომელზედაც გარინის გაურკვეველი ხელით ეწერა: „პეშკოვ-გორკის“ და კიდევ რაღაც, რის ამოკითხვაც არ შეიძლებოდა.

— ეს თქვენ ინიერმა გარინმა მოგცათ?

— რა ვიცი მე ხომ არ ვკითხულობ, რა ჰქვია მყიდველს, — თქვა მოხუცმა:

ხელი გავუწოდე და ვუთხარი:

— მაჩვენეთ საათი.

მაგრამ მან უკან დაიხია, ისე მომაჩერდა, მთურაღს რომ წიაშტერდებიან ხოლმე, და მკითხა:

— შესაძლოა, სხვა პეშკოვ-გორკოვი იყოს — არა?

— არა. მომეცით საათი და მიბრძანდით.

— კარგი, კარგი, — თქვა ებრაელმა, მხრები აიჩეჩა და წაგიდა, საათი კი არ მომცა. ერთი წუთის შემდეგ დარაჯმა და მეფორნემ შემოიტანეს დიდი, მაგრამ არცთუ ისე მძიმე ყუთი, დადეს იგი იატაკზე, ხოლო მოხუცმა მითხრა:

— ხელი მოაწერეთ ამ ქაღალდს, რომ მიიღეთ.

— ეს რა არის? — ვკითხე, თან ყუთზე ვანიშნე; ებრაელმა გულგრილად მიპასუხა:

— როგორც მოგეხსენებათ, საათებიია.

— კედლისა?

— დიახ. ათი საათია.

— ათი ცალი საათი?

— დაე, „ცალი“ იყოს.

თუშეცა ყოველივე ეს სასაცილო იყო, მაგრამ მე ვბრაზდებოდი, რადგან ებრაული ანეკდოტებიც კი ყოველთვის როდია კარგი. ისინი განსაკუთრებით ცუდია, როცა არ გესმის ან როცა იძულებული ხარ, თვით შეასრულო ანეკდოტში სულელური როლი. მოხუცს ვკითხე: რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— ეს მიბრძანეთ, როდის იყო, რომ საათის საყიდლად სამარიდან სიზრანს მიდიოდნენ?

მაგრამ ებრაელიც რატომღაც გაჯავრდა.

— რა ჭანდაბად მინდა ამაზე თავის მტკრევა? — მკითხა მან. — მითხრეს, გააკეთეო! მეც გავაკეთე. „სამარსკაია გაზეტა“? ასეა. პეშკოვ-გორკოვი? ესეც სწორია. მაშ, მომიწერეთ ხელი. რა გინდათ ჩემგან?

მე უკვე აღარაფერი მინდოდა. მოხუცი კი, ალბათ, ფიქრობდა, რომ რაღაც ბნელ საქმეში ჩაითრიეს, ხელები უტახცახებდა და თავისი ქულის ფარფლებს ჭმუჭნიდა. ისე მიცქეროდა, რომ თავი ცოტა არ იყოს, დამნაშავედ ვიგრძენი მის წინაშე. იგი გაუეშვი და დარაჯს ვთხოვე, საკორექტოროში შეეტანა ყუთი:

ხუთი დღის შემდეგ გამოცხადდა ნიკოლოზ გიორგის ძე,

გამტვერიანებული, მოქანცული, მაგრამ მაინც შხნე. ინჟინრმა ქურთუჯი ისე ეცვა, თითქოს მისი მეორე ტყავიაო. ვკითხე:

— თქვენ გამომიგზავნეთ საათები?

— ჰო, მართლა მე, დიახ, მე. მერე რა?

თან ცნობისმოყვარეობით მომაჩერდა და მანაც მკითხა:

— რა უნდა უყოთ ამდენ საათს? მე სრულებით არ მჭირდება.

შემდეგ ასეთი რამ მოვისმინე: ნიკოლოზ გიორგის ძე გარინ-მიხაილოვსკიმ, როცა ის სიზრანში, ვოლგის ნაპირას სკირნობდა მზის ჩასვლისას, დაინახა ებრაელის ბავშვი, რომელსაც წყალში ანკესი გადაეგდო.

— და წარმოიდგინეთ, გეთაყვა, საოცრად უმუხტლა ბედმა — ჩიქვები ხარბად ეტანებიან ანკესს, მაგრამ სამიდან ერთი თუ წამოეგება. რატომ? თურმე ანკესით კი არ იჭერს, არამედ სპილენძის ქინძისთავით.

ცხადია, ბიჭი აღმოჩნდა ულამაზესი და არაჩვეულებრივად ნიჭიერი. გარინი, ვისთვისაც უცხო იყო გულუბრყვილობა და არცთუ ისე გულკეთილი ბრძანდებოდა, ძალიან ხშირად ხვდებოდა ხოლმე „არაჩვეულებრივი ნიჭის“ ადამიანებს. ასეა — ხედავ მას, რაც ძალიან გინდა, დაინახო.

— და ეს ბიჭი, რომელმაც უკვე იგემა ცხოვრების სიმწარე, — განაგრძობდა თბრობას, — ცხოვრობს მესაათე პაპასთან, ხელობას სწავლობს, თერთმეტი წლისაა. მგონი, მხოლოდ ის და პაპამისი არიან ებრაელები ქალაქში და ასე შემდეგ. წაგყევი პაპასთან. მალაზია უხეირო აქვს, მოხუცი არემონტებს ლამპის სანთურებს, სამოვრებს. მტვერი, ჭუჭყი, სილატაკე. მე მემართება ხოლმე შეტეკები... სანტიმენტალობისა. ფული შევადლიო? უხერხულია. მეც ავდექი და შევიძინე მთელი მისი საქონელი, ბიჭს კი ფული ვაჩუქე. გუშინ წიგნები გავუგზავნე.

და ნ. გ.-მ სრულიად სერიოზულად თქვა:

— თუ თქვენ ამ საათების ადგილს ვერ გამონახავთ, შემიძლია, წავადებინო და გზის მუშებს მივცე.

როგორც ყოველთვის, ხალაც აჩქარებით, მაგრამ ოდნავ დარცხენით მიამბო ეს ყველაფერი და, როცა ლაპარაკობდა; სულ თითქოს რაღაცას იგერიებდა მარჯვენა ხელის მკვეთრი მოძრაობით.

ხანდახან „სამარსკაია გაზეტაში“ ბეჭდავდა პეტროს მოთხრობებს. ერთი მათგანი — „გენიოსი“ — ნამდვილი ისტორიაა ებრაელ ლიბერმანისა, რომელმაც დამოუკიდებლად მიიღწო დიფერენციალურ გამოთვლას. მართლაც ასე მოხდა მცირემცოდნე ჰლეჩიანმა ებრაელმა, რომელსაც თორმეტ წელიწადს ციფრებთან ჰქონდა საქმე, აღმოაჩინა დიფერენციალური გამოთვლა, და როდესაც გაიგო, რომ ეს მასზე გაცილებით ადრეა გაკეთებული, დარდმა შეიპყრო და ფილტვებში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა სამარის სადგურის ბაქანზე.

მოთხრობა არცთუ ისე ოსტატურად იყო დაწერილი, მაგრამ ნ. გ.-მ სიტყვიერად საოცარი დრამატიზმით მოუთხრო რედაქციას ლიბერმანის თავგადასავალი. საერთოდ, შესანიშნავად იცოდა თხრობა, ხშირად, იმაზე უკეთ, ვიდრე წერდა. როგორც ლიტერატორი, სრულიად შეუფერებელ პირობებში მუშაობდა, და საოცარია, რომ, თუმცა დასაჯდომად არ ეცალა, შეძლო ისეთი ნაწარმოებების დაწერა, როგორც არის „ტიომას ბავშვობა“, „გიმნაზიელები“, „სტუდენტები“, „კლოტილდა“, „ბებია“.

როცა „სამარსკაია გაზეტამ“ სთხოვა, დაეწერა მოთხრობა მათემატიკოს ლიბერმანზე, მან ბევრი შეგონების შემდეგ თქვა, რომ ვაგონში, სადღაც ურალის გზაზე დაწერდა ამ მოთხრობას. მოთხრობის დასაწყისი, რომელიც ტელეგრაფის ბლანკებზე იყო დაწერილი, სამარის სადგურიდან რედაქციაში მიეტლემ მოიტანა. ღამით მოვიდა გრძელი დეპეშა, რომელიც შეიცავდა ამ დასაწყისის შესწორებებს, ხოლო ერთი თუ ორი დღის შემდეგ — კიდევ დეპეშა: „გამოგზავნილი მოთხრობა არ დაბეჭდოთ, სხვა ვარიანტს მოგაწვდით“. მაგრამ სხვა ვარიანტი მას არ გამოუგზავნია, ხოლო მოთხრობის დასასრულს მოვიდა, მგონი, ეკატერინბურგიდან.

ისე გაურკვეველად წერდა, რომ ხელნაწერს გაშიფვრა დასჭირდა, ამან კი, ცხადია, რამდენადმე შეცვალა მოთხრობა. შემდეგ მოხდა ხელნაწერის გადაწერა ასოთამწყობისათვის გასაგებად. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, როცა გაზეტაში თავისი მოთხრობა წაიკითხა, ნ. გ.-მ უბლშეკმუხვნით თქვა:

— ეშმაკმა უწყის, რა მომიჩამახავს!

გვონებ, მოთხრობა „ბებიას“ გამო გვაცნობა:

— ეს დაწერილია ერთ ღამეს, საფოსტო სადგურზე. ვი-
ლაც ვაქრები ლოთობდნენ, ბატებივით ყიყინებდნენ, მე კა
ვწერდი.

მე ვნახე მანჯურიაზე მისი წიგნებისა და მისი „კორეული
ზღაპრების“ ხელნაწერები; ეს იყო გროვა სხვადასხვაგვარი ქა-
ლადებისა, რომელიღაც რკინიგზის „წევისა და მოძრაობის“
სამსახურის განყოფილების“ ბლანკები, კანტორის წიგნიდა
ამოხეული ხაზიანი ფურცლები, კონცერტის აფიშა და ორ
ჩინური სადარბაზო ბარათიც კი, ყველაფერი ეს აქრელებუ-
ლი იყო ნახევარსიტყვებით, ნაგულისხმევი ასოებით.

— როგორღა კითხულობთ ამას?

— ოჰო! სულ ადვილად; ეს ხომ ჩემი ნაწერია.

და მკვირცხლად შეუდგა ერთ-ერთი მშვენიერი კორეული
ზღაპრის კითხვას. მაგრამ მომეჩვენა, რომ იგი ხელნაწერში კა
არა, „მეხაიურებაში“ კითხულობდა.

ვფიქრობ, თავის თავს, როგორც ლიტერატორს, უნდობ-
ლად და უმართებულოდ ეკიდებოდა. ვილაცამ უქო „ტიომას
ბავშვობა“.

— რა საქებარია, — თქვა მან, თან ამოიოხრა. — ბავშვებ-
ზე ყველანი კარგად წერენ; მათზე ცუდად წერა ძნელია.

და, როგორც ყოველთვის, ახლაც მაშინვე გადაუხვია:

— ფერწერის ოსტატებს კი უჭირთ ბავშვის პორტრეტის
დახატვა; მათი ბავშვები თოჯინები არიან. ვან-დეიკის „ინფან-
ტა 3“ კი თოჯინაა.

ს. ს. გუსევემა, ნიჭიერმა ფელეტონისტმა — „სლოვო-გლა-
გოლმა“ — დააყვედრა:

— სკოდავთ, ასე ცოტას რომ წერთ!

— ალბათ, იმიტომ, რომ მე უფრო ინჟინერი ვარ, ვიდრე
ლიტერატორი, — თქვა მან და უხალისოდ ჩაიცინა. — ინჟინე-
რაც კი, მგონი, საჩემო სპეციალობისა არა ვარ; მე უნდა ვა-
შენებდე არა პორიზონტალური, არამედ ვერტიკალური ხაზ-
ზის მიხედვით. არქიტექტურისათვის უნდა მომეკიდა ხელი.

ნაგრამ თავის, როგორც გზათა ინჟინრის, მუშაობაზე ლა-
პარაკობდა შესანიშნავად, დიდი გზნებით, პოეტურად.

და ასევე შესანიშნავად, გატაცებით იცოდა თავისი ლიტე-
რატურული თემების მოთხრობა. მახსოვს ორი მათგანი: ნი-
-

ნისა და ყაზანს შორის გემით მგზავრობისას მეუბნებოდა, რომ სურს, დიდი რომანის დაწერა ცინ გიუ-ტონგის ლეგენდის თემაზე, ამ ჩინელ დემონზე, რომელმაც მოიხურვა ადამიანებისათვის კეთილი საქმის გაკეთება. რუსულ ლიტერატურაში ეს ლეგენდა გამოიყენა ძველმა რომანისტმა რაფაილ ზოტოვმა. გარინის გმირსაც — კარგ, ძალიან მდიდარ ფაბრიკანტს, რომელსაც მოსწყინდა ცხოვრება, აგრეთვე მოუნდა კეთილი საქმე გაეკეთებინა ადამიანებისათვის. გულკეთილმა მეოცნებემ თავი რობერტ ოუენად წარმოიდგინა, ბევრი სასაცილო რამ მოიმოქმედა და გონიერ ადამიანთა მიერ დღეგამწარებული, გარდაიცვალა ტიმონ ათინელის განწყობილებებით აღსავსე.

სხვა დროს, პეტერბურგში, ღამით ჩემთან ყოფნისას, იგი მეტად წარმტაცად მოჰყვა შემთხვევას, რომლის ასახვაც სურდა:

— სამ გვერდს მოვანდომებ, მეტს არა!

ამბავი, რამდენადაც მახსოვს, ასეთია: ტყის მცველი, გულჩათხრობილი კაცი, განმარტოებული ცხოვრებით დათრგუნვილი, რომელიც ადამიანში მხოლოდ მხეცს ხედავს, ღამით მიეშურება თავისი ჯიხურისაკენ. წამოეწია მაწანწალას, ერთად გასწიეს. გაიბა უღიმღამო და ფრთხილი საუბარი ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთს არ ენდობიან. ჰეჰა-ჰუხილს აპირებს, ბუნება დაძაბულია, მიწაზე დაძრწის ქარი, ხეები ერთიმეორეს ეფარებიან, შემზარავი შრიალია. უეცრად მცველმა იგრძნო, რომ მაწანწალას ეუფლება მისი მოკვლის სურვილი. იგი ცდილობს, უკან მიჰყვეს თანამგზავრს, მაგრამ მაწანწალას აშკარად არ სურს, უკან მოიტოვოს, და გვერდით მიჰყვება. ორივე დადუმდა. და მცველი ფიქრობს: სულ ერთია, რაც უნდა ილონოს, მაწანწალა მაინც მოკლავს მას, — ბედისწერაა! მიაღწიეს ჯიხურს. ტყის მცველმა დააბურა მაწანწალა, თვითონაც დანაყრდა, ილოცა და დაწვა, ხოლო დანა, რომლითაც პური დაქრა, მაგიდაზე დატოვა და, კიდევ, სანამ დაწვებოდა, გასინჯა ღუმელთან, კუთხეში მიყუდებული თოფი. ატყდა ჰეჰა-ჰუხილი. ჰეჰა-ჰუხილი ტყეში განსაკუთრებით შემზარავად გრუხუნებს და ელვაც უფრო საშიშია. კოკისპირულად დაუშვა, ჯიხური ცახცახებს, თითქოს მიწას მოსწყდა და ატივტივდაო. მაწანწალამ შეხედა დანას, თოფს, ადგა და ქუდი დაიხურა.

— საით? — ჰკითხა ტყის მცველმა.

— წავალ, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი.

— რატომ?

— ვიცი, ჩემი მოკვლა გინდა!

ტყის მცველმა ხელი წაავლო, ეუბნება:

— რას ამბობ, ძმაო! მე კი ვფიქრობდი, ჩემი მოკვლა უნდა-მეთქი. ნუ წახვალ!

— წავალი თუ ორივე ამას ვფიქრობდით, მაშასადამე: ერთ-ერთს სიცოცხლე არ უწერია.

და წავიდა მაწანწალა. ტყის მცველი კი, მარტოდ დარჩენილი, ჩამოჯდა ფიცარზე და ძუნწი, მუუტიკური ცრემლებით ატირდა.

გარინი ცოტა ხანს ჩუმად იყო, შემდეგ ჰკითხა:

— შესაძლებელია, არც კი არის საჭირო მისი ტირილი? თუმცა, მან მითხრა, მწარედ ავტირდიო. მე ვკითხე, რისთვის-მეთქი. „არ ვიცი, ნიკოლაი ეგოროვიჩ, ნაღველი მომაწვალ“: შესაძლოა, ასეც ვქნა, რომ მაწანწალა არ წავეიღებ, და რაიმე თქვას, მაგალითად: „აი, ჩემო ძმობილო, როგორაა ვართ ჩვენ, ადამიანები!“ ან უბრალოდ: დაწვინ და დაიძინონ?

ვგაჩნობდი, რომ ეს თემა ძალიან აღელვებდა და მძაფრად გრძნობდა მის ბნელ სიღრმეს. მიამბობდა ძალიან წყნარად, თითქმის ჩუბჩულოდ, სწრაფად; იგრძნობოდა, რომ ჩინებულად ხედავდა ტყის მცველს, მაწანწალას, ელვის ლურჯ კაშკაშს. შავ ხეთა შორის, ესმოდა ჭექა-ქუხილი, ღრიალიც, ფაჩუნიც. და საოცარი იყო, რომ ეს მოხდენილი ადამიანი, ასეთ ნაზი სახე და ქალის ხელები რომ ჰქონდა, მხიარული, ენერგიული იყო, თან დაატარებდა ასეთ მძიმე თემებს. მოულოდნელი იყო ეს მისგან: მისი წიგნების საერთო ტონი მსუბუქია, ზეიმური. ნ. გ. გარინი უღიმოდა ადამიანებს, ქვეყნისათვის საჭირო მუშაკად მიაჩნდა თავი და ფლობდა იმ კაცის მხნე, გულისმომგებ თვითრწმენას, რომელმაც იცის, რომ მიადწევს ყველაფერს, რაც სურს. მე მას ხშირად ვხვდებოდი, თუმცა ყოველთვის „ნაჩქარევად“, რადგან მუდამ სადღაც მისწრაფოდა. იგი ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორც ყოველთვის მხნე და არა შეფიქრიანებული, მოქანცული, შეშფოთებული.

ლიტერატურაზე კი იგი თითქმის ყოველთვის გაუბედავად,

მორცხვად, ხმადაბლა ლაპარაკობდა. და როცა კარგა ხნის შემდეგ შევეკითხე:

— დაწერეთ ტყის მცველის ამბავი?

მან თქვა:

— არა. ეს ჩემი თემა არ არის. ეს ჩეხოვის თემაა, აქ საჭიროა მისი ლირიკული იუმორი.

მე მგონია, მას მარქსისტად მოჰქონდა თავი, რადგან ინჟინერი იყო, მას იზიდავდა მარქსის მოძღვრების აქტიურობა და როდესაც მისი თანდასწრებით ლაპარაკობდნენ მარქსისტული ეკონომიკური ფილოსოფიის დეტერმინიზმზე, — ერთ დრომ ამაზე ლაპარაკი ძალიან იყო მოდაში, — გარინი გააფთრებით დავობდა ამის წინააღმდეგ, ისევე გააფთრებით, როგორც შემდგომში — ე. ბერნშტეინის აფორიზმის წინააღმდეგ: „საბოლოო მიზანი — არაფერია, მოძრაობა — ყველაფერი“.

— ეს დეკადენტშიჩინაა! — გაიძახოდა იგი, — დედამიწის ზურგზე არ შეიძლება უსასრულო გზის აგება.

სამყაროს რეორგანიზაციის მარქსისტულ გეგმას აღტიცებაში მოჰყავდა თავისი სისრულით; მომავალი ესახებოდა, როგორც უდიდესი კოლექტიური მუშაობა, რომელსაც ასრულებს კლასობრივი სახელმწიფოებრიობის მაგარი ხუნდებისაგან განთავისუფლებული კაცობრიობის მთელი მასა.

ბუნებით პოეტი იყო; ეს იგრძნობოდა ყოველთვის, როცა ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა უყვარდა, რა სწამდა. მაგრამ ის იყო შრომის პოეტი, პრაქტიკოსადმი, საქმისადმი გარკვეული მიდრეკილების ადამიანი. ხშირად მისგან გაიგონებდით განსაკუთრებით ორიგინალურსა და გაბედულ აზრებს. მაგალითად, დარწმუნებული იყო, რომ ათაშანგი მორჩენილ უნდა იქნას ტიფის საწინააღმდეგო აცრით, და ამტკიცებდა, რომ მან იცნებევრი შემთხვევა, როცა ათაშანგით დაავადებულნი განკურნებულან ტიფით ავადმყოფობის შედეგად. მან ეს დაწერა კვლევ: სწორედ ამ საშუალებით გამოჩანმრთელდა მისი წიგნი „სტუდენტების“ ერთ-ერთი გმირი. ამ მხრივ კინალამ წინასწარმეტყველი გამოდგა, რადგან პროგრესულ დამბლას უკვე არჩენენ ციების პლაზმოდუმიმ აცრით და მეცნიერი მედიკოსი

სები სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ „პარათერაპიის“ შე-
საძლებლობაზე.

გარინს უყვარდა ლაპარაკი „მეპარაზიტეობაზე“, მაგრამ,
მგონი, იმ დროს უკვე ნაპოვნი იყო და შეერთებულ შტატებ-
ში იყენებდნენ კიდევ კარტოფილის ხოჭოს გამანადგურებელ
პარაზიტს.

საერთოდ, ნ. გ. მრავალმხრივი რუსული ნიჭით იყო და-
ჯილდოებული და რუსულადვე ბევრ რამეს ჰკიდებდა ხელს,
მიუხედავად ამისა, ყოველთვის საოცრად საინტერესო მოსას-
მენი იყო მისი ლაპარაკი მავნებლებისაგან ძირხვენიელის
დაცვაზედაც, შპალების ლობასთან ბრძოლის საშუალებებ-
ზედაც, ბაბიტზედაც, ავტომატურ მუხრუჭებზედაც, — ყველა-
ფერზე მიმზიდველად ლაპარაკობდა.

ჩრდილოეთის გზის მშენებელმა სავა მამონტოვმა, კაპრი-
ზე ყოფნის დროს, უკვე ნ. გ.-ს გარდაცვალების შემდეგ, ასე
მოიგონა იგი:

-- ნიჭიერი იყო, ყოველმხრივ ნიჭიერი ინჟინრის ქურ-
თუკიც კი ჰქვიანურად ეცვა.

ხოლო მამონტოვმა კარგად იცოდა ნიჭიერი ადამიანების
გამოცნობა, მთელი თავისი ცხოვრება მათ შორის გაატარა;
ბევრი ისეთი, როგორებიც იყვნენ: თევდორე შალიაპინი, ვრუ-
ბელი, ვიქტორ ვასნეცოვი, — და არა მარტო ესენი, — დააყუ-
ნა ფეხზე, და თვითონაც ხომ ისეთი განსაკუთრებული ნიჭი
ჰქონდა მომადლებული, რომ შეგშურდებოდა.

მანჭურიიდან და კორეიდან რომ დაბრუნდა, გარინი ანიჩ-
კოვის სასახლეში მიიწვიეს ქვრივ დედოფალთან; ნიკოლოზ
მეორემ ინება, მოესმინა მისი ნაამბობი მოგზაურობის შესახებ.

— ნამდვილი პროვინციელები არიან — გაოცებით მხრებ-
აჩეჩილი ამბობდა გარინი სასახლეში ყოფნის შემდეგ.

და დაახლოებით ასე მოჰყვა თავისი დარბაზობის ამბავს:

— არ დაგიმალავთ: მათთან რომ მივდიოდი, ძალზე და-
ძაბული ვიყავი, ცოტა შეშინებულიც. ას ოცდაათი მილიონი
ხალხის მეფის გაცნობა არცთუ ისე ჩვეულებრივი ამბავია.
უნებურად ვფიქრობდი: ასეთი კაცი რაღაცას უნდა ნიშნავ-

დეს, პატივისცემის გრძობას უნდა აღვეძრავდეს-მეთქი: და, აი: ზის ქვეითი ჯარის სიმპათიური ოფიცერი, თანაქოს ეწევა, სანდომიანად ილიმება, იშვიათად თუ რამეს შეგვეკითხება, მაგრამ ისეთს კი არა, რაც უნდა აინტერესებდეს მეფეს, ვის დროსაც გაყვანილ იქნა ციმბირის მართლაც რომ დიდი გზა და რუსეთი გავიდა წყნარი ოკეანის ნაპირებზე, სადაც მას მეგობრულად და სიხარულით როდი ეგებებია. შესაძლოა, მიამიტურად ვმსჯელობ, მეფე არ უნდა ესაუბრებოდეს ასეთ საკითხებზე პატარა კაცს? მაგრამ მაშინ რატომ ეძახი მას? ხოლო თუ დაუძახე, სერიოზულად მოეპყარი და ნუ ეკითხები: ვუყვარვართ თუ არა ჩვენ კორეელებს? რა უნდა უპასუხოს? მეც კვითხე და უხეიროდაც: „ვის გულისხმობთ?“ დამავიწყდა, რომ გამაფრთხილეს: მე ვერ შევეკითხები მეფეს, მხოლოდ უნდა ვპასუხობდე. მაგრამ როგორ შეიძლება არ შეეკითხო, თუ თვითონ გეკითხება, ამასთან - ძუნწად და ბრიყვულად, ხოლო მანდილოსნები დუმან? მოხუცი დედოფალი გაკვირვებით ასწევს მალა ხან ერთ, ხან მეორე წარბს. ახალგაზრდა ქალი, მის გვერდით რომ იმყოფება, თითქოს კომპანიონიაო, გაქვავებულებით ზის, თვალები გაშეშებულია, სახე განაწყენებული აქვს. გარეგნულად მან მომაგონა ერთი ქალიშვილი, რომელიც, ოცდაათობმეტი წელი რომ იცხოვრა, შემდეგ ბუნებას გაუჯავრდა იმისათვის, რომ მან ქალს თავს მოახვია ბავშვის შობის მძიმე მოვალეობა. ქალიშვილს კი არც ბავშვები ჰყავდა, არც უბრალო რომანი ჰქონდა ოდესმე. დედოფლის ეს მსგავსებაც ამ ქალიშვილთან აგრეთვე ხელს მიშლიდა, როგორც მორიდებას იწვევდა. ერთი სიტყვით, ძალიან მოსაწყენი შეხვედრა იყო.

ყოველივე ამას აჩქარებით მოჰყვა, თითქოს სწყინს კიდევ, ასეთ უინტერესო ამბავს რომ ჰყვებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მას ოფიციალურად აცნობეს, რომ მეფემ უბოძა ორდენი, მგონი, ვლადიმერისა. მაგრამ ენ ორდენი მან ვერ მიიღო; იგი მალე ადმინისტრაციული წესით გაასახლეს პეტერბურგიდან იმის გამო, რომ, სხვა ლიტერატურებთან ერთად, ხელი მოაწერა პროტესტს იმ სტუდენტებისა და ხალხის ციკა-ტყეპის წინააღმდეგ, რომლებმაც დემონსტრაცია გამართეს ყაზანის ტაძართან.

მას დასცინეს:

— ორდენი ხელიდან გაგისხლტათ, ნიკოლოზ გიორგის ძეგ?

— ეშმაკმაც დალახვროს ისინი, — აღშფოთებით ამოხბდა გარინი. — აქ სერიოზული საქმე მაქვს გასაკეთებელ და იძულებული კი ვარ, წავიდეთ ანა, წარმოიდგინეთ, რა სისულელეა არ მოგვეწონხარ, ამიტომ ნუ მუშაობ და ნუ ცხოვრობ ჩვენს ქალაქშიო მაგრამ სხვა ქალაქშიც ხომ ასეთი ვიქნები, როგორიც აქა ვარ!

რამდენიმე წუთის შემდეგ კი უკვე ლაპარაკობდა ტყე-ნარგავების აუცილებლობაზე სამარის გუბერნიაში, რომ გზა გადაეღობის ქვიშას, რომელიც აღმოსავლეთიდან გვიტევს.

მას ყოველთვის ჰქონდა დიდი პროექტები. ხშირად ამბობდა:

— საჭიროა ბრძოლა.

სჭირო იყო ბრძოლა ვოლგის გამეჩვიანებულ წინააღმდეგე „ბარტევიე ვედომოსტის“ პოპულარიზაციის წინააღმდეგ ბრონცისაში, ღრანტეების გავრცელების წინააღმდეგ ერთი სიტყვით — ბრძოლა!

-- თვითმპყრობელობის წინააღმდეგე უკანახა მამ გონის მიმდევარმა მუშამ პეტროვმა! მ. გ.-მ კი მხარულად ჰკითხა მას:

— თქვენ უკმაყოფილო ხართ იმით, რომ თქვენს მტერს სულელია? უფრო ჰკვიანნი, უფრო ძლიერი გინდნა?

ეს რომ გაიგონა ბრმა შელგუნოვმა, ძველმა რევოლუციონერმა, ერთ-ერთმა მუშა სოციალ-დემოკრატმა, იკითხა:

— ვინა თქვა ეს? რა კარგად თქვა!

ეს მოხდა კუოკალაში, 1905 წლის ზაფხულში. ნ. გ. გარინმა ჩამომიტანა პარტიის სალაროში ლ. ბ. კრასინისათვის გადასაცემად 15 თუ 25 ათასი მანეთი და, მეტი რომ არა ვთქვათ, ძალიან ჰრელ კომპანიაში მოხვდა. აგარსკის ერთ ოთახში ბ. მ. რუტენბერგთან თათბირობდა ორი, ჯერ კიდევ გამოუშვლავ-ნებელი ჯაშუში — ევნო აზეფი და ტატაროვი; მეორე ოთახში მენშევიკი სალტიკოვი ესუბრებოდა გ. ლ. ზენუამ პეტერ-ზურგის კომიტეტისათვის „ოსვობოუდენიკს“ სტრანსპორტო ტექნიკის გადაცემის თაობაზე და, თუ არა ვცდები, ამა ის-

წრებოდა, აგრეთვე, ჯერ კიდევ გამოუმქლავნებელი დობროსკოკი, რომელსაც „ნიკოლოზ-ოქროს სათვალეს“ ეძახდნენ. ბაღში, ი. ე. რეპინთან ერთად, სეირნობდა ჩემი აგარაკის მეზობელი პიანისტი ოსიპ გაბრილოვიჩი. პეტროვი, შელგუნოვი და გარინი ტერასის საფეხურებზე ისხდნენ. გარინი, როგორც ყოველთვის, ჩქარობდა, საათს დასტკეპროდა და შელგუნოვთან ერთად, ურწმენობას უნერგავდა პეტროვს, რომელსაც ჯერ ისევ სჯეროდა გაპონისა. შემდეგ გარინი შემოვიდა ჩემთან ოთახში, საიდანაც გასასვლელი იყო აგარაკის ჭიშკრისაკენ.

გვერდით ჩაგვიარეს მატარებლისაკენ მიმავალმა ზორბა აზეფმა, რომელსაც მსხვილი ტუჩები და ღორივით წერილი თვალები ჰქონდა, მუქი ლურჯი ფერის კოსტუმი ეცვა; ახონანმა, გრძელთმიანმა ტატაროვმა, რომელიც ტაძრის გადაცემულ დიაკვანს ჰგავდა; მათ მიჰყვნენ მოლუშული, უცხვირპირო სალტიკოვი, მორცხვი ბენუა. მახსოვს, რუტენბერგმა თვალთ მანიშნა თავის პროვოკატორზე და დაიტრაბახა:

— ჩვენები თქვენებზე უფრო სოლიდურნი არიან.

— რამდენი ხალხი დადის თქვენთან, — თქვა გარინმა და ამოიოხრა. — საინტერესო ცხოვრება გაქვთ!

— თქვენ სხვისი როგორ უნდა შეგშურდეთ?

— ეჰ, მე რა? მე, აი, ვმოგზაურობ იქით-აქეთ ეშმაკის მეეტლესავით, ცხოვრება კი ხომ არ დამელოდება, მალე საშოცი წლისა გავხდები; და რა გავაკეთე?

— „ტიომას ბავშვობა“, „გიმნაზიელები“, „სტუდენტები“, „ინჟინრები“ — ეს მთელი ეპოპეაა!

— თქვენ ძალიან თავაზიანი ხართ, — ჩაიცინა მან. — მაგრამ ხომ იცით, რომ ყველა ეს წიგნი შეიძლებოდა არც დაწერილიყო.

— ალბათ, არ შეიძლებოდა, არ დაწერილიყო.

— არა, შეიძლებოდა, და, საერთოდ, ახლა წიგნების დრო აღარ არის...

ვგონებ, პირველად დავინახე მოქანცული და თითქოს როგორღაც მკმუნვარე. მაგრამ ეს იმიტომ, რომ შეუძლოდ იყო, იციებდა.

— თქვენ, გეთაყვა, მალე ჩაგსვამენ, — უეცრად თქვა

მან — ასეთია ჩემი წინათგარძნობა. მე კი ჩამფლავენ, — ესეც წინათგარძნობაა.

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, ჩაის რომ შევექცეოდით, ის კვლავ ძველებურად იყო ღა ამბობდა:

— უბედნიერესი ქვეყანაა რუსიების რამდენი საინტერესო საქმეა, რამდენი ჯადოსნური შესაძლებლობა, ურთულესი ამოცანების არასოდეს არავისი შემშურებია რაიმე, მაგრამ მომავლის ადამიანებისა კი მშურს; მათი, ვინც ოცდაათი, ორმოცი წლის შემდეგ იცხოვრებს. მაშ, ნახვამდის მე მივდივარ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ნ. გ. სწორედ „მოქარაობაში“ მოკვდა, — ლიტერატურული საქმეებისადმი მიძღვნილ რომელიღაც სხდომაში მონაწილეობდა, მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, მეზობელ ოთახში გავიდა და გულის დამბლამ შეწყვიტა ამ ნიჭიერი, დაუშრეტლად მხნე ადამიანის ცხოვრება.

მ. მ. პ რ ი შ ვ ი ნ ზ ე

თქვენზე წერა, მიხეილ მიხეილის ძე, ადვილი არაა, რადგან ისევე ოსტატურად უნდა წერდე, როგორც თქვენ; ამას ვიცი, ვერ შეეძლებ.

ერთგვარი უხერხულობაც კი არის, რომ მ. გორკი რაღაც განმარტების მსგავს სტატიას უწერს მ. პრიშვინის თხზულებებს, იმ ძალზე ორიგინალური მხატვრის თხზულებებს, რომელიც თითქმის უკვე ოცდახუთი წელიწადია, შესანიშნავად მუშაობს რუსულ ლიტერატურაში; თითქოს ექვი მეპარტიზოდეს მკითხველთა ცოდნაში, მათს უნარში — მიხვდნენ ამას.

მეუხერხულება კიდევ იმიტომაც, რომ, თუმცა მუშაობა მე თქვენზე აღრე დავიწყე, მაგრამ, როგორც გულასყურიან მკითხველს, ბევრი რამ მისწავლია თქვენი წიგნებით. არ იფიქროთ, ამას თავაზიანობა ან „მოჩვენებითი თავმდაბლობა“ მალაპარაკებს. არა, ეს სიმართლეა — ვსწავლობდი. დღემდე ვსწავლობ, და არა მარტო თქვენგან — დასრულებული ოსტატისაგან, არამედ იმ ლიტერატორებისაგანაც კი, ჩემზე ოცდათხუთმეტი წლით ახალგაზრდები რომ არიან, იმათგან, ვინც ეს არის დაიწყო მუშაობა, ვისი ნიჭიც ჯერ კიდევ არ შეხამებია უნარს, მაგრამ მათი ხმა უჩვეულოდ ძლიერად, ახლებურად გაისმის.

და ვსწავლობ მარტო იმიტომ კი არა, რომ „სწავლა სიბერემდეა“, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანისათვის სწავლა ბუნებრივი და სასიამოვნოა; უპირველეს ყოვლისა კი იმიტომ, რომ მხატვარს შეუძლია, ოსტატობა მხოლოდ მხატვრისაგან ისწავლოს.

თქვენგან სწავლა; მიხეილ მიხეილიძე, ძე, მე დავიწყე,

„შავ არაბს“, „კოკორს“, „დაუფრთხოველი ფრინველების მხარეს“ რომ წერდით, იმ დროიდან. თქვენ მიმიზიდეთ თქვენი წიგნების უზადო და ხალასი რუსული ენით და თქვენთვის დამახასიათებელი იმ სრულყოფილი ოსტატობით, რომ უბრალო სიტყვების მოხდენილი შეხამებით თითქმის ფიზიკურად შეგრძნობადი გახადოთ ყველაფერი, რასაც ასახავთ. ბევრ ჩვენს მწერალს როდი გააჩნია ამის უნარი ასე სრულყოფილად და ასეთი ძალით, როგორც თქვენ.

მაგრამ თქვენი წიგნების სიღრმეს რომ ჩაეწვდი, მათში აღმოვაჩინე კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი ღირსება, რომელიც მხოლოდ თქვენ გეკუთვნით; არც ერთი სხვა რუსი მხატვრის ნაწარმოებში არ დამინახავს იგი.

სიტყვით პეიზაჟის დახატვა ჩვენში ბევრმა მშვენიერად იცოდა და იცის. მოვიგონოთ ი. ს. ტურგენევი, აქსაკოვის „თოფიანი მონადირის ჩანაწერები“, ლევ ტოლსტოის ჩინებული სურათები. ა. პ. ჩეხოვმა თავისი „ტრამალი“ ხომ თითქოს ფერადი მძივებით მოქარგა. სერგეევ-ცენსკი, ყირიმის პეიზაჟს რომ ხატავს, გგონია, შოპენს უკრავს სალამურზეო. არის კიდევ ბევრი ოსტატური, წარმტაცი და ძლიერი სიტყვით დახატული პეიზაჟი.

ძალიან დიდხანს ვიყავი აღტაცებული ბუნებისადმი ლირიკული საგალობლებით. მაგრამ შემდეგ ამ პიენებმა აღმიძრეს გრძნობა გაცბუნებისა და პროტესტისაც კი. მომეჩვენა, რომ მომხიბვლელი ენით, რომლითაც „ბუნების მშვენიერებაზე“ ლაპარაკობენ, დაფარულია იმის უნებური ცდა, რომ გზა-ყვალის აურიონ ლევიათანს Ξ თევზს, რომელიც უაზროდ ყრის აუარებელ ცოცხალ ქვირითს და ასევე უაზროდ ყლაპავს მას. ამაში არის ადამიანის მიერ ჯერ აუხსნელი ზოგიერთი გამოცანის წინაშე საკუთარი თავის დამცირებისმაგვარი რამ. არის რაღაც „პირველყოფილი და ატავისტური“ ადამიანის ქედისმოხრებაში ბუნების სილამაზისადმი, — სილამაზისადმი, რომელიც თვითონ მას, თავისი წარმოსახვის ძალით, შეუტანია და შეაქვს ბუნებაში.

უდაბნოში ხომ მშვენიერება არ არის, მშვენიერება არაბის სულშია. ფინეთის პირქუშ პეიზაჟშიც არ არის მშვენიერება, — ეს ფინელმა მოიგონა და უბოძა თავის პირქუშ ქვე-

ყანას. ვილაყამ თქვა: „ლევიტანმა რუსულ პეიზაჟში აღმოაჩინა სილამაზე, რომელიც მანამდე არავის დაუნახავსო“. და არც შეეძლო, ვინმეს დაენახა, რადგან ეს სილამაზე არ ყოფილა, და ლევიტანს კი არ „აღმოუჩენია“ იგი, არამედ თვით უბოძა, როგორც თავისი საჩუქარი, დედამიწას. მის დედამიწას წინათ უხვად აჯილდოებდნენ სილამაზით რუისდალი, კლოდ ლორენი და ფუნჯის კიდევ ათეული დიდი ოსტატი. ჩინებულად ამკობდნენ მას მეცნიერებიც, ისეთები, როგორიც იყო „კოსმოსის“ ავტორი ჰუმბოლდტი. მატერიალისტმა ჰეკელმა ინება, ზღვის წყალმცენარეთა უმანინჯეს გადახლართვასა და მედღუზებში აღმოეჩინა „ფორმათა „სიმშვენიერე“, მან აღმოაჩინა და თითქმის დაგვარწმუნა ჩვენ: დიახ, ლამაზიაო სიმშვენიერის ფაქიზად მცოდნე ძველ ელინელთ კი მიაჩნდათ, რომ მედღუზა შემზარავად საზიზღარია. ადამიანი მიეჩვია მშვენიერი, კეთილხმოვანი სიტყვებით ლაპარაკს ზამთრის ქარბუქის ველურ ღმუილსა და ზუზუნზე, ზღვის დამღუპველი ტალღების სტიქიურ როკვაზე, მიწისძვრაზე, ქარიშხალზე. ადამიანმა დიდებაც იმიტომ დაიმსახურა, და აღტაცებაც მოიხვეჭა, რომ მისი ნებისყოფის, მისი წარმოსახვის ეს ძალა დაუცხრომლად გარდაქმნის კოსმოსის უნაყოფო ნაჭერს თავის სამყოფელად; თავისთვის უფრო მოსახერხებლად აწყობს დედამიწას და ცდილობს, თავის გონებაში მოაქციოს მისი ყველა საიდუმლო ძალა.

მაშ ასე, მიხეილ მიხეილის ძევ, თქვენს წიგნებში მე ადამიანი ვერ დავინახე ბუნების წინაშე მუხლმოდრეკილი. ჩემი აზრით, თქვენ წერთ არა ბუნებაზე, არამედ მასზე უფრო დიდ რამეზე, — დედამიწაზე, ჩვენს დიდ დედაზე. არც ერთი რუსი მწერლის ნაწარმოებებში მე არ შევხვედრივარ, ორ მიგრძენია დედამიწისადმი სიყვარულისა და მისი ცოდნის ისეთი ჰარმონიული შეთანხმება, როგორსაც ვხედავ დევგრძნობ თქვენს ნაწარმოებებში.

ჩინებულად იცნობთ ტყეებსა და ჭაობებს, თევზსა და ფრინველს, ბალახსა და მხეცებს, ძაღლებსა და მწერებს, — საოცრად მდიდარი და ვრცელია თქვენ მიერ შეცნობილი სამყარო. და უფრო საოცარია იმ უბრალო ნათელი სიტყვების სიუხვე, რომლებითაც ზორცემსხმულია თქვენი სიყვარ-

რული დედამიწისა და ყოველივე ცოცხალისადმი, მთელი „ბიოსფეროსადმი“. „ფეხსაცმელებში“ თქვენ ამბობთ: „იმაზე უფრო ძნელი არაფერია, ვიდრე კარგზე ლაპარაკი“. ვფიქრობ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც იქვე ამბობთ, „გსურს, სიტყვის ძალა აიყვანო ფიზიკური ძალის სიცხადედ“.

„ბერენდის წყაროებს“ რომ ვკითხულობ, მე თქვენ ერთგვარად „ნაძერწ ყმაწვილად“ და სასიძოდ მორთულ კაცად წარმომიდგენიხართ, ხოლო თქვენი სიტყვები „მიწის საიდუმლოებაზე“ ისე მომესმის, როგორც მომავალი ადამიანის, დედამიწის უფლებამორკმული მბრძანებლისა და მოღვაწის, მისი სასწაულებისა და ბედნიერებათა შემოქმედის სიტყვები. აი, სწორედ ეს არის ის სრულიად ორიგინალური, რაც თქვენს შემოქმედებაში დავინახე და რასაც ვთვლი ახალ და მეტად მნიშვნელოვან რამედ.

ჩვეულებრივად, ადამიანები ეუბნებიან მიწას:

— ჩვენ შენი ვართ.

თქვენ ეუბნებით მას:

— შენ ჩემი ხარ!

და ეს, მართლაც, ასეა: დედამიწა უფრო მეტად არის ჩვენი, ვიდრე ამაზე ფიქრს შიგნეულვართ. შესანიშნავი რუსი მეცნიერი ვერნადსკი ნიჭიერად და მტკიცედ ქმნის ახალ ჰიპოთეზას, როცა ამტკიცებს, რომ ჩვენს ქვისა და ლითონის პლანეტაზე ნაყოფიერი ნიადაგი შექმნილია ორგანული ელემენტების, ცოცხალი ნივთიერების მიერ. ეს ნივთიერება უხსოვარი დროიდან ღრღნიდა და შლიდა პლანეტის მყარსა და უნაყოფო ზედაპირს, სწორედ ისევე, როგორც დღემდე ხავსურა—„ქვატეხიები“ და ზოგიერთი სხვა მცენარე შლიან მთის ქანებს. მცენარეებმა და ბაქტერიებმა არა მარტო გააფხვიერეს მიწის ქერქი, არამედ შექმნეს კიდევ ის ატმოსფერო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რომლითაც ვსუნთქავთ. უანგბადი მცენარეთა ცხოველქმედობის პროდუქტია. ნოყიერი ნიადაგი, რომელზედაც პური მოგვყავს, შექმნილია მწერების, ფრინველების, ცხრველების აურაცხელი ორგანიზმებისაგან, ხეების ფოთლებისა და ყვავილთა ფურცლებისაგან. მილიარ-

დობით ადამიანებს გაუნოციერებიათ დედამიწა თავისი სხეულით; ქეშმარიტად რომ, ეს ჩვენი დედამიწაა.

და დედამიწის ეს შეგრძნება, როგორც საკუთარი სხეულისა, საოცრად დამაჭერებლად მომესმის თქვენს წიგნებში, დიდი დედის ქმარო და შვილო.

სისხლის აღრევამდე მივედი? მაგრამ ეს ხომ ასეა: მიწის მიერ შობილი ადამიანი ანაყოფიერებს მას თავისი შრომით და ამდიდრებს თავისი წარმოსახვის სილამაზით.

სამყარო? სამყაროს კეთილმოწყობისათვის ოსტატურად და მონდომებით იღვწიან კოსმოლოგები, ასტრონომები, ასტროფიზიკოსები. მხატვრის გონებისა და გულისათვის უფრო ახლობელი და მნიშვნელოვანია თავისი დედამიწის კეთილმოწყობა. კოსმოსური კატასტროფები ისე მნიშვნელოვანი როდია, როგორც სოციალური. იმის გამო, რომ სადღაც ცის იკანკლედის წიაღში ჩაქრება ჩვენთვის უცხო მზე, ჩვენი ცა ამით არ გადატაკდება და არ ჩაბნელდება. მზე კვლავ იფეთქებს, მაგრამ, აი, უკვე გავიდა ოთხმოცდაათი წელი და ახალი პუშკინი არ შობილა.

კოსმოსის საიდუმლოებანი ისე საინტერესო და მნიშვნელოვანი როდია, როგორც განსაცვიფრებელი გამოცანა: რა სასწაული გარდაქმნის არაორგანულ ნივთიერებას ცოცხალ არსებად, ხოლო ეს ცოცხალი, ადამიანამდე რომ ვითარდება, როგორ გვაძლევს ლომონოსოვებსა და პუშკინებს, მენდელეეევებსა და ტოლსტოებს, პასტერს, მარკონისა და ასობით დიდ მოაზროვნეებს, პოეტებს — ჩვენი ადამიანური აზრით, ჩვენი ნებით გაჩენილი მეორე ბუნების შემქმნელ მუშაკებს?

თქვენი წიგნები, მიხეილ მიხეილის ძეგ, ძალიან კარგად ნათელყოფენ, რომ თქვენ ადამიანის მეგობარი ხართ. ბევრ მხატვარზე ვერ იტყვი ამას ასე ადვილად და სავსებით, როგორც თქვენზე. ადამიანის მეგობრობის თქვენი გრძნობა ესოდენ ლოგიკურად უბრალოდ გამომდინარეობს დედამიწისადმი თქვენი სიყვარულიდან, თქვენი „გეოფილოზიიდან“, „გეო-ოპტიმიზმიდან“. ხანდახან გგონია, რომ თქვენ რომელიღაც ერთი საფეხურით ადამიანზე მაღლა დგახართ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მას. ეს სავსებით გამართლებულია თქვენი გულითადად ფხიზელი მეგობრობით მისადმი, მიუხე-

დავად იმისა, თუ როგორია იგი, ადამიანი გაჭირვებით გაბორტებული თუ უღონობით გულკეთილი, ტანჯვის მძულვარებით წამებული თუ ფაქტების მორჩილების ჩვეულების მსხვერპლი. თქვენი ადამიანი ძალიან მიწიერია და კარგად ხრის შეგუებული დედამიწასთან. თქვენთან იგი უფრო „გოლდა ბიოლოგიურია“, ვიდრე მის სხვა გამომგონებლებთან, იგი თქვენთან დიდი დედის ნამდვილად კანონიერი შვილია და „კაცობრიობის წმინდა სხეულის“ ნამდვილი ცოცხალი მცირე ნაწილია. თქვენ როგორღაც განსაკუთრებით ღრმად და მუდამ გახსოვთ, რაოდენ მოწამებრივი და სასწაულებრივი იყო მისი გზა კეთის ნაჯახის ეპოქიდან აეროპლანამდე.

და მთავარი — რაც მე მზიბლავს, — ის არის, რომ თქვენ იცით, აწონ-დაწონით და დააფასოთ ადამიანი მისი არა ცუდი, არამედ კარგი თვისებებით. ამ უბრალო სიბრძნეს ადამიანები ძნელად ითვისებენ, ითვისებენ კი? ჩვენ არ გვსურს, დავინსომოთ, რომ რაც კარგია ადამიანში — ესაა ყველაზე უფრო განმაცვიფრებელი ყველა იმ სასწაულთა შორის, რაც მას შეუქმნია ან რასაც ქმნის. არსებითად, ადამიანს ხომ არავითარი საფუძველი არა აქვს იმისა, რომ „კარგი“ იყოს; კეთილს, ადამიანურს მასში არ წაახალისებს ხოლმე არც ბუნების კანონები, არც სოციალური ყოფის პირობები. და მაინც ჩვენ ვიცნობთ ბევრ ჰემმარიტად კარგ ადამიანს. რა აქცევს მათ ასეთებად? მხოლოდ — სურვილი. სხვა მოტივებს მე ვერა ვხედავ ადამიანს სურს, იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე არის, და იგი აღწევს კიდევ ამას. რა არის ჩვენს დედამიწაზე უფრო ჩინებული და განმაცვიფრებელი, ვიდრე ეს ურთულესი არსება, რომელიც თუმცა აღსაფსება წინააღმდეგობებით, მაგრამ საკუთარ არსებაში შეუქმნია წარმოსახვის საშინელი ძალა და იმის სატანური უნარი, რომ ყოველმხრივ დასცინოს საკუთარ თავს?

ადამიანისადმი ტრფიალებას, მასზე ფიქრს ბევრისაგან ვსწავლობდი და ასე მგონია, რომ თქვენთან, მხატვართან ნაცნობობამაც მასწავლა ადამიანებზე ფიქრი — არ ძალმიძს ვთქვა, როგორ, მაგრამ — იმაზე უკეთ, ვიდრე აქამდე ვფიქრობდი.

განსაკუთრებით, რუსი ადამიანი, მას შემდეგ, რაც მან გა-

ნიცადა და, ამასთან, რასაც ახლა განიცდის, იმსახურებს რა-
დაც სხვა, უფრო დიდ დამოკიდებულებას, — უფრო ყურად-
ღებიანსა და პატივსაცემ დამოკიდებულებას. რასაკვირველია,
ძალიან კარგად ვიცი, რომ იგი ჭერ კიდევ არ არის ანგელოზი,
მაგრამ მე არც მინდა, რომ იგი ანგელოზი იყოს, მე მსურს,
გზედევდე მას მხოლოდ როგორც მუშაკს, რომელსაც უყვარს
თავისი საქმე და ესმის მისი უდიდესი მნიშვნელობა.

ყველა ჩვენგანისათვის, რომლებიც დავადექით ახალი
ცხოვრების შექმნის გზას, მეტად მნიშვნელოვანია, რომ თავი
გიგრძნოთ ერთმანეთის ძლიერ მშობლიურ და ახლობელ ადა-
მიანებად. ამას მოითხოვს ის მკაცრი დრო, რომელშიც ჩვენ
ვცხოვრობთ, და ის უზარმაზარი სამუშაო, რომელსაც ხელი
მოვკიდეთ.

„რომელ დავწერე — დავწერე“.

ოღბათ, რაღაც შემეშალა და რაღაც გადავაქარბე კიდევ.
მაგრამ მე ვიცოდდი, რასაც ვაკეთებდი, რადგან როგორც ცნო-
ბილია, ადამიანი მოაზროვნეა და რამდენადმე დიდგულა.
ფიქრობ, იმ მხრივ შეცდომა, როგორადაც მე ვცდები, საზი-
ანო არ არის, რადგან ამას ვაკეთებ არა იმიტომ, რომ ნუგეში
ვცე საკუთარ თავს ან ახლობლებს „ამმალღებელი სიცრუ-
ით“, არამედ იმის წინათგრძნობით, რომ ვცდები იმ სიმართ-
ლის მხარეზე, რომელიც აუცილებლად განხორციელდება, რო-
მეტიც სწორედ აუცილებელია ადამიანისათვის და რომლი-
თაც მათ, დედამიწის მოღვაწეებმა, უნდა აღაფრთოვანონ თა-
ვიანთი თავი.

ბ ა ლ ზ ა კ ე ე

ბალზაკის შემოქმედების გახსენება ჩემთვის ისევე სასიამოვნოა, როგორც მოსაწყენ და უნაყოფო ველზე მიმავალა მგზავრისათვის მის მიერ ოდესღაც ხილული ნაყოფიერი, თავისი სილამაზითა და ძლიერებით მდიდარი. მხარის მოგონება.

ცამეტი წლისა ვიყავი, როცა ფრანგის პირველი წიგნი წავიკითხე. ეს იყო ედმონ გონკურის „ძმები ზემგანობი“ — არტისტთა ცხოვრების ამაღლელებელი. ამბავი, იმ ადამიანების ამბავი, ვინც ბედისწერას მათდამი მტრული ცნობისმოყვარეობის ვიწრო, სულის დამმახინჯებელ გარემოცვაში, სულიერი მტრობის გარემოცვაში მოუქცევია.

ამ შესანიშნავმა წიგნმა ამაღლევა თავისი ადამიანური სევდით. მან სამუდამოდ შთამაგონა განსაკუთრებით ყურადღებიანი, მგზნებარე და თანამგრძობი დამოკიდებულება ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც სამყაროს აძლევს თავისი სულის სიმშვენიერეს.

ამავე დროს, გონკურმა გამიღვიძა წყურვილი, რომ გავცნობოდი საფრანგეთის ლიტერატურას. საფრანგეთის ისტორია კი იმ დროს ცოტათი და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვიცოდი. საფრანგეთი მესახებოდა რაინდების ქვეყნად, გმირების ქვეყნად. დაუწყვე გამოკითხვა ნაცნობ გიმნაზიელებს ფრანგი ავტორების შესახებ. ვთხოვდი, მოეცათ თარგმნილი ფრანგული წიგნები.

პირდაპირ გადავყლაპე დიუმა-მამის, პონსონ დიუ-ტერარლის, ბუაგობის, ზაკონეს, გაბორიოს, ქსავიე დე-მონტეპენისა და ათობით სხვა ავტორის აურაცხელი ტომები, სანამ ხელთ

ჩამივარდებოდა ბალზაკის ტომი, — ეს იყო „შაგრენის ტყავი“.

ნათლად მახსოვს ის აუწერელი სიამოვნება, რომელიც მომანიჭა ანტიკვარის სავაჭროს აღწერის ფურცლებმა. ეს აღწერა ჩემთვის რჩება სიტყვის პლასტიკის ერთ-ერთ ყველაზე უკეთეს ნიმუშად. ამ წიგნის მეორე ადგილი, რომელმაც გამაოცა ოსტატობით, ეს არის ბანკეტზე გამართული დიალოგი. მასში ბალზაკი იყენებს მაგიდასთან გამართული საუბრის მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაზებს და საოცარი სიმკვეთრით ხატავს სახეებსა და ხასიათებს.

შევუდექი ბალზაკის ძებნას და მისი მეორე წიგნი, რომელიც მე წავიკითხე, იყო „Père Goriot“¹. მან საბოლოოდ დამიპყრო და დიდხანს თავი რასტინიაკად წარმომედგინა, ვინც შურისძიებით ემუქრება ამ ქვეყანას ადამიანის ღირსებათა შელახვისათვის, იმ ტკივილებისათვის, რომლებითაც ავსებულა მისი სული. იმ დროს ცუდად ვცხოვრობდი. მაგრამ ჯანბრთელი ვიყავი და ამიტომაც რომანტიკოსი გახდი.

„ადამიანური კომედია“ რომ წავიკითხე, უკვე ოცი წლისა ვიყავი. ამ წიგნმა ძლიერი ლახვარი ჩასცა ჩემს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ რომანტიზს. მასში ვიგრძენი ბალზაკის გენია და მგზნებარედ შევიყვარე იგი; შევიყვარე ისე, როგორც, ოღბათ, მასწავლებელი და მეგობარი უყვართ.

ორი-სამი წლის შემდეგ რუსეთში გამოქვეყნდა ბალზაკის თხზულებათა სრული კრებულის თარგმანი. ორჯერ წავიკითხე ყველა მისი წიგნი და სწორედ ამის შემდეგ გავიგე ამ მწერლის მთელი სიდიადე. მისი ნიჭის ეპიკურმა სიდიადემ გამაოცა და დამატყვევა. დიდპლანიანობა, აზრის გაბედულება, სიტყვის სიმართლე და მომავლის გენიალური განჭვრეტა, რაც უკვე თითქმის გამართლებულია აწმყოთი, აქცევენ მას მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მასწავლებლად.

შექსპირი, ბალზაკი, ტოლსტოი, — აი, ჩემი აზრით, ის სამი მონუმენტი, რომლებიც კაცობრიობამ თავის თავს აუგო. უბალზაკოდ მე შედარებით ნაკლებად მეცოდინებოდა საფრანგეთი, ის ქვეყანა, რომელიც მუდამ წინ მიუძღოდა და ახლაც მიუძღვის კაცობრიობას, რადგან ამა თუ იმ დარგში ყო-

¹ „შამა გორიო“ (ფრანგ). — რედ.

ველთვის ქმნიდა ხოლმე შემოქმედების ახალ ფორმებს, ცხოვრების ახალ ფორმებს... მას სახელს უტეხენ ბანკირები. ამის თაობაზე ერთხელ უკვე ვთქვი, რამაც იმ ქვეყანაში, რომელიც მე მიყვარს, გამოიწვია გაუგებარი აღშფოთება, თუმცა ამ აღშფოთებას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. მაგრამ საფრანგეთის ბირჟის ანტიკულტურული, ანტიადამიანური მოქმედება, — ბირჟისა, ვინც ფეხი გამოსდო რუს ხალხს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე, — მე ვიცი, ვერასოდეს დაჩრდილავს ისეთი ადამიანების სახელების კაშკაშს, როგორებიც არიან ჰიუგო, ბალზაკი, ფლობერი — ჰემშარიტი შვილები.

მე არ ძალმიძს, გავითვალისწინო, არ ვიცი, პირადად მე რას უნდა ვუმადლოდე ბალზაკს, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი გავლენა რუსულ ლიტერატურაზე ექვს გარეშეა და იგი ერთხელ დამოწმებულია კიდევ ლევ ტოლსტოის მიერ. მან მკითხა:

— ვის კითხულობთ უფრო ხშირად?

მე ვუპასუხე.

— ეს კარგია. მაგრამ ფრანგები უფრო მეტად იკითხეთ. იკითხეთ ბალზაკი, რომლისგანაც ერთ დროს წერას სწავლობდა ყველა. იკითხეთ სტენდალი, ფლობერი, მოპასანი. მათ იციან წერა. საოცრად აქვთ განვითარებული ფორმის გრძნობა და შინაარსის კონცენტრაციის უნარი. მათ გვერდით შეიძლება დავაყენოთ მხოლოდ დიკენსი და შესაძლოა, თეკერეიც: მე რომ სტენდალის „პარმის სავანე“ არ წამეკითხა, „ომისა და მშვიდობის“ საბრძოლო სცენებს ვერც დავწერდი.

ამით დავამთავრებ ჩემს წერილს თქვენდამი.

ბალზაკი უსაზღვრო თემაა და ჩემთვის დაუძლეველი. ამასთან, მისი მოგონება შერწყმულია ჩემი ცხოვრების უძნელეს დღეებთან. ეს კი მალეღებს.

კიდევ ის მინდა გითხრა, რომ წიგნმა ჩემს ცხოვრებაში დედის როლი შეასრულა და რომ ბალზაკის წიგნები განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის ადამიანების იმ სიყვარულით, ცხოვრების იმ შესანიშნავი ცოდნით, რასაც ყოველთვის უდიდესი ძალითა და სიხარულით ვგრძნობდი მის შემოქმედებაში.

6. 0. კარონინ-პეტროპავლოვსკი

89 წლის შემოდგომაზე ცარიცინიდან ნიუნში ჩამოვედი, თან მქონდა იმდროინდელი ცნობილი პროვინციელი ქურნალისტის ვ. ი. სტაროსტინ-მანენკოვის მიერ გამოტანებული წერილი ნიკოლოზ ელპიდინფორის ძე პეტროპავლოვსკ-კარონინთან. ცარიცინიდან რომ წამოვედი, მთელი ქვეყანა მძულდა და დაჟინებით ვფიქრობდი თვითმკვლელობაზე; ადამიანთა მოდგმა — ორი ტელეგრაფისტისა და ერთი ქალიშვილის გამოკლებით, — ძალიან შემძაგდა, ვთხზავდი შხამიან სატირულ ლექსებს, რომლებითაც ვწყევლიდი ყოველივე არსებულს, და სამიწათმოქმედო კოლონიის მოწყობაზე ვოცნებობდი. ქვეითად მოგზაურობის დროს სევდიანი განწყობილება ცოტათი გამიქარვდა, ხოლო ორ გულკეთილ ამხანაგთან და მშვენიერ გოგონასთან ერთად კოლონიაში ცხოვრების ოცნება რამდენადმე გამიქარწყლდა.

ამ დრომდე არ შევხვედროდი მწერლებს — მანენკოვისა და ე. ნ. ჩირიკოვის გარდა, რომელსაც მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი; ასევე მხოლოდ თვალი შევასწარი კარონინს ყაზანში. მანენკოვი სიფხიზლეში ახირებული ხასიათის კაცი იყო, ხოლო როცა დათვრებოდა, ხმამაღლა გაჰყვიროდა რუსი ხალხის სიყვარულზე, ტიროდა და მეც მაიძულებდა რუსი ხალხის სიყვარულს. მაგრამ ერთხელ, შემოდგომის საღამო ეამს, მე და იგი ქალაქ ბორისოგლებსკის მოედნის კიდეს მიყვებოდით, ამ მოედნის შუაგულში კი ღრმა, შავ ბორისოგლებსკურ ლაფში ფართხალებდა მთვრალი მეშჩანი, ეფლობოდა ლაფში და თან ღრიალებდა.

— აი, ხედავთ? — თქვა ვასილ იაკობის ძემ. — ვკითხუ-

ლობთ წიგნებს, ვდავობთ, ვტკბებით და, ამავე დროს, გულგრილად ვუვლით გვერდს ასეთ მოკლუნებს. მაგრამ იფიქრეთ, ნუთუ ჩვენ არა ვართ დამნაშავე, რომ ამ კაცმა არ უწყის სხვა სიტყბოება, თუ არ არაყი?

მე ვთქვი, ლაფიდან უნდა ამოვართოთ ეს კაცი-მეთქი, მაგრამ მანენკოვმა მითხრა:

— იქ რომ ჩავიდე, კალოში ჩამრჩება ლაფში.

მე კი ჩავდექი ტალახში და დავეკარგე ინტერესი ხალხის მოტრფიალისადმი.

მაგრამ ბევრს ვკითხულობდი და რუსმა მწერალმა ჩემს წარმოდგენაში ასეთი მიმზიდველი ზღაპრული სახე მიიღო იგი სიმართლის მკაცრი მქადაგებელია, ის ეუღლია ადამიანთა შორის, არავის უყვარს, აღჭურვილია სამართლიანობის მტრებისადმი წინააღმდეგობის დაუძლეველი ძალით. და თუმცა მტრები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ სული გაუყინონ მას, იგი მაინც დაუშრეტლად მგზნებარეა და, „ვიდრემდის არს“ აღანთებს სინათლეს წყვედიადში.

ნ. ე. კარონინი ამართლებდა ამ წარმოდგენას, — მე წამიკითხავს თითქმის ყველაფერი, რაც მას დაუწერია. მისი მოთხრობა — „ჩემი სამყარო“ — ახალი წაკითხული მქონდა. პირდაპირ გულში ჩამწვდა მისი სიტყვები:

„ამქვეყნად აზრზე ძვირფასი არაფერია. იგია მთელი ყოფიერების დასაწყისი და დასასრული, მიზეზი და შედეგი, მამოძრავებელი ძალა და საბოლოო მიზანი. ვინ მაიძულებს მასზე ხელის აღებას? ადამიანები მშვენიერნი არიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათში შესულია ეს მსოფლიო ძალა. თუ სამყაროს ჯერ კიდევ ბურავს ნისლი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აზრს არ გაუნათებია იგი; თუ ადამიანთა დიდი ნაწილი არამზადაა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აზრს ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებია ისინი უგუნურებისაგან“¹.

და აი, გულის ფანჯრალით, როგორც მორწმუნე — აღსარების წინ, — წყნარად გააკუნებ მწერლის კარებზე; ბატარა ფლიგელის მეორე სართულზე ცხოვრობდა. კარი გამიღო წითელკოფთიანმა მალაღმა შევეგერემანმა ქალმა, რომელსაც

¹ მოთხრობიდან — „ჩემი სამყარო“, თხზ. კარონინისა, ტ. 2, გვ. 364

იდაყვებამდე დაეკაპიწებინა მკლავები. დაწვრილებითა და არცთუ ძალიან ალერსიანად გამოჰკითხა, ვინა ვარ, საიდან მოვსულვარ, რისთვის, და გაბრუნდა, თანაც გვერდელად გადასძახა:

— ნიკოლაი, გამოდი აქეთ...

ჩემ წინ დგას მაღალი კაცი, ტუფლები შიშველ ფეხებზე ჩაუცვამს. მოძველებული, ეღალი პიუაკი აცვია, მის ქვემოდან ბლუზა მოუჩანს, რომელიც ჩემსას ვერა სჯობს, — ბლუზის საყელოს ერთი დიდი აკლია. აცვია დაკმუქნილი შარვალი, მუხლის თავებთან გამობურცული, და არც ის არის ჩემს შარვალზე უკეთესი. გრძელი თმა, ალბათ, ჩემსავით ასწეწია. მიცქერის სახეში ღია ნაცრისფერი თვალებით; გამოხედვა ალერსიანი აქვს, მოღლილი, თვალები — ოდნავ გამობურცული, და მეჩვენება, რომ ეს თვალები ხედავენ ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, იციან ყველაფერი, რაც უნდა ეთქვა. ეს მაკრთობს. მღუმარედ ვუქნევ თავს კითხვებზე, მხოლოდ „დიახს“ და „არას“ ვამბობ, მაგრამ სულ უფრო ვიხიბლები მისი ცქერით.

პატარა პირი და გამოკვეთილი ტუჩები აქვს; ლამაზი წარბები უთრთის; უთრთის წვრილი თითებიც. იგი ამ თითებით აჩხრეკს თხელ, მაგრამ გრძელ წვერს, თანაც დაბლა ეწევა, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თვითონ განუწყვეტლივ იზრდებოდ; მისი ლამაზი მაღალი შუბლი აძლიერებს განუწყვეტელი ზრდის ამ შთაბეჭდილებას, ხოლო ხელის აჩქარებული მოძრაობა თითქოს ცდილობს ამ ზრდის შეჩერებას. იგი წერწეტაა, გამხდარი, ოდნავ მხრებში მოხრილი, მკერდჩავარდნილი, გრძელი ხელები აქვს, რაღაც ბავშვური, საამოდ მოუხეშავი იერი დაჰკრავს; ვგრძნობ, რომ შემამჩნია დარცხვენა და ამან თვითონაც შეაკრთო.

— შემოდით აქეთ, შემოდით, — მეპატიჟება ოდნავ ყრუ ხმით.

ლაპარაკის დროს ცოტა ბორძიკობს, თითქოს აპოსტროფით კვეთსო სიტყვის პირველ ბგერას; ესეც ძალიან უხდება, შესანიშნავად ეხამება მის ფართო, განაწამებ სახეს და ღია თვალების დაბნეულ გამოხედვას.

ჩვენ ვიმყოფებით პატარა, ვიწრო ოთახში და პირველი, რაც თვალში მეცა, ეს ისაა, რომ აქ არ იყო არც მაგიდა, არც

წიგნები. კედელთან საწოლი დგას. მისი ერთი თავი ოდნავ გამოწეულია ოთახის შუაგულისაკენ, ბალიშებზე დევს საღვეზელე ფიცარი, ფიცარზე — დაუმთავრებელი ნაწერი ქალაქი, რამდენიმე ასეთივე ქალაქი სკამზე აწყვეია. მოთელილი საწოლი მოწმობს, რომ კაცი ზედ დამჯდარი წერდა, მაგიდის მაგივრობას კი საღვეზელე ფიცარი ასრულებდა.

მან სკამიდან ქალაქლები გადაყარა, ჩემკენ მოსწია, თვითონ კი საწოლზე დაჯდა, ხელების სრესას მოჰყვა და თქვა:

— აი, აქა ვწერ, სასწრაფოა, აგერ კი ცოლი და ს'აშა სამგზავროდ ემზადებიან და ერთი გ'აწამაწია აქვთ, მოგეხსენებათ...

შემდეგ მანენკოვის წერილის კითხვას შეუდგა, წარბები მალლა აზიდა, იღიმებოდა ნაზი, ქალური ღიმილით და დროდადრო წყნარად ახველებდა.

მეზობელი ოთახის კარი ღია იყო, იქ ბოშას შესახედაობის შავთმიანი ქალი გახამებულ კაბას აუთოებდა; საუთოებელი ფიცრის ერთი თავი მაგიდასა და სქელტანიანი წიგნების გროვას ეყრდნობოდა, მეორე — სკამის ზურგს.

— მალე იქნება? — მკაცრად და წამლერებით იკითხა ვილაცამ.

ზღურბლზე შემოდგა მაღალი, ფართოთვალემა გოგონა.

— ოი, მარტო არ ყოფილხარ! — თქვა გოგონამ.

— ჩემი გერია — საშა, გაიცანით, — მითხრა კარონინმა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია დიდი წერილისათვის, რომელიც წვრილად ნაწერი ლილისფერი სტრიქონებით იყო აქრელებული.

ქალიშვილმა ხელი ჩამომართვა და წავიდა, თან რაღაცას ღიღინებდა.

— გინდათ, მაშასადამე, მიწაზე დ'აჯდეთ? — უგუნებოდ იკითხა კარონინმა, წამიერი პაუზებით რომ ჰყოფდა ერთიმეორისაგან სიტყვებს. — რამდენი ხართ?

— ორი ტელეგრაფისტი, მე და ერთი გოგონა — სადგურის უფროსის ქალიშვილი.

— ჰო-ჰო, სამივეს შეგიყვარდებათ ის გოგონა, წ'აიხსუბებით და კ-კოლონია კი არა, სკანდალი გამოვა.

ჩემკენ გადმოიხარა, თან წერილს აქნევდა და იცინოდა; თვალებში ჩამაცქერდა.

— მოდი, ვილაპარაკოთ გულწრფელად. იცით, რასა ჰქვია დასილ იაკობის ძე? იგი მწერს, რომ ხელი აგაღებინოთ ამ განზრახვაზე.

გავოცდი.

— მან მოიწონა და დახმარებასაც დამპირდა.

— მართლა? აგერ კი მწერს, რომ გადაგათქმევენოთ... მე კი არ ვიცი, როგორ გადაგათქმევენოთ, თქვენ ისეთი ჭიჭიტი სახე გაქვთ. თქვენ არც ინტელიგენტი ხართ. ინტელიგენტს ვერცხვით: თავი მიანებე ამას, მეგობარო, ეს რასა ჰგავს — დასასვენებლად გაეშურო იქ, სადაც ადამიანები შენზე უფრო იღლებიან... ეს ამახინჯებს ხალხთან ერთობის კარგ იდეას. უმჯობესია — ამახინჯებს. ხალხთან უნდა მიხვიდე მტკიცე, მთელი სიცოცხლე რომ გაიტან, იმგვარი რწმენით; ასე ზერე-ლედ კი — იმიტომ, რომ გიჭირთ — მისვლა არ შეიძლება. ხალხის გვერდით თქვენ უფრო გაგიჭირდებათ.

იგრძნობოდა, უხალისოდ ასრულებდა მისთვის მიცემულ დავალებას. ამას ვატყობდი, თავს უხერხულად ვგრძნობდი, და ვკითხე — ხომ არ აჯობებდა, სხვა დროს გამომეველო-მეთქი.

— რატომ? — შეკრთა კარონინი. — არა, მოიცადეთ!

ოთახის შიშველი კედლები შეათვალიერა და უფრო გა-ცხოველებით განაგრძო:

— აი, სწორედ ერთი კოლონიის ამბავს ვწერ — იმ ამბავს, თუ როგორ დაამარცხეს ადამიანები წერილმანმა ამბებმა, რო-გორ აქციეს მათი ცხოვრება დრამად...

საღვეზელე ფიცრისაკენ მიტრიალდა და ისე დაიწყო ლა-პარაკი, დაწერილი ფურცლისათვის თვალი არ მოუშორებია.

— „საზოგადოებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, დიახ, ადამიანები უშინაარსონი არიან, გაორებულნი, უსაქ-მოდ იგველიმებიან, ერთმანეთს თვალში ეჩხირებიან და როცა ეს ყველაფერი მოსწყინდებათ, მარტობას ეძებენ. მარტო-ბაში კი ადამიანი ასკეცად აზვიადებს თავის ყოველგვარ გრძნო-ბას, თავის ყოველგვარ აზრს და ასწილად უფრო მიძიმედ იტან-ჯება ამ გაზვიადებისაგან“, — ამას ამბობს ერთი ბატონკაცი ჩემს მოთხრობაში.

ფურცელი გვერდით მოისროლა, ჩაიცინა, სახეზე ხელი ჩა-მოისვა. სასაცილოდ მიიჭყლიტა ცხვირი, წამოდგა და მითხრა:

— იკით კი, რასთვის გვირდებათ კოლონია? სულაც არ არის საჭირო თქვენთვის. თქვენ ხომ იდეალურს ეძებთ. ასე გასინჯეთ — თქვენც მოვიწიეთ ჰკითხოთ ეს საკუთარ თავს, როგორც უკვე ბევრი ეკითხება ახლა, მათ შორის, ჩემი გმირიც. ეს გმირი მე არ გამომიგონია. იგი ცოცხალი, თანამედროვე, გაზვიადებული ადამიანია. იგი თვითონ ინანიებდა მეტად სამწუხარო ამბავს ჩემ წინაშე. აი, — კარონინმა კვლავ მოქექა თავისი ფურცლები და წამიკითხა: — „რა არის იდეალური მასში, თუ ადამიანი თავის სულს მიწაში ჩაფლავს, მილიონობით წვრილმანებში გაიხლართება? ადამიანი უნდა ებრძოდეს ამ წვრილმანებს, სპობდეს მათ და გმირობად და დამსახურებად არ უნდა აცხადებდეს“. აი, რაზე მოგიხდებათ თქვენ იფიქროთ, ეს უეჭველია.

ხელით ჰაერში გრძელი ხაზი გაავლო და დამაჯერებელი ჟესტით შუაზე გაკვეთა იგი. შემდეგ სახე შეიკმუხნა, ამოიხრა:

— კ-კოლონია... ეჰ! გ'ანა ესაა საჭირო?

ათასზე მეტ ვერსზე მომქონდა ოცნება დამოუკიდებელი ცხოვრებისა მეგობარ ადამიანებთან ერთად, ოცნება მიწაზე, რომელსაც თვითონ მოვხნავდი, დავთესავდი და საკუთარი ხელებით მოვიწივდი მის ნაყოფს; ოცნება ისე ცხოვრებისა, რომ არ მეყოლებოდა უფროსები, მეპატრონე, არ განვიცდიდი დამცირებას. მე უკვე საკმაოდ მოყირპებული მქონდა ყოველივე ეს. ხოლო წყნარმა, ლმობიერმა ადამიანმა მოიქნია ხელი და თითქოს თავი მოჰკვეთა ამ ჩემს ოცნებას. ეს მოულოდნელი რამ იყო ჩემთვის. ჩემი გადაწყვეტილება უფრო მყარი, უფრო მტკიცე მეგონა. და განსაკუთრებით საოცარი — საწყენიც კი — იყო ის, რომ მისმა სიტყვებმა კი არა, არამედ ამ ჟესტმა და სახის შეკმუხნამ მომიღო ბოლო.

— მანენკოვი იტყობინება, რომ თქვენ ლექსებსა წერთ, მიჩვენეთ, შეიძლება? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ, მას შემდეგ, რაც კიდევ რამდენიმე მსუბუქი დარტყმა აგემა ჩემს უკვე ცოცხალმკვდარ ოცნებას. მე მეცოდებოდა ეს ოცნება და თანაც მიხაროდა, რომ ასეთი სუსტი აღმოჩნდა.

ლექსები გზაში დავკარგე, მოსკოვიდან ნიჟნი რომ მივდიოდი; ამ დაკარგვის ამბავი ძალიან სასაცილო რამედ მეჩვენე-

წოდა. იგი ვუამბე ნ. ე-ს. თან იმის სურვილიც მქონდა, ერთ-ხელ კიდევ დამეცინა ჩემი ფათერაკებისათვის და ვფიქრობდი, ისიც დასცინებდა.

მაგრამ მან თავიჩაქინდრულმა მომისმინა, და თუმცა მის სახეს ვერ ვხედავდი, მაინც ვგრძნობდი, რომ არც კი გაღიმებია. ამან კვლავ შემაძრწუნა.

წარბებქვეშიდან განსაკუთრებული ყურადღებით შემომხედა და წყნარად მითხრა:

— ხომ შეიძლებოდა, დასახიჩრებულიყავით. ლექსები არაფერია. ზეპირად გაქსოვთ? აბა, თქვით რომელიმე.

ვუთხარი, რაც მომაგონდა: ელვას ეხებოდა და შიგ ასეთი სტრიქონი იყო: „მრისხანედ ირხევიან ცეცხლოვანი ფრთები..“

— ტიტუტჩევი წაგიკითხავთ? — მკითხა.

— არა.

— წაიკითხეთ, მას უკეთ აქვს ნათქვამი..

და მკაცრად მოღუშულმა თითქმის ჩურჩულით თქვა ცნობილი ლექსი. შემდეგ კვლავ შემომთავაზა ლექსების კითხვა, ხოლო ორი-სამი ლექსის შემდეგ უბრალოდ და ალერსიანად მითხრა:

— ერთი სიტყვით, ცუდი ლექსებია. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ცუდია..

თვალეზში შემომხედა და მკითხა:

— ამას გულწრფელად ამბობთ?

საოცარი კითხვაა: ნუთუ შეიძლებოდა მასთან არაგულწრფელი ლაპარაკი?

მომჩერებოდა სახეში თავისი დიდებული თვალეზით და უკვე უბოროტიკოდ განაგრძობდა:

— აი, ამას წინათ წავიკითხე ძალიან კარგი სტრიქონები:

ვინც მიწაზე დაყოცავს, ყველაფერზე ხისინებს,
ხედავს მხოლოდ სულ დავახ. მხოლოდ აჩვივისათვის,
ვინც ამაყად და ლალად ცაში ცურავს — მიწის ზედ,
მუდამ მთელი შორეთი ნათელია მზესავით.

ეს აპუხტინმა მისწერა ტოლსტოის. ხომ მშვენიერია? და — ნამდვილი!

ამ წუთიდან მომეჩვენა, რომ იგი ყველაფერზე ლექსად

ლაპარაკობდა. ამასთან, ლაპარაკობდა ისე, თითქოს საიდუმლოებას გაცნობსო, რომელიც მხოლოდ მან იცის და რომელიც ძვირფასია მისთვის.

და შემაგონებდა:

— იკითხეთ, იკითხეთ რუსული ლიტერატურა, რაც შეიძლება მეტი, ყველაფერი იკითხეთ! იშოვეთ სამუშაო და — იკითხეთ იგი საუკეთესო ლიტერატურაა მსოფლიოში.

მაგონდება მისი ზეადმართული ხელი, აშვერილი წერილი თითი, ავადმყოფურად წამოჭარხლებული შეშფოთებული სახე და შთამაგონებელი ალერსიანი გამოხედვა.

შემდეგ ადგა, წელში ისე გაიმართა, რომ ძვლებმა ტკაცუნის დაუწყო, და თვალები მოქანცულად მილულა. მე წამოვედი. კოლონია დამავეიწყდა კიდევც.

მეორედ მას „ოტკოსზე“ შევხვდი, გეორგიევსკის კოშკთან; ფარნის ბოძს მიჰყრდნობოდა და ქვევით იცქირებოდა, მთის ძირისაკენ. გრძელი განიერი პალტო ეცვა, შავი ქუდი ეხურა და გაკრეჭილ მღვდელს ჩამოჰგავდა.

ადრინანი დილა იყო, მზე ახლახან ამოსულიყო; მთის ძირას ბუჩქებში ფუთფუთებდნენ „მილიონის“ ქუჩის მცხოვრებნი, ნიუგოროდელი მაწანწალები, რომლებიც ის იყო იღვიძებდნენ. კარონინი შორიდანვე ვიცანი, როცა გორაზე ავდიოდნი კოშკისაკენ. მან კი, როცა მივედი და მივესალმე, მღუმარედ აიწია ქუდი, რამდენიმე არასასიამოვნოდ ხანგრძლივი წამის განმავლობაში მათვალიერებდა. ბოლოს ალერსიანად წამოიძახა:

— ეს თქვენა ხართ, კ-კოლონისტო!

წუთის შემდეგ ჩვენ სკამზე ვისხედით და იგი გაცხოველებით ლაპარაკობდა, თან ქუდის ქნევით იგრილებდა წითელი ლაქებით აჭრელებულ სახეს.

— მე აქ ხშირად მოვდივარ დილდილობით. საოცრად ლამაზი ადგილია, არა? აი, არ ძალმიძს ბუნების აღწერა, ეს არის უბედურება. საოცარია: ახალგაზრდა მწერლებიდან ხომ თითქმის არავინ არ აღწერს ბუნებას, ხოლო თუ აღწერენ, — მშრალად, უხეიროდ.

ჩაიხედა ქვევით და განაგრძო:

— თვალს ვადევნებ ამ ადამიანებს, ესენიც კოლონისტები არიან, ხომ? ძალიან მინდა მათთან ჩასვლა, მათი გაცნობა, მაგრამ მეშინია. დამცინებენ, ხომ? პალტოს გამაძრობენ და იქნებ მიმბეგვონ კიდეც. ისინი, ხომ ცხადია, არ დაიჯერებენ ჩემს მათლამი უანგარო ინტერესს? აი, უყურეთ, ერთი ლოცულობს. საოცარი ფიგურა აქვს. ან ისე დამთვრალა, რომ აქამდე ვერ გამოფხიზლებულა, ან მტკიცე მედასავლეთია, — ხომ ხედავთ: ბალახნისაკენ, დასავლეთისაკენ შებრუნებული ლოცულობს?

— თვითონ არის ბალახნელი, — ვუთხარი მე.

— იცნობთ მას? — მკვირცხლად მკითხა კარონინმა, თანაც ჩემკენ მოიწია, — მიაშებთ, ვინ არის?

მე უკვე ვიცნობდი ზოგიერთ მათგანს, ბუჩქნარში რომ ათევენენ ღამეს, და დაუწყვე მათზე ლაპარაკი. კარონინი ყურადღებით მისმენდა, ხშირად მაწყვეტილებდა შეკითხვებით და გამუდმებით იგრილებდა სახეს ქუდით, თუმცა მაისის დილა საკმაოდ გრილი იყო. იგი ახლა სხვაგვარი მეჩვენა, ვიდრე პირველად; რაღაცით აღგზნებული. ოდნავ ირონიულად, უნდობლად იღიმებოდა. მხიარულად მუჯღუგუნი წამკრა გვერდში და თან დააყოლა:

— ოჰო, ეს ხომ რომანტიზმია!

მე არ მწყინდა მისი მხიარული საყვედური, თუმცა უკვე ვიცნობდი, რომ რომანტიკოსობა არცთუ ისე სასიქადულო იყო.

— მე გაიმბობთ ისე, როგორც თვითონ ყვებიან თავის ამბებს, — შევნიშნე მე.

ჩაფიქრდა და მითხრა:

— ტყუიან, არ დაუჯეროთ. რუს კაცს ოცნება უყვარს და ამიტომ თავისდა შეუმჩნეველად ტყუის, ერთმანეთში ურევს სინამდვილესა და თავისი აზრის თამაშს. ერთი მუჟიკი დიდხანს და გულითადად მეპატიჟებოდა თავის საფუტკრეში. მეც ვეწვიე, საფუტკრე მას კი არათუ ახლა არ აღმოაჩნდა, არამედ არც რდესმე ჰქონია. ვეკითხები: „ეს როგორ მოხდა-მეთქი, თეოდორ ვასილის ძე, ა?“ იმან კიდევე: „წარმოიდგინე, ფელიპორიჩ, მეტად კარგი ცხოვრება აქვთ მაგ ფუტკრებს. დღე და ღამე სულ ისინი მაგონდებოდნენ და ჩემთვისაც გამოვიგონეო. აი, ესენიც ასე იგონებენ თავიანთ ამბებს. რომანტიკოსები არიან თქვენსავით, ბატონო ჩემო. ვიცნობდი კიდევე ერთ

ბუზულუკელ მეშჩანს, რომელიც თავს ყალბი ფულის მპყრელად ასაღებდა; ხალხს ნამდვილ ფულს, სახაზინო ფულს აჩვენებდა და თავისი მუშაობის სიფაქიზით ტრაბახობდა. სავალალო სახელი მოიხვეჭა და იმასაც კი მიაღწია, რომ გაჩხრიკეს. შემდეგ გამოირკვა, თურმე არც უცდია ოდესმე თუნდაც აბაზიანის გაკეთება. ეკითხებიან: „რისთვის დაგპირდა, კეთილო, საკუთარ თავზე ასეთი ტყუილის შეთხზვაო“. მან უპასუხა: „ვის მივაყენე ამით ზარალი და ზიანი? ჩემთვის კი, ალბათ, სასიამოვნოა იმის ფიქრი, რომ, აი, მოვისურვებ და — ინებეთ, უკვე მდიდარი ვარო“.

ღიმილი ჩაუქრა, ჩაფიქრდა, თან შორს, მოლურჯო მდინარის მდამა, აბრეშუმოვან, მზიან მღელოებს გასცქეროდა.

— იცით, ეს ჩვენი სერიოზული, ღრმა თვისებაა — მიმქვეშ, შესაძლოა, ფარულად ფეთქავს სხვაგვარი ცხოვრების წყურვილი, ასეთი სიცრუით ადამიანი თავისი თავით უკმაყოფილების წმინდა გრძნობას ფარავს. გაუხსენით მას ხელები და იგი თავს დაანებებს ოცნებას, საქმეს მოჰკიდებს ხელს, ნამდვილად მოჰკიდებს. ვინც თავი მიანება ოცნებას, ხომ უდიდეს ძალას იჩენს ახლა, ხომ შეუძლია საშინელ წინააღმდეგობათა დაძლევა! აი, მე მიაბობდნენ ვოლგელ მენაოსნეებზე — რა ფიგურებია, რა ზღაპრული შეუპოვრობაა მიზნის მიღწევისათვის! არა, რუსი ხალხი კარგი ხალხია, შესანიშნავი ხალხია, მოგახსენებთ მე თქვენ.

ამას ამბობდა ჩქარ-ჩქარა, მგზნებარედ და დაჟინებით, თითქოს ვინმეს ედავებოა. შემდეგ ადგა, გზაზე გაიარ-გამოიარა, თვალი მიმოავლო ირგვლივ და კვლავ დაჯდა.

— აი, ჩვენ უკან სემინარიაა, უფრო მოშორებით — გიმნაზია, მის პირდაპირ — სათავადაზნაურო ინსტიტუტი, ხოლო მთის ძირში, ყოველივე ამ სიმშვენიერიდან რაღაც ორმოცდაათ ნაბიჯზე — ჩვენ წინაშეა თითქმის ისტორიამდელი ცხოვრება თხრილებში, ღია ცის ქვეშ, და ველური ადამიანები. ამას უნდა ჩავუფიქრდეთ, ჰაბუკო! საჭიროა ჩავუფიქრდეთ. ძალიან ცუდად ვიცნობთ ცხოვრებას და — რაც კიდევ ამაზე უარესია, — არ გვინდა, გავიცნოთ, თითქოს განგებ ვცდილობთ, იმაზე გაცილებით წაკლები დავინახოთ, რაც შეგვიძლია; გავრბი-

ვართ კოლონიებში, თავს ვარიდებთ და ვემალებით ყოველივე ამას...

და დიდი მწუხარებით დაიწყო ლაპარაკი იმ დროის რთულ სენზე. მე არ მახსოვს ზუსტად მისი სიტყვები, მაგრამ მგონია, მან ეს სიტყვები გაიმეორა მოთხრობაში „ადამიანის საზღვარზე“.

„არ, რა დრო იყო ეს: ზიზღი ყოველგვარი ილუზიისადმი, ყველაფრის დაცინვა, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სწამდათ, გულგრილობა და სულიერი სიცარიელე“.

ლაპარაკობდა წყნარად, თითქოს იმით დარცხვენილი, რომ ასეთ სამწუხარო რამეზე უხდება ლაპარაკი, და სულ აქეთიქით იხედებოდა, თითქოს არ სურდა, მისი სიტყვები, ჩემ გარდა, კიდევ ვინმეს მოესმინა. მოხრილი იჯდა, მუხლებზე მკვიდროდ შემოეკვლო გამხდარი ხელების თითები, სახეზე ქუდის ჩრდილი ადგა და ამ ჩრდილში თვალები თითქოს ლურჯ ფერს იღებდნენ.

— აი, თქვენ მიამბობდით ამ მთისძირელ ადამიანებზე. მაგრამ რატომ, აბა, დაფიქრდით, რატომ ილუპებიან ჩვენში ასე ადვილად ადამიანები? ხომ ძალიან უბრალო რამეა: ცხოვრობდა ადამიანი, თითქმის კარგადაც, მაგრამ უცბად „გზას ასცდა“. განსაჯეთ — ეს უნებურად მოხდა: ცხოვრობდა, და — აღარაფერი! ყველა თითქოს მოლიპულ ადგილას დადის; მიდის, წაიფორხილა, დაეცა და ხელსაც ვერაფერს წააგლებს — სულს გაამახინჯებელი არაფერი გაგვაჩნია. და თუ ეცემიან, ხომ სასიკვდილოდ იმტვრევიან. აუცილებლად განუკურნებლად სახიჩრდებიან, თუმცა, ვინ უწყის, რა სიმალლიდან ვარდებიან.

ეს ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში — მაშინ თვითონ ვიყავი იმ კაცის მდგომარეობაში, რომელიც ეს არის უნდა წაიქცეს.

იგი უეცრად წამოხტა, მოისინჯა ჟილეტის ჯიბე, ცას შეხედა.

— უკვე ექვსი საათი იქნება, არა? მე უნდა წავიდე. შემოიარეთ!

თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა და დიდი ნაბიჯებით გაუყვა

ბულვარს, მაგრამ უეცრად შეჩერდა, მობრუნდა და მკაცრად, სასაცილოდ მკაცრად მკითხა:

- რას აკეთებთ, რას საქმიანობთ?
- ბავარიულ ბურახს ვეზიდები.
- ესე იგი, როგორ, სად ეზიდებით?
- საეაქროებში, სახლებში...

ჩაფიქრდა და ღიმილით მითხრა:

— ეს, ალბათ, ძალიან მოსაწყენი და სულელური რამ არის, არა? აბა, ნახვამდის, ვაჭარო, შემოიარეთ!

მას უყვარდა მინდორში, ქალაქგარეთ მარტო სეირნობა; მე მას ორჯერ შევხვდი ასეთი სეირნობის დროს, მეკითხებოდა — რას ვკითხულობ, და დიდი მღელვარებით მომითხრობდა მწერლებზე. მახსოვს, გარშინზე რომ მელაპარაკებოდა, „წითელი ყვავილის“ შესახებ თქვა:

— რუს მწერალს მუდამ სურს, რაღაც სახარების მსგავსი რამ დაწეროს, საქვეყნო წიგნი; ჩვენში ამის სურვილი ყველას აქვს, ამას ესწრაფვის დიდი თუ პატარა მწერალი და, წარმოდგინეთ, ხშირად პატარები უფრო სწორად და ღრმად გრძნობენ მარადიულ სიმართლეს, ვიდრე გენიოსები, ეს არ დაივიწყოთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია! რუსული ლიტერატურა განსაკუთრებულია. ეს, ასე ვთქვათ, საღვთო წერილია, და მასძლიერ ყურადღებით უნდა წაკითხვა, ძლიერ!

დიდხანს დუმდა, შემდეგ თქვა:

— გარშინს წმინდანს ეძახიან, უფრო მეტიც, იგი იყო უმანკო ბავშვი!

ერთხელ კარონინს ბინაზე ვეწვიე და იმავე ვიწრო, ცარიელ და მოსაწყენ ოთახში ვნახე: ნახევრად ჩაცმული, თმაგაჩიხილი იწვა საწოლზე და ხელში წიგნი ეჭირა.

— სიცხე ძალიან მატულობს, — ამიხსნა მან, — დილით თითქმის ორმოცამდე ავიდა, ამიტომ ვწვევარ! ჩემიანები კი სარატოვს გაემგზავრნენ. უთხარით, გეთაყვა, იმ ჯადოქარს, კარი რომ გაგიღოთ, ჩაი მოგვიტანოს.

— კუშიევსკი თუ წაიკითხეთ? — მკითხა. — არა? აუცილ-

ლებლად უნდა წაიკითხოთ „ნიკოლა ნეგორევი“, კარგიმ
გსმენიათ რაიმე მასზე, კუშჩევსკიზე?

მოკლედ, დასამახსოვრებელი, დამაჩერებელი სიტყვებით
დაიწყო იმის მოყოლა, თუ „ნეგორევის“ ავტორი, რომელიც
შემოდგომაზე მტკირთავე-გამგორებლად მუშაობდა ნევაზე,
როგორ ჩავარდა თავის ურიკიანად წყალში, გაციგდა და შებ-
დგ, როცა საავადმყოფოში იწვა, როგორ წერდა თავის რუ-
მანს დამღამობით.

— მიეც არ გიცნობდი მას, არსად შევხვედრივარ. მისი ამ-
ბავი საავადმყოფოს შეზარხოშებულმა ფერშალმა მიამბო.
„წამლები არ მჭირდება, — ეუბნებოდა ფერშალს, — უმჯო-
ბესია, არაყი, სანთელი და ქაღალდი მომცეთ. სულ ერთია,
სიცოცხლე მაინც აღარ მიწერია, მაგრამ იტყვილებლად უნდა
დავწერო რომანი, დამეხმარეთ ამაში — მომეცით სანთელი.
დღისით წერა აკრძალულია და ხელს მიშლიან, მაშასადამე,
ღამით უნდა ვწერო, უსინათლოდ კი ბნელა, ხომ გესმით?“
ყველას სთხოვდა სანთლებს, მაგრამ ფიქრობდნენ, ბოდავსო
და არ აძლევდნენ; სანთლის ნამწვეებზე ცვლიდა თავის ულუ-
ფას, შიმშილობდა და წერდა, ხოლო ერთხელ სააბაზანოდან
გამოიტანა დაწესებულების სანთელი, ეს შეამჩნიეს და სან-
თელი წაართვეს, რის გამოც იტირა და მაინც დაწერა რომა-
ნი. მასში არის საოცარი პიროვნება, შესაძლოა, ერთ-ერთი
ყველაზე ფანტასტიკური ფიგურა რუსულ ლიტერატურაში, —
ოვერინი, რომელსაც მთელი დედამიწა ისეთ ცოცხალ, მგრძნო-
ბიარე და მოაზროვნე არსებად მიაჩნია, რომელმაც არაფერი
არ იცის ჩვენზე ან იმდენი იცის, რამდენიც ჩვენ — მიკრო-
ბებზე. იგი თითქმის მოღუწავს და მიწა იძვრის; ხოლო, ამავე
დროს, შესაძლოა, რომელიმე გიმნაზიაში სწავლობს, წიგნს
კითხულობს და როცა მას ფურცლავს, ჩვენი სამყარო ქანა-
ობს. როცა ვკითხულობდი ამ გოლიათი დედამიწის შესახებ,
რომელიც ვერც კი გრძნობს მის ზურგზე მოსიარულე ადამი-
ანებს, შიშმა შემიპყრო. მხოლოდ რუს მწერალს შეუძლია შე-
იგრძნოს მთელი დედამიწა, როგორც ცოცხალი და მისდამი
მტრულად განწყობილი არსება, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ
რუსს. ეჰ, იცით, რამდენი ნიჟიერი ადამიანია რუსეთში და
როგორ საშინლად ცხოვრობენ. აი, შეხედეთ!

საწოლზე წამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და დაიწყო კუშივესკის მოთხრობის „თვითმკვლელის“ კითხვა. არც ამ დრომდე და, ალბათ, არც მას შემდეგ, მე არ მსმენია ასეთი წაკითხვა: კარონინს მეტყველების მცირე ნაკლი საოცრად უწყობდა ხელს, გამოეყო უბრალოდ დაწერილი მოთხრობის უფრო ამაღლებელი ადგილები და ხაზი გაესვა მათთვის, წყნარი ხმა საშინელი და დამმორჩილებელი ძალით აღავსებდა სიტყვებს.

ყოვლად სამარცხვინო და საშინელი იყო გლეხის შვილის — ლიტერატორ აგაფონოვის ამბის მოსმენა: მაშამ მას ღალა დაადო — ათი მანეთის გადახდა ყოველთვიურად, ლანაც აშინებდა, თუ არ გადაიხდი, პასპორტს არ მოგცემ და კიდევ გავწკებლავო. ერთხელ ეს აგაფონოვი, „პატარა, ქერთიანი კაცი“, რომელიც მოთხრობების წერის დროს ისე დელავდა, რომ ტიროდა კიდევ, ავად გახდა, ხოლო საავადმყოფოდან პირდაპირ გადასაგზავნ სატუსალოში ამოყო თავი.

„მას, ხელებზე ბორკილდადებულს, რამდენიმე ვერსი მოათოკვინეს და განრისხებულ მამას მიჰგვარეს. მაშამ ყურცი არ ათხოვა მის მრავალგზის მობოდიშებას ღალის გადახდის დაგვიანების გამო...“

— დაჩოქილი ვევედრებოდი, — ყვებოდა აგაფონოვი, — არ გავეწკებლე; შემდეგ ვთხოვდი, გავეწკებლე, მაგრამ ქალაქში კი ისევ ვავეშვი. არა და არა. ფანჯრიდან ვხედავ — მოჯამაგირე ოსიბი არყის ხეზე ავიდა და წკებლებს ჭრის. მაშა მეუბნება: „მე შენ გიჩვენებ ლოთობას!“ ჩემს გულს კი ხაგაბუგი გააქვს; ფანჯრიდან ვხედავ — წკებლებს ჭრიან... მოვიდნენ. კარგა ხანს ვიბრძოლე, საცეცხლეში წამომაქციეს, თივაზე, და... თავის ჩამოხრჩობა მინდოდა ამის შემდეგ, მაგრამ მაშამ გადაწყვიტა, კვლავ ვავეშვი პეტერბურგს, თუ თვეში თხუთმეტ მანეთს გადავეუხდიდი. მაგრამ, თუ კვლავ მოითხოვა ჩემი დაბრუნება და ისევ ბორკილგაყრილი, ეტაპით მიჰგვარეს მას? ოხ, რამდენი ბალღინჯოა ეტაპებზე. რომ იცოდეთ... და ისევ გაწკებულა... ამას ველარ ავიტან... თქვენ აზნაურა ხართ... რა კარგია აზნაურობა! მაგრამ თქვენ ლატაკი ხართ, ჩვენი ხართ... დიახ!“¹.

¹ Кушевский, «Неизданные рассказы», гл. 179—185.

და, აი, მამა კვლავ მოითხოვს, შეიღმა სამოცი მანეთი ლა-
ლა გამოუგზავნოს ან სოფელში დაბრუნდეს. თავზარდაცემუ-
ლი აგაფონოვი აქეთ-იქით აწყდება, არავის შეუძლია მისთვის
დახმარების აღმოჩენა. ბოლოს მას გამოუგზავნეს „პასპორ-
ტი“ — მშობლიური სოფლიდან ჩამოვიდა მუეიკი და ჩამოუტა-
ნა გრძლად შეხვეული რაღაც. ეს ერთი კონა არყის ხის წყეპ-
ლა იყო, თანაც ასეთ წერილს სწერდა მამა:

„აი, შენ, პასპორტი“. და მუქარა — თუ ამის მომტანს
დაუყოვნებლივ არ ჩააბარებს სამოცდახუთ მანეთს, მამა წი-
ნანდებურად კანონიერი წესით მოითხოვს შეილის დაბრუნე-
ბას და ეს „პასპორტი“ მის ზურგზე გაიწერება.

აგაფონოვმა თავი ჩამოიხრჩო.

კითხვა რომ გაათავა, ნ. ე.-მა წიგნი გადაისროლა, თითე-
ბით მაგრად მოისრისა დაღლილი თვალები და ხმაამოუღებ-
ლად წამოწვა.

მე ვკითხე:

— მართალია ეს ამბავი თუ მოგონილი?

— მართალია, — ცივად მომიგო მან. — მისმა მონაწი-
ლემ, პოეტმა კროლმა მიაგებო, ერთმა მათგანმა, ვინც ვერ
შეძლო აგაფონოვს დახმარებოდა. ისინი ყველანი, დაახლოე-
ბით, აგაფონოვის მდგომარეობაში იყვნენ; ამ უბედურის ნამ-
დვილი გვარია არა აგაფონოვი, არამედ სხვა, აღარ მახსოვს.
პეტერბურგში ვკითხულობდი მის მოთხოვნებს — ნიკოლოზ
უსპენსკის ჩამოგვავს, მაგრამ უკეთესია, უფრო დაკვირვებუ-
ლია და სათუთი. მისი გვარი გუშინაც კი მახსოვდა, მაგრამ ამ
თავის ტკივილის ბრალია — საკუთარ გვარსაც დაგავიწყებს...;

— ჩემი წასვლის დროც დადგა, არა? — ვუთხარი მე.

— რას ამბობთ, — წამოიძახა მან და წამოდგა. — მოიღეთ
მოწყალება, აგერ, მეოთხე დღეა, ბუზების მეტი ცოცხალი
არავინ დამინახავს...;

— ყველანი: კუშიევსკი, ვორონოვი, ლევიტოვი და ბევრი
სხვა, — სასტიკი ლოთები იყვნენ. ამას ხშირად გაიხსენებენ
ხოლმე, იმის მიზეზი კი, რატომ ლოთობდნენ ასე გაგიყებით —
მიზეზი ამ დრამისა — არავის აინტერესებს. ხომ ყველა მათ-
განი ლოთად არ დაბადებულა; ალბათ, იმიტომ სვამდა, რომ
სხვა გზა ვერ მონახა. შესაძლოა; ახლანდელი მისწრაფება კო-

ლონიებისაკენ და სხვაგვარი განმარტოებისაკენ, არსებითად, ცოტათი სჯობს კიდევ მათს ლოთობას; შესაძლოა, — მოვლენის თვით სიღრმეს თუ ჩაუუკვირდებით, — სამიკიტნო უფრო ახლობელი იყოს ხალხისათვის, ვიდრე კოლონია მე ამას კერა ვამტყიცებ, არაშედ ვხვდები. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთმა ჩვენმა უპატიოსნესმა მწერალმა ერთხელ ხმამაღლა განაცხადა: „იმიტომ ვკვდები, რომ პატიოსანი ვიყავი“. ეს მძიმე სიტყვებია! და არსად, გარდა რუსეთისა, ასე არ უთქვამთ. ამით გამოთქმულია დამსახურებული საყვედური მთელი ერიოსადმი, მთელი საზოგადოებისადმი. მაგრამ თუ იმიტომ იხოცებოდნენ, რომ პატიოსნები იყვნენ, ხომ შეიძლება, რომ სმასაც ამიტომ გადაჰყოლოდნენ? მაქვს თუ არა უფლება, სამიკიტნოში ვპოვო დასვენება საშინელებათაგან, რადგან სხვა ადგილი ჩემთვის, ჩემი გაწამებული სულისათვის, არ მოიპოვება? საზოგადოება კატეგორიულად მიპასუხებს: „არა გაქვს ამის უფლება!“ მიუხედავად ამისა, თვითონ ეს საზოგადოება თავისი მოქმედებით ყოველთვის მოგაგონებს ფსალმუნს „რად აღიძრეს წარმართნი“ და ყრუა ისეთი აღსარებისადმი, როგორცაა: „იმიტომ ვკვდები, რომ პატიოსანი ვიყავი“. ეს არ აღწევს მის შეგნებამდე.

მოჰყვა ანექდოტებს ცენზურის სისულელეებზე; იცინოდა გულკეთილად; შემდეგ, დაღლილი, კარგა ხანს ჩუმად იყო; ბოლოს ამოიოხრა და თქვა:

— საერთოდ, ყმაწვილო, მწერლობა წმინდა რუსეთში ძნელი თანამდებობაა. როდისმე დაიბადება ჰქვიანი კაცი, მიმოიხედავს, დაფიქრდება და, შესაძლოა, დაწეროს რუსი მწერალ-რაზნოჩინეცის თავგადასავალი. ეს მეტედ ჰქუის სასწავლი ამბავი სასარგებლო იქნება საზოგადოებისთვისაც. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიგოთ, რაოდენ შეუძლებელია ჩვენში — შესაძლებელი. რუსული კალამბურია: შესაძლებელი — შეუძლებელია.

ძლივს იჭდა სკამზე, თვალები ამღვრეული ჰქონდა, თავი მძიმედ დაეხარა გულმკერდზე. და როდესაც ვუთხარი, რომ ტყუილად ძალიანობს, აჯობებდა დაწოლა, რადგან, როგორც ჩანს, ძალიან ავად არის, ნ. ე-მა ღიმილით მიპასუხა:

— ათი წელია, ავად ვარ.

ერთხელ ხალხში ვნახე; ქალაქში ახალი მოძღვრების საქა-
დაგებლად ტოლსტოის-მიმდევარი ჩამოვიდა, ხალხი შეგროვ-
და, რომ მოესმინათ მისთვის, კარონინიც მოვიდა ცოლითურთ.

პროპაგანდისტი ახალგაზრდა იყო, ხამის ბლუზა-შარვალი
და მძიმე, უხეში ჩექმები ეცვა; არტისტულად იფხანდა გვერ-
დებს, თავის გაქნევით ისწორებდა თმას, თითქოსდა მართლაც
ნამდვილი მუჟიკიაო, ტაატით დადიოდა ოთახში, მშრომელი
კაცის რაღაცნაირი განსაკუთრებული სიარული ჰქონდა და
ყველას ისეთი ადამიანივით უყურებდა, რომელიც უნივერსა-
ლურ ჰეშმარიტებას ფლობს, — შემწყნარებელი და; ამასთა-
ნავე, გულგრილი თვალებით, თითქოს ეუბნებოდა:

„ღიახ, მე ამოვხსენი ცხოვრების ყველა გამოცანა და თუ
გნებავთ, მოგახსენებთ კიდევ მას“;

აშკარად კმაყოფილი იყო იმით, რომ შეძლო „გაუბირე-
ბა“, მაგრამ საჭირო შემთხვევაში მაინც ხმარობდა ხოლმე
ცხვირსახოცს. ლაპარაკობდა „ჩვენებურად, უბრალოდ, სოფ-
ლურად“, მაღიანად და დაბეჯითებით წარმოთქვამდა „ნამდ-
ვილ“ სიტყვებს — «брюхо», «негоже», «стал-быть», «не
заманите», ერთი სიტყვით, ასრულდება ჩინებული ამტანობი-
სა და საქმისადმი სიყვარულით გამსჭვალული უბრალო მუ-
ჟიკის როლს. მან იმით დაიწყო, რომ კრიტიკულად განიხი-
ლა სოციალური ყოფის ყველა პირობა და დაუმტკიცა მსმე-
ნელებს, რომ მათ თავად მიუძღვით ბრალი ცხოვრების ყველა
უბედურებაში, რადგან მხდალები, მატყუარები, ორპირები
და ზარმაცები არიან. ადამიანებს ამ დღეს ჰეშმარიტების მოს-
მენა სწყუროდათ და წინასწარმეტყველების მკაცრი კიცხვა
მათ მორჩილებით, უსიტყვოდ მიიღეს. მაგრამ, ორატორისა
და ხალხის საუბედუროდ, მსმენელთა შორის აღმოჩნდა დასუ-
ლიერო აკადემიის ყოფილი სტუდენტი — ჩოფურა, გაბურძ-
ნილი კაცი, რომელსაც სძულდა რაციონალიზმი, რაც ხელს
არ უშლიდა, მას სამი წლის განმავლობაში ყაზანის უნივერ-
სიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ესწავლა. ეს კაცი შეეკა-
მათა ტოლსტოელს და ნახევარი საათის შემდეგ ორივემ გაშ-
მაგებით დააყარა ერთმანეთს ციტატები სახარებიდან, ეკლე-
სიების მამათა შემოქმედებიდან და ლ. ნ. ტოლსტოის რელი-
გიური წიგნებიდან; სტუდენტი კითხულობდა მათ და უმტკი-

ცებდა ტოლსტოელს, რომ მას ვერ გაუგია თავისი მასწავლებლის აზრები, ხოლო გაუბრებელი კაცი ბრაზობდა და უკვე ისეთ სიტყვებს ხმარობდა, რომლებიც ყველას როდი ესმოდა, როგორცაა „პრედიკატი“, „ანტინომია“; სტუდენტი ამხელდა ტოლსტოელს, რომ მას სწორად არ ესმოდა ფილოსოფიური ტერმინები. ქარბორბალასავით ტრიალებდა ეს მოსაწყენი ყვირილი; ყველა მსმენელი მოიქანცა.

კარონინი ხალხით გაქედილი და თამბაქოს კვამლით გაბურული ოთახის კუთხეში იჯდა; მობუზულიყო, ხანდახან ჩუმად ჩაახველებდა ხოლმე, გეგონებოდათ, დავას არ უსმენსო, თანაც თითებით წვერს იფოცხავდა. იფიქრებდით: რაც აქ ხდება, მისთვის უცნობია, თავს უცხოსავით გრძნობს ამ განაწყენებულ, წარბუშკარულ ან დაჩაგრულ და მორჩილ ადამიანთან შორის, რომელთა წრეშიაც დაუღალავად შებმია ერთმანეთს ორი ფილოსოფოსი. მწერლის მოხრილი ზურგი რკალად მოდრეკილიყო, ჩამოშლილ თმებს მისი სახე დაეფარა; სულ მოველოდი, რომ იგი სადაცაა ადგება, ცოტათი, ოდნავ გაიმართება წელში, წინ გადმოიხრება და დამაჯერებელი ხმით იტყვის:

„კმარა!“

— ეს კვიეტიზმია — უყვიროდა სტუდენტი ტოლსტოელს, ტოლსტოელი კი მას ეძახდა „პოზიტივისტს, რომელსაც პოზიტივიზმისა რცხენია“.

კარონინი შეუმჩნევლად ადგა და გავიდა მეზობელ ოთახში, სადაც დავისაგან დაღლილი რამდენიმე კაცი იჯდა. ვილაკამ ჰკითხა:

— კვლავ მოსაწყენია?

— როგორც სემინარიაში — ჰომილეტიკის გაკვეთილზე, — მიუგო კარონინმა.

შემდეგ ჰკითხეს, როგორ მოსწონს მქადაგებელი;

ყელი მოისრისა, მოგვიანებით და უხალისოდ უპასუხა:

— წანამძღვრები ძლიერი და სარწმუნოა, ხოლო დასკვნები — უსუსური და გულუბრყვილო. ჩემი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ მან არც ლოგიკა უვარგა და არც გრძნობა არ გააჩნია. მასწავლებლობა, აღზათ, იმიტომ კი არ გადაწყვიტა; რომ ადამიანები ეცოდნება და მათთვის კარგი სურს, არამედ,

იმიტომ, რომ სიამოვნებს, ხალხს ჰკუთნა ასწავლოს. უსულგულაა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ წავიდა, მასპინძელს არც გამოშვიდობებია, ხოლო მე და კიდევ ვილაყამ გავაცილეთ.

ცალი ხელი წვერში ჩაემალა, ნელა მიაბიჯებდა და წყნარად ლაპარაკობდა:

— სლებცოვის ჰკვიანი რიაზანოვი ამბობს: „არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, თვით ყველაზე საინტერესო საქმე ისეთ უბრალო და ნათელ რამედ გვეჩვენა, რომლის ცქერა მოსაწყენია“. აი, ამ ფრანტმაც ისე გააშუქა მთელი ცხოვრება, რომ იგი ჩემთვის მოსაწყენი გახდა. რიაზანოვმა შემდეგ მაინც აღიარა, რომ „ეს ცხოვრება კი არა, ეშმაკმა უწყის, რა არის, რაღაც აბდაუბდააო“. გაივლის ორი-სამი წელი და ეს ფრანტიც მიხვდება, ეშმაკმა უწყის, რა მოჩმახა. შესაძლოა, არც კი თქვას — თავმოყვარეა; არ იტყვის, ადგება და ტყვიას იკრავს შუბლში. მაგრამ თუ თქვა, უეჭველია, ყველას გასაგონად იტყვის, რომ მთელ მსოფლიოს დაანახვოს¹.

— აშკარაა, რაღაც საერთო აქვს სკეპტიკოს რიაზანოვთან, თუმცა რჩულის მოძღვრის სამოსელით გვევლინება, — ამბობდა კარონინი. ნელა და თან ისე, თითქოს რამეზე ფიქრობსო. — ჩემი ცოლი უსმენს მას და გამუდმებით ხელს მკრავს გვერდში, მეჩურჩულება: „აი, ამაზე დაწერე მოთხრობა“. დაწერა შეიძლება და საქიროც არის. იმაზე ადვილი არაფერია, კაცს სხვისი საბურველი შემოაცალო და აჩვენო, რომ სხვის სამოსელში გახვეული თავისი საკუთარი საპყრობილიდან გაქცეული პატიმარია. გაიგონეთ, რა თქვა? „რწმენა — ეს არის მთელს მსოფლიოში გავრცელებული სიყვარული“. მოგონილი სიტყვები როდია. ისინი გულისხმობენ რაღაცნაირი თვინიე-

¹ კარონინის წინასწარმეტყველება მალე საოცარი აზრით ახდა: მისი გარდაცვალების წელს თავგამოდებულმა ტოლსტოელმა ნ. ილინმა დაბეჭდა თავისი სათაქილო, მუვიბალა „დღიური“; ცოტა ხნის შემდეგ „ტოლსტოელობის“ ერთ-ერთმა მთავარმა მქადაგებელმა მ. ნოვოსელოვმა ყვირილი იტენა ლევ ნეკოლოზის ძის წინააღმდეგ „პრავეოსლავნოე ობობრენიემი“; „ბოროტების არა ქმნისა“ და „ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწყველობის“ ზეგრი ყოფილი მქადაგებელი გამოვიდა „ახალი მოძღვრების“ სხატეპო კანტიკით.

რი, მკვერეტელობითი არსებობის შესაძლებლობას. ვის ურჩევს მკვერეტელობას, რუსეთის მკვიდრს?

მხარზე ხელი წამატანა და მკითხა:

— თქვენზე, კოლონისტო, მგონი, იმოქმედა ამ ქადაგებაში?

ღიას, მე დამთრგუნა ყოველივემ, რაც ვნახე, განსაკუთრებით იმან, რომ სრულებით ვერ გავიგე ფილოსოფიური სიტყვები. მე ვთხოვე, სახლში შესვლის ნება დაერთო.

— მობრძანდით! — მითხრა მან.

კარონინთან ვნახე კოზლოვის მიერ რუსულად გამოცემული სპენსერის, ვუნდტის, ჰარტმანის წიგნები და შოპენჰაუერის „ნების თავისუფლების შესახებ“, მეორე დღეს რომ მივედი, სწორედ იმით დავიწყე, რომ ვთხოვე, მოეცა რომელიმე ეს წიგნი, რომელიც უფრო „ადგილი“ იყო. სასაცილოდ განცვიფრებული სახით შემომხედდა, წვერი მოიჩეჩა და მითხრა:

— არა შეჯდა მწყერი ხესა

შემდეგ მშობლიურად დამიწყო დარბევა:

— რად გინდათ? ამას შემდეგ, დასვენების დროს წაიკითხავთ. ახლა კი ფილოსოფიას ხემნიცერის იგავით — „მეტაფიზიკითაც“ გაეცხობით, მასში ყველაფერი გასაგებია. ჩვენთვის ჭერ ადრეა ფილოსოფოსობა, საამისო მასალა არა გვაქვს, ფილოსოფია — ეს ხომ ყველა ცოდნის ჯამია სიცოცხლის შიშსახებ. მე და შენ კი რა ვიცით? მარტო ერთი რამ: აი, სადაცაა გამოჩნდება პოლიციელი და უბანში წაგვიყვანს. წაგვიყვანს და იმასაც კი არ გვეტყვის, რატომ. რომ გვცოდნოდა, რითვის, კიდევ ჰო, მაშინ შეიძლება გვეფილოსოფოსა თემანზე მართებულად წაგვიყვანა საპოლიციო უბანში თუ არა და თუ ამის გაგებასაც გიკრძალავენ, რალა ფილოსოფია შეიძლება? არა, აქ ფილოსოფიას ადგილი არა აქვს...

ოთახში გრძელი ნაბიჯებით დადიოდა. მხიარული იყო, მოხუშარი, თითქოს გამოჯანმრთელდაო ამ ღამის განმავლობაში, და მის თვალეში კიაფობდა ღმობიერი სიხარული.

— რუსები მუდამ ძალზე ცუდად ფილოსოფოსობენ, თუმცა ზოგი მათგანი სემინარიაში სწავლობდა. მაგრამ, ალბათ, ფილოსოფოსობის უნარი ჩვენი ეროვნული მიდრეკილების მიღმაა. ოცნება გვიყვარს ბაშკირებზე, ვფილოსოფოსობთ

კი სამოედებივით, თუმცა, სამოედები, ალბათ, ფუჭ რამეზე დროს არ ხარჯავენ. მაგრამ ვაწარმოთ „სამოედი“ ასე: თავის თავს ჭამს. ეს სწორი იქნება: ჩვენი დევიზია არა „იციანი თავი შენი“, არამედ — შეყლაპე თავი შენი. და ვყლაპავთ კიდევ. აიღეთ გერმანელი: მისი ფილოსოფია კონნისა და მოქმედების შედეგია. ჩვენში კი იგი ესმით, როგორც ცხოვრების გეგმა, ხვალინდელი დღის განრიგი. ეს არ ვარგა, გესმით? არა, ჯობს, საქმეს მოჰკიდოთ ხელი, თქვენ ხომ სალდათობა მოგვლით — ალბათ, შემოდგომაზე გაგიწვევენ!

მე ვუპასუხე, რომ სალდათობა არ მაშინებს, პირიქით — მასზე დიდ იმედებს ვამყარებ-მეთქი: დამპირდნენ, რომ ტოპოგრაფიულ რაზმში ამიყვანდნენ და პამირზე გამგზავნიდნენ, იქ კი მე...

— დილა მშვიდობისა! — მითხრა მან, ჩემ პირდაპირ გაჩერდა და თავი დამიკრა. — რა ალიაქოთი გქონიათ თავში: კოლონიები, პამირი, ფილოსოფიის შესწავლა — ოღონდაც რომ შესანიშნავი რამ არის! ჭაბუკო, თქვენ უნდა განიკურნოთ ამ კრუნჩხვისაგან.. ან — ჯობს წახვიდეთ კოლონიაში, აი, მაგალითად, სიმბირსკის კოლონიაში...

მოვიდა ვიღაც წითური მამაკაცი, მეშჩანურად ჩაცმული, მაუდის ჩუიკითა და მაღალი ჩექმებით გამოწყობილი. ნიკოლაი ელპიდინფორის ძეს სახე გაუბრწყინდა, აფუსფუსდა და ბაეშეს დაემსგავსა, რომელმაც სიხარულისაგან აღარ იცის, რა ქნას: იმის ნაცვლად, რომ გაეთავისუფლებინა წიგნებითა და გაზეთებით დახერგილი ერთ-ერთი სკამი, გულმოდგინედ იწყო წიგნების აკრეფა მაგიდიდან.

სტუმარმა ხელი წაატანა სკამის ზურგს, სკამიდან იატაკზე გადმოყარა გაზეთები და დაჯდა, თანაც მღუმარედ და გულმოსულად მათვალთვლებდა, ამასთან, ვეებერთელა ყვრიმალებს ამოძრავებდა.

მე გამოვემშვიდობე კარონინს და ამის შემდეგ აღარ შევხვედრივარ.

მისი ნაცნობობა ჩემი სიჭაბუკის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი შთაბეჭდილებაა, და მე ბედნიერი ვარ, რომ ასე ადვილად გავიხსენე მისი სიტყვები, თითქოს სულ რაღაც ერთი წლის წინათ მომესმინოს ისინი.

საოცრად ნათელი პიროვნება იყო ეს კაცი. ის იყო ერთი იმათგანი, ვინც შეთხზა „სალვთო წერილი“ რუს მუჟიკზე, ვისაც გულწრფელად სწამდა ხალხის უსაზღვრო ძალა — ძალა, რომელსაც სასწაულების მოხდენა შეუძლია.

მაგრამ ნ. ე. კარონინის ეს რწმენა ისეთი ფანატიკური და ბრმა როდი იყო, როგორც სხვა მწერალი-„ნაროდნიკებისა“; ვინც დაავადებული იყო სლავიანოფილური მისტიკით და თითქოს „მომნანიებელ აზნაურთა“ უცხო განწყობილებებით, თუმცა, ეს სენი ბუნებრივია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც განაწამებნი არიან თავიანთი მარტოობით, რომელთაც მოუხდათ ორ ცეცხლს შუა — ნახევრად ველური მთავრობისა და საოცრად დიდი, გავლურებული სოფლის შუა — ყოფნა.

კარონინს გონივრულად სწამდა:

— მაინც კარგია, გვახსოვდეს ალექსეი ტოლსტოის ქვეყანური ლექსი, თუმცა, ტოლსტოი ბატონია.

აღმართა თითი და ოდნავ დარცხვენილმა წაიკითხა „ლექსი“:

არის — მუჟიკი, მუჟიკიცაა,
თუ წლის მოსავლს არ დაამღერებს,
ბატვის ვცემ მე მის მუჟიკურ ხელებს.

მუჟიკი ჯერ გონიერ ადამიანად უნდა ვაქციოთ, რომელსაც უნარი ექნება, გაიგოს თავისი დანიშნულება ცხოვრებაში, შეიგრძნოს თავისი კავშირი მთავრობის ბრჭყალებით მასავით შევიწროებულთა მთელ მასასთან.

მან ბევრი რამ განჰკრიტა წინასწარ, მისი ზოგიერთი აზრი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ერთი გაცხოველებული საუბრის შემდეგ, რომელიც ეხებოდა ჩვეულებრივ თემას — „რა ვაკეთოთ“, მან პირქუშად თქვა:

— ეჰ, ილაჯი გაუწყდება ხალხს ცხოვრებაში დასამკვიდრებელი ადგილის ამ ძიებით და ისეთი ეგოიზმის მორევში ჩაიძირება, რომ ეშმაკებისათვისაც კი შემზარავი იქნება!

ცხოვრობდა მხოლოდ ლიტერატურული შემოსავლით, ხშირად შიმშილობდა, ხშირად უწყევდა ქალაქში ხეტიალი, რომ ნაცნობებისაგან მანეთი ესესხა.

ერთ ასეთ დღეს ძველმანების ბაზარში დაეინახე, მეძველმანე მისგან ტყავის ღვედსა და ძილეტს ყიდულობდა. მობუ-

ზული იდგა რომელიღაც სათვალთან. გაიძვერას წინაშე, ახველებდა, პიჯაკი გაეხადა, ბლუზის ამარა იყო, დაბეჭითებით ეუბნებოდა მეძველმანეს:

— გამიგონე, პატივცემულო, აბა, რას გასწვდება ჩვილმეტი კაპიკი?

— ეს მე არ ვიცი...

— ჩვილმეტი კაპიკით ერთ დღესაც ვერ გააჯახირებ...

— უფრო ცოტასაც კმარობენ, — გულცივად მიუგო გაიძვერამ.

კარონინი ჩაფიქრდა და დაეთანხმა:

— მართალია! კმარობენ! მომეციოთ ფული.

მივესალმე. მან პიჯაკი ჩაიცივა და მითხრა:

— მე, აი, ჩემი ტყავის ნაწილი გაცვიდე. ასეა, ბატონო! რომ იმუშაო, უნდა ქამო...

ხშირად ლაპარაკობდა იმ ადამიანებზე, რომლებსაც უძძიმთ ცხოვრება. მაგრამ არასოდეს მსმენია მისგან საყვედური თავისი ნახევრადმშვიერი ცხოვრების გამო, და მეჩვენებოდა, რომ ვერც ამჩნევდა, როგორ ცხოვრობდა, ისე იყო გატაცებული „სიმართლე-სამართლიანობის“ ძიებით. და როგორც მისი მიმართულების ყველა მოაზროვნე ადამიანს, მასაც სწამდა, რომ ეს სიმართლე არსებობს იქ, სოფელში, „უბრალო“ ადამიანთა შორის.

მგონია, იშვიათად თუ ხმარობდა ზმნას „ცხოვრება“. უფრო ხშირად ამბობდა „მუშაობას“. იშვიათად გაიგონებდით მაშინ სიტყვასაც — „ადამიანს“; ამბობდნენ — „ხალხს“.

— „ჩვენ მთლიანად უნდა მოვახმაროთ ჩვენი თავი ხალხს, ამით წყდება ყველა საკითხი“, — წამიკითხა მან რომელიღაც წერილის სიტყვები და, ქალაღის ფურცლებზე თითების რაკუნით, ჩაფიქრებულმა დაუმატა:

— რასაკვირველია. დიახ, რასაკვირველია! სხვაგვარად როგორ იქნება? რისთვისა ვართ საჭირო?

წამოდგა, მიმოიხედა.

— ამას იწერება ერთი კარგი ქალი. გადასახლებიდან.

თვლები ნახევრად მოჭუტა, ოთახის შიშველ კედელს მიაჩერდა და წყნარად მოჰყვა ერთი ქალიშვილის ამბავს: ეს ქალიშვილი ფაქტიურად მისთხოვდა მისთვის სრულიად უცხო

ადამიანს, ლოთს; თავი დააღწია ოჯახს და გარეწარს კი ჩაუქვარდა ხელში. დიდხანს ებრძოდა მას თავისი თავისუფლები სათვის. განაწამები გაეშურა სოფლისაკენ „ხალხის გასანათლებლად“ და ახლა ციმბირში იყინება.

ამას რომ მოჰყვა, ნაღვლიანად დაუმატა:

— მსხვერპლია. უმძიმს მას. ვიცი, უმძიმს! მაგრამ სხვა გზა არ იყო, ბატონო!

იმ დღეებში, როცა განსაკუთრებით გამიჭირდა ცხოვრება, მან მიიჩია:

— თქვენ საოცარი ბუნების კაცი ხართ, ყველაფერში მოუქნელი და როგორღაც განყენებული. თქვენთვის მართლაც რომ კარგი იქნება კოლონიაში ცხოვრება, ტოლსტოელებთან, ისინი ცოტათი გაგწვრთნიან...

თანდათან უფრო დაინტერესდა „მაწანწალებით“. სამჯერ ვნახე კარონინი „მილიონის“ ქუჩის ჯურღმულებში, და მე მომეჩვენა, რომ, ცოტა არ იყოს, აძრწუნებდა მისი ნაროდნობული რწმენისადმი ეს უცხო გატაცება:

— უკმეხი ხალხია, — ამბობდა იგი. — ძალიან საინტერესო ტიპები არიან. ცხადია, ხელიდან წასული ხალხია, მაგრამ ზოგიერთები მაინც ფიქრობენ... ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს...

ხალხის ბედისათვის გამუდმებულ ზრუნვაში გაატარა ცხოვრება, ლუკმაპურისათვის განუწყვეტელ ზრუნვაში, და ეს დაძაბულობა, ნერვიულობა ძლიერ ეხმარებოდა ავადმყოფობას, დაეშალა საპყრობილით, ეტაპებით, გადასახლებით განაწამები მისი სხეული. სულ უფრო აგზნებულად ანათებდნენ მისი თვალები, უფრო მშრალი ხდებოდა მისი ხველები.

ნიენიდან გაემგზავრა და მალე გარდაიცვალა.

ვილაცამ მიამბო, რომ სიკვდილის დღეს კარონინმა ნაღვლიანად აღიარა:

— თურმე სიკვდილი გაცილებით იოლია, ვიდრე სიცოცხლე.

სიმონ პოლიაჩევი

სიმონ პავლეს ძე პოლიაჩევი მოსკოვის გუბერნიის დმიტროვის მაზრის გლეხია. ამჟამად სამოც წელს არის გადაცილებული, ცხოვრობს სოფელში, როგორც ჩვეულებრივი გლეხი, რომლის ყოფაც ასე უბრალოდ და საშინლად არის აწერილი მის წიგნებში. მას აქვს საბოსტნე მიწის ნაკვეთი, რომელსაც თვითონ ამუშავებს, უდგას უხეირო ქობი, ჰყავს მცირემცოდნე ცოლი — ყველაფერი ისე, როგორც ნამდვილ მუჟიკს შეეფერება.

1902 წელს „რუსსკოე ბოგატსტვოში“ დაიბეჭდა ნარკვევები „გაჭირვება (მუშათა სახლში)“, რომელთა ქვეშაც გამოჩნდა ახალი გვარი — სიმონ პოლიაჩევი. ლიბერალურმა პრესამ ეს ნარკვევები მიიჩნია „მამხილებელ“ მასალად და ატეხა ხმაური, საყვედურებით თავს დაესხა მოსკოვის „ქალაქის მამებს“ „მუშათა სახლში“ არსებული წესების გამო. ამან გამოიწვია ამ დაწესებულების რევიზია. ამ მართალმა ნარკვევებმა ბევრი ქება არგუნეს ავტორს, — აქებდნენ იმისათვის, რომ უბრალოდ და გაბედულად დაწერა სიმართლე.

ძალიან კარგად მახსოვს, რომ ამ ახალი ნარკვევების პირველმა კითხვამ არცთუ ისე სასურველი შთაბეჭდილებები აღმიძრა მის ავტორზე; ამგვარად ბევრი წერდა და წერს. მაგრამ „რუსსკოე ბოგატსტვოს“ ბელეტრისტიკის განყოფილებას რედაქტორობდა ვ. გ. კოროლენკო, მის შეფასებას ვენდობოდი, პოლიაჩევის ნარკვევები კი დაბეჭდილი იყო „პირველ ადგილას“, — ამით რედაქტორები მკითხველის ყურადღებას მიაქცევდნენ მისთვის განკუთვნილი ნაწარმოების მნიშვნელობას.

როცა კიდევ ერთხელ გადავიკითხე ნარკვევები, პოლიაჩევის მოთხრობის კილოში შევამჩნიე რაღაც, ვორონოვისა და ლევიტოვის „მოსკოვის ქუჩაბანდების ზნე-ჩვეულებებს“ რომ მაგონებდა; ვორონოვი და ლევიტოვი კი ისეთი მწერლები იყვნენ, რომელთათვისაც უცხოა სანტიმენტალიზმი და ხალხთაყვანისმცემელთა მოსაყირკებელი ტყბილსიტყვაობა. გარდა ამისა, ვიგრძენი კიდევ რაღაც თვით პოლიაჩევისა, რაღაც თითქმის მოუხელთებელი, მაგრამ თავისებური.

მის შემდგომ მოთხრობებს თვალი რომ მივადევნე, მივხვდი, რომ მათ წერს „უბრალო“, მაგრამ ფხიზელი სულის ადამიანი, ცხოვრებისაგან მწარე საგონებელში ჩაყარდნილი. სიმონ პოლიაჩევი სოფლის ამბავს მოგვითხრობდა მოსკოვის ოლქის ნამდვილი რუსული ენით, არ ცდილობდა, შეეღამაზებინა უცხო სიტყვებით; მოგვითხრობდა დაფიქრებულნი, უხმაუროდ და ყოველთვის თითქმის კითხვის კილოთი: „ნუთუ ყველაფერი ეს შეიძლება, ადამიანურ ცხოვრებად მივიჩნიოთ? განა ასეთები უნდა იყვნენ ადამიანები? მაგრამ ასეთ პირობებში განა შეიძლება ისინი სხვაგვარნი იყვნენ?“.

მაშინ კიდევ არ ვიცოდი, რომ იგი „მუჟიკია“, სოფელში ცხოვრობს, „გლეხობს“; რომ ძალიან ღარიბია, ხოლო თანასოფლელებს არ უყვართ და დასცინიან იმი გამო, რომ „წერს“. მისი მოთხრობების წყნარ კილოში მე მესმოდა საოცარი დაუნდობლობა, რომელშიც, მიუხედავად ამისა, მაინც არ იგრძნობოდა გულქვაობა. იგი გულმართალ მოწმესავით მოგივახრობთ და არ კისრულობს მოსამართლის როლს, მაგრამ მოსამართლეზე უფრო მკაცრია თავისი დაჟინებული სიმტკიცით, რითაც ხატავს ადამიანებს ისე, როგორც ხედავს და გრძნობს მათ; ის იცნობს მათ, როგორც მუშაკაცი თავისი ხელისგულის კოჭრებს, როგორც თავისი კუნთების ტკივილს.

პოლიაჩევა, რომელიც ასე ტანჯვით განაგრძობდა ცხოვრებას, როგორც ამას ხატავს თავის ბევრ ნაწარმოებში, მოიხრობების მრავალი წიგნი დაწერა და გამოსცა. შრომით, ხშირი მშობიარობით, ბავშვების მოვლით განაწამებ მცირემკოდნე ცოლს არაფერი ესმის ქმრისა, რომელიც წელში საშად მოხრილი მისჯდომია ღამით მაგიდას და ნაეთის ოცკაპიკიანი ლამპის ბუნდოვან სინათლეზე რაღაცას წერს. თანასოფ-

ლელ მუჟიკებისათვისაც უცხოა და საეჟვო ეს კაცი, რომელიც სხვაგვარად ლაპარაკობს და ფიქრობს, ვიდრე ისინი არიან ჩვეული. მაგრამ საჭირო არ არის პოლიაჩევის ცხოვრების ამბებია მოყოლა, თვითონ საკმაოდ მკვერპეტყველურად ლაპარაკობს ამაზე.

მაგრამ, აი, რა ფიქრებს აღგვიძრავენ მისი მოთხრობები: ორმოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის ყველა რუსი მწერალი დაეინებით და გრძნობიერად ხატავდა რუს მუჟიკს, როგორც განსაკუთრებული ტიპის არსებას, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, სწყურია „საღმრთო კეშმარტება“, ხოლო შემდეგ — მიწა; წერდნენ, როგორც „უბედურებისა თუ ბედნიერებისაგან“ გალოთებულზე, მოჩხუბარზე, რომლისთვისაც კაცის მოკვლა უბრალო საქმეა; წერდნენ, როგორც „ღვთისმოსავეზე“, რომელიც მოწოდებულია, იხსნას ქვეყანა სიმაართლის გამარჯვებისადმი რწმენის დაუშრეტელი ძალით. სოფლის ცხოვრებას მწერლები მსუბუქი, ნათელი საღებავეებით ხატავდნენ, თანაც გულწრფელად და ხმაშაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას სოფლის ყოფა-ცხოვრების უბრალოებით; მიუთითებდნენ, რომ ამ უბრალოებაში ჩამალულია დიდი სიბრძნე; რომ სოფლიდან მოეფინება ქალაქს ნათელი კეშმარტების შუქი. ლაპარაკობდნენ სოფლის ცხოვრების „სიწმინდეზედაც“ კი და მიუთითებდნენ, რომ იქ უნდა ისწავლონ ცხოვრება ცოდვილმა და მოუსვენარმა ადამიანებმა, რომლებმაც შექმნეს ქალაქის შფოთიანი, რთული, მოუსვენარი, აღვირახსნილი ცხოვრება და იღუპებიან, წვალობენ მასში, ვით ბინძურ ჯოჯოხეთში. ბევრს აღაფრთოვანებდა მუჟიკის „მოთმინების“ უნარი, — მომთმენი კაცი ძლიერ სასარგებლოა იმ ადამიანებისათვის, ვინც წყნარი ცხოვრების მოუთმენელ წყურვილს შეუბყრია.

განსაკუთრებით ასხამდა ხატბას სოფლის ცხოვრების სიბრძნეს და მუჟიკური სულის ყმაწვილურ უბრალოებას დიდი ლ. ნ. ტოლსტოი; მისი დამაჭერებელი ხმის მიბაძვით ამასვე წერდნენ კიდევ ბევრნი, მაგალითად, ერტელი და ტოლსტოურ-ნაროდნიკული შერეული მიმართულების სხვა, ნაკლებმნიშვნელოვანი მწერლები; ისინი აჭერებდნენ მკითხველს სოფელზე თავისი თვალსაზრისის სიმაართლეში არა მის შესა-

ხებ დაწერილი მოსაყირკებლად ტკბილი მოთხრობების ხარისხით, არამედ მათი რაოდენობით; ამ ჯგუფის მწერლები-სათვის სოფელი წარმოადგენდა კერძს, რომელსაც ისინი გულწრფელად და განუწყვეტლივ შეჰქადადებდნენ გულაჩუყების, ალტაცებისა და სიბრაღლის ზეიმურ გალობას.

ქება-დიდების ამ გუნდში იძირებოდა სოფლის ცხოვრების ჩინებული მეთვალყურისა და დიდი გონიერი კაცის გლებ უსპენსკის გამაფრთხილებელი ხმაც კი; მაგრამ მაინც, მისი გავლენისა და, აგრეთვე, სოციალ-დემოკრატიის იდეების წყალობით, სოფელში თანდათან იცვლება მუჟიკისადმი დამოკიდებულება, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი უფრო კრიტიკული და დაკვირვებული ხდება. ამ დამოკიდებულებას საზოგადოება და ჟურნალისტიკა არცთუ ისე სიამოვნებით შეხვდა, რადგან ძნელია დამკვიდრებულ შეხედულებათა და კერპთაყვანისმცემლურ დამოკიდებულებათა სიმტკიცის შერყევა.

მხატვრულ ლიტერატურაში მუჟიკის შესახებ პირველად ახალი და დამაჯერებელი სიტყვა თქვა ვ. გ. კოროლენკომ მოთხრობით „მდინარე აცნობს“, შემდეგ ა. პ. ჩეხოვმა ზედიზედ დაწერა სამი შესანიშნავი მოთხრობა: „მუჟიკები“, „ახალი აგარაკი“ და „ხრამში“. მის მოთხრობებს ნაროდნიკულად მორწმუნე საზოგადოება მტრულად შეეგება, როგორც მუჟიკთა ძაგებას. მაგრამ ჩეხოვის შემდეგ უფრო გარკვევით დაიწყო სოფელზე უარყოფითად წერა ი. ა. ბუნინმა; მისი დამოკიდებულება სოფლისა და მუჟიკისადმი განსაკუთრებით მკაცრი მოთხრობებში — „ღამის საუბარი“, „ას რვა“, „ზახარ ვორობიოვი“ და დიდ მოთხრობაში „სოფელი“.

სოფლის ცხოვრებისადმი ბუნინისა და ჩეხოვის დაკვირვებების სიმართლისა და სისწორის სასარგებლოდ ყველაზე მკვევრმეტყველურად და დამაჯერებლად თვითონ სოფელი ლაპარაკობს მუჟიკი მწერლების ენით: მოსკოვის მახლობელი მუჟიკის სიმონ პავლეს ძე პოდიაჩევისა და ორიოლელი ივანე ეგორის ძე ვოლნოვისა, რომლის წიგნში „სიტჯაბუკი“¹ სოფელი დახატულია კიდევ უფრო მუქი ფერებით, ვიდრე ჩეხოვისა და ბუნინის საღებავებია.

¹ Ив. Вольнов. Юность. Изд. «Земля и фабрика» (ЗИФ), 1926 г.

პოლიაჩევსა და ვოლნოვს უნდა დაეუჭეროთ, ისინი თერთონ არიან სოფლის ადამიანები, ორივე ცხოვრობს სოფლის ცხოვრებით და არ შეიძლება, არ იცოდნენ, არ გრძნობდნენ მას.

ისმება კითხვა: რატომ დასცილდნენ მწერალი-მუეიკები ასე მკვეთრად ლ. ნ. ტოლსტოისა და ნაროდნიკებს სოფლის შეფასებაში?

უეკველია, სოფელს აქვს ბევრი დამაღონებელი პოეზია და იგი წარგვიტაცებს ხოლმე მგრძნობიარების შეცდომებისაკენ, მაგრამ განუზომლად უფრო მნიშვნელოვანია, როგორც არსებითად, ისე ოდენობით, სოფლის პროზა, მისა ჭერ ისევ ცხოველურ-ეპიკური პროზა. სოფლური იდილიები, რომლებიც ასე იტაცებდა და გულს უჩუყებდა ყველა ჭურისა და მიმართულების „ნაროდნიკს“, ძალზე შეუძმინეველია გლეხის ყოველდღიური ცხოვრების მთლიან დრამაში.

სოფლის ჩამორჩენილობა შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ მსხვილი მრეწველობით. უნდა შეიქმნას საოცრად ბევრი სასოფლო-სამეურნეო მანქანა — მხოლოდ ისინი დაარწმუნებენ მუეიკს, რომ საკუთრება ჯაჭვია, რომელიც მას მხეცივით ბორკავს; რომ საკუთრება სულიერად უსარგებლოა მისთვის; რომ უაზრო შრომა არაპროდუქტიულია და რომ მხოლოდ მეცნიერებით დისციპლინირებული, ხელოვნებით გაკეთილშობილებული გონება შეძლებს, გადაიქცეს თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ წამყვან პატიოსან წინამძღოლად.

რუსული სოფლის სიბეცესა და მიყრუებულობას დაუნდობლად რომ ამხელდა, პოლიაჩევს არასოდეს არ ავიწყებოდა, რომ იგი წერდა ადამიანებზე, თუმცა ძალიან „გაუნათლებლებზე“, მაგრამ მაინც ადამიანებზე, რომელთა წრიდანაც, მიუხედავად ამ წრის ყოფა-ცხოვრების მხეცური პირობებისა, სულ უფრო ხშირად გვევლინებიან ჩაბიგინები, ესენინები, კლუეეები, ივანე ვოლნოვები და ა. შ.

აღარ მახსოვს, ვინ დაწერა — და. დაწერილია კი? — იმის შესახებ, თუ როგორი სიყვარული იცის ან როგორ ეკვიანობს მუეიკი, როგორ ჰქმნის იგი თავისი ცხოვრების უბედურებასა და მწუხარებაზე აგებულ სიმღერებს და, საერთოდ, რო-

გორია იგი თავისთავად შინაგანად. რამდენადაც მახსოვს, სიმონ პოდიაჩევიმ თავის მოთხრობა „ბოროტებაში“ პირველმა ძალიან უბრალოდ და საშინლად დახატა, თუ როგორ ექვიანობს მუჟიკი თავის ცოლზე. ეს ა. ერტელმაც სცადა (მოთხრობაში „ორი წყვილი“), მაგრამ იმით გატაცებულმა, რომ ემხილა ბატონების სულიერი იმპორტენცია, ისე „გააგმრიელა“ სოფლის ბიჭი და გოგო, რომ ისინი ტულის ნამცხვრებს უფრო დაემსგავსნენ, ვიდრე ადამიანებს.

როცა ს. პ. პოდიაჩევს გავეცანი, მასში დავინახე ერთ-ერთი იმ ნიჭიერ რუს ადამიანთაგანი, რომელთაც ათეულობით შეხვედრივარ ჩემს ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, ბევრი ნიჭიერი რუსი ადამიანი იღუპება შრომის უაზრო კატორღაში, დუქნებსა და ჭურღმულეებში, მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებიც მხოლოდ იმიტომ იღუპებიან, რომ ეზარებათ, თავს ძალა დაატანონ და ამოხობდნენ ჯოჯოხეთური ცხოვრებიდან.

სიმონ პოდიაჩევიც უნდა დაღუპულიყო. მაგრამ მან გაუძლო თავისი ქვეყნისათვის დიდი და საჭირო კაცის მკაცრ გამოცდას და სოფლის ცხოვრებაზე ბევრი ისეთი რამ მოგვითხრო, რაც სხვამ ვერ შეძლო. მისი სახელი რუსული ლიტერატურის ისტორიაში დარჩება, როგორც ისეთი კაცის სახელი, ვინც სოფელი დაგვიხატა მთელი მისი საშინელებით, რომელიც — იმედი უნდა ვიქონიოთ, — მალე და სამუდამოდ ჩაბარდება ისტორიას. მის წიგნებს რომ წაიკითხავს, თანამედროვე ახალგაზრდობა აღარ მიიხედავს უკან იმ სინანულით, რომლითაც სამოციანი-სამოცდაათიანი წლების მოხუცები მიიხედავენ ხოლმე ბატონყმობისაკენ, ხოლო ჩვენი დღეების მოხუცნი იგონებენ რევოლუციამდელ ცხოვრებას. პოდიაჩევის წიგნები აღძრავენ სიძულვილს წარსულისადმი, ხოლო ამ გამაჯანსაღებელი მძულვარების ჩანერგვას საჭიროებს სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე ამას ოპტიმისტები ფიქრობენ.

სიმონ პავლეს ძე პოდიაჩევი — რუსი მწერალი — ადამიანების მართალი და უშიშარი მეგობარია; ის სავსებით იმსახურებს, რომ მის ნაწერებს ყურადღებითა და ბევრს კითხულობდნენ.

რომენ როლანზე

არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ისეთი ეპოქები, როდესაც არ იმსხვრევა რაიმე „სამუდამო“; როდესაც გონება არ მიისწრაფვის იქით, რომ გაანადგუროს თავისი ნებითე შექმნილი რწმენები და ცრუმორწმუნეობა, რომ ძალ-ღონის საშინელი დაძაბვით იპოვოს უკანასკნელი ჭეშმარიტება, რომლის დაძლევაც მის ძალას უკვე აღარ შეუძლია.

არ ყოფილა, მე მგონია, ეპოქა, როდესაც ევროპის ადამიანებს ეცხოვროთ ურწმენობის, უღონობის, თვითუარყოფის ისეთ ტრაგიკულ მდგომარეობაში, როგორშიაც ისინი ცხოვრობენ ახლა, 1914-1918 წლების წყეული ხოცვა-ჟლეტის საშინელებებით დაბრმავებულნი და საყოველთაო სამოქალაქო კლასობრივი ომის საშინელებათა მოლოდინში.

ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გაჩნდნენ ადამიანები, რომელთა ფილოსოფიაც გამოთქმულია სიტყვებით: „ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა“. გონებრივ და გრძნობად გარყვნილებას ჭერ არ ჰქონია ისეთი საზიზღარი ფორმები, როგორც ჩვენს დღეებში. არასოდეს არ ჩაფარდნიან ხელში ასე უნებისყოფოდ, ასე ანგარიშმიუცემლად ადამიანები სინამდვილის გამრყვნელ გავლენას.

განა შეიძლება წარსულში აღმოვაჩინოთ ისეთი წლები, როდესაც ადამიანებს ასე დიდი მონდომებით, ნებისყოფისა და აზრის ასეთი დაძაბვით ეშრომთ ერთიმეორის გასანადგურებელი საშუალებების აღმოსაჩენად? და არ ვიცით ეპოქა, ესოდენ უკიდურესად ღარიბი რომ ყოფილიყო ჰუმანიზმის, კეთილმოწყალების იდეოლოგიის შექმნის ცდებით. გაველურების ახლანდელ დღეებში ჰუმანიზმზე ლაპარაკი „უზ-

რდებლობად" ითვლება. და თუ, ძველი ჩვევის მიხედვით, მაინც გაიძახიან: „შიებრალეთ ადამიანიო“, — ამას ისე გაიძახიან, რომ არ ფარავენ ადამიანებისადმი მძულვარებას და შურისგებით ემუქრებიან მათ.

ევროპის დაღუპვის, „ევროპის მზის ჩასვენების“ გამო ლაპარაკობენ და წერენ დიდი გატაცებით, ენამახვილურად და „დაგემოვნებითაც“ კი, მაგრამ არ ისმის ხმა ევროპის აღორძინების აუცილებლობის შესახებ.

მრისხანე ღღებია. ყველგან გესმის ნგრევის ყრუ ხმაური, და ყველგან ესოდენ დიდია ბოროტი სევდა. ხოლო როდესაც ადამიანები მხიარულობენ, ამ მხიარულების შეძახილები მაგონებს განწირულთა მხიარულ სიმღერას, რომელიც 1906 წლის შემდეგ რუსეთის ციხეებში შექმნეს სიკვდილმისჯილმა ადამიანებმა:

უკანასკნელი ღღეც მოვიდა
თქვენთან ყოფნისა, მეგობრებო...

მბრძანებელი კლასის აშკარა აღვირახსნილი ფუფუნებით სულ უფრო და უფრო შეურაცხყოფილი მუშა-ხალხი ირაზმება საერთო-ევროპულ არმიად, რომ რკინის ცოცხით აღგავონ ცხოვრებიდან დრომოქმული, დამპალი და ლპობამდე მისული. მე გულწრფელად მივესალმები ამ მუშაობას, თუმცა ისიც მახსოვს, რომ ადამიანი კი არ არის რევოლუციისათვის, არამედ რევოლუცია — ადამიანისათვის. და, რასაკვირველია, მე მეშინია და მძულს სტიქიური და გაღიზიანებული ძალების უგუნურება. ჩემთვის ძალიან ძვირფასია იმ ადამიანების ცხოვრება და მუშაობა, რომლებიც დაულალავად ქმნიან კულტურულ ღირებულებებს ჩვენს შავზნელ ღღეებში.

ერთ-ერთი — და, შესაძლოა, ერთადერთიც — ასეთი მოუღლეო, ეინიანი ადამიანია რომენ როლანი. ჩემს დიდ ღირსებად მიმაჩნია, ვთვლიდე მას მეგობრად, და ამიტომ ჩემთვის მეტად ძნელია მასზე ლაპარაკი. ეს იმიტომ, რომ მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც აუცილებლობად მიაჩნიათ თავიანთ ამხანაგებზე ლაპარაკი, რათა ხაზი გაუსვან მეგობართა იდეოლოგიურ ან სხვა „ნაკლს“. და როდესაც ვკითხულობთ ასეთი ადამიანების მოგონებებს ან აზრებს მეგობართა შესახებ, თითქმის ყოველთვის ვხედავ ამ მოგონებე-

ბისადმი დართულ, ავტორების მიერ დაუწერელ ეპიგრაფს: „მე მასზე ნაკლები როლი ვარ“ ან: „მე მას ვჯობნი“. ასეთი მეგობრების გამო ვფიქრობ, რომ ღმერთის მიერ ადამის შე-რისხვა ბიბლიაში სრულად არ არის გამოქვეყნებული; მგონია, რომ სიტყვებს: „ოფლითა პირისა შენითა სკამდე პურსა შენსა“ ღმერთმა მიუმატა: „და მეგობარს მოგცემ სასჯელად შენდა“. დარწმუნებული ვარ, რომ ბედისწერა დაიფარავს რომენ როლანს ასეთი მეგობრისაგან.

მე, არაკრიტიკოსი, არ მოვუყვები ლაპარაკს მასზე — პოეტზე, „რწმენის ტრაგედიის“, „უან კრისტოფისა“ და შესანიშნავი წმინდა გალუჩი პოემის „კოლა ბრუნონის“ ავტორზე. იგი, შესაძლოა, ჩვენი დღეების ყველაზე განსაცვიფრებელი წიგნი იყოს. სასწაულთმოქმედი გული უნდა გქონდეს, რომ საფრანგეთში, მის მიერ განცდილი ტრაგედიის შემდეგ, შექმნა ასეთი მხნე წიგნი — თავისი მშობლიური ადამიანისადმი, ფრანგისადმი ურყევი და მამაცური რწმენის წიგნი. მე ქედს ვიხრი რომენ როლანის წინაშე სწორედ მისი ამ რწმენისათვის, რომელიც უღერს მის ყველა წიგნში, ყველაფერში, რასაც იგი აკეთებს. ჩემთვის რომენ როლანი კარგა ხანია საფრანგეთის ლევ ტოლსტოია, მაგრამ ისეთი, რომელსაც არ ახასიათებს გონიერებისადმი სიძულვილი, ეს საშინელი სიძულვილი, რუსი რაციონალისტის დიდი წამების წყაროს რომ წარმოადგენდა და ესოდენ სასტიკად უშლიდა მას ხელს...

ამბობენ, რომენ როლანი დონ კიხოტიაო. ჩემი აზრით, ეს ყველაზე უკეთესია, რაც კი შეიძლება ადამიანზე ითქვას. ისტორიის ძალების ჩვენდამი, ადამიანებისადმი, დაუნდობელ თამაშში ადამიანიც სამართლიანობას მოწყურებული ძალაა და შეუძლია წინ აღუდგეს ამ თამაშის სტიქიურობას.

ვლადიმერ ლენინმა შეძლო ნათელეყო, რომ ლევ ტოლსტოის ისტორიის ფილოსოფია ძალიან დაშორებულია ქვეშარიტებას და რომ პიროვნების როლი ისტორიაში მთლად ისეთი არ არის, როგორადაც მას აფასებდა კარლ მარქსი. რ. როლანი უტეხი და მამაცია, როგორც ნამდვილი ფრანგი და ქვეშარიტად თავისუფალი ადამიანი. უნდა გქონდეს საკუთარი სიმართლის მტკიცე რწმენა, რომ იმ დღეებში, როდესაც ლენინის გარდაცვალებით გახარებულნი ათასობით დრომოქმედი

ადამიანი ღვარძლიანად ზეიმობს, წყნარად და მოკლედ უთხრავს: „ლენინი ჩვენი საუკუნის საქმის ყველაზე დიდი ადამიანია და ყველაზე უფრო უანგარო“.

რ. როლანი პირველი იყო, ვინც ევროპის ლიტერატორთა შორის ხმა აღიმადლა ომის წინააღმდეგ. ამის გამო ბევრმა შეიძულა იგი. ოღონდაც — ვის შეუძლია სიმართლისათვის უყვარდეს ადამიანი?

„მოხიბლულ სულში“ იგი, გულით მხატვარი, წინასწარ გრძნობს იმ სხვა, კეთილი სიმართლის დაბადებას, რომელიც დიდი ხანია აუცილებლად ესაჭიროება სამყაროს. იგი წინასწარ ხედავს ახალი ქალის დაბადებას, რომელმაც უნდა შეცვალოს ის ქალი, ვინც ხელს უწყობს ამ სამყაროს დახვრევას; იგი ხედავს იმ ახალი ქალის დაბადებას, რომელსაც, კულტურის ამგზნების თავისი როლი რომ შეიცნოს, სურს, მბრძანებლურად და სრულუფლებიანად შემოვიდეს ცხოვრებაში, როგორც სამყაროს ყველაზე კანონიერი დიასახლისი და მის მიერ შექმნილი, მის წინაშე თავისი საქმეებისათვის პასუხისმგებელი მამაკაცების დედა.

მე მაოცებს რომენ როლანის მტკიცე სიყვარული სამყაროსა და ადამიანისადმი; მე მშურს მისი მტკიცე რწმენა სიყვარულის ძალისადმი. მე არ ვთვლი მას ოპტიმისტად, იგი იდეალური სტოიკოსია. მან, ალბათ, ძლიერ ღრმად შეიგრძნო ჰეშმარიტება, რომელსაც შეიცავს ერთი რუსული ანდაზა: „ყველაფერი წარმავალია, მხოლოდ სიმართლე რჩება“. რ. როლანი, ვინც არ ხუჭავს თვალებს იმ აურაცხელ წამებათა წინაშე, ადამიანებს რომ აწვალებენ და ქრებიან, რათა დაგვიტოვონ წმინდა და მშვენიერი სიმართლე, მამაკცურად და რწმენით აკეთებს პოეტისა და მოაზროვნის საქმეს, რომელიც თავად იტვირთა.

არასოდეს არ მინახავს იგი, მაგრამ ვფიქრობ, რომ როლანს მშვიდი და სევდიანი თვალები აქვს. ხმა კი — წყნარი, მაგრამ მტკიცე.

და ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი, რომ ბავშვობიდან ჩემს საყვარელ საფრანგეთში არის ისეთი ჩინებული ადამიანი და ისეთი გულითადი მხატვარი, როგორიცაა რომენ როლანი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ვ. ი. ლენინი	I	3
ლევ ტოლსტოი	,	54
ა. პ. ჩეხოვი	,	113
ფ. გ. კოროლენკო	,	136
სერგეი ესენინი	,	159
მ. მ. კოციუბინკი	,	167
გარინ-შხაილევსკი	,	176
მ. მ. პრიშვინა	,	195
ბალზაკზე	,	202
ნ. ე. კარანინ-პეტროპოვლოვსკი	,	205
სიმონ პადიაჩევი	,	229
რომენ როლანზე	,	235

Максим Горький

ПОРТРЕТЫ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1988

ს. ბ. № 2153

რედაქტორი ლ. ქადაგოშვილი
მხატვარი ი. დივანოვოციცვა-გრიგოლიძე
მხატვრული რედაქტორი ჟ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მ. გოგოლაძე
კონტრ.-კორექტორი თ. შინდაგორიძე
კორექტორი ქ. გუნცაძე
გამომშვები გ. ჩილუნაძე

გადეცა ასაწყობად 22.01.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.05.88.
ქაღალდის ზომა 84×108^{1/32}. ნაბეჭდი თაბახი 12,6. საბ. ქაღალ-
დი № 1. საღებავგატარება 12,81. ბეჭდვა მაღალი. სააღრ.-საგამომცემ-
ლო თაბახი 10,92. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2809.
ფასი 1 მამ. 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამზ. № 28.
Издательство «Накадули» Тбилиси, пр. Мира № 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნბ-
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ე. ჭავჭავაძის
სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государст-
венного комитета Грузинской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.